

ଅଭ୍ୟାସକଳ

ତଥା ଜୀବନ କ୍ଷେତ୍ରନାଳି

ବ୍ୟୋମପାଦି ହେଠିଲ୍ଲାଙ୍କ

No IV

୧୯୯୦ ଫେବୃଆରୀ, 1899



ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ

ବିଭାଗ ମୁଦ୍ରଣ, କାନ୍ତପୁର, ଓଡ଼ିଶା ଓ ପାଞ୍ଚମିତିପ. ଗ୍ରୁହିନ୍ଦା-ତିରାଜ

1899



С 6 18 6 0 6

х 1

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Мая 1899 г.

გ ი ნ ე ს ი

	23.
I—ნავარდობა. —ნაწილი პირველი. —მოთხრობა მ—იასა	1
II—*.*.—ლექსი გ. რუსამისა	38
III—გარიბალდიელები. —ისტორიული რომანი, გიტორიო თეოდინისა, თარგმანი (გაგრძელება)	39
IV—დამონებულები. —რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან, იგ. გაზოგისა, თარგმანი (გაგრძელება)	83
V—გასხარა პამილონი. —ძველებური მოთხრობა, თარგმანი ჭ. ხ.-იასა	111
VI—უკანასკნელი ღამე იუდასი. —სააღდგომო ამბავი, ე. ჭეშქარტისა, თარგმანი თ. სახოვისა	132
VII—აფხაზები. —ეტნოგრაფიული მასალები, ნიკო ჭავასა	1
VIII—ომარ. ვაშა სამეგრელოში. —ჭ. ა. ბურთზდინისა, თარგმანი თ. ს.-სი	11
IX—ძველი და ახალი სკოლა. —ნინო ზურაბიშვილისა	29
X—უცხოელების დაბინავება საქართველოში. —ისტორიული წერილი ა. ე—ძესი	44
XI—სალიტერატურო ჟმინებები. —ა. ნ—ლისა	53

ნავარდობა

(მოთხოვბა)

ნაშილი პირველი

Ⅰ

ქ თ ხ ი

ქოხი, რომლის შესახებაც ახლა გიამბობთ, თვისი აგებულებით არ ეკუთვნოდა ქოხების წრეს — არც ქოხად უწოდებდა ვინმე, სოფლად რომ ყოფილიყო. იგი წამოსკუპებულიყო რამდენსამე ეშნიანად გამოჭიმულ, ორ-სართულიან, ქვითკირის სახლებ შორის, რომელიც ამაყად გადაჰყურებდნენ მაღლობიდან მთელ ქალაქს; რომელ ქალაქს, სახელს არ ვაცხადებ, რადგანაც მნახველი მისი ამბიდანაც გაიგებს და ვისაც არ უნახავს, იმის-თვის არც საჭიროა სახელის ცოდნა.

ქოხი ქალაქის იმ ნაწილში იმყოფებოდა, რომელიც რამდენისამე ხნის წინად ცალკე სოფელს შეადგენდა. ახლა კი გარდაქცეულიყო ქალაქის ნაწილად და ქალაქის ფერის მიღებას შესდგომოდა: ძველი სოფლური სახლების ადგილზე აღმოცენებულიყვნენ ახალი, უფრო ხშირად ორ-სართულიანი ქვითკირის სახლები ისეთ გეგმაზე აშენებულნი, რომლის მზგავსნიც თვით შუა-გულ ქალაქშიაც ძვირად მოიპოვებოდა. მგონია შეურაცხყოფა იქნებოდა ამ სახლებისათვის, ბეკიაშვილის შენობისათვის რომ სახლი დაგვეძენა.

ქოხი უკანიდან წინ იყო წაქანებული ისე, რომ შეგ
შემსვლელს თავი უკვე სახლში ჰქონდა შეყოფილი მაშინ,
როდესაც ჯერ ფეხები არ გადაეტანა კარების დირეზე. რა-
საკვირველია, დიდი ხნის დანგრეული იქნებოდა იგი, თუ წინადან
ბოძები არა ჰქონდა მიყენებული. ჭერი ჭერობას და კედლები
კედლობას აღარ უშვრებოდნენ ქოხს; ჩალა, რითაც დახურული
იყო ჭერი, ისე გასცვეთოდა, რომ მუკნები ნახევრამდის ჩან-
დნენ და ზოგან ციცნათელებიც ჩადიოდა. კედლებიც აქა-იქა
გამონგრევოდა და ზოგან ქვები, ზოგან თივა და ზოგან ძონ-
ძები ჰქონდა დაჩუროთული. დერეფანს ორი წყვილი კავილა
შერჩენოდა ჩალით დახურული, თითქმის ადლ.-ნახევარი ცარიე-
ლი საყვაევ და ლაჭნები გასწეოდა წინ.

ქოხი პატარა იყო, მაგრამ მოზრდილი და ყალთალიანი
ეზო კი ჰქონდა წინ. აქა-იქ დარჩენილი ნამარგილავები ამტკი-
ცებდნენ, რომ ეზო როდესლაც შემოღობილი იყო და იქნება
ხეხილითაც საესე, როგორც ეზოები მეზობლად მყოფი სახლე-
ბისა; ეხლა კი გამხდარიყო დიდ-ყურა და ხმა-მაღალა ცხოველთ
საძოვრად და სათოხარიყოდ. ეზოს ნაპირზედ ჩაუდიოდა საქა-
ლაქო გზა. ყველა მიმავალ-მომავალი ამ გზაზედ გაიგონებდა
ყოველთვის კარებ გამოხურულ ქოხიდან საფეიქრო ყდის რა-
ხარუხს.

II

ქაჭლი ანანო

კოჭლი ანანო—იგივე ფეიქარი ანანო—პატრონი იყო ამ
ქოხისა. ანანო ბუნებითი კოჭლი იყო. თავისი მანინჯი აგებუ-
ლობის შესაფერად და სახერხოდ ეცნო ფეიქრის ხელობა და
ისევ ქალობაშივე შეესწავლა იგი ხელობა.

ხელობის ცოდნამ ტყუილად არ ჩაუარა. მოქალაქე მიხა
ბეცია შვილმა, რომელსაც ვირით სოფელ-სოფელ ხამები დაჰქონ-
და გასასყიდად, ორჯერ-სამჯერ იყიდა ინანოსაგან ხამები და

ძლიერაც მოსწონდა მისი ნაქსოვი ხამები. როცა გადაუშლილდა მუშტარს ანანოსეულ ხამებს, რაღაცა იდუმალი სიამოვნება უმჭვალავდა გულს და თითონაც ვერ გამოერკვია საქონლის ლირსება იყო ამისი მიზეზი, თუ სხვა რამ უხილავი ძალა. მხოლოდ იმას კი კარგადა გრძნობდა, რომ ანანოსეული ხამები გასასყიდად არ ემეტებოდა, თუმცა კი პირველადეე ამ ხამებს ვადაუშლილდა ხოლმე მუშტარს.

ერთხელ, გაზაფხულის პირზედ, როდესაც უკანასკნელი ნაკერი ანანოსეული ხამებისა გაყიდა, მიხა ერთი სოფლილან მეორე სოფელში მიემგზავრებოდა დანარჩენი ხამების გასასალებლად. გზის ნაპირები პატარ-პატარა ტყის კორომებით იყო მოცული. სრულიად თავის-და გაუგებრად მივიდა მიხა ერთი კორომის პირში, მოწყვიტა რამდენიმე თხილის ფოთოლი, დაიდო თავზედ და ქუდი ზემოდან დაიხურა: რაღანაც თავში სიცხესა გრძიობდა, თუმცა დღე ლრუბლიანი იყო და არა ცხელოდა; მუხლებიც ისე ეკეცებოდა, თითქოს რამდენიმე დღე და ღამ დაუსვენებლივ უვლიაო. არც ყურთ ესმოდა რამე, ვერც თვალითა ჰქედავდა, თუმცა წინანდებულად ყურებიც და თვალებიც საღი ჰქონდა. რამდენიმე კაცი შემოხვდა წინ, „გამარჯვებას“ ეუბნებოდნენ, მაგრამ, თითქოს აქ არაფერი ამბავიაო, ხმაც არავისთვის გაუცია — მოძრაობდა, როგორც მანქანა; თითქოს მისი სიცოცხლის ძალა ანანოსეულ უკანასკნელ ხამის ნაკერს გაჰყვაო.

ის სოფელი, საღაც უნდა გაესალებინა დანარჩენი ხამები, ისე გაიარა, რომ სრულებით არ გაუგია: ვერ გამოაფხიზეს ვერც ძალლების ყეფამ, ვერც მუშტრების ძახილმა, რომელთაც უნებლიერ უპასუხებდა „არა მაქვსო“ გაშინ, როდესაც რამდენიმე ნაკერი ხამი კიდევ ედო ხურჯინში. სოფელს რომ გასცილდა, ისევ, თვისდა შეუმჩნევლად, პირი იმ სოფლისკენა ჰქონდა, საღაც ანანო ცხოვრობდა, და მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა მიუახლოედა სოფელს. ძალიან უამა მიხას, რომ ანანოს სოფელს მიახლოებოდა და მაშინვე გარდასწყვიტა მისულიყო და ეყიდნა მისგან ხამები. ახლა გონზე იყო მოსუ-

ლი და ძლიერ გაუკვირდა, რომ თავზე ქუდ შვეულის ფოთლები ეფარია. იფიქრა: ვინ მიხურა ისე, რომ ვერ გავიგო; გზაზე მე არა მძინებია და არაფერიო. ფოთლები გადაყარა, და გულის ფანცქალით და პარ-მოცინარი სახით უახლოვდებოდა სოფელს. სოფლის მისავალში, გზის პირად, ერთი-დღი კაკლის ხე იდგა. მიხამ დაინახა: კაკლის ხეზე ორი გვრიტი ზის, ერთი ღუღუნებს, მეორე კი ყელყელაობით გავა ცოტა განზე და ისევ მოუხახლოვდება; ხან მეორე მხარეს გადაფრინდება და ისევ ამასვე შვრება, და, თავის ქნევით, ხანდისხან, იძახის; „და!“ და!..“

ამ გვრიტებმა შეიპურეს მიხას ყურადღება. წამოწეა კაკალ ქვეულ-აღმა და სიმშურნით შეჰყურებდა მათ. მანამ გვრიტებმა არ შემოჰქრეს ფრთა ფრთას და არ ვასრიალდნენ — მხოლოდ მათთვის — ვრცელსა და შემოუზღუდავ სამყაროს სხვა მხარეს, მიხამ კაკლის ქვეშიდან ფეხი არ მოიცვალა; მაშინ კი გაუდგა ისევ თავის გზას. მხოლოდ პირდაპირ ანანოსთან არ მისულა ხამების სასყიდლად, როგორც შვრებოდა წინად, ჩამოხდა მეზობლისას.

მეორე დღეს მთელი სოფლის სალაპარაკო ისლა იყო, რომ მიხა მეხამემ ანანოს „ხელი დასდოეო“.

III

ამბავი ქორწილისა

საქორწილოდ მიხამ ძველი მამა-პაპეული სახლის მაგივრად ჩადგა ის სახლი, რომელსაც ჩენ „ქოხი“ ეუწოდეთ. მართალია, ქალაქის ახალ ნაწილში მიხას სახლის მხარდამხარ გამოიჭიმა კიდეც რამდენიმე სახლი ქალაქის გემოვნებაზე აშენებული, მაგრამ მიხამ კი ისევ სოფლური გემოვნების სახლი აიშენა: რადგანაც იმდენი შეძლება არა ჰქონდა, რომ გამჭლავებოდა მეზობლებს. არც კი დიდადა ჰქონდა მიღრეკილება მოქილა-ქურ ცხოვრებისადმი. თვისი ხელობის წყალობით მომეტებული

ნაწილი სიცოცხლისა სოფლად გაატარა მიხამ: ამისთვის სპოფტუ ლელი ხალხი უფრო უყვარდა, ვიდრე თვისი მეზობელი მოქალაქენი, და ქორწილშიაც სულ სოფლელები და თავის მეზობელთაგანაც იმისთანა ხალხი ამოარჩია მაყრებად, რომელნიც მარტო სახელით იყვნენ მოქალაქენი.

თუ რანირი ქორწილი გადაიხადა მიხამ, ან როგორი შთაბეჭდილება იქნია ამ ქორწილმა ანანოზე, თვით ანანოსავე დაეუგდოთ ყური. იგი დიდი სიამოვნებით უამბობდა კველას, სანამ პირში სული ედგა, ქორწილის ამბავს: „შაბათი დღე იყო—იწყებდა ხოლმე ანანო—ის იყო მზე ჩადიოდა. შავხელოთ და შემოაჭენა მახარობელმა ეზოში ცხენი და ცხენ და ცხენ დაცალა თოფი. მამა-ჩემმა გამოურბეინა ჯამით ღეინო; მახარობელმა დაცალა ჯამი და მიარტყა კედელს. აუხვიეს მხარი ბალდადით, ხელში სავსე ხელადა მისცეს და გაქუსლა ისევ უკან. მე კი მაშინვე ოსტატთან გამაქანეს. ჩვენებისა და ოსტატიანთ სახლებ შეუ ერთი მეზობლის სახლი იყო, ასე რომ ოსტატიანთ ეზოდან ჩვენების ეზო მთლადა ჩანდა. მთელი უბნის გოგოები ჩემთან მოგროვდნენ, იმ წელიწადს მთელი უბნიდან მარტო მე ვიყავ გათხოვილი. მიედექით ღობებსთან მთელი გოგოები და დავიწყეთ ყურება. რომ მოუახლოვდა ნეფე-მაყრიონი ჩვენების სახლს, მიხამ შემოაჭენა ეზოში ცხენი. ისე შვენოდა, ისე შვენოდა ის ცხონებული, რომ თითქო კაი სოვადაგარიაო. გოგოებმა დამიწყეს ხუმრობა: მიხას მაგიერად სხვა ვიღაცა მოსულა შენ წასაყეანადაო“.

მეორე დღეს—კეირა დილით, ჯერ არ მოვერთე ოსტატს, რომ შევხედოთ და გავარდა თოფი და იქავ ოსტატიანთ ეზოში შექნა ჰყივილი ქოსმენმა ბურეაქმა. დაეცალოთ ცოტა, მეჯვარე ექვსი მაყრით შემოვიდა ოსტატიანთ დერეფანში და დაიწყეს სიმღერა და თამაშობა. დაფა-ზურნის დაჭერა ნდომებოდა საწყალს, მაგრამ მაშინ სულ გაფანტულები ყოფილიყვნენ თავადისა და დიდი ვაჭრების ქორწილებში. მამრთეს. შემოვიდა მეჯვარე, მისუა ოსტატს ერთი ბაჯალო ოქრო,—ისეთი ყაჯარი შემაკერინა, რომ მართლა საქებელი,—მდადით გამომიყვა-

ნეს შინიდან და გაგვიძლენენ წინ მაყრები სიმღერით. ორ შა-
ყარს კი მოკლული ბურვაკი ეჭირათ ხელში. შემიყვანეს შინ
სახლის მარჯვენა მხარეს ჩამწერივებოდნენ ნეფე-მაყრიონი ხო-
რაგით სავსე სუფრას. რა, არა ებადა-რა მამაჩემს თუ! ძალიან
ძალზე შეძლებული ოჯახის პატრონი იყო. იჲ, ქა სად წავიდა
უწინდელი დრო?! ეხლა რომ ხიზილალას ცეცხლი ედება, უწინ
მამი-ჩემის ოჯახში ჯამებით დავიდგამდით ხოლმე. ყოველ წლივ
სამ ურებს ჰეგზავნიდა სალიანში. მოკვდა მამა-ჩემი და ყოველი-
ფერი თან გაჰყეა. ჰო, იმას ეამბობდი — შემიყვანეს და მამისვეს
გვერდით ყელ-მოლერებულ მიხას. მართლაც და, ის სულით განათ-
ლებელი ისე ჰუცენოდა და ისე გამოცელილიყო, რომ ველარც კი
ვიცანი. იჲ, ნეტავი იმ დღეს! ყველანი იმას იძახდნენ, ნეფე
ძალიანა შვენის, ვაჟი გაუჩნდებათო. დავაცადოთ ცოტა ხანს
და წამოიშალნენ მაყრები. ავდექით ჩვენც. ხელსახოც გაბმუ-
ლები წავედით კარებისკენ. გამოვედით გარეთ, დაყაჯრული
ცხენები მზად იყენენ. შემსვეს სადედოფლო ცხენზედ. შეჯდა
მიხაცა, დასკალეს თოფი და შემოსძახეს მაყრული. ჯვარი სა-
წერი იმ ღამესვე მოეშორებინათ და მღვდელმა აღარ დაგვა-
გვიანა: მივედით თუ არა ეკალესიაში მაშინვე გადაგვწერა ჯვა-
რი. როცა გაათავა ჯვარის-წერი, სთქვა მღვდელმა: — აბა, ნე-
ფევ, მიულოცე დედოფალსაო. — მიხამ მოიწია ჩემკენ, მაგრამ
მე გაეუსხლტი ხელიდან და კარებისაკენ გავექანე და სახტად
კი დარჩია. ხალხმა ასტეხა ერთი სიცილი და ალიაქოთი. იჲ,
ნეტავი იმ დღეს! ეხლანდელი გოგოებიც იზამენ ამას!... გამო-
ვედით საყდრიდან. შეგვხეს თუ არა ცხენებზედ, გავარდა თო-
ფი და შემოსძახეს მაყრული. როცა მივედით ჩვენების ეზოში,
კიდევ დაცალეს თოფი. ჩამომიყვანეს ცხენიდან და შეგვიყვანეს
შინ. მარჯვენა მხარეს გაშლილი და მომზადებული იყო ჩეენ-
თვის ბალიშები. დაჯდა მიხა ბალიშზედ ყელ-მოლერებული,
მივუჯექ მეც გვერდით, მეც განაყოფთ გოგო მომისვეს გვერ-
დით. მაყრები შეექცევოდნენ, მიხა კი იჯდა გაბუტული, პირის
გასახსნელს ელოდა. მაყრები უყვიროდნენ მამა-ჩემს: ნეფე ნუ
მოგვიკალ შიმშილითაო! მოვიდა მამა-ჩემიც, აავსო ლვინით

ვერცხლის ბადია, გვადლეგრძელა, დაგვლოცა ნეფე-დედოფალი,
დაცალა ბადია, დაგვიდგა წან და გადაგვკოცნა ორივენი. მერე
დედა-ჩემი მოყიდა და დაგვლოცა; მე დამკოცნა, მიხამ კი გვირ-
გვინის ტოტები დაუკოცნა. ამის შემდეგ მიხამ დაიწყო პურის
ჭამა. ერთმა მაყარმა ააესო ღვინით ბადია და დაიწყო: „ნეფე
ილოცება—ღვინის პირი დაილოცება—ღმერთო, გამიჭრევინე
მტერზედ მოქნეულ ხმალსაო; ნუ გამომილევ სახლში მეომარსა
და ვაუკაცასო; მინდორში მხვნელსა და მთევზელსა, თონეში—
პურის მცხობელსაო; დასაქორწინიბელ ვაჯა და გასათხოვარ
ქალსა; თონეში კუტებსაო, ქვეშაგებში გოლორში
ფქვილსა, ქვერში ღვინოსაო; ორმოში პურსა, ქერსა და ფე-
ტევსაო; გომში, ბოსელში—კამეჩისა, ხარსა და ფურსაო; ფარებ-
ში ცხვარსა; სალორეში ღორსაო; საქაომეში ქათამსა, ბატსა,
ინდაურსაო; კერას უკან მარილის ყორესა; ყუნჭულებში ყვე-
ლის გუდებსაო; დაულოცე მარჯვენა მუშა-კაცსა, ქედი საქო-
ნელსაო“. ეჯიფ-ნეფეს გაუმარჯოსო, და მიაწოდა ბადია მი-
ხას.

როცა, თვალ-ცრემლიანები, მე და დედა-ჩემი გაგვაშორეს
ერთმანეთს, შემსვეს ცხენზედ, შეჯდა მიხაც, დაცალეს თოფი
და შემოსხახეს მაყრული. გზაზედ, საცა ქათამს, ბატს, ან ინ-
დაურს დაინახავდნენ, გაუწვდილნენ ხოლმე თოფს მაყრები,
ჰეოცავდნენ და მოჰქონდათ თან. ვინც გზაზედ გვხვდებოდნენ,
მალლა ხმით ყვიროდნენ: „ეჯიფ ნეფეს გაუმარჯოსა!

კარგა შებინდებული იყო, როცა შინიდან მობრუნებული
მახარობელი მოვევეგბა საესე ხელადით ხელში და შამფურზედ
აგებული მწვადით და ლავაშით და დაიძახა: „მოვდივარ ნასი-
ბით, თან მომაქს კაი ამბავიო“; ამასობაში სოსანამაც—ძმამ—მი-
თხრა: „გოგო, ანანო, ჰედავ, ავე მაშხალა აანთესო!“ ისე
ამიძეგრდა გული ამ სიტყვების გაგონებაზედ, რომ არც ნიშ-
ნობაში და არც ჯვარის წერაში არ მომსელია ასე. ეზოში
რომ მოეცით, ჩამოვახდუნს ნეფე-დედოფალი ცხენებიდან
და მაყრებმა დაუშინეს თოფები მაშხალას. ოცი თოფი მეტი
გავარდა, მინამ მაშხალას ჩამოაგდებდნენ. ვინც მაშხალა ჩა-



მოაგდო, იმან მეორე დღეს საჩუქრად ხილი მიიღო. ჩამოაგდეს თუ არა მაშეალა, კარებზე მოგვევება დედ-მამიანი ვაჟი და შარბათით დაგვაბერა. მერე შემოგვიძლვნენ შინ მაყრები ამო-ლებული ხანჯლებით და დაიწყეს სიმღერა: „ჯვარი წინა, ჯვარი უკან, ანგელოზო, შინ შემოდიო“. შემოგვატარეს დედა-ბოძს და კერას სამჯერ. აი, ამ დედა-ბოძზე კაკლით სავსე სადუღარი ეკიდა. ერთმა მაყარმა დაპკრა ხანჯალი სადუღარს, კაკალი ძირს გაიშალა და დაიძიხეს: „ამდენი ვაჟი-შვილიო!“ აი ემანდ—უჩვენებდა ხელით—მოემზადებინათ ჩეენთვის ბალიშები. ბალი-შებზე გაწოლილიყო შაქარაანთ ივანე, რადგანაც დედ-მამიანი იყო. როცა მოგვიყვანეს დასაჯდომად და არ ადგა ივანე, მეჯვარემ უზალთუნიანი გაუკეთა ვაშლში და შეაძლივა, მაგრამ არ ადგა. უზალთუნიანის მაგივრად აბაზიანი გაუკეთა ვაშლში და ისე მიაწოდა; არც მაშინ ადგა. თავისი მამა დაპხახოდა: „არ ადგე, შვილო, მეჯვარეს ბევრი ფულები აქვსო.“ მაყრები კი იძახდნენ: „ნეფე-დედოფალი ნუ დაგვიხოცეთ ფეხზე დგო-მითაო.“ მანამ ორ აბაზიანი არ გაუკეთა ვაშლში და არ მისცა, არ ადგა. მოვიკეც თუ არა ბალიშზე, მოიყვანეს და ჩარექაანთ მიხაკა ჩამისევეს კალთაში და დაიძიხეს: „ესეთი მიჭი მოგცეთ ლერთმაო.“ ისეთი ფუნთუშა და თეთრი იყო, რომ სანატრელი, ეხლა რომ დაშეამულსა ჰგავს.

შეორე დღეს ზოგიერთი მაყრები ადრე შეიკრიბნენ და დაიწყეს სიმღერა სამზარეულოში,—განგებ ისეთი სამზარეულო გაეკეთებინა ცხონებულს, რომ მართლა კარგი. ჩვენთან შემო-ვიდა დედ-მამიანი და გაგვალვიძა. მიხამ ჩაიცეა, დაიდგა გვირ-გვინი თავზე და გავიდა კარში. მანამ მე მამრთავდნენ, ნეფე-მაყრიონი მიიპატიუეს მეზობლებმა და განაყოფებმა—შუა დღემ-დის დადიოდნენ სტუმრიდ. როცა დაბრუნდენ, რა არ მოიტანეს თან მაყრებმა. ეს ბურვაკიო, ეს ქოსმენად ნამყოფი თოხლიო; ქათამსა, ბატსა და ინდოურს ხომ ანგარიში არა ჰქონდა, იმდენი დაეხოცნათ—ეხლაც უზამენ ასე! ხილით კიდევ ჩოხის კალთები ჰქონდათ სავსე, უბე-ჯიბეში რომ იღარა სტეოდათ. იჭ, სად წავიდა, თქვენი ჭირიმეთ, ქა, უწინდელი დრო და

წუთი-სოფელი! ჩა სუყველაფრის გულუხვობა იყო, და ყველა-
ფერი კი ამოკვეთეს! ჰო, იმას ვამბობდი, შუადლემდის სულ
სტუმრად დადიოდნენ ხან ერთთან, ხან მეორესთან; იპ, ნეტავი
იმ დღეს! შუადლის შემდეგ მობრუნდა ნეფე მხლებლებით და
დაიწყო დაბმა და მაღლა ჩამოკიდება იმ მაყრებისა, რომლებმაც
დაიგვიანეს და რომელიც სადილის დროს მეჯვარეს ვაშლსა
სტაცებდა ჯვრიდან; მანამდის ჩემს ხელსახოცს არ მიიტანდნენ
პატიების ნიშნად, არ აპატიებდნენ ხოლმე. სადილობისას დაი-
წყეს ზღვნების მორთმევა. ადგებოდა მეჯვარე და დაიძახებდა:
მავანსა და მავანს მოურთმევია ერთი საპანე ღვინო, ფეხ-და-
ფეხ საკლავი თვისი ნამცხვარით—ღმერთმა ააშენოს! და ყვე-
ლანი დასძახებდნენ „ააშენოსო.“ მეჯვადი რომ ჩამოარიგეს,
დაიწყო გადასალოცის შეგროვება მეჯვარეებს: მავანსა და მავანს
მოურთმევია ერთი ბაჯალლო ღვინო, ღმერთმა ააშენოს, და
ყველანი მისძახებდნენ „ააშენოსო“. გადასალოცს სათამაშო
მოჰყევა. ადგა ჩემს გვერდზე მჯდომი გოგო, ითამაშა და დამი-
კრა თავი. ავდექი მეც და დავიწყე თამაშობა. მეჯვარე ჩადგა
შუაში, ეჭირა ხელში ვაშლი და სათამაშოში გადმოლოცილ
უზალთუნებს უკეთებდა შიგ. ორი ვაშლი ისე ააესო, რომ
ჭდევა არა ჰქონდათ“.

ეს ამბავი ისე არავის ასიამოვნებდა, როგორც თვით ანა-
ნოს. იმისათვის თითქო ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა ამ ამ-
ბავს,—ნამეტნავად მაშინ, როდესაც სხვა-და-სხვა უბედურებათა
გამო სასოწარკვეთილებას ეძლეოდა,—როგორც ჰურსა და
წყალს; ამისთვის დაუზარებლივ და უნაკლულოდ უამბობდა
იგი ყოველს, ვინც უნდა ყოფილიყო მასთან, როცა საფეიქრო
ყდას უჯდა. უგდებდა ვინმე ყურს მის ლაპარაკს, თუ არა,
ამისი დარღი არა ჰქონდა.

IV

ახალი ყეგეილნი

ეხლა ეძახოდა ანანი სახელს გარდაცეალებულ თავის ქმარს, თორემ წინად — სიცოცხლის დროს — როგორ გაბედავდა ამას. ან ვინ რას იტყოდა, რომ სახელი დაეძახნა — მთელი ქვეყნის სასაცილო გახდებოდა.

მიხას სიცოცხლის დროს, თუ მაზედ უამბობდა ვინმე რამეს, ანანი სახელის მაგირერად რომელსამე ნაცვალ სახელსა ხმარობდა, მაგალითად: „ის“ წავიდა, ანუ „იმანა“ სთქვა, ანუ ხმარობდა სიტყვას „ვაუკაცი“, მაგალითად: ჩვენი ვაუკაცი ხომ არ დაგინახავთ? — ჰკითხავდა ხოლმე მეზობლებლს. როცა თვით მიჰმართავდა უცხო პირების ყოფნის დროს, ხმარობდა სიტყვას „ბატონი“, მაგალითად: „ბატონი, შეშა გასჭერი;“ როცა მარტონი იყენებ „ქა“-ს ხმარობდა: „სად მიხვალ, ქა?“ შემდეგში კი, ნამეტნავად წყრომისა და გაჯავრების გამოსახატავდა, ხმარობდა სიტყვას „ადამიანი“-ს: „ადამიანი, ერთი ი ბიჭ მიჰედე!“

ქორწილის მესამე დღეს, ესე იგი სამშაბაოს, მიხამ ფეხი იბრუნა. ქორწილის ხალხი, იმათ გარდა, ვინც მიხას თან გაჰყვა, წავიდ-წამოეიდა. პატარძალთან მარტო მიხას ერთად-ერთი და-ლა დარჩა თავისი პატარა შვილებით. ეს დღე და ლამე ანანოსათების განუქარვებელ ტანჯვის წუთებად გარდაიქცენენ. მართალია, მულს არ უზიარებდა თავის შავს ფიქრებს და ვერც გაჰშედავდა ამას სირცხვილით, მაგრამ მოსვენებას კი არ აძლევდნენ მას შემდეგი ფიქრები: „ვაი თუ გზაზე ან ცხენიდან ჩამოვარდეს, ან შეემთხვას რამე; ვაი თუ ამაღამ მომეტებული ღვინო დალიოს, საბანი გადიხადოს და გაცივდეს — რაღა უნდა ექნა მაშინ!“ თანაც სწყევლიდა გულში იმ ჩვეულებას, რომლის ძალითაც მიხა მოშორდა მას.

იმ დღეს ანანოს ნაწილი არ უნახავს და არც ლამე თვალზე ძებული მოსელია. გულის ფანცქალით მოელოდა იგი მეორე დღეს, რომელიც, თითქო მის გამოსაჯავრებლად, არა თენდებოდა. ინათა ძლიერს. ანანო მაშინევ წამოხტა ქვეშაგებიდან, ჩაიცვა ტანთ, დაგავ-დაწმინდა სახლი და ეზო; მიალაგ-მოალაგა ყოველიფერი; დაეძებდა კიდევ სხვა რაიმე გასაკეთებელ საქმეს, რომ გართობოდა და ამასობაში მიხას მოსვლამდის გაევლო დროს ჩქარა და შეუმჩნევლად. მულისა რომ არა რცხვენებოდა, მთელ დღეს, სანამ მიხა მოეიდოდა, კარში იდგებოდა და იმის გზისაკენ ყურებაში დაალამებდა, მაგრამ არ უნდოდა მულისათვის გაეგებინებინა, რა ჯოჯოხეთი ტრიალებდა მის გულში. ან რა თანავრძნობას გამოუცხადებდა მული, რომელსაც ახლა სრულიად დავიწყებული ჰქონდა თვისგან გამოვლილი ამ გვარივე მდგომარეობა. ამისთვის ანანო მოიგონებდა ხოლმე რასმე, გამოვიდოდა გარედ, გაიხედავდა იქით, საიდანაც მიხა უნდა მოსულიყო და ისევ შებრუნდებოდა შინ.

მიხას გულშიაც არა ნაკლები ცეცხლი ტრიალებდა, თუმცა ხანდისხან იგი ცეცხლი ნელდებოდა წითელი ღვინით. მაინც მიუხედავად ამისა, ნებივრად და მხიარულად გაატარა მიხამ სამშაბათი დღე და ლამე სიდელრ-სიმამრთან. მეორე დღეს კი დანაყრებასაც აღარ იცდიდა ისე ემურებოდა შინ წასვლას; მხოლოდ, როცა სიმამრმა ღიმილით უთხრა: „სიძე ბატონო, არ გვიგონია, დილის საუზმე ცოლის მზითევსა სჯობიაო,“ უარი ვეღარა სთქვა საუზმეზედ. საუზმის შემდეგ მიხა ღვინით გაექნილი თავისი მხლებლებით წამოვიდა შინისკენ. გზიდან ყველანი თავ-თავის სახლებში წავიდ-წამოეიდნენ, გარდა მეჯვარისა. როცა მიხამ და მეჯვარემ ცხენები შეაჭენეს ეზოში, ანანო ის იყო შებრუნდა შინ, მათი გზისაკენ ყურების შემდეგ. თქმა აღარ უნდა, რომ სიხარულით გული აუჩქროლდა ანანოს, მაგრამ მაინც ვერ გაბედა შინიდან გამოსვლა და მიგებება, მით უფრო, რომ მულის გარდა, ახლა მეჯვარის ყოფნაც უშლიდა ხელს.

ანანო გაახარა მიხას მშვიდობით შინ დაბრუნებამ, მაგრამ სამი დღის შემდეგ სიხარულის ადგილი მის გულში ისევ აუარებელმა ტანჯვამ დაიჭირა.

შევიდნენ თუ არა შინ მიხა და მეჯვარე, უკანასკნელი მიესალმა ანანოს: „გავახაროს ლმერთმა, ნათლი-დედავ!“ რის პასუხადაც ანანომ თავი დაუკრა; ხოლო მიხამ მიშმართა: „აბა ერთი გვაჭამე რამე“. ამ უჩევეულებრივ სიტყვების წარმოთქმა, ცოტა არ იყოს, უხერხულად ეჩვენა მიხას, მაგრამ იმ ფიქრმა, რომ ახლა ჰყავს ისეთი ვინმე, ვისაც მალმალ მიშმართავს ასე, გული გაუნათლა და დაუყოვნებლივ გამოეხატა ამისი ნიშანი სახეზედ. როცა მიხას დამ მოუტანათ ტაბაკით პური, ხახვი, კაკალი და ხელადით ლვინო, მიხამ უთხრა მას: „გოგო, შენ უნდა დაიცადო აქ ერთი კვირა მაინც, თორემ მარტოკა დარჩება, მე ქორწილში ვარ ღაპატიუებული“. იმ სიტყვების გავონებაზედ თითქოს ადულებული წყალი ჩამოასხეს თავზედაო, ისე ჩაიფუფქა ანანო, მაგრამ რას გამწყობდა, წესისა და ჩვეულების წინააღმდეგობა არ შეეძლო.

როცა მიხამ ფეხი იბრუნა, მოყვრების განაყოფთ დაპატიჟეს ქორწილში მაყრად, როგორც სიძე. უარის თქმა ვერ შესძლო და სამი დღის შემდეგ ისევ დასტოვა ანანო მარტოდ და გაუდგა მოყვრების სოფლის გზას. მაყრად მიხა თავის სიცოცხლეში არსად ყოფილიყო და ორც არაფერი გაეგებოდა-რა მაყრობისა, ხოლო თავის ქორწილში ცოტაოდნად გამოიცადა, გარდა ამისა, რადგანაც სანეფო ტანისამოსი ეცვა, სულ გამოცვლილი იყო და თითქმის ყველა მაყრებს ის აშშე-ნებდა. ანანო ძალზე სწყევლიდა გულში თავის სანეფო ბიძაშვილს და იმ ჩევეულებას, რომლის ძალითაც თვითონ არ შეეძლო დასწრებოდა ქორწილში და დაპირის ტავის მშობლებს და ნათესავებს, რომელნიც მიხას უცქეროდნენ მთელ იმ დროს, სანამ ქორწილი გათავდებოდა.

დაბრუნდა მიხა ქორწილიდანაც მშვიდობით და უვნებელად. წაუვიდა ანანოს მულიც; დარჩენ ცოლ-ქმარნი მარტოდ-მარტო.

ახლა კი მიეცათ თავისუფალი დრო და შემთხვევა გამოეხატა და ეჩვენებინათ ერთმანეთისათვის ყოველი გვარი თვისებანი და ნიშანი ტკბილის და ქეშმარიტის სიყვარულისა.

მაყრობის შემდეგ მიხას სრული ოთხი კვირა შინიდან ფეხი არსად გაუდგამს,—თუ გავიდოდა ბაზარში რისამე სას-ყიდლად, ერთ საათსაც არ იგვიანებდა, მაგრამ ეს ოთხი კვი-რა ბევრით მოკლე და სწრაფად გასული ეჩვენათ ორთავეს, და უფრო კი ანანოს, ვიდრე ოთხი დღე, რომელიც გაატარეს უერთმანეთოდ მიხას ფეხის ბრუნებისა და მაყრობის დროს. ოთხი კვირის შემდეგ, პირველად მიხა ერთი დღით წაიდა მახ-ლობელ სოფელში, სადაც ხამები წაიღო გასასყიდად; საღამოთი ისევ დაბრუნდა შინ. ეხლა ანანოს მულის ყოფნა აღარ უშლი-და, რომ მთელი დღე მდგარიყო კარებზე, მიხას გზისაკენ ეყუ-რებინა და მისელის დროს მიჰვებებოდა. შემდეგ შიაც, თუ მი-დიოდა საღმე მიხა, ყოველთვის საღამოთი ისევ ბრუნდებოდა შინ.

ნათლილების შემდეგ, როცა დელ-მამაშ ინახულეს ანანო, მიხამ მოუმშადა მას საფეიქრო ყდა, ანანომაც ჩაჰკიდა ორმო-ში ფეხები და დაუწყო ყდას რახა-რუხი. ამის შემდეგ მიხამაც დაიწყო ხან ერთი, ხან ორი ღამის გათევა სხვაგან, რადგანაც გაკრობისათვის აუცილებელი იყო ასე მოქცევა. ანანოც დღი-სით განუწყეტლივ მუშაობდა, ღამე კი შრომის შემდეგ ეძ-ლეოდა ტკბილ ძილს, და, თუმცა ყოველთვის ფიქრობდა მი-ხაზე, მაინც წინანდელ ტანჯვას არა გრძნობდა მის განშორე-ბის გამო. რაც დრო და ხანი გადიოდა, ანანო უფრო ეჩვეო-და მარტოობას.

v

მ ა ღ ღ ღ ა

მზე ჯერ არ ჩასულიყო. ორი პატარძალი მისდგომოდა კალოზე დაყენებულ გალეჭილი ყანის დიდ გორებს და დაჯაბ-



რებით ანიავებდნენ. გორები გაენახეერებინათ, მეტ-ნაკულებობა გორების დანარჩენს არ ეტყობოდა, მაგრამ პატარძლები კი ებაასებოდნენ ეთრმანეთს: „არა მე ცოტა-ლა დამრჩა, მე გა-ჯობებო,—არა, მეო“, და თანაც სიცილით ისროდნენ ნიჩბებს მაღლა.

— აბა ვინც ქალია და მზის ჩასვლამდის გაათავებს თავის გორას! — სთქვა სახლის გასათხოვარმა ქალმა, რომელიც პურის ხვავში იღდა და თან უსურავებდა ხეავს, თანაც აცხავებდა.

— გორები ჯერ არ გაგვინახევრებია და მზე კი ერთ შუბის ტარზე ძლივს-ლა იქნება, აბა როგორ მოვასწრობთ მზის ჩასვლამდის! — წამოიძახა ერთმა იმათგანშა.

— აბა ქალობაც ის იქნება, რომ მზის ჩასვლამდის მოასწროთ განიავება, — გამოეპასუხათ სიცილითვე მესამე პატარძალი, რომელიც კარაპნის ცოტა მოშორებით, კალოს პირზე, დასტრიიალებდა ცეცხლზე შემოდგმულ საჭმლის ქეაბს.

— მაშ ქალი არ ვიქნები, საბედავ, თუ მზის ჩასვლამდის ვერ მოვწინდო ჩემი გორა! — სთქვა მერიემ: — აბა სიღონავ, ბოლოს მოუდევი, ქალო! ბოლო გამოვანიავოთ, თორემ დაგვიმძიმდება. და მიადგნენ ბოლოს გამონიავებას.

ამავე დროს რამდენიმე ფეხშიშველა და თაეშიშველა, პერანგა გოგობიჭები დარბოდნენ ხეავის წვერში და ეთამაშებოდნენ შხუილით ჩამონადენ ხორბალს; ხან წეერეოდნენ ხოლმე ბზეში და ნიავს ზედ მათზე გადაჭქონდა ბზე.

კალოს პირზე — დასაველთით — წამოჭიმული იყო დიდი ფრთე მოქცეული ძნისა, რომლის ჩრდილიც ჰფარავდა კალოს ნახევრობამდის. ჩრდილში წამოწოლილიყო მხარ-თეძოზედ ოჯახის უფროსი, რომელსაც, რძლების (შეილისი და ძმისწულის ცოლების) დაჯაბრებაზე სიამოვნებით აღსაცისეს, თუმცა მათი საუბარი კი არ ესმოდა, განუწყვეტელი ღიმილი გამოჰატოდა ტუჩებზე და თანაც ხანდისხან უკივოდათ გოგობიჭებს: „ბიჭო, თქვე ან ცებო, დადექით, აღარ მოისვენებთ! ე ბზეს ნუ რევთ!“ მაგრამ ისინი თაეისას არ იშლიდნენ.



— გამარჯობა შენი გიორგი! — დასძახა ოჯახის უფროსს ცალკე
თავზე წამლგარმა სტუმარმა.

— აი გაგიშარჯოს ნათლია-ჩემო! სადა ხარ, ნათლი, რომ
ალარა ჩანხარ? ნისიები მაინც ალარ გაგონდება!?. დაილოკოს
ღვთის სამართალი: ისეთი კეთილის თვალით გადმოიხედა წელს
ჩვენსკენ ღმერთმა, რომ ქვრივი და ობოლი თავის ქვრივ-ობ-
ლობას ვერ შეიტყობს წელს და ვაჭრებსაც ხომ მომდურავს
არ გამყოფებთ.

— არ იცი, ნათლი-მამ, რომ ღმერთი ქვრივ-ობოლსაც და
ჩვენ ვაჭარ ხალხსაც თქვენ მუშა და გამრჯელი ხალხის ხე-
ლით გეიგზიენის საჩიოს! ობოლი არა ვარ, ჩემო ნათლიმამ,
მეც ჩემი შრომითა და გარჯითა ვცხოვრობ, მაგრამ, თუ შენი
ღვთისაგან დალოცვილი მარჯვენა გუთანს არ ევლება, მე ჩე-
მი ხამები კუჭს ვერ გამიძლობენ.

— მაგას რად ამობ, ნათლი! ღმერთს ერთი ერმანეთის
წამლად გაუჩენიერთ. მე ვხნავ და ეთესავ, რომ მეც მაძლარი
ვიყო და სხვაც ვასაზრდოვო; შენ კიდევ ხამებს მაწედი, რომ
ტანთ საცმელი ჩაეიცვა და ისე შევეჭიდო შავს მიწას. რო-
გორც შენ უჩემოდ არ ვარგიხარ, ისე მე უშენოდ. შენ რომ
არ მოგქონდეს ხამები და არ მიცვლიდე ჩემ ნაჭირისოფლარში,
მე სად მედევნა უკან მეხამეებისათვის! აკი ვამობ, ყველანი
ერთი ერთმანეთის წამლად დაუსახივართ ღმერთს.

ამ ლაპარაკში მიხამ მოხადა ვირს ხურჯინი, რომელშიაც
საცალლოები ელაგა.

— ჭაშნიკი ხომ მოიტანე, ნათლია-ჩემო? — ჭკითხა გიორგიმ,
როცა მიხა მიუჯდა მას გვერდით.

— კარგი ჭაშნიკიც მოგიტანე, ჩემო ნათლი-მამ და კა
ერთი წყვილი სათალიც.

— აი გიშველა ღმერთმა!... აბა კაი სააგაშენოსაც შენ
მიიღებ.

— ღმერთმა ააშენოს შენი ოჯახი, ისე კი მაკლია რამე
შენი ოჯახიდან, რა?



— არა, ჩემო ნათლი, ხო გავიგონია, სესხსა და ვალს უნდა
მიუხაროდესო.

— ი დალოცა ღმერთმა თქვენი მშობლის ძუძუ!... ყო-
ჩაღ პატარა ნათლიდე-დებო! კარგა ანიავებთ მა გორებს და კაი
ფეშქაშებიც მოგიტანეთ: კაი კევი მოგიტანეთ და ისეთი ნემსები,
რომ თავის-თავად ჰკერავენ, —უთხრა მიხამ პატარძლებს, რო-
მელთაც პასუხად ჩუმი გულწრფელი ხარხარი ასტეხეს.

მიხა და გიორგი შეექცნენ ლაპარაკით, რომლის ხაგანიც
უფრო მოსავალი იყო, თანაც სიამოვნებით უცემროდნენ პა-
ტარძლების ერთგულ მუშაობას. მათ წრეს თან და თან ემა-
ტებოდნენ მინდერიდან დაბრუნებულნი სახლის კაცნი და
შეილნი.

როცა დაბინდდა, კალო მთლად მოწმენდილი იყო: ბზე
მიწეული საბძელში, ჯელლი კალოს პირზედ გატანილი, მხო-
ლოდ ბარაქიანი პურის ხვავილა იდგა კალოზედ. ბავშვები ისევ
იმავე სახით დარბოდნენ კალოზედ ზვავის გარშემო; ხან კალოს
პირას დაგროვილი ქვის ყორიდან გამოსულ, კალოზედ გასა-
გრილებლად, ბაყაყებს დასდევდნენ ურიამულით და ერეკებო-
დნენ კალოდან, ხან მფრინავ ციცი-ნათელებს, მანამ არ დაი-
ქანცნენ ისე, როს პირდაპირ ქვეშაგებში არ ჩაცვიდნენ და არ
მიეცნენ ტკბილ ძილს.

ერთმა დასანიშნმა ბიჭმა კალოს ხარი გარეკა ღამე საძოვ-
ნელად. დანარჩენთ მოიყარეს თავი და ელოდნენ მთვარის ამო-
სვლას. მთეარემ ამ საღამოს პირველად დაიგახშიმი, მთვარის
დავახშებამ მისუათ ყველას, მამაკაცთაც და დედაკაცთაც,
შემთხვევა ცოტაოდენი არაქათი ამოელოთ განუწყვეტელი დლი-
ური შრომის შემდევ, მანამ ივახშებდნენ. მამაკაცნი შემთხვე-
ვოდნენ მიხას და ჰკითხავდნენ იესა და კარგს სხვა სოფლე-
ბისას, დედაკაცები კი, გარდა იმ პატარძლისა, რომელიც
საჭმლის ქვაბს დასტრიალებდა და ახლა ეახშმის მზადებაში
იყო, ზოგი მოსწოლოდა კალოზედვე გაშლილ ქვეშაგებში
დასაძინებლად დაწოლილ ბავშვს, ზოგი კარაპანში მიჰყუდე-

ბოდა ჩვილი ყმაწვილის აკვანს და თვლებით აწოვებდა ძუძუს. ხოლო ჩვენი ნაცნობი პატარძლები, როგორც ჯერ ისევ უშვილოები და სახლის გასათხოვარი ქალი გამსხდარიყვნენ განზედ—კალოს პირზედ, ლაპარაკუბდნენ თავიანთთვის სრულებით სხვა საგანზედ და თანაც ხარხარებდნენ გულიანად, ისე კი, რომ არავის უშლიდნენ.

მთვარემ დიდ ხანს აღარ დაიგვიანა; ამოვიდა და „განანათლა ქვეყანა ბნელი“. ჩამომწკრიელნენ ყველანი კალოზედ, ჩამოამწკვრიეს ხონჩები და დაიწყეს შექცევა ვამშისა. სამი-ოთხი ლუკმა რომ შეჭამა, გიორგიმ ილო საღვინით ღვინო, მიხას მოტანილი და დაიწყო: „ღმერთო დიდებულო, შენა სწყალობდა იქა მბრძანებელსა, ვაგიმარჯოთ, ვაგახაროთ“, და იწაფა საღვინე გულიანად. როცა მოიხსნა პირიდან საღვინე, ტუჩები დაიტკბარუნა და წამოიძახა: „იშვ, დაილოცა შენი ვამჩენი!... კაცი ვაზის ძირში უნდა ჩაკვდეს“! და გადასცა საღვინე მიხას, რომელიც გვერდით ეჯდა. ისე ამ ნაირად ჩამოირიგეს ყველამ საღვინე. ზოგი მამაკაცთაგანი იმეორებდა მთლად გიორგისაგან წარმოთქმულ ჩამოლოცვას, ზოგი კი ასე ილოცებოდა: „ღმერთო დიდებულო, ვაგიმარჯოთ, ვაგახაროთ!“ ხოლო მანდილოსანთაგანს იმათ მიაწოდეს ღვინო და ისიც ჭიქით, ვინც დედამთილის ხარისხით იყვნენ. ამათ კი დალოცვის მაგიერად პირჯვარი დაიწერეს, თავი დაუკრეს მამაკაცთ, ცოტაოდნად პირი გვერდზედ მიბრუნეს და ისე დალიეს.

ვახშამზედ ყველანი ისევ ისხდნენ და შეექცეოდნენ მიხას მოტანილ ღვინოსა და სათალს, როცა ის პატარძლები, რომელნიც გორებს ანიავებდნენ, ადვნენ ვახშიდან, მიუდგნენ პურის ხვავსა და დაუწყეს ვახვავება, სახლის ქალი კი უსურავებდა. მანამ სხვები უფროსები ადგებოდნენ ვახშიდან, პატარძლებმა ვაათავეს ვახვავება. მათმა ქმრებმა და მაზლებმა კიდე მიუყენეს საცალოები, ტომრები, გაავსეს და შეზიდეს კარაპანში. ამის შემდეგ ყველანი მიეცნენ ძილს კალოზედვე. ხოლო მიხა ვავიდა კალოს ნაპირზედ, ქვის ყორეს ახლო, სადაც ამისი გირი ება და ჯელლსა სქამდა, ვაიშალა ქვეშ საცალოები, ხურჯინი

ყორეზედ მიდო და ზედ თავი დაღო; ზემოდან კი საბანი და-
ჰეურეს ნათლიდედებმა.

VI

თავისი ჯიდაშვილებისა

მიხა ყველას, ვისთანაც კი ჰქონდა მსვლელობა თავის
აღებ-მიცემობის წყალობით, ძლიერ უყვარდა და თითქმის ყვე-
ლასთან ისე იყო, როგორც შინაური. მაგრამ ისე ნაირად და-
შინაურებული, როგორც ჯილდულების ოჯახში, არსად არ
იყო. როგორც ნათელ-მირონი და ამასთანავე უწყინარი და
„პატიოსანი კაცი“—ასეთი სახელი ჰქონდა მიხას დამსახურებუ-
ლი—მთელ ჯილდულების ოჯახში ძლიერ პატივურებული იყო.
თეთო მიხაც დიდ პატივსა სცემდა მთელ ოჯახობას და დიდა-
დაც ჰსიმოვნებდა იმ წესით, რომელიც ერთხელ დამყარებუ-
ლიყო ოჯახში და ჰსუფევდა ყოველავის. ჯილდულების ოჯა-
ხი ისეთი ოჯახი აყო, რომლის მიბაძვა ყველა სხვა ოჯახები-
სათვის დიდად სასარგებლო იქნებოდა, მაგრამ არა რომელიმე
ოჯახი არა ჰბაძავდა, თუმცა კი ყოველი ოჯახი დაჭხაროდა
მას.

მთელ ოჯახს ჯილდულებისას შეადგენდა ექვსი ალალი
ძმა თავითნი ცოლშვილით. დიდით-პატარამდე, კაცად-დედა-
კაცამდე ოჯახში იქნებოდა არა ნაკლები ორმოცი სული-
სა, ხოლო ამოდენა ხალხი მოქმედობდა ისე, როგორც ერთი
კაცი.

ოჯახის უფროსად ყველანი ჰხადიდნენ უფროს ძმას გიორ-
გის, რომელიც იყო გუთნის დედა. მას ეკითხოდა სახლში
საზოგადოდ ყოველიფერი და კერძოდ გუთნისა და მიწის
მოსაელის საქმე. მეორე ძმას მიხას ეკითხოდა ვენახის საქმე:
შემუშავება, ყარაულობა მისი ყურძნის მოწვევის დროს, ქვევ-
რების მომზადება, დაკრეფა და დაწურვა ყურძნისა; გაყიდვა
და შინ მოხმარება ღვინისა. მესამე ძმა—ივანე მეცხვარე იყო

და მაზე იყო დამოკიდებული ცხერისა, მატყულისა და ყველის გაყიდვა, თუ შინ მოხმარება. მეოთხე ძმას — სოსიკოს მინაბრებული ჰქონდა ხარ-ურები და მისი საქმე იყო ძნის მოტანა და შეშა-ფიჩხისა, საფეხის დაფეხა; მარილზე, ქირაზე და სალიანში თევზზე წასვლა. მეხუთე ძმა — სვიმონა მელორე იყო და ღორის საქმეც მას ეკოთხოდა. სვიმონას წყალობით ყოველთვის აღებაში ორ-ორი და სამ-სამი დაკლული ღორი ერთად იყო ხოლმე ჩამოკიდებული ჯიღაშვილების სახლში. მაზედვე იყო ნათქეამი და სიმღერაშიაც ხმარობდნენ; „ჯიღაანთა სვიმონასა გუდით ფული მოჰქონდაო...“ მეექვსე, უმცროსი ძმა — ზაქარა მეძროხე იყო; მისი კითხული იყო, როდემდის უნდა ეწევლათ ფურები, და როდის უნდა გაეტანებინათ ფურებისათვის თან ხბორები, რომ დათამამებულიყვნენ; ანუ თუ გასასყიდი ან შინ დასაკლავი იქნებოდა რამე სიბერის გამო. ძმები ერთმანერთს ხმას ისე არ გასცემდნენ, რომ არ დაეტანებინათ: „ბიჭო, შენი ჭირიმე!“; მაგალითად: „ბიჭო, შენი ჭირიმე, ერთი ღვინო ამოილე; ბიჭო, შენი ჭირიმე, ერთი ურმის შებმა მიშველე!“ და სხვა.

ექვსივე ძმა ცოლ-შეილიანი იყო და მათი ვაჟიშვილები შეძლებისდა გვარად, ვინ რომელი საქმისთვის აღმოჩნდებოდა გამოსაღევი და სასარგებლო, ეშველებოდნენ თავიანთ მამა-ბიძათ, როცა მუშაობის ასაკში მოდიოდნენ. სამი სახლის შეილი დაქორწილებული იყო და მათი ცოლებიც ეშველებოდნენ დედამთილებს, როცა ეს უკანასკნელნი კვირაში იდგნენ.

ყველა რძლები — ძმის ცოლები — ჯერ-ჯერობით აკეთებდნენ სასახლო საქმეს მთელი კვირაობით და ამას ერქვა „კვირაში დგომა!“. ერთი რძალი მთელ კვირას ცომსა ჰქელავდა და პურს აცხობდა; მეორე რძალს კი იმავე დროს საჭმელი უნდა ეკეთებინა, წყალი ეზიდნა — ვირებით — და თავის დროზე საღილ-ვახშამი და სამხარ-საუზმე ემზადებინა. დანარჩენ ოთხ რძალს ამ კვირის განმავლობაში შეეძლოთ თავიანთი კერძო საქმე ეკეთებინათ, თუ რაიმე საჩქარო საოჯახო საქმე არ იქნებოდა, როდესაც ყველას ხელი და დახმარება საჭირო იყო,

როგორც, მაგალითად: საფქვავის მომზადება, კალო, რთველი, თესლის მომზადება და სხვა რამ ამ ვვარი. სახლის ქალებისა და პატარძლების მოვალეობას კიდე ის შეადგენდა, რომ უნდა შეშველებოდნენ კვირაში მდგომ ძალუებს, თუ დედა-მთილებს.

როგორც ძმებში გიორგის ეკუთვნოდა პირველი ხმა და პატივი, აგრეთვე მის ცოლს, სალომეს ეძლეოდა უპირატესობა-რძლებში. როცა იგი კვირაში იდგა, ყველა რძლები ეშვე-ლებოდნენ და უსუმბუქებდნენ ტვირთს. მხოლოდ განსაკუ-თრებული ბოვალეობა მისი იმაში მდგომარეობდა, რომ, ვისაც უნდა გაეკადებოდა საჭმელი, იმას უნდა გაერიგებინა.

ჯილდოლების მრავალი ხელი და ერთი პირი და მოქმე-დება თითოთ საჩეკნებელ მაგალითად იყო გადაქცეული. ერთი სული და ერთი გული, რომელიც ტრიალებდა მთელს მრავალ-რიცხვან ოჯახში, იყო მიზეზი მისი, რომ იგი ოჯახი, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო წარმატებაში შედიოდა და ყოველი მისი წარმომადგენელი ჰგრძნობდა თავის თავს ნეტარ ცხოვრებასა და ყოფაში.

სიმდიდრისა და ტკბილი ცხოვრების ხმა ჯილაშვილების ოჯახს ბევრ სხვა სოფელშიაც ჰქონდა გავარდნილი. ამისი მი-ზეზი კი უფრო მიხა იყო. სადაც კი დარჩებოდა ლამე, ყველას და ყოველთვის ჯილაშვილების ოჯახის ამბავს და ქებას ელა-პარაკებოდა.

vii

უბადურება შირგელი

შუალამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა მიხას გამო-ეღვიძა და ჯერ არ გამორჩეულიყო ძილიდან, რომ მარჯვენა საფეხქელზე ხელი მოისეა. მოსმა ხელისა და სიმწვავის გრძნო-ბა ერთი იყო. მეორედ რომ მიიტანა ხელი, შეამჩნია, რომ კანი

ვატარად, კოპიჭავით, ამოჯღომოდა. მიხამ ყურადღებად გამოიყო, მიაქცია, იფიქრა, კოლო მიკბენდაო, და ისევ მიღო თავი დასაძინებლად; მაგრამ თვალზე ძილი არ ეკარებოდა. სიმსივნე სისწრაფით ეზრდებოდა, კანი ძალზე უცხელდებოდა და გრძნობდა საშინელ სიმწვავეს. ბოლოს იქამდისაც მიაღწევინა, რომ გმინეა დააწყებინა,

ჩავარდა თუ არა ცაში ნათელი, გიორგიმ გამოიღვიძა, წამოდგა ფეხზე, დამოქმნარა, ჩაახველა ხმის ამოსაწმენდად და დაუძახა: აბა, ადექით, ბიჭებო, გათენდა. მის ხმაზე ყველანი, ქალიცა და კაციცა, წამოიშალნენ და დაიწყეს ტანთა და ფეხთ ჩაცმა.

— რადა ჰემინავ, ნათლი? — დაუძახა მიხასაც.

— რა ვიცი, კაცო, არ ვიცი მიკბინა რამემ, რაღაცა, საფეხქელი დამისიბედა და მეწვება. წუთა-წუთს თავიდან ფეხებამდის ისე გამწვავს, თითქო გახურებულ შამფურს მიტრიალებდნენ ასო-ტანში.

მიხა იმ განზრახვით წავიდა კალოებზე, — კალოები სოფლის მოშორებით იყო — რომ აეკრიფა პური და ქერი თავის ნისიებში, მოყარა ყოველ ამაებისათვის თავი ჯილაშვილების კალოზე და აქედან ერთად წაელო შინ, როგორც ყოველთვის შვრებოდა. ამისათვის ისე ჰქონდა ნათქვაში ანანოსათვის, რომ ორი ან სამი კვირა დარჩებოდა კალოებზე.

ანანო მიხას წასვლის შემდეგ ერთგულად ჩაუჯდა საფეიქროს, მაგრამ რაღაცა მოუსცენრობა ეტყობოდა, თითქოს მიხას წასვლა დაედარდაო; გული რაღაცას შემოჰკვნესოდა და უწუხდებოდა, როცა წარმოუდგებოდა, როგორ გაჭიაყელავდებოდა ორი სამი კვირა მიხას მოლოდინში. მართალია, ხშირად ჰპდებოდა, რომ სამ კვირასაც გადაამეტებდა ხალმე მიხა სოფლებში სიარულით, ხოლო ანანოს არც ერთხელ არ უგრძვნია ასეთი აღშფოთებული თვისი მდგომარეობა მისი მოშორებით, როგორიც ახლა. მიუხედავად იმისა, რომ მიხა სულ ორი დღის წასული იყო, ანანო მეორე დღესვე ნატრობდა მის შინ დაბ-

რუნებას და ისეც დაიმედიანდა თავისი ნატვრის შესრულებაში, რომ საეჭვოდ აღარ მიაჩნდა: მალ-მალ გამოდიოდა სახლიდან და იყურებოდა იქითკენ, საიდანაც მიხა უნდა მოსულიყო.

მიხას წასვლის მეორე დღე ღამდებოდა. რაკი მზის ჩასვლის შემდეგ დაბნელდა სახლში, ანანომ თვი დაანება საფეიქროს; გამოვიდა დერეფანში, დაუძხა თავის სანდროს, რომელიც მეზობლის ბიჭებთან კოჭობას თამაშობდა; მიიქცია პირი მიხას გზისკენ და გულ-ხელ დაკრეფილი იყურებოდა. წამოერივა ხშირ-ბინდი. ანანო შევიდა შინ სანდროთი, აანთო ჭრაქი და ისიყო უნდა ჩამჯდომოდა საფეიქროს, რომ შემოესმა ხმაურობა: „მაამო, მაამო!“ ამ ხმაურობაზე გამოვიდა ანანო გარედ. დაინახა, რომ ურემი პირდაპირ სახლისკენ მოდიოდა. ურმის დანახვაზე ანანოს გული აუფანცქალდა შიშ-შერეულ სიხარულისაგან. იმას ის ეოცა, რომ მიხა სულადით დატვირთულ ურემზე, როგორც მას ეგონა, წინ არ მოვიდა. არც ის ეჩვენა უაშბოდ, რომ მეურმე ძრიელ ჩუმად და მოდუნებით ერეკებოდა ხარებს და რაღაცა იდუმალი ხმით დააყენა და დაუძხა თავის ამხანაგს: „აბა, მოდიო!“. თითონ კი, მეურმე ისე შეიკრა, რომ არ იცოდა რა ექნა. როცა გამოერკვია რამდენისამე წუთის შემდეგ, ჩამოხტა ურმიდან, მივიდა ანანოსთან, რომელიც დერეფანში იდგა ისე, თითქოს გაქვავებულაო, და უთხრა: „ნათლი ჯალაბო, ნათლია ავად გახდა და მოვიტანე!“. — როგორ თუ ავად გახდა! — შეჰკივლა ანანომ და ეცა ურემს, სადაც მიხა ქვეშაგებში უგონოდ მდებარე დაპხვდა. ანანოს კივილი ცასა სწვდებოდა. მის კივილზე თავი მოიყარეს მეზობლის დედა-კაცებმა და მამა-კაცებმაც, ვინც კი შეასწრო შინ. ჩამოიდეს ურმიდან ცოცხალ-მკვდარი ივაღმყოფი და შეიტანეს შინ.

მეურმემ უამბო გულ-შემოყრილ ანანოს, როგორც გახდა მიხა ავად. ანანომ მაშინვე აფრინა ერთი მეზობლის ბიჭი ექიმ დედა-კაცან, რომელიც შინაური წამლებით სწამლობდა. ნახა თუ არა ამ დედა-კაცმა შესივებული და წითლად გავარვარებული საფეთქელი მიხასი, სთქვა: მორიელის ნაკბენიაო და მაშინვე

აფრინა იგივე მეზობლის ბიჭი მეორედ თავის სახლში: „გაიძე
ჩენსა და უთხარ გოგოს, თახიში რომ პატარა ჭიჭლა დგა,
ის გამომიგზავნე-თქო.

წაუსვა ექიმმა ავადმყოფს საფეთქელზე ზეთი, რომელშიაც
მკვდარი მორიელი იდო, მორიელიც ზედ დაადო, მაგრამ გეიან-
ლა იყო. მიხამ იმ ღამესვე მიაბარა სული მას, ეისგანაც მიი-
ღო.

ბევრი ენეგრი ანანო: „სანდროს მამავ—სახელს არც ტი-
რილში ახსენებდა—ნუ გვანებებ თავს, ღვთის ანაბრობაზე
ნუ გვტოვებო“, მაგრამ მიხამ არ შეისმინა მისი ვედრება.

კალოზედვე, რამწამს უნახეს მიხას შესივებული და დაწი-
თლებული საფეთქელი, დიდით პატარამდე დაფაცურდნენ და
დაუწყეს წიმლობა, ვისაც რა გაეგონა და მოაგონდა მორიელის
და გველის ნაკბენის წინააღმდეგ—ორში ერთსა სწამობდნენ,
მაგრამ ვერაფერი უშველეს. როცა ურემზე დააწვინეს შინ
წახალებად, მაშინვე გამოურჩეველ სიცხეში იყო მიხა და ყველას
საეჭვოდ მიაჩნდა მისი მორჩენა. ამისთვის ჯილდური მისი მისამართი
მოუთმენელად ელოდნენ მეურმის დაბრუნებას. დაბრუნდა იგი
და მოუტანათ მიხას გარდაცვალების ამბავი, რაზედაც გიორგიმ
წამოიძახა: „ოოვაჲ!—და შემოჰკრა ხელი ხელს.—რა გამოუ-
ვარდა საწყალს ისე ანაზღეულად. ჩვენ მაინც არ გაგხდომოდით
საწყალს გიზეზად“, —წარმოსთქმა მეორე ძმამ. განდილოსანთ
მუხლებში წაიშინეს და იძახოდნენ: „უი, საწყალი! რა ანა-
ზდეულად გამოუვარდა ი სიკვდილი, ქა!“ პატარძლებმაც, რომელ-
ნიც მხიარულად უქცევდნენ კალოს, სიცილი შესწავიტეს და
პნანობდნენ მიხას.

მეორე დღეს გიორგიმ დაადებინა ურემზედ სულადი, რაც
მიხას ერგებოდა ნისიებში; ერთი ტომარა ფქვილი და ერთი
ცხვარი—შესაწევრად და გაგზავნა ანანოსთან. თანაც გააყოლა
თავისი ძმა სოსიკო, რომელსაც ყური უნდა ეგდო დასაფლავე-
ბის დროს.

viii

შეგირდობა

შვიდი სრული წელიწადი გაატარეს ტკბილად მიხამ და ანანომ; მერვე წლის შესრულება აღარ აცალათ წუთი სოფელშია.

მიხა არ იყო დიდი მოგების პატრონი და არც ცდილობდა ამას. იგი სცვლიდა მხოლოდ თავის და ანანოს ნაშრომ ხამებს სულადზედ: ერთი გადაჭრილი ფასი ჰქონდა, ყველამ იცოდა ეს ფასი და არც კი ევაჭრებოდნენ ხოლმე. იმისი მოგება მხოლოდ ის იყო, რომ, როცა ახალში სულადს აძლევდნენ ხამებში, კოდზედ ზოგი ლიტრას, ზოგი ორ ლიტრას და ზოგი მომეტებულსაც „სააკაშენოს“ დაუყრიდა ხოლმე. ხანდის ხან სარგებლობას იმაშიაც ჰქედავდა, რომ ხამებში აღებულ სულადს კაი ფასში ჰყიდდა; საშუალო რიცხვით კი დიდი მოგება არა ჰქონდა. მაგრამ, რაცა ჰქონდა, ტკბილად სკამდა თავის ანანოსთან ერთად და არასოდეს არ უგრძვნიათ უგემურება წუთი-სოფლისა და არც ერთმანეთისა. მხოლოდ ორჯერ კი გამწარდნენ შვილების სიკვდილით. შვიდი წლის განმავლობაში სულ სამი ვაჟი შვილი ეყოლათ. ორი მათგანი ყვავილმა იმსხვერპლა, სიყრმის შვილი კი, სანდრო ანანოს ობლად დაუტოვა მიხამ.

ანანოს შეძლებული სამშობლო ჰყეანდა, რომელიც ეხმარებოდა ქვრივ-ოხრობის დროს, მაგრამ სამშობლო ისე ვერ უგდებდა ყურს, როგორც ჯილაშვილების ოჯახი: შეშა უნდოდა, თუ დაფქული, თუ სხვა რამ, სულ ჯილაშვილები უჩიდავდნენ და ანანოს ნაქსოვ ხამებსაც ისინი თავის ოჯახში ასაღებდნენ მომეტებულ ფასად. ისე რომ, თითქმის, არც კი გაუგია ანანოს ქვრივ-ოხრობიდან წარმომდგარი ნაკლულევანება,

თუმცა თავის მიხეს ყოველ წუთს იგონებდა და საფიცრო მისი საფლავი და ტკბილი სული ჰქონდა.

სანდროს ისე ნებივრადა ზრდიდა ანანო, რომ ბევრისაგან
ესმოდა ყველება „პრუნიო“; რის პასუხადაც იძლევდთ: „მა
რა ვქნა, თქვენი ჭირიმეთ, ქა, მხე ე მაგაზე მომდის და ჩამ-
დის და ეგეც არ გავანგებივრო, მა რა შავი ქვა ვქნა!“ რვა
წლისა შესრულდა სანდრო და ჯერ კი შეგირდად არსად იყო,
თუმცა ქალაქში წესად იყო მიღებული სანდროზედ ბევრად
პატარების მიყვანა შეგირდად. როგორ უნდა გასძლოს დედის
გულმა, როცა წარმოვიდგენ, რომ ჩემ სანდროს პატარა ბე-
კებში ოსტატი ჯოხებს უტყაპუნებდესო... მაშინ მიიყვანა იგი
შეგირდად ხარაზთან, როცა თორმეტი წლისა შესრულდა. ანა-
ნო ფიქრობდა: „ხარაზის ხელობა სასარგებლო ხელობაც არის
და არც ისე გზათა უკან მოუხდება ტანტალი, როგორც სა-
წყალმა მიხამ გზათა უკან ტანტალში მიაბარა უფლს თავისი
ტკბილი სულიო“. სანდრო, რომელსაც დიდი კოკებით შეეძლო
წყლის ზიდვა ოსტატის სახლში და კიდეც ეზიდებოდა, იღებდა
კვირაში ექვს შაურს „შეგირდანას“, იმდენსავე, რამდენსაც მისი
რვა წლის ამხანაგი, რომელსაც არ შეეძლო არც წყლის ზიდვა
დიდი კოკებით, არც იმდენი სხვა საქმის გაკეთება ოსტატის
სახლში, რამდენსაც სანდრო აკეთებდა. მართალია, ეს ამხანაგი
სჯობდა სანდროს იმითი, რომ უფრო გაბედვითა და მკვირ-
ცხლად მიჰვარდებოდა ხოლმე მუშტარს, დაუწყებდა ხელზე კო-
ცნას, „შეგირდანა გვაჩუქეო“ და მუშტრის წასვლის შემდევ ღი-
მილით ჩაუდებდა ხოლმე ხელში ოსტატს, რომელიც ახ შეგ-
როვილი ფულიდან კვირის დამლევს — შაბათობით — ურიგებდა
„შეგირდებს „შეგირდანას“, ხოლო თუ მეტი რამ დარჩებოდა,
თავისთვის იდებდა ოსტატი ჯიბეში; და ვაი შეგირდების ბრა-
ლიც, თუ მოჰვდებოდა ისე, რომ „შეგირდანის“ მისაცემი ფუ-
ლი უნდა გაელო სატატს თავისი ჯიბიდან, მაშინ „შეგირდანას“
თან ჯოხები, დედ-მამის შეკურთხება მიჰვებოდა ხოლმე: იმდენი
ეერ იშოვნეთ მთელ კვირაში, რომ თქოვენს „შეგირდანას“
ჰკოფნოდაო!



სანდროს არ მოსწონდა თვისი ყოფა-ცხოვრება ოსტატთან, იმას არაფრად ექაშნიკებოდა გვერდებსა და ბეჭებში უსაბაბოდ ჯოხების ზამპი-ზუმპი. ყოველ საღამოს შესჩიოდა დედას: დღეს ოსტატმა ხუთ-ექვსჯერ გამარტყა ბეჭებში; კოკა გამიტყდა წყალზე—ცალკე ულმერობდ მცემა, ცალკე მთელი კვირის „შეგირდანა“ დამიჭირაო. ანანოს ამეების გაგონებაზე გულ-მუცელი ეხრუკებოდა, მაგრამ რას იზამდა, როცა შეგირდობის წეს-რიგი ასეთი იყო: ოსტატი კაცებიდან ესმოდა: „შეგირდი კარგ ოსტატად ჯოხს გამოჰყავო“. ანანო ყოველთვის გულს უკეთებდა, მაგრამ მაინც სანდრომ ნახევარ წლის მეტი ვერ გასძლო ოსტატთან. ერთ დილას გადაჭრით გამოუცხადა დედას: გინდ მომკლა, ყელი რომ გამომჭრა, იმას ვირჩევ და ოსტატთან კი აღარ წავალო. ანანომ სცადა ჯერ მოალერსებით დაეყოლიებინა იგი წასვლაზე; ალესით რომ ვერაფერი გააშუო, ხვეწნა დაუწყო. ამითაც რომ ვერაფერი გახდა, ახლა თავი შეაბრალა და იმასაც წარმოუდგინა თვალ წინ უნუგეშო მომავალი, თუ რაიმე ხელობას არ შეისწავლიდა. ხოლო სანდრო შედგა ცივ უარზე და ანანომაც თავი დაანება. ის საშუალება, რომელსაც გაჯავრებასა და წყვევა-კრულვას ეძახიან, და რომელსაც ზოგიერთი მშობელნი ხმარობენ თავიანთ შვილების მიმართ, ანანოს ეძნელებოდა და არც უხმარნია.

დაანება თავი სანდრომ ხარაზის ხელობას. დარჩა შინ მთელი ერთი წელიწადი. ერთი წლის შემდეგ ახლა მჭედელთან მიაბარა დედამ, მაგრამ სანდრომ ვერც მჭედელთან აიტანა შეგირდობა. რამდენისამე თვის შემდეგ გამოუტყდა ანანოს: ისევ ხარაზთან შეგირდობა მერჩივნა მჭედელთან შეგირდობასო. მთელი დღე ჩემი ფეხი არ ჩაიხრება—სულ ფეხზე ვდგევარ, საბერველს ვუძერავ და კვერსა ვცემო; თუ კოტა ხანს შევდექი როგორმე კვერის ცემაში, ან დავდექი, მაშინვე გახურებულ მარწუხს წამითაქებს ხოლმე თავშიო. გამგზავნის კიდე შინ ან წყლის მოსატანად, ან სხვა რისთვისმე, იქ ოსტატის ცოლი ლანდვითა და წყველით მიღებსო. გინდა ისევ ხარაზს მიმაბარე ან სხვა ხელობაშიო და მჭედელთან კი აღარ წავალო;

აღარც წავიდა სანდრო არც თაეის ოსტატთან და არც შემცირდეს მცენელთან.

რამდენისამე ხნის შემდეგ ანანომ დალაქის მიაბარა სანდრო. დალაქთან უფრო მომეტებულ ხანს დარჩა, მაგრამ დალაქობაც ვერ ისწავლა, რადგანაც გულიანის არ ადევნებდა თვალ-ყურს ოსტატს, როცა იგი ან თავსა ჰკრეჭავდა ვისმე, ანუ პირსა ჰპარსავდა; მაჯაში სისხლის გამოშვებისა კიდეც ეშინოდა. ამისთვის ოსტატმა გააგდო, თითონ კი, სწორე უნდა სთქვის კაცია, არ უნდოდა გასყლა.

დალაქობის შემდეგ სანდრო აღარსად მიუყვანია ანანოს. აღარც დრო იყო შეგირდობისა თვრამეტ-ცხრამეტი წლის ვაჟკაცისათვის. ანანოს გულს ეყრებოდა, რომ ასეთი უკოდინარი და ყალალანა შვილი გამოუვიდა. ეს თავისთვის იყოს. კოჭის თამაშობას მიეჩივივა და ხშირად სთხოვდა ხოლმე დედას ოფლით ნაშოვნ ფულებს, რომ კოჭის თამაშობაში დადებული ვალები გადაეხადნა. ერთხელ კიდეც მოჰპარა სამი აბაზი. ამის შემდეგ კი ისეთ ადგილის ინახავდა ანანო ფულებს, რომ სანდრომ ვერა გზით ვერ მიაგნო.

მხოლოდ ერთ საღამოს გაახარა ძრიელ სანდრომ დედა. მივიდა თუ არა ჭინ, მიჰმართა ანანოს: დედიჯან, მე და მელქაანთ აღალომ ერთმანეთს პირობა მივეცით ხუთ-ხუთი მანეთი გამოვილოთ, იმისი საწვრიმალო ვიყილოთ და სოფლებში ვატაროთ; აღდგომა მომავალია, კაი მოგებასა ვნახავთო. ვირიც თავიანთი მოჰყავ აღალოსაო.— შენ კი გენაცვალოს დედაშენი, შვილო, უთხრა ამას პასუხად ანანომ, აი მაგისთანა ამბით გამახარე ხოლმეო. ღმერთო შენ მოუმართე ხელი ჩემს დაობლებულ სანდროს,— დაუმატა ნათქემს, და გაუპყრო ზეცას ხელები.

IX

დიდი ღთხშაბათი

დიდი ღთხშაბათი ღამდებოდა. სოფელ მ—ს ეკკლესიის ზარი იწვევდა დიდ ხუთშაბათის მაზიარებელ ხალხს ეკკლესი-



აში. მღვდელი, რომელსაც ის იყო გაეთავებინა აღმსახუებისა თქმევინება, თავ შიშველა, განსპეტაკებული თეთრი თმითა და წვერით, მარტო კაბის ანაბარას, ბოლთასა სცემდა ეკკლესიის ეზოში და თანაც გადაჰყურებდა ფერდობზე შემოფენილ ჯვეულების ეკკლესიისკენ მიმავალ საზიარებელ ხალხს. წინ მიღიოდნენ მამაკაცნი მათ მოშორებით უკან — თეთრ მანდილებში გახეეული დედაკაცები. როგორც მამაკაცთ ჯვეული, იგრძოვე დედაკაცთ ჯვეულიაც ერიენენ ყმაწვილი ბიჭები და გოგოები. ორთავე ჯვეულ ხმამალალი საუბარი ჰქონდათ, ხოლო საგანი საუბრისა სხვა-და-სხვა იყო. მამაკაცნი გაჰყურებლნენ გამწეანებულ მინდვრებს და შესჩიოდნენ ერთმანეთს: დალოცვილი ღმერთი წვიმას აღარ იმეტებს ჩვენთვისაო, ჯეჯილებს ყვითელი ფერი დასცემს უწვიმობისაგანაო. ბიჭები ერთმანეთს პირობას აძლევდნენ: ლოცვის უკან დავანთოთ ჭიაკოკონა და ვიხტუნაოთო, თორემ ამოწეა დაგვეკვებება მკათათვეში და მკაში დაგვიშლისო.

მანდილოსანთ იმაზე ჰქონდათ ბაასი, თუ რა მიზეზით მოსცდა ზიარებას „ტასია“. ზოგი ამობდა სიზმარი უნახავსო; ზოგი — ერთი წყვილი, შაბათ-კვირისა, სეფისკვრის მეტი არა ჰქონდა აღებული და იმაზე დაიშალა ზიარებაო. „ჰო და, ქა, ჩემი ბალიკო არ ეზიარება ხოლმე, თუ ორი წყვილი სეფისკვერი მაინც არ აიღო და იმოდენა დედაკაცს უნდა მიეღო წმინდა საიდუმლო ერთი წყვილი სეფისკვრით!“ — წარმოსთვა ერთმა მანდილოსანთაგანმა. ვინ იცის კიდევ რას არ ასახელებდნენ ამ გარემოების მიზეზად. გოგოები ერთმანეთს შეკკვეხოდნენ „მე დედა-ჩემმა ისეთი საყურეები მიყიდა სააღდგომოდ, რომ ბატონიანთ ქალებსაც არ ექნებათ ისეთი“ — ამობდა ერთი. „მე კიდე ისეთი ბეჭდები მიყიდა დედა-ჩემმა, რომ თითქო ნატვრის თვლები უსხედსო“ — უპასუხებდა მეორე. ყველა თავისას კვეხულობდა და აქებდა. „თქვე საწყლებო, თქვენა, თქვენთვის ძვირად მოუყიდნიათ; ეხლა გააითეს და კარგი საწვრიმალოც გამოაჩინეს. ეხლა ჩვენსა არიან მეწვრიმლები. დედა-ჩემმა მითხრა, ისეთ საყურეებსა და ბეჭდებს გიყიდიო, რომ მთელ

სოფელში არავისა ჰქონდესო“ — იკვეხოდა კიდევ სხვა, თუმცა
კი გულ-ნატყენობა ეტყობოდა, რომ ჯერ-ჯერობით არაფერი
ჰქონდა ნაყიდო.

ზარის რეკა ჯერ არ შეწყვეტილიყო, როცა უოველ ვენახში, თავსა, ბოლოს და შუა წელში, აქიაყელავდა ზეცისკენ თეთრად და სწორედ ბოლი, რომელიც, რაც უფრო მაღლდებოდა ტრიალით, განივრდებოდა, მერე ქუჩდებოდა ერთ ადგილს, სქელდებოდა და ეძლევოდა შავი ღრუბლის ფერი. შემდეგ ბოლის დასაწყისში უცბად იელვებდა ხოლმე ცეცხლის ალი და გაძლიერდებოდა, „ჭიაკოკოლა“.

სოფლის წერილ-ფეხობა, რომელთაც ვერ შეეძლოთ და-
სწრობოდნენ ვენახებზე და ზრიამულით უცქეროდნენ გაძლიე-
რებულ „კიაკოკოლებს“, გულის ფანცქალით მოელოდნენ
მზის ჩასელას, რომ სახლების ეზოებზე იენთოთ და თუ თვი-
თონ ვერ იხტუნავებდნენ გაძლიერებულ ალზედ, დიდრონები-
სათვის მაინც ეცქირათ და გარშემო ერბინათ.

როცა სოფლის წვრილ-ფეხობა ასე გულის ფანცქალით
მოელოდა მზის ჩასვლას, ორი მეწვრილმანე, რომელთაც ჩა-
მოეხადნათ საწვრილმანო ერთი სახლის დერეფანზი, და რო-
მელთაც შემოჰვევოდა ბლობა მუშტარი, გულისავე ფანცქა-
ლით შეჰყურებდნენ — უფრო ერთი მათვანი — ჩამავალ მზეს,
რომელსაც შეჰყედროდა იგივე ერთი: „შე დალოცვილო მზევ,
რა მიგარბენინებს ეგრე ჩქარა, ცოტა მომიცადე, რომ ღეთი-
სავან დალოცვილ მუშტრებზედ კავასალო მჟელი საწვრილმა-
ნო; აი, გავათავე, იაფად საწვრილმანო!“ ყვიროდა იგი და
თანაც უჩეენებდა მუშტარ დედაკაცებს ხრიკებს, ლილებს, ნემ-
სებს, საყურეებს, ბეჭდებს, ლილას, საპონს, მძივებს, ინას, გუნ-
დას, სხვა კი ორაფერი ჰქონდათ ამაზედ მეტი. მუშტარი კი
იმოდენა ჰყვანდა, რომ არ იცოდა, საით მიეხედნა, როცა ეძა-
ხოდნენ: აბა ერთი ესა და ეს გვაჩვენეო. მეორე ამხანაგი გა-
ჩუმებული იდგა მუშტრების წრეში; ერთ ხელში კვერცხებით
სავსე კალათა ეჭირა, მეორე ხელი ვირის კისერზედ ჰქონდა

გადადებული; სრულებით ლაპარაკში არ ერეოდა და უფრო მებარეულესა ჰგვანდა, ვიდრე ამხანაგს.

მეწვრილმნის თხოვნა მაინც არ შეისმინა შზემ; ჩაესვენა თავის სავარძელში, წამოერივა ხშირბინდი და გაძლიერდა ჭია-კოკოლები სახლების ეზოებშიც. დაიწყეს ხტომი აღზედ, ვი-საც შეეძლო. მათში მეწვრილმნებიც გაერივნენ, რაღანაც საწვრილმანო ააღავეს და ღამის გასათვევადაც იქვე დარჩნენ, სადაც საწვრილმანო ჰქონდათ გაშლილი.

როცა ჩაქრა ჭია-კოკოლები, ასტყდა ტაშტების ქლარუნი და სახლების შემოფარგლა, რომ კუდიანები ვეღარ მიჰკარებოდნენ: ფეხზედ ბაწარმობმულ ბიჭს ეჭირა ხელში ტაშტი, რომელსაც ჯოხს ურახუნებდა. ბაწარი ეჭირა ხელში გოგოს, რომელიც ბიჭის კვალს ნაკარს აყრიდა და ასე უვლიდნენ სახ-ლებს გარშემო.

* * *

მოკლე გინაობა

აღალოს წინაპარნი დიდი ხნის გადმოსულები იყვნენ ყა-რაბილიდან ქ. სანინლანში. აღალოს მამას მელიქ მანუქოვს ქალაქის ერთ მიყრუებულ უბანში ჰქონდა პატარა მიწური სახლი, ორი ნაბიჯი ეზოთი. სხვა არაფერი ვაჩნდა თავის ბედობაზედ და ვერც ცოლშვილის რჩენას შესძლებდა, თუ თეისი მოქმედება და მხნეობა ქალაქში დაეტრიიალებინა და ოსტატური ლონისძიების ხმარებით სოფელში არ გადაეტანა იგი მოქმედება.

გამონახა მელიქ მანუქოვმა ისეთი კეთილის-მყოფელი, რო-მელმაც ასესხა ხუთმეტიოდე მანეთი და აი ამ თანხით დაიწყო ვაჭრობა სოფლად. ვაჭრობის საშუალებით ცხოვრობდა და აც-ხოვრებდა ცოლ-შვილსაც, არა ნაკლებ სხვა თავის განის კა-ცებზე. მხოლოდ ვერც ერთ სოფელში ვერ მოიკიდა მუდმი-

զո ծինա. Ես պարզութեալ թյուղ օրա, որու-սամո թլուս Շեմքը կը շտառու ավելութեալ գույքնեա յրտ Սովորութիւն դա ցածաձյուննա մը-ուրբեա ոմ ցոյշիու, հոմ մըուրե Սովորութիւն պարա յարց մոցյեան նախացա. ահւ յրտ Սովորութիւն կը օրա Տրուզեթիւն ուսց, հոմ թասվութիւն Շեմքը նույզեա առ գայնահիւն յենա.

აღალო შეიდი წლისა იყო, როცა პირველად წაიყვანა
მამამ სოფელში—დუქანში თვალის დასაჭრად, როდესაც იგი
საქმის გამო თავს ანებებდა დუქანს; მაგრამ აღალო ისე მალე
მიშვედა მამის ვაჭრობის წესსა, რომ სრულიად შეუცდენელად
ვაჭრობდა უმიმისოდ. არც კი ისეთი რთული და გაძლიერებუ-
ლი ვაჭრობა ჰქონდა მელიქას, რომ მის შეიღს გასკირებოდა
შეგნება ვაჭრობის შინაარსისა. სულ ათი-თხუთმეტი თუმნით
ატრიალებდა მთელ თავის ვაჭრობას. ეს ფული საკმარისი იყო,
რომ ყოველ ნაირი შეშუდი, რასაც კი სოფელში კითხულიობ-
დნენ, ჰქონდა ულეველად.

მელიქ მანუქოვი რომ გარდაცვალა, აღალო თურმეტი
წლისა დარჩა. ხოლო დახელოვნებული კი იყო ვაჭრობაში
და უშიშრად შეეძლო გაეგრძელებინა მამისავან დაწყებული
საქმე, მაგრამ დედამ არ ურჩია და შვილმაც აალაგა დუქანი.
რაც რამ დარჩა დუქანში მელიქას სიკვდილის შემდეგ, ზოგი
მაშინვე ფულად აქცივა მისმა ქვრივმა მარმარამ, ზოგი შეინა-
ხა—მაგალითად—საწვრიმალო და, შეუსრულა თუ არა წეს-
რიგი თავის მიცვალებულს, მიიამხანავა ერთი თავისავით ქვრი-
ვი დედაკაცი, ამოიდო იღლიაში პატარა ყუთი საწვრიმალოთი
და გაუდგა, თვისი ამხანაგით, სოფლებს, სადაც მისი
ქმარი ვაჭრობდა. მარმარა თან საწვრიმალოთი ვაჭრობდა,
თანაც თავის ქმრის ნისიებსა ჰკრეფავდა. ქვრივ-ოხრის ცოდო
და დაბრიყვება არავინ ინდომა. ვისაც რა ემართა, ზოგი იძ-
ლევდა, თუ შეეძლო, ზოგიც თამასუქს უწერდა. ძველი ქმრის
დროს დაწერილი თამასუქებიც გაახლებინა და ის პატარა
ყუთი, რომლითაც საწვრიმალო წაიღო სოფლებში, გააცსო
თამასუქებით.

აღალო მარმარამ ბაყალთან მიიყვანა. ბაყალმა იგი შალე ჩაყენა დახლში, მაგრამ ორი წლის შემდეგ რაღაცა ყალბობა და დალატი შეამჩნივა და დაითხოვა. ამ გარემოებამ ისე გაუფუჭა სახელი, რომ შემდეგში აღარავინ მიიკარა ახლო. უსაქმობის გამო აღალომ ყომრის თამაშობას მიჰყო ხელი და ძრიელაც მოსდიოდა კოჭი. ამ თამაშობაში გაიცნო სანდრო, რომელთანაც ხშირად თამაშობდა და ყოველთვისაც უგებდა ფულს. სანდრომა და აღალომ, როგორც მეგობრებმა და კოჭის თამაშობაში ამსონებმა, შეადგინეს ამხანაგობა და გადასწყვიტეს ატარონ სოფელ-სოფელ საწვრიმალო და ივაჭრონ. ამისთანა გარდაწყვეტილებით ძრიელ გაახარეს თავიანთი ქვრივ-ოხერი დედები.

xi

მშრალზე დარჩომალი ამხანაგი

დიდ ოთხშაბათს სწორედ ათი დღე შესრულდა მას შემდეგ, რაც აღალო და სანდრო შინიდან გავიდნენ სავაჭროდ. დიდი ალიაქოთი შეუდგათ დედებს შეილებს შინიდან გასტუმრების წინად. შეიყარნენ ორივენი ერთად ანანოს სახლში; გაფაციცებით ჰშველოდნენ შეილების საწვრილმანოს ჩალაგებას და თანაც ევედრებოდნენ ღმერთს: „ღმერთო, შენ გადასწერე პირჯვარი, ღმერთო, შენ მიეცი მშვიდობის მგზავრობას და მოგება“, „ღმერთო, ორი ობოლი მიეკედლა ერთმანეთს და შენ მოუმართე ხელი“... და სხვა ამ გვარებს შესთხოვდნენ ღმერთს. უფრო ხშირად ანანო ულოცავდა გზას და ევედრებოდა ღმერთს მათ მშვიდობით და ჩქარა დაბრუნებას, რაღანაც სანდროს შინიდან ქალაქ გარედ გასვლა პირველი შემთხვევა იყო. აღალოს დედა კი მაგრე რიგად არა სწუხდა შვილის მოშორებას; იგი დიდიხნის შეჩერული იყო ამას. იმაშიაც დარწმუნებული იყო, რომ აღალო კუუას არ წაგებდა, როგორც მეწვრილმანობაში კარგა-ხნის გაწვრთნილი.

ყველაფერი ვერ გაასაღეს მეწვრიმლებმა, დარჩათ კიდევ გასასყიდი ცოტ-ცოტა ყოველნაირი შეშუდისა. ამასაც მეორე დღეს გაასაღებდნენ, რომ დარჩომილიყვნენ სოფელში. რადგანაც აღდგომა ახლოვდებოდა და ამასთანავე სომხების ნავაკატიკი მოდიოდა დიდ შაბათს, აღალომ იღარ მოიცადა და დილა აღრიანდ დიდ ხუთშაბათს გაუდგნენ გზას; სანდროსაც ეს უნდოდა: იმას მოეწყინა მეწვრიმლობა და სულითა და გულით მიუხაროდა 'შინისკენ'.

გაიარეს მეწვრიმლებმა კარგა გზა. ერთ ადგილის მოეწონათ მშვენიერად მობიბინებული მწვანე ბალახი. ჩამოხადეს ვირს საპალნე. თითონ ისაუზმეს, ვირი ბალახზე მიაგდეს.

— აბა, აღალოჯან, ერთი ეიანგარიშოთ, რა გვაქვს მოგება,— უთხრა საუზმის შემდეგ სანდრომ.

ფულები, რასაც ვაჭრობდნენ, სულ აღალოსა ჰქონდა შენახული. იმოილო უბის ჯიბიდან ქილალდისა და თეთრი ფული, შავი ფული კი ხელსახოცში გამოკრული ჯიბეში ედო, და დაუწყო თვლა. დათვალა თექვსმეტი მანეთი და ცხრა შაურს კაპეკი ნაკლები. დათვალეს კვერცხებიც. თუ გაპყიდლნენ, სამ მანათს კვერცხები ამოიღებდა. სამი აბაზისაც გამომცვარი პური ჰქონდათ. გაუყიდელი საწერიმალოს ფასიც გამოიანგარიშეს იმის კვალობაზე, როგორც ჰყიდლნენ და ისიც გამოვიდა ოთხი მანეთისა. რასაც სქამდნენ ათი დღის განმავლობაში, ის სხვა იყო. ანგარიშის შემდეგ ამხანაგებმა უთხრეს ერთმანეთს სიამოვნებით. „ბიჭო, კაი მოგება ვნახეთო“ და აქავ გადასწყვიტეს დანარჩენი საწვრიმალოსათვის მიემატებინათ კიდევ და აღდგომის შემდეგ წასულიყვნენ დღეობაში სავაჭროდ.

გამომცვარი პურისა და კვერცხების გაყოფა გადადეს შინ მისვლამდის, ფულის გაყოფა კი ეხლავე მოინდომა სანდრომ—ცარიელი ჯიბით ხომ ვერ მივალ შინ, რას მეტყვის დედა-ჩემი, — უთხრა აღალოს, როცა ამან ურჩია ფულიც შინ გაეყოთ. იღეს ჯერ ხუთ-ხუთი მანეთი თავნი. როცა მიდგა ჯერი სარ-



გებლის გაყოფაზე, აღალომ სთქვა: წესი და რიგია, რამდენიმდე
საც წილი მივცეთო; აბა რამდენი მივცეთ ვირსაო?

— რას ამობ, კაცო, ვირს რა უნდა მივცეთ! — წამოიძახა
სანდრომ მრისხანედ, — შინ რომ დაგეგდო ვირი, საჭმელი არ
მოუნდებოდა? რამდენი აბაზის თივა და ქერი დასჭირდებოდა?
თუ არა და რატომ მაშინვე არ მითხარ; რა დიღი საპალნე
მაგას ეკიდა, ზურგით კი ვერ ვატარებდით, რა!

— ვა, თავის საჭმლის ფასს შეშა-ფიჩს მაინც აღარ მო-
იტანდა, შინ რომ დამეგდო? ვინ რას იტყოდა, ზურგით რომ
საწვრიმალო დაგვეტარებინა! თუ არა და მთელ წილს ხომ არა
ვთხოულობ, ჩემთ ძმაო, დღეში ორი შაური მივცეთ.

— რის ორი შაური! — შეჰყვირა სანდრომ, — თუ გინდა აი
ორი აბაზი და რვა გროში რო არი ბუჩული, ის აიღე; თუ
არა, და მეტს არ მოგცემ!

— არა-და მივიდეთ შინ! ერთ ღვთის კაცსა ვკითხოთ
და როგორც იმან გადასჭრას, ისე მოვიქცეთ. რამდენსაც არ-
გუნებს, ის მივცეთ. დანარჩენი მოგებაც შინ გავიყოთ თანას-
წორად.

სანდრო უარზე შედგა. უნდოდა უთუოდ შინ მოგებული
ფულით მისულიყოდა, მეტი გზა არა ჰქონდა, დასთანხმდა
ვირისათვისაც მიეცათ დღეში ორი შაური. მოგებული ნალდი
ფულიდან ერთი მანეთი ვირის წილად აიღო აღალომ. დარჩა
ხუთი მანეთი და 44 კაპეიკი, რომელიც შუაზე გაიყვეს.

— მოდი კოჭი გავაგოროთ, მინამ ვირი დაისვენებს, —
უთხრა აღალომ, რაზედაც სიამოვნებით დაჰყვა სანდრო.

დაიწყეს ყომარი. ჯერ სანდრო იგებდა; მერე კი გაუ-
ბრუნდა კოჭი და აღალოს მოსდიოდა თამაშობა. სანდრომ
წააგო შვილი მანათი. როცა შემდეგ ამას მოერგო ჯერი და
ყარა კოჭი, ერთი კოჭი ისე დაჯდა, რომ არც აღწეუ იყო,
არც თაფი. სანდრო ამტკიცებდა, აღწევაო, რადგანაც ამით
მოიგებდა; აღალო ამტკიცებდა თაფიაო. აიღო ამ უკანასკნელ-
მა კოჭი, დაარტყა საბასო კოჭს ისე, რომ თაფად გადმო-
ტრიალდა. სანდრომ შარი მოუდო, შენ ისე არ დაარტყი კოჭი,

როგორც უნდოდათ. შეჰყვნენ ამაზე. აღალომ გულმოსულზე
უთხრა: „ეი, ქართველო, ქვეას მოდი-და!“ სანდროს მაშინვე
აემლვრა გული, როცა აღალომ ვირის წილად ერთი მანეთი
გადადო; ფულის წაგებამ გულის ამლვრევა მოუმატა და როცა
ეს სიტყვებიც მიემატა ყოველ ამას, ვეღარ შეიმაგრა თავი,
ეცა ვეფხვივით აღალოს, ამოიდო ქვეშ და წაუშინა თავში,
პირში და ჩაშიაკ მოჰედა.

აღალო დიდ ხანს გონს ვერ მოეციდა, რა ჰედებოდა იმის
თავის. როცა იგრძნო ცემა-ტყეპა და დაითავხელა, დასწვდა
სანდროს მკლავში და ისეთი ყვირილი დაუშეუბინა, რომ იმის
ხმა ცასა სწვდებოდა; სანამ ყელში არ წაუჭირა ხელი, აღალომ
არ მოაშორა კბილები მის მკლავს. სანდრომ გაანება თავი
აღალოს, იტაცა მეორე ხელი ნაკბენ აღვილს და გამწვავე-
ბულმა დაიწყო ხტუნვა და ხლაკვნა ტანისა. აღალო კი წა-
მოხტა, გადგა განზე და დაუშინა ქვა. სანდროს აინონშიაც
არ მოსდიოდა ქვის სროლა; იმას ისევ ნაკბენზე ედო ხელი,
ტრიალებდა ხლაკვნით ერთ აღვილს და ყვიროდა „ვაიმე დე-
დავო“. ხოლო როცა მოჰქვდა ქვა ორჯერ—ერთი ბეჭებში,
მეორე თავში და მესამეც ჩაეცა კვერცხებით სავსე კალათაში,
მაშინ კი გამოუდგა იღალოს, რომელიც ხან გარბოდა, ხან
უბრუნდებოდა და ქვას ესვროდა, დაიჭირა, ამოიდო ისევ ქვეშ
და წაუშინა შეუბრალებლად მუშტები. ეხლა ვეღარ მოახერხა
აღალომ კბენა, მხოლოდ პირი-სახესა ჰლადრიდა და თანაც
ყვიროდა: „მიშველეთ, მკლავსო.“ ვინ იცის, როგორი ბოლო
ექნებოდა ამ ჩხებს, რომ, აღალოს ბედზე, არ გამოევლო ერთ
მგზავრს, რომელმაც გააშველა და მოაშველა ერთშანერთში
მოაჩეუბარნი.

ჯერ კოჭის თამაშობაში და მერე ჩხუბში, ისე გაეპარათ
სანდროსა და ოლალოს დღე, რომ როტა მგზავრმა გააშველათ
და შეჰქედეს მზეს, ჩასავლელზე იყო; გზა კი დიდი ჰქონდათ
გასავლელი.

კარგა ლამე იყო გასული, როცა მივიღნენ შინ. სანდრომ კვერცხები მიიტანა შინ, რადგანაც კალათას ეს ატარებდა,



აღალომ კი დანარჩენი საწვრილმანო და პურები—ყველა ესენი ვირს ეკიდა.

როცა ანანომ ჭრაქის შუქზე დაუნახა სანდროს სისხლიანი და დაკაწრული პირი-სახე, გულის კანკალითა ჰყითხა: „რა მოგივიდა, შეიღო, სისხლიანი თავ-პირი რადა გაქვს?“ სან-დრომ დაწვრილებით უამბო თავ-გადასავალი. ანანო ისმენდა და ხამუშ-ხამუშ იშენდა მუხლებში.

მეორე დილით, წითელ პარასკევს, აღალოს დედას დევჭი-
რა ხელში ნახევარი გამომცხვარი პურებისა, მოვიდა ანანოსთან
და მიესალმა: „დილა კარგა ყოფნისაო“ ამის პასუხად შუბლ-
შეკრულმა ანანომ ცერად შექხედა. მარმარამ ამას ყურადღება
არ მიაქცია და უთხრა: „აი, ანაიავ, სანდროს წილი პურები
მოგიტანე, კვერცხებიც გავიყოთ.

— რის კვერცხები უნდა გაჰყოო? — შეუტია ანანომ — იმო-
დენა ფულზედ ხელი დაბანინა შენმა შვილმა; დანარჩენი სა-
წვრილმანო იქა გაქვს და კვერცხებსაც მოსტირი, შე უნამუ-
სოց!

— როგორ თუ კვერცხებს მოვტირი! არ მოვტირი კი,
ჩემი შვილის ოფლსა ვთხოულობ.

— იმოდენა ფულიდან რომ დააცარიელა, ის კი არა-
ფერ!

— დააცარიელა-რა, მეტი აიღო წილში, თუ წაართვა! ან
კიდე იჩუქა? კოჭში მოუგო ალალად და გამოართვა, მა რად
შეაწევდა. საწერილმანოს კიდე შერე გაუყოფს და სხვა რაღა
გინდა?

— ისე ალალმა ღმერთმა იმას უშველოს, როგორც იმან
ალალმად მოუწოდ!

— დედაკაცო, რამ გაგაგირა და გაგაცოფა? ლმერთ ქვეშ
რად მიღდებ შეიის, რა დაუშაგიბია!

— დედას რომ მოუკვდეს და თვალები დაუდგეს შენ მზე
დასაბნელებელ იღალოს! პირში ჩალა გამოავლო ჩემ სანდროს,
იმ პირ გასაშევებელმა, და რა დაუშევებია!

— დედასაც შენი შვილი მოუკვდეს და თვალებიც ასრულდა დაუდგეს და შენც, თუ კარგია. რას ემართლები შე ასეთ ისე-თო! მე უნდა ვჩიოდე, რომ ბიჭი ცემით მოუკლავ და დიდი გულით ისევ შენა ხარ, შე გაგლეჯილო! რად ეთამაშა? შენი შვილი რომ უხეირო და ბედოვლათი იყოს, ჩემი აღალოსი რა ბრალია, შე შვილმცვდარო და გულმცვდარო.

შეჰვენენ ამაზედ და კარგად გამოლაფეს ერთმანერთი. მაინც არ დაანება კვერცხები. ხოლო ამის სამაგიეროდ საწვ-რილმანოდან კუთხითილი წილი დაპირულეს სანდროს.

ამის შემდეგ ანანო დაუსრულებელ ფიქრსა და საგონებელში ჩავარდა სანდროს მომავალზედ. მით უფრო ემძიმებოდა იმედის გაცრუება სანდროს უნარზედ, რომ თითქმის ამავე დროს მოეშალა ის ერთად-ერთი იმედიც, რომლითაც ინუგე-შებდა თავს, თუ, ვინიცობა იყო, სანდროს არ ექნებოდა ცხოვრების უნარი. დაირღვა ჯილდურილების ოჯახი, რომელიც სამშობლო სახლზედ უკეთესად ჰშველოდა და ეხმარებოდა ანანოს.

3—95

(ଡକ୍ଟର ପାତ୍ରମାଳା)

卷
七

უიმედობავ, რა გინდა,
რა დაგრჩენია ჩემთანა,
რად არ შეორდები, რად დაშედევ
ეველგან ერევლოვის შენც თანა?
ნე თუ გგონია, რა ერთხელ
წემ გულში დაისადგურებ,
სულითა დამცემ, სიკედილსა
მინატრებ, მაკენეს-მატრიცებ;
ცას შემაზიზდებ, ქვეყანას
დამაწევლ-დამაგმობინებ
რაც მიუვარს, რასაც რომ გეტრფი,
მაზედ ხელს ამაღებინებ?
არა, გერ დამძღვე, იცოდე,
გერ დამცემ, გერა სულითა!
გავითრკეცებ იმედს და
გასალ-კლდევდები გულითა!
შენ შიგ მოგომწევდევ, ჩაგიგლავ
მე კი ვიმდერებ მარადა
მტრის გულის დასაღონებლად
და მოევრის გასახარადა.

3. សំណើអាជីវកម្ម



გარიგალდიელები

ისტორიული რომანი

გიტორია თეტოდინისა

XII

შ ს რ ც ი ს

დემოდონოლის სიახლოვეს სიმპლონის დიდი გზა დევერის ნაპირის დაქანებულ ფერდობზედ გველივით მიიკლაკნება და შემდეგ გამოდის ფართო მინდორზედ, რომელიც ვიწრო და გძელი გზის შემდეგ თვალს მეტად დიდად ეჩვენება. ერთ გან-
ცალკევებულ მაღლობზედ გრაფების *** ძველებური ციხე-
დარბაზი იდგა და შეიძლება ეხლაც იდგეს. ეს ოდესაც სა-
შინელი შტაცებელთა ბუდე, რომელთა შიშითაც გარშემო
მცხოვრებნი თრთოდნენ, დღეს მშვიდობიანი კაცის, პაულიჩი
გრაფენიგოს ბინად ვადაჭცეულა. ეს კაცი ერთ დროს გრაფის
ქალის *** უფროსი ძმის მზარეულთ უხუცესი იყო. ამ გრაფის
ქალს თავის ერთად-ერთი შვილის ერნესტოს, დაბადების შემ-
დეგ, ბევრი ხანი აღარ უცოცხლია. ერნესტო თორმეტის წლის
იყო, როდესაც მამა მოუკვდა და ამგვარად სრულიად ობოლი
დარჩა. ამ ბაგშვს, რომელსაც დაბადებიდანვე ასეთი უბედურე-
ბა დაჰყეა, ბედი არ ულიმოდა. მამის სიკვდილმა ყმაწვილის
გრძნობიარე გულზე დიდი გავლენა იქონია; ის ამის შემდეგ
თავის სიცოცხლეში ჯავრისა და მწუხარების მეტს არას მოე-

*) იხ. „მოაშებ“ № III.

ლოდა. მისმა გამზრდელმა, პაულუში გრადენიგომ, ყმაწვილიშეც ზრუნვა დაიწყო, მაგრამ ის მისთანა კაცი არ იყო, რომ ყმაწვილის მუდამ ჩაფიქრებული და მოღვრემილი სახე რითიმე გაემხარულებია. მას მთელი თავისი სიცოცხლე ქალაქის დაწესებულებაში სქელ და მტკრიან დაკორებშია გაეტარებია და ისე ეშინოდა ხალხის, როგორც სინათლისა მუდოს, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს სიბნელეში მიწის ჩუჩქნას ანდობებს. მას ლაპარაკი არ უყვარდა და ამიტომ გაკვეთილების შემდეგ დანარჩენ დროს ერნესტო მედურ და დაღვრემილ ბუნებაში ატარებდა, რომელიც მის სახლ-კარს გარს ერტყა. ამგვარად ერნესტო ობლად, მაგრამ რიგიანად, როგორც მისი ტყის ნორჩი ხეები, იზრდებოდა.

როდესაც ის თექვსმეტი წლის გახდა, მოხუცმა გრადენიგომ პარაკლისი გადიხეადა და სწავლის დასამთავრებლად მილანის უნივერსიტეტში გაგზავნა. აქედან ერნესტოს ცხოვრებაში სხვა ხანა იწყება. ერთბაშად სოფლიდან ის იტალიის გონებრივი ცხოვრებით სავსე საბუდარს მოხვდა. მისი ყმაწვილური, უმანკო და უხლებელი გული ახალ შთაბეჭდილებებისათვის გაიხსნა, როგორც ნორჩი ყვავილის კუკური გაზაფხულის განმაცხოველებელი სიონს ზედ-გავლენით იშლება. სასწავლებელში და სახლში მარტოობაში გატარებული დღეების შემდეგ ეხლა ერნესტოს რაღაც დიადი, წარმტაცი და ძლევა-მოსილი სწყუროდა. ამ დროს კი ნორჩი წარმოადგენას მართლაც რომ ბევრი რამ ჰქონდა აღსაგზნები და კეთილშობილ გულს ბევრი რამ ასაძერებელი: იტალია იღვიძებდა და ფერს იცვლიდა. სულ ახალი ჩასული იყო საფლავში იმ პოეტების შთამომაცელიაბა, რომელთაც ხალხს მამულისადმი სიყვარული სარწმუნოებასავით მძლავრ გრძნობად ჩაუსახეს და შთაუნერგეს გულში. კურცის მწვავი სატირები, რომლებითაც იგი სიმდაბლეს, მუხანაობას და ვერაგობას ამხილებდა და ჰკიცხავდა, ხელის-ხელ საგოგმანებ მარგალიტებად გამხდარიყვნები; ახალთაობა მას ხარბად ეწაფებოდა, კითხულობდა, იზეპირებდა და გადაწერით ავრცელებდა. ლეოპარდის ნაეღლერის მძლავრი ხმები ჯერ კიდევ ჰაერში

გრიალებდნენ. მწერალთა მთელი გუნდი მშენიერის წარმტკიცადა იღმაფრთოვანებელის ენით მამულის წინანდელ დიდებას და სახელს ასურათებდა; დღეს მას მტარვალთა ქვეშ სული ხდებოდა. იტალიის დამამშვენებელ და სასიქაღულო მილანში მტარვალთა მხერული საქმეების შესახებ ჯერ კიდევ ბევრი მოთხოვბები გაისმოდა.

ერნესტო გახდა ნამდეილი შვილობილი „ნორჩი იტალიისა“, რომელიც მთელ კუნძულს მოჰყენოდა და სულითა და გულით ელოდა სამშობლოს განთავისუფლებას გარეულ მტარვალებისაგან და შინაურ მტრებისაგან, რომლებიც პირველზედ უარესი იყვნენ.

პირველი წელიწადი თავისუფლებაში ერნესტომ ისე გაატარა, როგორც ციებიანმა. ღამ-ღამე ის ავსტრიის მოვდლების და ბურბონების წინააღმდეგ მიმართულ ფარულ ფურცლებს და წიგნაკებს კითხულობდა; საღამოობით თავის თანამოაზრების კრებებზედ დადიოდა, დღე უსმენდა პროფესიონებს, რომლებიც თავის ლექციებში, ცოტა თავდაჭერილად, მაგრამ უფრო ჩამაგონებელი სახით, იმავე აზრებს და გრძნობებს ატარებდნენ, რაც ავსტრიის მთავრობისაგან აკრძალულ მწერლობაში იყო გატარებული. ერნესტო სრულიად ბედნიერი იყო. ის ფიცულობდა, მთელი თავისი ძალლონე, გრძნობები და მოფიქრებანი სამშობლოს განთავისუფლებისათვის მოენდომებია და ასე ეგონა, რომ მამულის სიყვარული ქვეყანაზედ ყოველის ფრის მაგიერობას გაუწევდა. მისი მოღვრებილი მოწყენილობა, რომლის მიზეზი იყო ჯერ მამის ამბები დედის სიკედილის შესახებ, მერე განცალკევებული ცხოვრება, ნათელმა, იმდინ მოცულმა მომავალმა შესცვალა. ის თავის თავს ეხლა ჭირვარამის ლუკმად აღარა სთვლიდა, მაგრამ ერთმა გარემოებამ მალე დაანახვა, რომ შავბედითი იღბალი, რომელიც მას დაბადებიდან სდევნიდა, ჯერეც არ ჩამოსცილებოდა. პროფესიონებში ყველაზედ სახელ-განთქმული იტალიის მწერლობის პროფესიონი, მოხუცი, კლავის რომანი იყო. ის იყო სეტემბრინის ამხანაგი და მეგობარი და იმასავით კითხულობდა თავის ლექ-



ციებსაც; ის ცდილობდა თავის ლექციებში, მსმენელთაზე კუთხის
იტალიის ხალხის წარსული გონგბრივი სიმღილე სიღიადე და
ლირსება მოეგონებია და ამით მომავლის იმედი ჩაენცრგა; ამ
გვარად ის ახალგაზდა მსმენელებს გულში მუშაობის სურვილს
უორკეცებდა და ამ მუშაობას უნდა შეემუსრა ის დაბრკოლე-
ბა, რომელიც მამულს, ფრთის გაშლას და აყვავებას უშლიდა;
რაღა თქმა უნდა, ახალთაობა დიდის ყურადღებით ისმენდა
ამ ლექციებს, რომლებშიაც მამულის სიყვარულისა და თა-
ვისუფლების აგზნებული ქადაგება გულ-დასმით გასჭვირდა
და ეს ქადაგება კი ოსტატურად იყო ისტორიული ამბების
მოთხრობაში ჩახლართულ-გატარებული. ერთხელ კლავდიო
რომანო პეტრარკის დროზე და იტალიის ქალაქების რესპუბ-
ლიკების დამოუკიდებლობის უკანასკნელ დღეებზე ლაპარა-
კობდა; ის მოუთხრობდა, თუ როგორ ცდილობდნენ ზოგიერ-
თა მამულის შვილები კინ კლაობით დაყოფილი რესპუბლიკების
შეერთებას, ეს ცდა ამათ იყო და ადგილის სიმღიდრით, სიმშეე-
ნიერით და ნაყოფერობით მოხიბლული და მისი დაპყრობის
სიადგილით დაიმედებული ჩრდილოეთის ბარბაროსები ყოვე-
ლის მხრით მას მოაწყდნენ და უმწეო სხეულს ნაწილ-ნაწილ
სწიწკნიდნენ და ჰელეჯდნენ. ამ დროს მელა-რექტორი ბერის
შეატანისამოსში უკანა კარებში გაძერა, მიიმალა ბნელ კუ-
თხეში და პროფესორის ყოველ სიტყვას ყურს უგდებდა.

გატაცებულმა მოხუცმა ვერ შეამჩნია ვერც ბერის ანაფორა, ვერც რაღაც ჩინჩოლი თავის მსმენელების უკანა რიგებში. ის განაგრძობდა, თუ მტარვალთა ხელში მათი სამშობლო როგორ გაოხსრდა და თავსედი ბარბაროსები როგორ არღვევდნენ პირად უფლებებს. მის აღწერაში ყველა ნათლად ჰქედავდა თანამედროვე იტალიის სურათს, რომელიც სწორედ ამ გვარ მდგომარეობაში იყო. საზოგადო სიჩუმეში მან დააბოლოვა თავისი ლექცია აღტაცებით, რომელიც პოეტმა სასოწარკვეთილების დროს წარმოსთქვა:

ნეტავ არ იყო შენ ასე ტურთა,
არამედ უფრო მხნე და ძლიერი

დარბაზში, თითქოს რომანოს სიტყვების ბანად, რაც დაუდინა
სამე ასის კაცის გულიდან ერთბაშად აღმონახეთქი ოხვრა გა-
ისმა, მაგრამ ამას საიდანღაც თან მოჰყვა დამცინავი ხმა:

— ძალიან კარგი, ბატონო პროფესიონო! მის უმაღლე-
სობას, ჩვენს ყოვლად მოწყალე ჰერცოგს, დღესვე მოხსენდება,
თუ როგორ მამულის-შვილურ და მართლ-ქვეშევრდომულ
გრძნობებს უდვიძებთ თქვენ ახალთაობას.— იმედიც მაქვს, რომ
ის თქვენს სულის კეთებას უსაჩუქროდ არ დასტოვებს.

რექტორის ხმა ყველამ იცნო და ყველას თავზარი დაეცა:
‘მავი ყვავის შავბედით ჩხავილში შორს-გაგზაენა, ან მრავალი
წელი კურთხულების ან მარბურგის საპყრობილები ჩაგდება
ისმოდა. ავსტრიის მთავრობის მტარვალობა თავის აღსასრუ-
ლის მოახლოვებას გრძნობდა და ამისათვის ეხლა მეტად ეჭვიანი
და შეუბრალებელი იყო. ერთი საათის შემდეგ ერნესტოს
ოთახში თავი მოიყარეს მისმა ამხანაგებმა, რომლებიც ფარულ
საზოგადოებებში იღებდნენ მონაწილეობას; ამ გვარ საზო-
გადოებებით იმ დროს მთელი იტალია სავსე იყო.

მათ უნდოდათ, მოხუცი პროფესიონო როგორმე გადაერ-
ჩინათ იმ უბედურებისაგან, რომელიც მას თავს უნდა დასტე-
ხოდა. ყველამ ერთხმად მისი გაქცევა გარდასწყვიტა. კარ-
გად იცოდნენ რექტორის მოხუცისადმი სიძულვილი; რაღა
თქმა უნდა, ის რომანოს პირიდან ყოველ გაუფრთხილებლად
წამომცდარ სიტყვას გააზვიადებდა, მოხუცს იგი მმართველობის
მუხანათობის და კანონის წინააღმდეგობას დასწამებდა და ამას
ხელმწიფის საწინააღმდეგო ქადაგებად ჩამოართმევდა. მაშასადამე,
მოხუცს ერთად-ერთი გზა-ღა დარჩენოდა—თავის კანონიერი
ხელმწიფის „უუბედნიერესი“ აღაგების რაც შეიძლება ჩქარა
დატოვება.

ეხლაც ის უნდა მოესაზრებინათ, თუ როგორ შეესრუ-
ლებიან ეს კეთილი განზრახვა. სამზღვრები მყაცრად იყო და-
ცული და მათი გადასვლა ძალიან საფრთხილო იყო, თუ იდა-
მიანს კანონიერი ნება-როვა არა ჰქონდა.

მაგრამ ეხლა ერნესტოს სამშობლო ციხე-დარბაზში ყარიბმა ცხოვრებამ დიდი სარგებლობა მოუტანა: ახლო-მახლო ქალაქებში სიარულის დროს მან თავის ხელის თითებსავით იცოდა მთის ყველა ბილიკები და შეეძლო თავისუფალ შვეიცარიის საზღვრებამდის იმისთანა ადგილებით გადასვლა, სადაც ქურციკა მეტი არავინ იქნებოდა; ამ წინადაღებით ის ნახევარ საათის შემდეგ კლავდიო რომანოსთან მოვიდა. მოხუცი თავის საშიშ მდგომარეობას კარგად გრძნობდა და ამიტომ ყმაწვილი კაცების რჩევა მიიღო. იმავე საღამოს ერნესტოს უბრალო ტანისამოსში აღვირით ვირი ეჭირა და მოხუცს ქალაქს გარეთ ელოდა. დანიშნულ დროს რომანო მართლა მოვიდა, მაგრამ მარტო კი არა — მასთან ერთი ვიღაც ყმაწვილი ქალი მოდიოდა. ეს მისი ქალიშვილი, მარცია, იყო. მან გადასწყვიტა, მამას გაჰყოლოდა; მოხუცი მამაც დათანხმდა, რადგანაც კარგად იცოდა, რომ მისი გადამალვის შემდეგ ავსტრიის ნაგაზები სრულიად უდანაშაულო ქალს ციხეში ჩააგდებდნენ, რომ, თუ მამის შესახებ არა, მისი მეგობრების შესახებ მაინც ეთქმევინებინათ რამე. თუმცა ამ გვარი საქციელი მეტად საძალელი და საზიზლარია, მაგრამ ავსტრიის პოლიციის მატიანეში ამისთანა მაგალითი ბევრია.

დიდი ბაასის დრო აღარ იყო. რამდენისამე სიტყვის შემდეგ ისინი კომოსკენ გაემგზავრნენ და მეორე დღეს იქ იყვნენ.

ერნესტო აცილებდა პროფესორს, რომელსაც პოლიციის შეტებრები დაეძებდნენ. ამიტომ მთელი მისი გონება მხოლოდ ამ საგანს დაეჰყრა; მაგრამ მარტო ამის ჯავრი რომ არ ჰქონდა, მაშინ ის უთუოდ შეამჩნევდა ახალგაზდა თანამოგზაური ქალის სიმშვენიერეს, მის მშენები ხუჭუჭუ თმას, რომელსაც ქარი ლამაზად უშლიდა, მის ნარნარ და კეკლუც აგებულებას, გონიერ შუბლს გძელი შავი წარმატებით და მშვენიერი წარბებით გაჩრდილულ შავ თვალებს, რომლებშიაც სიმამაცე და ქალებისათვის არა ჩვეულებრივი სიღინჯე გამოსვირდა; მაგრამ ერნესტო ამას ჯერ ვერაფერს ვერ ხედავდა; მხოლოდ მეორე დღეს შეამჩნია ქალის მომხიბლავი სილამაზე

და გაიგონა მისი კეკლუცი ხმა, როდესაც ისინი მაღალ მხხ-
ტე-ლეონეს ბილიქს შეუდგნენ; ამ მთის იქით აესტრიის, უა-
დარმებისათვის სიმპლონის მიუვალი მწვერვალნი იწყებოდა.
ყმაწვილი კაცის გულში რაღაც გრძნობა შთაისახა, მაგრამ
გალუება კი ვერ მოასწრო: მივიღნენ თუ არა შეეიცარიის პირ-
ველ ქალაქში, ერნესტო თავის მგზავრებს უნდა გამოსთხოვე-
ბოდა და მილანს დაბრუნებულიყო, რომ მისი წასვლა არ შეემ-
ჩნიათ და ეჭვი არ აეღოთ. ერნესტო მეტეორე დღეს უკან მო-
ბრუნდა; ქალაქ გარედ თავის ამხანაგის ცამეტი წლის და და-
უხვდა და ხელის ჩამორთმევის დროს საიდუმლო ანბანით ნა-
წერი წერილი მისცა, ერნესტო ამ გვარ ნაწერს შეჩვეული
იყო და ამიტომ, გახსნა თუ არა ბარათი, მაშინათვე ამოიკითხა:
„თავს უშველე! მიკიტანმა გაგცა. გეძებენ!

„როსსო“.

ერნესტომ არხეინად წუმწუმა აანთო, მოუკიდა წერილს
ცეკხლი და დაადო ჩიბუხს, შემდეგ გასწია უკან და სამი დღის
შემდეგ სახლვარ გარეთ რომანოსა და მის ქალს შეხვდა ლო-
ზანს, სადაც იმ დროს რამდენიმე გარდახვეწილი იტალიელი
ცხოვრობდა.

სამშობლოს მოშორებით გარდახვეწილნი ყოველთვის
უფრო მაღა უახლოვდებიან ხოლმე ერთმანერთს.

ერთი კეირის განმავლობაში ახალგაზდა გრაფს ერნესტოს***
გაგიუებით შეუყვარდა მარცია რომანო. მისი გრძნობა იმდენად
მძლავრი იყო, რომ ყმაწვილი ქალის გამოუდელმა თვალმაც
კი შეამჩნია; მაგრამ ყმაწვილი ქალი ამას სრულიადაც არ გაუ-
ხარებია, მათმა გარდაუწყვეტელმა და გამოურკვეველმა მდგო-
მარეობამ ქალს გააბედვინა, ერნესტოს მოლაპარაკებოდა.

— ერნესტო,—უთხრა მარციამ მას ერთხელ, — ვიცი, რომ
გიყვარებართ, მაგრამ ვთხოვთ, ეს სიყვარული დაიციწყოთ.

ერნესტოს მკვდრის ფერი დაედო.

— მარცია, — ჩუმად წარმოსთქვა მან, — ეგ შეუძლებელია!
ეს თქვენც კარგად იცით; მაშ რაღად მთხოვთ იმას, რაც ჩემ
ხელთ არ არის?



— მაპატიეთ, მაპატიეთ, ერნესტო,—წამოიძახა ქალმა,—
რომ მე თქვენს გულში ამ გრძნობას ფეხი მოვამავრებინე;—
მაგრამ მე მეგონა, თუ მთელი თქვენი არსება მამულის გან-
თავისუფლებას ჰქონდა შთანთქმული და ჩემისთანა გომბიოს
სასიყვარულოდ არ გეცალათ. ნუ თუ ვცდები?

— მარცია, ზიზღის ღირსი ვარ, მე თვითონ მეზიზღება
ჩემი თავი!—წარმოისთქვა ყმაწვილმა კაცმა გულაჩუყებით.

— სრულიადაც არა!—წამოიძახა ქალმა.—მე თქვენ კარგად
გიცნობთ, წუთიერი სისუსტე გაივლის და თქვენ ისევ თავის-
უფლების მძლავრი, წმინდა და შეუბლალავი მებრძოლი იქნებით,
მაშინ საბრალო მარციას ნუ მოერიდებით და გაუწოდეთ მას
ხელი, როგორც მეგობარს და ამხანაგს.

— მარცია, სწორედ გმირი ხირთ. მე თქვენთან შედარებით
უბრალო ქმნილება ვარ და ნუ თუ თქვენ მე უნდა მოხოვდეთ
მეგობრობას?

— არა, მე სრულიად უბრალო ქალი ვარ, მაგრამ ფიცი
დავდე, სხვა ქალებისავით სისუსტე არ დაეითყო! ყური მიგდეთ,
ერნესტო! მე შეგატყობინებთ ცოტა რამეს ჩემის წარსულის
ცხოვრებიდან და ის დაგარწმუნებთ, რომ მე მალაპარაკებს
მტკიცე გარდაშევეტილება, რომლის გამოცვლაც არაფერს არ
შეუძლიან.

— ერნესტო!—განაგრძო მარციამ და მოჰკიდა მას ხელი:—
ვიცი, რომ ეხლა გემძიმებათ, მაგრამ, როდესაც პირეელი გატა-
ცება გაივლის, მაშინ თქვენ თითონ დაუმადლებთ იღბალს
იმისათვის, რაც ეხლა თქვენ გტანჯაეთ. მე არ ძალმიძს, თქვენ
მეგობრობა გაგიწიოთ; თუ უამისობა არ შეგიძლიანთ, სხვა
ეძიეთ; თუ შეგიძლიან, მისი ერთგული იყავით, რაც გიყვარ-
დათ ყველაზე უურო ჩემთან შეხვედრამდის. იყავით ერთგული
ჩენენი ბედშეაი მამულის, რომელიც დღეს დამდაბლებულია,
დატანჯული და წამებულია და თქვენისთანა შვილებისაგან
შველას ელის. მე კი თქვენი ცხოვრების გაბედნიერება არ
შემიძლიან, რადგანაც პატარაობიდანვე ოჯახური კავშირი

შემძლდა. მე აღმზარდა მამა-ჩემა. თქვენ მას კარგად იცნობთ. როცა პატარა ვიყავი, ის დამიჯენდა მუხლებზე და ჰეითხულობდა ჩენი მამულის დიდებული წარსულის თავ-გარდასავალს. მე მას ვაღმერთებდი; ის მე მიმაჩნდა იდეალურ ქმნილებად, რომელიც ყველა დანარჩენი ადამიანებისაგან მიუწდომელ სიმაღლეზე იდგა. მე მამაჩემით თავი მომწონდა და ბედნიერი ვიყავი, რადგანაც ვხედავდი, რომ სხვა მამები თავის ქალებს დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ. მაგრამ მე, ცოტა არ იყოს, ვცდებოდი: მამაჩემი ბუნებით მქადაგებელია. მისთვის საჭიროა მსმენლები და ჩემის აზრით ისე ჩემზემ სრულიადაც არა ჰეთიქირობდა, როდესაც თავის ფიქრებს ჩეწინ ივარჯიშებდა. რა საჭირო იყო პატარა ბაეშვისთვის ყველა ამის ცოდნა? ამ გვარი აზრი მას თავში სრულიადაც არ დაჰპატებია, თორემ ხელ საქმეს მომიჯენდა: მას ისეთივე შეხედულება ჰქონდა ქალებზე, როგორიც დანარჩენ მამებს; ამაში მე გვიან დავრწმუნდი, როდესაც გავიზარდე. ჩემი დედა მეტად გულ-კეთილი, მაგრამ უბრალო და გაუნათლებელი ქალი იყო, როგორც ყველა დედაკაცები. ის არაფერს არ კითხულობდა და წერა არც კი იცოდა. მამაჩემს ის ისე უყურებდა, როგორც რაღაც მაღალ არსებას, რომლის სამსახურიც თავის მოვალეობად მიაჩნდა. მე ვუყვარდი, მაგრამ როგორდაც ვევუცხოვებოდი, თითქო ჩემი სწავლის შინებოდეს, მთელ თავის სიცოცხლეს ის საოჯახო საქმეებს ანდომებდა, გარეთ არაოდეს არ გამოდიოდა, მხოლოდ კვირა-უქმე დღეს ახალ ტანისამოსს ჩაიცვამდა და წირვაზე წავიდოდა.

ერთხელ დედაჩემს რამდენიმე დღე კარში დარჩენა შეემთხვა: ამბავი მოუვიდა, შენი ძმა ხმალში გამოიწვიეს და სასიკვდილოდ დასჭრესო, და მაშინათვე სამშაბოლში გაეშურა.

დავრჩით მე და მამაჩემი; ჩენ მოსამსახურე არა გვყავდა. წარმოიდგინეთ, რა გავირვება მომადგა. ჩემი მდგომარეობა სასაცილო იყო, მაგრამ მე კი ბევრი ცრემლები ვლვარე. როდესაც მეორე დღეს მამა სადილობისას დაბრუნდა, გემრიელი წენის მაგიერად, რომელსაც დედა-ჩემი მშვენივრად ამზადებდა,



მე რაღაც ნაჩეცხი მიეუტანე. ხორცი ნახევარი სულ ადამიწებულება
რი იყო, რადგანაც სირცხვილით მეზობლებს ვერ დაეუძახე და
ყოველივე მე გავაკეთე.

მაშა არ გაჯავრებულა, მაგრამ გაშტერდა კი. არაფერი
არ გცოდნია?! მკითხა მან განცვიფრებით: როგორი მეულლე
უნდა იყო, როდესაც არაფრის გაკეთება არ იცი?

ამ უბრალო შემთხვევამ და სიტყვებმა ერთიანად გამომ-
ცვალეს. მე ნათლად წარმომიდგა ჩემი მომავალის საშინელი
სურათი: გაოხოვება და შეძლევ—სამზარეულო სახლი, აკვანი
და ისევ სამზარეულო სახლი! აი წინ რა მომელის. ოხ, მამა-
ჩემო, ცუდი საქმე მიქენი, რომ გულში ისეთი აზრები და
გრძნობები ჩამინერვე, რომლებიც ტანჯვის მეტს არაფერს არ
მომიტანენ! მონას რომ თავისუფლების აჩრდილი დაანახოთ,
მონობა მისთვის ათის ზომით უარესი ასატანი გახდება! მთე-
ლი დამე ვერ დაეიძინე; ჩემ თავში სხვა-და-სხვა ფიქრები ირე-
ოდნენ! სახლიდან გაქცევა დავაპირე, მაგრამ სად? რისთვის?
არაფერი არ ვიცოდი. ვგრძნობდი, რომ ამ გვარი სიცოცხლის
ატანა არ შემეძლო და ბორკილი უნდა შემომეგლიჯა. მე ქა-
ლი ვარ, ვფიქრობდი ჩემ გულში, და კაცების აზრით ში-
ნაურ საქმისათვის ვართ მხოლოდ გაჩენილი, რომ მამა კა-
ცებს შეეძლოთ თავის გონების განვითარება, პოეზიისა და ხე-
ლოვნების შექმნა და ხალხთა ბედ-ილბლის წამართვა. მაგრამ
მე ტყუილად ხომ არ მიმილია მამაკაცის განათლება: მე მინდა
მთელ ქვეყანას დავუმტკიცო, რომ ქალებსაც შეუძლიათ, გააკე-
თონ ის, რასაც მამა-კაცები აკეთებენ. მე არ ვიცი, მომავალში
რა მომელის, მაგრამ უმაღლ ხანჯალს დავიცემ გულში და მამა-
კაცის მონა-მოსასახურე კი არ გაეხდები! ჩენ ისეთივე ადა-
მიანები ვართ, როგორც თქვენ; თქვენ, თქვენ, გადაგვაციეთ
იმათ, რაც დღეს ვართ. თქვენი ბრალია ყოველივე. ოხ, რო-
გორა მძულხართ ყველა!“

მარცია თავდავიწყებას მიეცა. ეტყობოდა არ ახსოედა, ვინ
იდგა მის წინ, ან რისთვის ლაპარაკობდა. მისი თვალები ცეცხლს
აფრქვევდნენ, მისი ხმა ჩაქუჩის ცემასავით რიხიანად გაისმოდა.

ერნესტო მიხვდა, რომ მისთვის ყოველივე იმედი დალუპული იყო, ჩამოართვა ქალს ხელი, უკანასკნელად მიტანა ის ტუჩებთან, უსიტყვოდ ადგა და მალე კლდის გვერდს ამოეფარა. ამის შემდეგ ისინი აღარ შეყრილან.

ერნესტო შეთქმულობის საქმეებმა გაიტაცეს. დაუღალავი მაძინის ყველა საქმეებში მონაწილეობას იღებდა და ეგონა, რომ საოცარი ქალის სახე მისი გულიდან მთლად აღმოიფხერებოდა; მაგრამ მოუღლოდნელმა შეხვედრამ კალატაფანთან, როგორც დავინახეთ, დაუმტკიცა, რომ ის სცდებოდა.

xiii

გამგზავნება

ეხლა სიცილიას დაებრუნდეთ. როდესაც ერნესტო ახალგაზდა ქალს გამოემშვიდობა, თავის კარავში მოვიდა და ფიქრი დაიწყო. ყმაწევილი ქალის სახე მას გულიდან აღარ შორცებოდა.

დიალ, ქალმა თავისი ფიცი აასრულა; მან დაამტკიცა, რისი ჩადენაც შეუძლია ქალს. ერნესტო კი? რა საცოდავი იყო მასთან შედარებით. როდესლაც მარციამ უთხრა, მძულხარო, ეხლა ხომ სრული უფლება აქვს, რომ მას ზიზლითაც უყუროს.

წარმოდგენა სიყვარელი ქალის მომხიბლავ სურათს უხატავდა. ის ჰედავდა ამ მშვენიერ დიდ თვალებს, რომლებიც ასე მკაცრად და დინჯად გამოიყურებოდნენ.

„ღმერთო ჩემო, რა ბედნიერი უნდა იყოს ის, ვისაც ეს თვალები სიყვარულით შეაცქერდებიან!“

მას სწყურდა ეს სიყვარული, როგორც მინდორში მწევი მზის ქვეშ მომაკვდავს წყლის ყლაპი სწყურია. ერთი წუთის სიყვარულისათვის ის სიცოცხლეს მისცემდა.

ერნესტო დიდ ხანს იყო ჩაფიქრებული და ვერც კი შეამჩნია კარავის კარის გალება და მაღალი კაცის შემოსვლა. ეს იყო ორსინი, რომელიც ერნესტოს კარგი მეგობარი იყო. ორსინის ერნესტო ძალიან უყვარდა, იქნება იმიტომ, რომ მასში ის თავის სიყმაწვილის სურათს ჰქონდავდა. მან იცოდა ერნესტოს მარციასადმი სიყვარული და ეხლა მასთან მოვიდა, რომ, თუ, ვინიცობაა, საჭირო იქნებოდა, თავისი რჩევა და დახმარება არ მოეკლო.

— ერნესტო! — შესძახა ორსინიმ და ბეჭებზე ხელები დაადო.

ერნესტო შეხტა, შეხედა და დამშვიდებით უთხრა:

— შენ ხარ, ორსინი! მე ვიცოდი, რომ მოხვიდოდი, და გელოდი.

— გმადლობ. ნახე ის? — ჰქითხა ორსინიმ ცოტაოდენი სიჩუმის შემდეგ.

ერნესტომ თავი გააქნია სასოწარკვეთილების სახით; მისი მეგობარი ყოველისფერს მიხედა. ეხლა მისთვის ყოველი ნუგები უქმი კი არა, სათაკილოც იქნებოდა.

— ყური მიგდე, — უთხრა ბოლოს ორსინიმ და ხელში ხელი მოჰკიდა. — ერთი საქმე უნდა გირჩიო. პალერმოდან მოსული წერილებიდან ჩანს, რომ ზოგიერთა მამულისშვილები რაღაცა თავგამომეტებულ საქმეს ეპირებიან ბურბონების მმართველობის საწინააღმდევობით. ჩემის აზრით, რავდენიმე გარიბალდიელის იქ ყოფნა პალერმოელებს ძალიან გაამხნევებდა. თუ შენი სურვილიც იქნება, მე გარიბალდის იქ შენ თავს გავაგზავნინებ რამდენიმე ამხანაგით, გინდა?!

— რასაკეირველია, მინდა! — წამოიძახა მოცოცხლებულმა ერნესტომ. ჩემთვის საჭიროა ეხლა საფრთხეები, რომ გული ცოტათი შაინც გადავაყოლო. მე ძალიან მადლობელი ეიქნები, თუ მაგ საქმეს ხვალვე მომიხერხებთ.

— ძალიან კარგი. გარიბალდი უთუოდ დათანხმდება. პალერმოელები თუმცა არავის მიელიან, მაგრამ ძალიან გაუხარ-

დებათ; მე მოკარლოსთან და როზალინოსთან წერილს გაგა-
ტან; თუ არაფერი დაემართათ იმათ, შენ ქალაქში შეხვდები.

— როზალინოს ვიცნობ, შარშან ნეაპოლში ვნახე.

— ეგ უკეთესი. უფრო ადვილად მოილაპარაკებთ. ეხლა
კი ჩემთან წამოდი მოწინავე რიგის დასათვალიერებლად.

ისინი გარედ გაეიღონ ენ. მშვენიერმა და ლიმის საამო ნიაგ-
შა დაპირუა.

მოკაშვაშე ვარსკვლავები მაღლიდან გადმოიყურებოდნენ.
გარშემო ყოველივე ძილს მოეცა; მხოლოდ ხანდახან ღამის
სიჩუმეში დარაჯების ხმაურობა გაისმოდა. ერნესტო თავის კა-
რავში დამშვიდებული დაბრუნდა. სასოწარკვეთილება მოწყე-
ნილობად შეეცვალა.

მეორე დღეს, საღამოს, გარიბალდის ბანაკიდან სამა კაცი გამოვიდა. ერთს ეცვა მღებრის ტანისამოსი, ორსაც კირით გათხუპნილი ტანისამოსი, ზურგზედ სამუშაო იარალი ეკიდათ და ქვის მთლელები უნდა ყოფილიყვნენ.

პირველი იყო რობერტო, დანარჩენი ორი—ვალენტინი
და ერნესტო. მათ მოწმობებში ეწერა, ვითომ ისინი ჯირჯენ-
ტის მოქალაქები იყვნენ და სახლის შესაკეთებლად პალერ-
მოს ერთ ვაჭრისაგან იყვნენ დაბარებულნი. დასამტკიცებლად
თვით ამ ვაჭრის წერილიც კი ჰქონდათ.

ერნესტოსთან წასვლის სურვილი რობერტომ სიხარულით
განაცხადა: ახალგაზდა გრძელობიერ მხატვარს ხიფათით, საფრ-
ხეთი და გაჭირვებით სავსე მომავალი შეტად იზიდავდა, მით
უფრო, რომ შემდევ ამის შესახებ თავის დალიას მისწერდა.

ის სრულიად ბედნიერი იყო; უშიშრად და უზრუნველად
მიღიოდა ხიფათების დასახვედრად, მათ შესახებ სრულიადაც
არ პფიქტობდა და მის ყურადღებას ამ დროს უფრო ბუნების
სიმშენიერე იზიდავდა. მის სახეზე აღშეკოთების ან ჩაფიქრე-
ბის უბრალო ნიშანსაც კი ძალიან გამჭრიახი პოლიციის მო-
ხელის თვალიც კი ვერ შეამჩნევდა. ან კი რა ააშეკოთებდა:
ახალგაზდა მსახიობს სრულიად დაავიწყდა, რომ მტრის მიწა-



ზედ იყო და მისი სიცოცხლე ყოველ წამს ბეწვებედ ეკიდა-
ვალენტინო კარგ ამხანაგებთან ერთად თუნდა ჯოჯოხევში
წასვლასაც არ დაიზარებდა; ამიტომ ის ძალიან მხიარული იყო;
როგოროს ყოველ მასხარაობაზედ ხმა-მალლა ხითხითებდა.

ერნესტო კა არ იცინოდა და თითქმის სრულიად არა
ამზობდა, მაგრამ, რადგანაც ის, რაც უნდაიყოს, თავის პატარა
რაზმის უფროსი იყო, თავის და უნებურად ყოველ თავის მო-
ვალეობას ასრულებდა; ის ყოველისფერს იგებდა, პასუხს
იძლეოდა და პოლიციელებს კიდევც ატუჯებდა; აქა-იქ თუ სად-
მე ცალკე სიტყვას ყურს მოჰკრავდა, ამითი ის იქაურობის
სულის კვეთებას იგებდა.

მართლა რომ დედა-მიწა მათ ფეხ-ქვეშ იწოდა, ყოველგან
მხოლოდ გარიბიღლდიზე და მის თანამოაზრებზე ლაპარაკობდნენ.
ხალხის მითქმა-მოთქმამ ისინი რაღაც დევებად გადაჭირა,
რომლებსაც ზღვაზე გადაბიჯება და კლდეების თავის ადგი-
ლებიდან დაძრა შეეძლოთ.

ხალხი ლაპარაკობდა, გარიბძალდის ტყვია არ უდევბა და
მის ხმალს ისეთი ლაპლაპი გააქვს, რომ ყველა ბურბონები
თავზეარ დაცუმული გარჩიანო. ყმაწევილი კაცები ჭველგან
თავის ძეველი დაჭანებულ თოფებს და ხმლებს ჰყერავდნენ
და მთებში მიდიოდნენ; იქ ადგენდნენ პატარ-პატარა რაზმებს;
აშეკარა იყო, რომ მთელი ხალხი აჯანყებული იყო. „ერთი
თვის შემდეგ ნეაპოლში ვიქნებით“—ჰყიქრობდა თავის გუნება
ში ერნესტო.

მეორე დღეს საღამოზე ჩვენი მგზავრები თერმინში მიიღი-
დნენ, იქ შუადღემდინ დაისვენეს, რომ პალერმოში დაღამე-
ბულს შესულიყვნენ. ერნესტო თავის მოგზაურობის დროს
აქ რავდენჯერმე იყო და ბურბონის პოლიციის ზოგ-ზოგი
მომხრეები მას კარგად იცნობდნენ. ამიტომ მას უნდოდა ღამით
ესარგებლნა და ქალაქში შეუმჩნევლად შესულიყო. ღამე იყო,
როდესაც მათ მაღლობიდან ქალაქი დაინახეს; მოუჩქარეს და
თხუთმეტ წამში ქალაქს მიატანეს; ისინი არა ჩვეულებრივმა

გარდაბალდებული

მოძრაობამ გაანცვითრა. ქუჩები სავსე იყო პოლიციის შომწეულებით, რომლებიც, როგორც ეტუობოდათ, რაღაცას თვალყურს ადევნებდნენ. ერნესტომ და მისმა ამხანაგებმა ამ გარემოებას ყურადღება არ მიაქციეს; ეს ომიანობის დროის სიფრთხილედ ჩასთვალეს; ისინი წინ მიდიადნენ; ერნესტომ შეამჩნია, რომ მათ შორიდან ვიღაც უფალთვალებდა. მიეიდნენ თუ არა პირეელ სასტუმროსთან, კარებს დაურახუნეს და ღამის გასათვეო ოთახი ითხოვეს. სასტუმროს პატრონმა ისინი თავიდან ფეხამდის იჭვნეულად აათვალიერ-ჩათვალიერა, შემდევ ბნელ სასადილო ოთახში წაიყვანა. ჯერ ერთი ჩარექი ღვინისა და ერთი პურის მოტანა ვერც კი მოასწრო, რომ კარებზე საშინელი რაცუნი მოისმა. ყველას ფერი ეცვალა.

— მეფის სახელით გიბრძანებთ, კარი გააღეთ! — დაიღრიალა ვიღაცმ.

გავყითლებული სასტუმროს პატრონი კარებს მივარდა. ერთ წამში შიგ პოლიციის ბოჭაულის უფროსობით მთელი ჯარი შემოვარდა და გარიბალდიელებს გარს შემოერტყა. რობერტომ, ის იყო, დანას სტაცა ხელი, მაგრამ ერნესტომ ანიშნა და გააჩერა.

— ეინ ხართ? საიდან და რისთვის მოსულხართ? — ჰკიოთხა ბოჭაულმა.

— ჩვენ, ბატონო, ღარიბი მუშები გახლავართ, — უპასუხა ერნესტომ, — მე და ის (ამ სტყვებზე ვალენტონზე მიუთითა) ქვის მთლელები ვართ — ეს კი მღებარია.

— საიდან ხართ?

— ჯირჯენტიდან გახლავართ; ერთ პალერმოელთან სამუშაოდ გიახელით?

— საბუთები მიჩვენეთ!

სამივემ საბუთების ამოსალებად ჯიბეს ხელი გაისვეს. ბოჭაულმა საბუთები ძალიან გულმოლებინეთ დათვალიერა, მაგრამ საეჭვო ვერა ნახა-რა.

— ასე გვიან მოსელა როგორ გაბედეთ? განა არ იცოდით, რომ მისმა ოღმატებულებამ ცხრა საათის შემდევ ქალაქში შემოსვლა სასტიკად აკრძალა?



— დამნაშავე გახლავართ, ბატონო! — წამოიძახა ერნესტო
და მუჯლუგუნი ჰერა ამხანაგებს, რომ იმათაც ეთქვათ. — ჩეენ
არა ვიციდით-რა, უცაბედად გზაზე შეგვიგვიანდა!

საბუთები ისე ნამდეილი იყვნენ და მათი ხმა ისე სარ-
წმუნო, რომ ბოქაული მოლბა, საშივეს თვალი გადაავლო,
შემდეგ მიუბრუნდა სასტუმროს პატრონს და უბრძანა:

— ამათ თვალი ადევნე და არსად გაუშვა; ხვალ კიდევ
მივალ. — ამ სიტყვებით მან საბუთები დაუბრუნა პატრონებს
და თვითონ თვის მხლებლებით კარებისკენ გასწია.

ჩეენ მგზაერებს თითქოს მთა მოსკილებოდეთ ბეჭებიდან;
ასე ეგონით, თავს ვუშველეთო. კარებთან ბოქაული მოტრიალ-
და და თითქოს სინდისის დასამშვიდებლად ჰყითხა:

— თქვენა თქვით, პალერმოს სამუშაოდ მოვედითო?

— დიალ, ბატონო, — მიუგო ერნესტო. — ჯირჯენტში
სამუშაო ძნელი საშოვარია. წინეთ პალერმში ვმუშაობდი
და ეხლა ჩემმა ძეველმა აღამ მეორედ დამიბარა.

— რა ჰქიან შენ აღას?

— ფლორიდო მეტეუზი, ბატო...

მას გათავება აღარ აცალეს; ეპრენ და, სანამდის გონის
მოვიდოდა, ძირს წააქციეს. გასაოცარი შემთხვევა იყო: ფლო-
რიდო მეტეუზი სწორედ ის ვაჟარი იყო, რომელზედაც თავის
ყალბ საბეზღარ მოხსენებაში მერლინომ უჩვენა; ეს იყო ყვე-
ლაზე ჩუმი, პატიოსანი და ნეაპოლის მთავრობის ნამდვილი
ერთგული ქვეშევრდომი, რომელსაც თავის-თავის მეტი ჯაერი
და საზრუნვავი არა ჰქინდა-რა. მასზე შეთქმულობაში ეჭვის
აღება სწორედ რომ სასაკილო იყო. მერლინომ იკოდა, რომ
მეორე დღეს თვით მანისკალკო მიხედებოდა თავის სისულელეს;
ორსინიმ კი არა იცოდა-რა და თავის მეგობრების ცრუ-აღად
ფლორიდო მეტეუზი ამოირჩია, რადგანაც დარწმუნებული
იყო, რომ მას ვერასოდეს ვერაერინ რასმე დასწამებდა. ეხლა
კი ამგვარი მოულოდნელი შემთხვევის გამო ერნესტო და მისი
ამხანაგები დიდ ხიფათში გაებნენ.

მაშინათევ სამივე დაჩხრიკეს და ერნესტოს ტანისამოსში
მოკარდოსა და როზალინოს სახელზე წერილები იპოვნეს.
მათ გასამტყუნებლად ქსეც საკმარისი იყო. ბოჭაულმა სამივე
შეაკვრევინა და ეს ამბავი მყისევე მანისკალკოსა და სალცანოს
შეატყობინა; თითონ კი ტყვევების საღარაჯოდ დარჩა, რადგა-
ნაც მათი სხეისათვის ჩაბარება ვერ გაბედა.

სალკანომ და მანისკალკომ მაშინათვე მოირჩინეს, რაღ-
განაც ახლოს იყვნენ. მანისკალკომ ერნესტო ერთის შეხედვითვე
იცნო.

— გრაფო ***! — წამოიძახა მან: — თქვენ აქა ხართ?

— დიღ, აქა ვარ! — მიუგო ერნესტომ, რადგანაც იცოდა,
რომ ეხლა თავის მალევა ალარის გამოადგებოდა.

— თქვენი ჯარი სად არის? შეუძლებელია, რომ თქვენ
მარტო იყოთ.

— ჩემი ჯარი! — სიცილით წარმოსთქვა ერნესტომ: — ახლო
არის, უფრო ახლო, ვიდრე თქვენა გგონიათ, და მეხიცით თავს
დაგეცემით.

— როგორ, რას ამბობ? — წამოილულლუღა პოლიციის უფროსია.

— ეხლავი ალიაქოთს ავტუნა! — წამოიძახა სალი კანობ.

— ასტერ, ასტერ, სანამდის თქვენ თითონ თავს გა-
რიბალდი არ დაგრუყომიათ.

— გარიბალდი! — ერთბაშად წამოიძიხეს მანისკალკომ და სალცანომ: — თითონ გარიბალდი პალერმოსთან ყოფილა! აკი ყველაფერი მართლდება... ღმერთო მაღალო! გენერალო, ეხ-ლავე ჯარის სადგომში გასწიეთ; მე კი მმართველს შევატყობინებ. ოქვენ, — მიუბრუნდა ის ბოჭაულს, — ტყვეები საპურობი-ლეში წაიყვანეთ.

ორივე ამის შემდეგ თთახიდან გავიდნენ.

ტყვეები წაიყვანეს და სპერმობილეში შერეცეს.

xix

საზედოები და გ

სამივე ერთ პატარა ოთახში შერეკეს. პირველად ვერა-
ფერს ვერ ჰქონდნენ, რადგანაც დარაბები სიფრთხილისათვის
დახურული იყო, თუმცა სარკმელები სხეილი რკინებით იყო
დასალტული.

ერნესტომ ასანთს გაპერა და თავის ახალი საღვომი დაათვა-
ლიერა. ერთ კუთხეში სკამ-ლოგინები იდგნენ, მეორე კუთხე-
ში მაღალი და მყრალი სათილი. იატაკი ქვისა იყო. მოულოდ-
ნელის სინათლით დამფრთხალი ჭიები კედლებზე მარდად მი-
ცოცავდნენ.

— აი, ოთახის ქირა მაინც აღარ გაგვივა: დამეს მუქთად
გავათვეთ. — სიცილითა სთქვა რობერტომ და თავისი ბოლჩა
ლოგინზე დააგდო.

— არაფერია, ამაზე უარესიც გამოგვიცდია. — წარმოსთქვა
ერნესტომ ოთახის დათვალიერების შემდეგ.

ისინი ლოგინზე მოთავსდნენ; ზოგი დაჯდა, ზოგი დაწვა.
და ერთი საათის შემდეგ საამური ხვრინეა იმოუშვეს.

დილაზე აღრე გამოიღვიძეს, მზის შუქი ჭუჭრუტანებში
გამოციმებდა და გასვრილ იატაკს ისე მხიარულად დასთა-
მაშებდა, როგორც პატარა ბალები გუბის ნაპირს.

პირველი გამოღვიძება საპყრობილები საზარელია. თავის-
უფლების შთაბეჭდილება ჯერ იმდენად ახალი და ცხოველია,
რომ საპყრობილება დანახვა ადამიანს თავზე დაკრულ კეტსა-
ვით არეტიანებს.

სამივე რაღაც გულშემაღლონებელ გრძნობაში იყვნენ.

— აღმად გამოსაკითხავად მაღე წაგვიყვანენ, — დაიწყო
რობერტომ, რომელიც ცდილობდა, გული გაემაგრებინა.

— დიალ, — უპასუხა ერნესტომ: — ჩვენ უნდა მოვემზადოთ.
მანისკალკო იფიქრებს, თუ ისინი მარტო მოვიდნენ, აღმად

ქალაქში ამხანაგები ეგულებოდათო, და, რასაკვირველია, შეთქმა სახელების გაეცეს მოისურვებს... გესმის? — ამ სიტყვებით მან რობერტოს შეხედა.

რობერტო მშიშარა არ იყო; ეს მან ბრძოლის ველზე დაამტკიცა; მაგრამ ამხანაგის სიტყვებმა მას ფერი უცვალეს: ის ამ სიტყვების მნიშვნელობას მიხედა.

მართლაც, ბურბონის პოლიცია პოლიტიკურ დამნაშავეთა გამოკითხვის დროს შემაძრწუნებელ და წარმოუდგენელ წამებას მიჰმართავდა ხოლმე. ეს ნამდვილი ამბავია. ერნესტომ კარგად იცოდა, რომ ყველა ხმები ნეაპოლიტანის ბურბონების მართლმსაჯულების შესახებ, რომელიც მთელ იტალიას მოსდებოდნენ, ნამდვილი იყო; ამის დამამტკიცებელი საბუთები ხელთ ჰქონდა. კარგად იცოდა, რაც მოელოდათ, და ამიტომ თავისი გამოუცდელი ამხანაგები ჭირის ასატანად უნდა წინდაწინვე მოემზადებინა.

— გახსოვს მესსინელი ვანცო, რომელიც 55 წელს მაძინისთან მოვიდა? — ჰკითხა მან რობერტოს.

— როგორ არ მახსოვე! ის შემდევ გარიბალდისთან იყო და იქ შევხედი.

— ეხლა ის ხომ სამუდამოდ დაკოჭლდა. შეიძყრეს; პოლიციის მოხელე კარეტომ ჯერ ჯოხით გაალახვინა. შემდეგ ფეხებით ერთ ბოძზე მიაკვრევინა, ხელებით მეორეზე, თითონ ზედ შეხტა და ამ სიტყვებით ხტუნვა დაიწყო: „აბა, ენა აიდგი, აიდგი!“

— ოხ, საძაგლები! — ერთხმად წამოიძახეს ვალენტინომ და რობერტომ.

— ზოგჯერ უარესსაც შვრებოდნენ, — განაგრძო ერნესტომ: — მეორე მესსინელი ჯიოვანი ვიენა 59 წელს, იანვარში, სავაჭრო საქმეებისათვის პალერმოს მოვიდა. დაიჭირეს და საიდუმლო ასოებით ნაწერი წერილი უპოვნეს. დაუწყეს გამოკითხვა, მაგრამ, ეისთან იყო მიწერილი, ვერ ათქმევინეს. მაშინ ის ბოჭაულმა პონტილომ გამოაკერვინა ტომარაში, ჩააგდო ნავ-



ში და ფაცერანის უდაბურ კონკრეტურ წალერმოს მოშორებით, აქ საბრალო ვიენა ჩაუშენეს ზღვაში და მანამდის გააჩერეს, სანამ ტომარაში ფხავური არ შესწყვიტა; მაშინ ამოათრიეს, მოასულიერეს და ამხანაგების გაცემა ურჩიეს; როდესაც უშიშარმა ჭაბუქმა თავისი ამხანაგები მაშინაც არ გასცა, ხელახლად ჩასვეს ტომარაში, ზღვაში ჩაიგდეს და ცოცხალ მკვდარი სულ ასე წყალში ჩაკიდებული პალერმოს მოაცურეს.

— ნუ თუ ეგ მართალია! — წამოიძახა რობერტომ.

— ნამდვილი მართალია! — მიუგო ერნესტომ: — ბურბონის პოლიცია არაფერს არ გაუჩერდება და ყოველისფერს იზამს, თუ ძალიან დიადი საიდუმლოების გაება უნდა. ეს ყველაზ კარგად იცის, ამიტომ, ჩემო მეგობრებო, ყოველიფერს უნდა მოველოდეთ. ამ მანისკალკომ ჭახრავიანი მოსაცერი სამაჯურები შემოილო. გამომძიებელი ბრუნო გამოკითხვის დროს იმნაირად შეჰქრავს ხოლმე დამნაშავეს, რომ თავი ფეხებ შუა ჰქონდეს, სხვები თავზე წვრილ თასმებს ახევვენ და შემდეგ ჯოხით გრეხენ, სანამდის თასმები თავის ძვლამდის არ ჩაეჭირება. დანარჩენები...

ამდროს ურდულმა გაიხმაურა და სამივეს უნებლიერ ფერი ეცვალათ. რაოდენიმე ჯარის კაცი შემოვიდა; ხელებზე ბორკილები დაადვეს და გძელ და ბნელ ტალანტი წაიყვანეს; მალე გააჩერეს ერთი კარების წინ, სადაც თოფიანი ჯარის კაცი იდგა. მეკარემ კარი გააღო და ისინი გამოსაძიებელ ოთხაში შეიყვანეს. ეს იყო ბნელი, ვიწრო სარკმელიანი ოთახი; ამ სარკმელიდან შემომავალი მხის შუქი ზურგზე ეცემოდა სამ კაცს, რომლებიც ჭალალდებით მოფენილ მუხის მაგიდის უსხდნენ. ესენი იყვნენ: გამომძიებელი, მდივანი და ბერი, რომელიც ყველა გამოკითხვის დროს იქ იყო ხოლმე, რომ საჭიროების დროს წმინდა საიდუმლო შეესრულებინა. გარიბალდეოლებს ამ ბერის დანახვაზე ტანტი ერუანტელმა გაურბინა. ბერის სახის დანახვა შეუძლებელი იყო, რადგანაც ზურგი სინათლისკენ ჰქონდა მიქცეული, რისგამოც მისი სახე უფრო მეტ შიშს ჰევრიდა ადამიანს. ცოტა მოშორებით მოსამსახურების გროვა იდგა. ერთ-

გარიბაშვილები

მათგანს ნიღაბი ეფარა; ეს იყო ჯალათი. მაშინ სიცილიაში ჩვეულებად იყო, რომ ამ მართლმსაჯულების აღმასრულებელს პირზე ნიღაბი უნდა ჰქონებოდა. პატარა გაღებულ კარებიდან პატარა ოთახი მოჩანდა; ეს ოთახი აესებული იყო სხვა-და-სხვა იარაღებით, რომლებიც მას არც თუ სავარჯიშო ოთახს ამგვანებლნენ, არც თუ სამჭედურს. როდესაც გარიბალდიე-ლებმა ყოველოვე აათვალიერ - ჩათვალიერეს, მსაჯულმა მიჰ-მართა:

— სახელითა ღვთისათა და ჩვენის ყოვლად მოწყვალე ხელმწიფისა, რომელიც ყოველთვის მზად არის შემცდართა საპატიებლად და გაუსწორებელ დამნაშავეთა დასატანჯავად, გიბრძანებთ, თქვენი სატახტო ქალაქში მოსვლის მიზანი გამოა-მულავნოთ.

— ჩვენ მასთვის მოვსულვართ, რომ პალერმოს კეთილ მოქალაქებს ვუშველოთ იმ საშინელ მტარვალობის მოხა-შორებლად, რომლისთანასაც პალერმო არასოდეს არ მოსწრებია, — მიუგო ყველას მაგივრად ერნესტომ.

— თქვენი დანაშაული დიდია, მაგრამ მეფის სულ-გრძე-ლება გაუზომელია. თქვენ თუ წმინდის გულით გამოტყდებით, სასჯელი შეგიმსუბუქდებათ. თქვენი თანაშემწენი დაგვისახელთ და მეფისა და მისი მმართველის სახელით სრულ პატიებას გპირდებით.

ერნესტომ ზიზღით გაიცინა.

— თქვენ გნებავთ, რომ ჩვენი თანაშემწენი დაგისახელოთ, არა? — მიუგო მან — ძალიან კარგი, თქვენგან შეპირებული სა-ჩქარი არ მინდა, თქვენს სურვილს უიმისოდაც ავსულებ. შეკრიბეთ ყველა თქვენი მეძებრები და ქალაქის ოთხივე კუთ-ხისაკენ წადით: თერმინის საბაჟოდან კიხტელამარებდინ, სანტ-ანტონიოს საბაჟოდან — ბაკერიამდინ და, ვ.საც კი შეხვდეთ, ხელი სტაცით: ყველა ესენი ჩვენი მომხრენი არიან!

გამომიერებელმა სიბრაზით კბილები დააკრაჭუნა, მაგრამ თავი შეიმაგრა და უთხრა:

— ყმაწვილო კაცო, გირჩევთ, მაგისთანა თავხედ ჲუმრობას თავი დააწებოთ. მართლ-მსაჯულებას თქვენი ენის ძმოსა-დღმელად ბევრგვარი საშუალება აქვს, მაგრამ, რადგანაც ჯერ ყმაწვილები ხართ, გაპატივებთ და მკაცრ ლონის-ძიებას არ იხმარს.

გამომძიებელმა ვითომდა უნებურად მიიხედა მარცხნივ, კარებისკენ. ეს მიხედვა საკმარისი იყო და მეტ განმარტებას აღარ საჭიროებდა. შემდეგ მან გარიბალდიელებს გადაჭედა და პასუხს ელოდა.

— ბატონო, — წყნარად და მტკიცედ მიუგო ერნესტომ, — თქვენ შეგიძლიანთ, ჯოჯოხეთის ყველა სატანჯველი მოგვაყენოთ, მაგრამ ჩვენის კბილებით ენას მოვიკვნეტავთ, ვიდრე თუნდა ერთ ჩვენ ამხანაგთაგანს გავცემდეთ.

რობერტომ და ვალენტინომ ერთმანეთს გადაჭედეს, ას-წიეს მალლა ხელები, როგორც ფიცის დროს, და დაიძახეს:

— ღალატს სიკვდილი სჯობია!

ერთ წამში გამომძიებლის ნიშნით სამივეს ხელი სტაციეს და მეორე ოთახში შეავდეს. გამომძიებელი, მისი მდივანი და ბერი უკან გაჰყვნენ.

— ყმაწვილ კაცებს ფერი ეცვალათ, მაგრამ მშვიდად იყვნენ. როდესაც ისინი კარებში შევიდნენ, ერნესტო მოტრიალდა და გამომძიებელს შემდევის სიტყვებით მიუბრუნდა:

— ბატონო, ჯერ მოიფიქრეთ, ვიდრე თქვენი აზრის ალ-სრულებას შეუდგებოდეთ! დღეს თქვენ ხართ ბატონები — ხვალ ჩვენ ვიქნებით, მაშინ კი ამ გვარის სიმკაცრისათვის ბევრს ინა-ნებთ. ეხლა, რაც გენებოთ, ისა ჰქენით, ბატონო სარგანო!

ეხლა კი გამომძიებელს ეცვალა ფერი. მას აზრადაც არ მოუვიდოდა, თუ ყმაწვილ კაცს მისი სახელი ეცოდინებოდა. როგორც ყველა სასტიკი ადამიანი, ისიც მხდალი იყო. მან კარგად იცოდა, თუ როგორ სძულდა ხალხს ბურბონის მთავ-რობა და ამის გამო რამდენად სუსტი იყო ის. გამომძიებელი შედგა, რასაც პირობდა, იმის ალ-სრულება ველარ გაბედა, მა-

გარდადაღიერება

გრძმ თავის ლირსების დასაცელად ერნესტოს მიუბრუნდა და უთხრა: თქეენი სიყმაწეილე მებრალება და ამიტომ კიდევ ვინ ბრძანეთ, მართალი მითხარით! თავისუფლებას გპირდებით.

გარიბალდიელები გაჩუმებულნი იდგნენ.

— ერთ დღეს გაძლევთ მოსაფიქრებლად. — უთხრა გამომ-ძიებელმა. — შემდეგ დარაჯებს მიუბრუნდა და უბრძანა:

— უკან წაცყვანეთ!

ეს ბრძანება მაშინათვე აღსრულებულ იქმნა.

მეორე დღეს ეს სამი ტკუ აღარავის შეუწუხებია. მათვის დაიწყო ეხლა ციხის საშინელი ცხოვრება, რომელიც მწერლებს ისე ხშირად აქვთ აწერილი, რომ ჩვენ აღარ გავიმეორებთ. გარედან არაეთარი ამბავი არ მოსდიოდათ. მათთან მცველები შედიოდნენ, პური და წვენი შეჰქონდათ და მეორე დღემდის აღარ მოდიოდნენ. სარკმელიდან ისინი ჰედავდნენ, რომ ქალაქში რალაც მოძრაობა იყო. მცხოვრებლები ჯგუფ-ჯგუფად კი არ გროვდებოდნენ — არა; მათ იცოდნენ, რომ მანისკალკოს მეძებრები თვალს ადევნებდნენ; ისინი როგორლაც უფრო ჩქარა მიდიმოდიოდნენ, ხელებს მოუთმენლად აქნევდნენ და ეს საკმარისი იყო, რომ ჩვენი ტკუების თავში სხვა-და-სხვა აზრები აშლილიყვნენ.

რა მოუვიდა ნეტავი გარიბალდის? გაიმარჯვა? მოდის-პალერმოს? იქნება დამარცხდა და უკან გაბრუნდა? ქალაქის მოძრაობის ახსნა ორივე მოსაზრებას შეეძლო და ნამდვილის გაგება კი შეუძლებელი იყო.

ასე გაიარა ოთქმის ერთმა კვირამ.

ოცდა ექვს მაისს აღრე მზის ამოსვლამდის ისინი თოფის დაცლამ გამოალვიდა. მაშინვე ზეზე წამოვიდნენ და სარკმელს მივარდნენ.

სარკმელი დარაბებით იყო დახურული. დიდის ვაი ვაგლანით გააკეთეს მალლა ჯუჯრუტანა, საიდანაც ოდნავ მოჩანდა, რაც ქალაქში ხდებოდა. ვალენტინოს, როგორც ბარის მცხოვრებს, თვალი კარგად უჭრიდა. და ამიტომ თვალყურის სადევ-



ნებლად ის ამოირჩიეს. ის აცოცდა შალლა, ჭუჭრუტანა შემოგრძელდა და ცქერა დაიწყო.

— აბა რა ამბავია? — ჰკითხავდნენ ამხანაგები.

— ჯერ არაფერია. აქა-იქ სარკმელებს აღებენ; ალბად ჩვენსავით გამოედვიძათ.

— რა უნდა იყოს? — იკითხა რობერტომ.

— უთუოდ გარიბალდი პალერმის უახლოვდება.

— ლმერთმა გისმინოს.

ამ დროს ახალშა თოფის სროლამ კედლები შეანძრია; თოფს ზარბაზნებიც მოემატა.

— ნეაპოლელები ისვრიან! — სთქვა ერნესტომ.

პატარა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— მირბიან, მირბიან! — წამოიძახა ვალენტინომ და თავის ჭუჭრუტანას მიეკრა.

— ვინ? სად? — ერთხმად წამოიძახეს ერნესტომ და რობერტომ.

— პალერმოელები ქუჩებში გარბიან; ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან.

— ბარაქალა, ბარაქალა! ბევრნი არიან?

— კუთხიდან ჯარი გამოჩნდა, — იძახოდა ვალენტინო და მათ კითხვებს ყურს არ უგდებდა: — პალერმოელები თავ-თავის სახლში გაიფანტნენ.

— ეს კი ცუდია! — წაიბურდლუნა თავისოვინ რობერტომ.

— ისევ, ისევ! — წამოიძახა რამდენიმე წამის შემდევ ვალენტინომ.

— რა? ჯარი?

— არა, ისევ მოქალაქეების ჯგუფები! ეხლა უფრო ბევრია!

ეს რამდენჯერმე განმეორდა, პალერმოელები ალბად თოფის სროლამ გამოაღვიძა და ხან ჯგუფებად იკრიბებოდნენ, ხან ნეაპოლის ჯარი მათ ჰჟანტავდა.

ბოლოს, დილის რვა საათი იქნებოდა, როდესაც ვალენტინომ წამოიძახა:

— მთელი ჯარი მიდის წითელი დროშით!

— საით?

— თერმინის საბაჟოსკენ.

— თოფის სროლაც იქიდამვეა? — შენიშნა რობერტომ: — ალბად ქალაქი იმათ ექომავება.

ტყვები სმენად გადაიქცნენ, რამდენიმე ხნის შემდეგ ხშირი თოფის სროლა ასტყდა. მას უპასუხა რამდენმამე ზარბაზანშია, რომლებიც მართებლობის უნდა ყოფილიყო. აშკარა იყო, რომ ნეაპოლელები უკუქცევას პირბოლნენ. ტყვები მეტად აღელვდნენ: საპურობილეს კედლებს გარედ სამშობლოს ბელილბალი წყდებოდა და მასთან მათიკ; ისინი კი გაჩუქრებული კარ-გამოკეტილში უნდა მჯდარიყვნენ და გულხელ-დაკრეფილთ საქმის დაბოლოებისათვის ეცადნათ.

ასე გაიარა რამდენმამე საათშა.

შუადღისას, როდესაც მათთვის სადილი მოჰქონდათ ხოლმე, აღარავინ მოსულა; ისინი მშივრები დარჩნენ, მაგრამ თავის ბედს არ უჩიოდნენ: აშკარა იყო, რომ საპურობილეშიაც მმართველობის ჩარხი შეირყა, მოხელეებმა ყოველივე დასტოვეს და მოჰკურცხლეს. ადრე მათ დარაბებს უდებდნენ და ეხლა კი აღარავის გაულია. ოთხ საათზე თითქმის მათ ყურთან გაისმა რავდენისამე თოფის ხმა. შემდეგ სიჩურე დადგა.

საბრალო ტყვების ღელვამ, იმედებმა და ლოდინმა უკანასკნელ წერტილს მიაღწიეს. ფერ-წასულნი ციებიან აღამიანსა-ეით ცახცახებდნენ, ერთმანერთს იღარ ელაპარაკებოდნენ და მხოლოდ სმენად გარდაიქცნენ. მაგრამ კედლები სქელი იყო და ზარბაზნის ხმის მეტი არა ესმოდათ-რა. ერთბაშად ტალან-ში ფეხის ხმა მოისმა და მხიარული ყვირილი შემოისმა. ეს მეგობრები იყვნენ, ეჭვი არ იყო!

თი მოახლოედნენ. კარებთან გაჩერდნენ, თოფის კონდახებით ჩამტვრიეს, დაპკრეს ცულები და კარები გადავარდა. მეგობრების მხიარული გროვა ტყვებს გარს შემოეხვიენენ; დასტაცეს ათ ხელი და ქალაქში წაიყვანეს. მშ გარიბალდიელთა

გროვის უფროსი რობერტოს მეგობარი, კაპიტანი ფედერიკი *** იყო, რომელმაც ოდესაც თავის მეგობრებთან კომოს ტბის გარშემო ვალენტინო წერილებით გავზავნა. ეს ჩვენ ამ მოთხოვბის თავში გვაქვს მოხსენებული, ფედერიკო შედიჩან ერთად უნდა მოსულიყო, მაგრამ უკანასკნელმა საჭიროდ დაინახა მისი რაედენიმე დღით ადრე გავზავნა, რომ გარიბალდის მოლაპარაკებოდა იმის შესახებ, თუ რა ალაგის უნდა გადმომხდარიყვნენ.

— აბა ერთი ყოველივე მიაშე, როგორ მოხდა? — მიუბრუნდა თავის მეგობარს რობერტო, როდესაც შეუერდონენ მთელ ჯარს, რომელიც ძევლ ქალაქში გამარტებულ ნეაპოლელებს თავს უნდა დასხმოდნენ.

— ი საქმე როგორ იყო, — უპასუხა ფედერიკომ: — 26-ს, საღამოს, მე ჩემ კარავში უდარდელად მეძინა. ერთბაშად ვიღამაც ფეხში ხელი მომკიდა; თვალი გაეახილე და ჩვენი გენერალის შიკრიკი დავინახე. იმან მანიშნა, ჩუმად იყავიო; ერთ წამის მე ფეხზე წამოვიჟერი და გენერალთან გავწიე. იმან მიბრძანა, მყისევ ჩემი ჯარი წამომეყენებინა და შორს გალა-შქრებისათვის მომემზადებინა.

ერთი საათის შემდეგ ჩემი ჯარი სრულიად მზად იყო და თერთმეტ საათზე გზას გავუდექით. წინ უნგრელი ტურის უფროსობით თავის ნებით გალაშქრებულნი, ალპიელი მსროლელების ნაწილი და ჩემი ჯარის კაცები მიღიოდნენ, შემდეგ სიცილიის ჯარი ლამანის უფროსობით; მერე გენუელები ბოჭქისის უფროსობით და მათ უკან უმთავრესი ძალით გარიბალდი.

— რა გზით წახვედით პალერმოს? ალბად თერმინის გზით.

— რას ამბობ! ჩვენ გზა-წვრილით წავედით, რომ ერთბაშად მოულოდნელად ნეაპოლელებს თავს დავსხმოდით. უმთავრეს გზებზე მათ ყოველთვის დარაჯები უყინიათ. უკ, რა გზა იყო! — წამოიძახა ფედერიკომ, — იცი, რობერტო, ყოველგვარ გზებზე მივლია. გახსოვს, მე და შენ როგორ მივცო-

ცავდით ტიროლის ალპებზე? ის გზა ხომ მეტად ცუდი იყო იქაჩირებოდა ის გზა ამ გზასთან შედარებით ნამდვილი შარაა.

— მესმის, მესმის!

— არა, არ გესმის! ამის გაგება მხოლოდ იმას შეუძლიან, ვისაც თითონ გაუსეირნებია ამ გვარ გზაზე; ეს გზა კი არ არის, არამედ მთის ნაპრალები, ლრადოები, მთის მდინარეების დაშრალი კალაპოტები—ერთის სიტყვით, ყოველ წამს გაიგონებდით ვისამე ლანძღვა-გინებას და ხან ერთს, ხან მეორეს ძირს პარტყა-პურტყა გაჰქონდათ. გვონია, თუ მაგარ ქვას დავადგი ფეხით, ის კი შენ ფეხ ქვეშ საპნის ქაფსავით*) იფუშება და წელამდე ტალახში იფლობი. მთაზედ ავდიოდით, იქიდან ძირს დავეშვებოდით, კიდევ მთაზედ უნდა ავსულიყავით; მარჯვნივ რომ მივუხვევდით, მერე მარცხნივ უნდა მოგვეხვია, შემდეგ ისევ მარჯვნივ; სწორედ თავ-ბრუ გვესხმოდა. ხან და ხან წყლებში უნდა გავსულიყავით და წელამდე უნდა დავსველებულიყავით. კიდევ კარგი, რომ ცურვა ვიცი-მეთქი, ვამბობდა ჩემ გუნებაში. ხან და ხან ფეხებიდან ქვები გამოგვიცურდებოდა ხოლმე და ჩენ ძირს ვვარდებოდით; უჰ, რა გზა იყო, რა ღამე და რა წვალება!

— მერე?—სიცილით უთხრა რობერტომ.

ბოლოს, როგორც იქნა, დალალულობისაგან ენა გამოგდებულები თერმინის საბაჟოსან მოვედით. „მადლობა ღმერთს, პალერმო ჩვენ წინ არის! აბა, გავსწიოთ! მხოლოდ ჩუმად იყავით, ჩუმად, თუ ღმერთი გწამთ!—გვეჩურჩულებოლნენ აფიცრები; მაგრამ სიცილის პიჩიოტები წყნარად სიარულის მაგიერ ყვირილს არიან შეჩვეული. ერთბაშად მათ, რაც ძალი ჰქონდათ, კიერა დაპკრეს:— „გარიბალდის გაუმარჯოს! გაუმარჯოს გარიბალდისო!“— „ჩუმად, ჩუმად! ის ნეტა მიწა გაგისკდებოდეთ!“— ვუყვიროდით ჩვენ. მათ უფრო მაღლა მორთეს ყვირილი:— გარიბალდი, გარიბალდი!

— დახე უბედურ შემთხვევას!

*) ესრედ წოდებული დამპალი ქვები, რომლებიც სიცილიაში ჩშირად მოჰპოვება.

— რას იზამ! ეხლა, როდესაც ყოველივე გათავდა, შე მათ არ ვამტკუნებ. რა ვყუოთ, ზოგს შეუძლია სიხარულის შეკავება, ზოგს კი არა... ამ ყვირილმა ნეაპოლელები ფეხზედ წამოაყნა; ისინი მაშინათვე საბაჟოსკენ გაიქცნენ: მსროლელნი ახლო-მახლო სახლებში, მოთავსდნენ; ქვეითმა ჯარმა შესავალ კარებთან რამდენიმე სანგალი გააკეთა და გამაგრდა. ამ გარე-მოებას რომ არა, ჩვენი წინა ჯარი პალერმოში თოფის დაუკლელად შევიდოდა. ეხლა კი ჩვენ ვავჩერდით და თოფის სროლა დავიწყეთ. ნეაპოლელებმაც საშინელი სროლა ასტეხეს. ტყვიის ზუზუნს შეუჩვეულებმა პიჩიოტებმა უკან დაიხიეს; მაშინ ჩვენ წავდექით წინ ალპიელი მსროლელებით, ჯერ დავახალეთ თოფები, შემდეგ ხიშტები მიეაყოლეთ... მაგრამ ვერას გავხვდით! გენუის ჯარი წამოგვეშველა. აქ პიჩიოტებმაც გული მოიცეს...

— ეაი დედასა, რომ იქ არ ვიყავი! — წამოიძახა რობერტი და მუჭები მოკუმშა.

— ერთბაშად რავდენიმე ზარბაზანი გავარდა; დასწყევლოს ეშმაკმა! თურმე ნეაპოლის მეზარბაზნეები სანტ-ანტონიოს კარებიდინ გვესროდნენ.

— თქვენ?

სირტორიმ მოირბინა ჩეენთა და გვითხრა:

— აბა სანდალი აიღეთ, თვარი დავიღუპეთო.

თითქოს ყველას ფრთხები გამოგვეხსხა. დავუშინეთ ხიშტები! მაიორი ტუკერი და სამი ჯარის-კაცი სანგალზედ შევარდნენ. ტუკერი მუხლ-გახვრეტილი დაეცა; მას უკან კაიროლი მიჰყვა. ნეაპოლელებს ახალი ჯარი მოეშველა, რამდენიმე ზარბაზნით და სანგლიდან გაგვრეკეს. ჩვენ ძალიან სიცხე მოგვადგა. ჩვენს წინ ქალაქის ქუჩა იწყებოდა, ჩვენ კი წინ წაწევა არ შეგვეძლო, მტერს კი ახალ-ახალი ჯარი მოუდიოდა.

— რად გაგიჭირდათ ასე სანგლის აღება?

— წყეული ზარბაზნები გვიშლიდნენ. ერთბაშად ერთმა გენეულმა ჯარის კაცმა გადასწყვიტა, ყველასთვის მაგალითი ეჩვენებინა, როდესაც სიტყვა აღარ გადიოდა. აიღო ხელში



გარდამდებრები

ოთხი ქვა; შემდეგ ამხანაგს მიუბრუნდა და უთხრა, ეს დროში შეიძლიაში ამომიდევით. ამის შემდეგ გაიქცა წინ, ზარბაზნებს ყურიც არ ათხვეთ. მიირბინა თუ არა შუა ქუჩამდინ; გაჩერდა, დაალაგა ოთხი ქვა ძირს და მათ შუა დროშა გაამაგრა!

— რას ამბობ, კაცო!

— შემდეგ არხეინად დაჯდა იქავე და ხელ-გული დაიჭიდო.

— ერთი უყურე!

— ჩემი საკუთარი თვალებით ენახე. გინდა ჩვენებს ჰეთე; კულამ დაინახა. მაშინ კულა პიჩიოტებიც და გარიბალდი-ელებიც წინისკენ გადავარდნენ, გენუელი მისის დროშით უკან მოიტოვეს და ქალაქამდინ მიეიღნენ.

— რა ჰქონა იმ მამაც გენუელს?

— ვერ გეტყვი! ვწუხვარ, მაგრამ ვერ გეტყვი რადგანაც არ ვიცი. *)

— სწორედ სამწუხაროა! მერე?

— ნეაპოლელებმა უკუქცევა იკადრეს, ას ნაბიჯზე მათ ახალი ჯარი მოეშველათ და ისევ წინ გამოსწიეს. ჩვენი მდგომარეობა მეტად საფიქრებელი იყო: წინიდან და გვერდიდან მძლავრი მტერი გვაწვებოდა. მართალი გითხრა, არ ვიცოდი, რითი გათავდებოდა ჩვენი საქმე. ერბაშად საზარელი ხმაურობა შემოგვეხმა ქალაქიდან: ყეირილი, თოფის სროლა, ზარის რეკა.

— ალბად თქვენ საშველად მოქალაქეები მოდიოდნენ. ჩვენ ამას საპყრობილებან ვხედავდით.

— დიალ, პალერმოელები მოდიოდნენ. ისინი ბურბონებს უკანიდან თავს დაესხნენ. უკანასკნელებმა თავისი თავი ორ ცეცხლ შუა დაინახეს, გაიქცნენ და ჩვენ სავაჭრო მოედნამდინ მივედით; იქ დაგვიხვდა აჯანყების კომიტეტი, ქალაქის საბჭო და მრავალი ათასი მოქალაქე ყველა წლოვანების და ხარისხის; კულა ერთმანეთს ჰეთენიდნენ, მხიარულობდნენ, ჰეთენდნენ გაუმარჯოს გარიბალდისო! მოხუცები, ქალები, გასათხოვრები,

*) ჩვენ თითონაც ძალიან სამწუხაროა, რომ არ ვაცით ამ ყმაშეილის სახლი, რომელშიც ნამდვილი რაინდული მამაცობა და სითოვმდაბლუ შეერთებული იყო.



მღედლები, ბერები, მოლოზნები—დიალ, რობერტო — მოლოზნებიც კი ტიროდნენ, გვეხვევოდნენ და თავის მხსნელებს გვიძახდნენ; გარიბალდის ისეთის აღტაცებით დაუხვდნენ, რომ ჩემ სიცოცხლეში ისეთი არა მინახავს-რა და არც დამავიწყდება.

— მჯერა, მჯერა! რას არ მივცემდი, რომ იმ ჭამს თქვენ-
თან ვყოფილიყავი!

— ვიცი, ჩემო მეგობარო! მაგას ვფიქრობდი მეც, მოყდანზე რომ ვიდექი, მაშინათვე მივედი გენერალთან და ვთხოვე, წება მოეცა, რომ საპურობილებან შენ და შენი ამხანაგები გამენთავისუფლებინეთ; ის, რასაკვირველია, დამთანხმდა, დარამდენიმე მოქალაქეთი და ჯარის კაცით მდც თქვენთან გამოვწიე; უცნდ გვავფანტეთ თქვენი დარაჯები. და დანარჩენი ხომ შენც იცი.

ამითი გათავდა მათი ლაპარაკი. ამდროს მათ ბოქსიო
მოუხახლოვდა და უთხრა:

— კაპიტანო, თქვენის ჯარით Del-Duomo-ს და მონტე-კალვარიის ჭურები დაიკირეთ, ვაი თუ ნეაპოლელები მონტე-რეალეს შერიდან დაიძრან.

ფედერიკომ „მაშინათვე ბრძანების აღსასრულებლად გასწია
და ამნაირად მეგობრები ერთმანერთს განშორდნენ. რობერ-
ტომაც თავის ამხანაგებს მიაშურა. ამ დროს განმავლობაში
გარიბალდიელები დანარჩენი მოქალაქეებით სავაჭრო მოედანს
გულმოლენიდ სანგლებით ჰმართავდნენ, რომ იქ გამაგრებულიყ-
ვნენ, თუ მტერი მოქმედებას დაიწყებდა.

მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ბურბონები ძალიან
წამხდარი იყვნენ და ეელარაფერს გაპეტდავდნენ; ბურბონები
მაინც ძალიან გაბრაზებული იყვნენ, და ძალიანაც უნდოდათ, გა-
მარჯვებულებისათვის რითომე გადაეხადნათ. გენერალმა ლანკაშ
ნეპოლის ჯარით კასტელამარეს ნაეთსადგურისკენ დაიხია და
იქიდან ქალაქს ზარბაზნები დაუშინა. ქალაქს ჩადგენსამე ალა-
გას ცეცხლი გაუჩნდა; რადგანაც სამხრეთ იტალიაში საზო-
გადოდ ქვის სახლები იციან, ამიტომ ცეცხლი წეზობელ სახლე-

ბზე არ გადადიოდა ამ გვარიად ზარბაზნებმა ვერა დააკლეს-რა
იმის მეტი, რომ რავდენიმე სახლი დასწვა და რავდენიმე ასი
ყველაზე უდანაშაულო მოქალაქე იმსხვერპლა. გარიბალდიოლები
სულ წინ მიდიოდნენ და საღამოს მეფის სასახლისა და კასტე-
ლამარეს გარდა მთელი ქალაქი გარიბალდის ხელში იყო. ამ
საღამოს პალერმოში ისეთი არა ჩვეულებრივი მოვლენა მოხდა,
რომლისთვის მაგალითიც ისტორიაში მეორე არ იკის.

ქალაქს ყუმბარებს უშენდნენ და ის კი მხიარულებდა; კასტელამარემ 2,800 ყუმბარა დაახალა, ამას გარდა ნეაპოლის გემბი გენერალი ლანცას ბრძანებით პალერმოს ნავთ-საღურში გაჩერდნენ, ტოლედოს ქუჩის პირდაპირ, და საღა-მოს ქალაქს ყუმბარები დაუშინეს. დიდსულოვანი მეფე ფრან-ჩესკო II თავის საყვარელ ქვეშევრდომებს ამ გვარად უცხა-დებდა უკანასკნელ მამა - შვილურ გრძნობებს. ამ გარემოე-ბამ პალერმოელების გულწრფელ მხიარულებას ხელი ვერ შეუშალა: ქალაქი გაჩირალდნებული იყო და ყოველგან ფერად-ფერადი ცეცხლი ენთო.

ყუმბარების სროლად მთელ ღამეს გასტანა. ვინ იცის, რო-
დის გათავდებოდა, რომ საქმეში არ გარეულიყო ინგლისის ადმი-
რალი მუნტი, რომელიც პალერმოს საჰერიში იდგა. მან ნეა-
პოლის ადმირალისაგან სროლის შეწყვეტა მოითხოვა, რადგა-
ნაც ქალაქში ბევრი დუქნები და საწყობები ინგლისის ქვეშე-
ვრდომებისა იყო. ნეაპოლის ადმირალმა წყნარად უპასუხა,
გემებიდან ცეცხლის შეწყვეტა რომ კიდეც შემეძლოს, კასტე-
ლამარეს მხრიდან ეერ შეეწყვეტავო. მაშინ მუნტმა გაუგზავნა
გენერალ ლანკას მოსალაპარაკებლად კაპიტანი ვილმოტი.

ნებოლიტანის ჯარის უფროსი თურმე ყოველისფერში თავის მართებლობას წაგავდა: გამარჯვების ღროს თავხედი იყო, დამარცხების ღროს მხდალი. ჯარის დამარცხებამ იმდენად შეარცხვინა, რომ არამკ თუ ადმირალის მოთხოვნილება შეასრულა, არამედ თვითონეე სთხოეა, გარიბალდისთან მოლა-

პარაკების დროს ჩემი შუამავალი იყავიო. მუნტიც დათანხმდა და ეილმოტი პალერმოს გაჰვზავნა.

სამი დღის შემდეგ გენერალი გარიბალდი მეფე ვიქტორ-ემანუილის სახელით სიცილის დიქტატორი (ფლიბუსტირად ნამყოფმა ეხლა სახელი გამოიცვალა) აღმირალის გემზე „ჰანნი-ბალ“-ზე ადიოდა; იქ მას მოსალაპარაკებლად სიცილის მმართველად ნამყოფი გენერალი ლანცა ელოდა; 6 თიბათვეს 1860 წლს ორივეს მხრით ხელმოწერილი იყო პირობის ქალალდი, რომლის ძალითაც ნეაპოლის ჯარს იარაღით და დროშით კუნძული უნდა დაეტოვებინა და გარიბალდისათვის საქალაქო ბანკის ფული ჩაებარებინა. ეს ფული, რომელიც რაოდენიმე ათ მილიონ ფრანკს შეადგენდა, გარიბალდიმ ომის გაგრძელებას მოანდომა.

xxv

ბალერმოდან ნეაპოლამდე

პალერმოს აღება გასაოცარი საქმე იყო თავისი მოულოდნელობით და გამბედაობით; დიადი მნიშვნელობაც ჰქონდა. ლაშქრობის ავან-ჩავანისათვის, თამამად შევეიძლია ვთქვათ, რომ მისი აღების დღიდან ბურბონის მთავრობას ბოლო მოეღო. ამ გარემოების ნამდვილი მნიშვნელობის გამოსარკვევად ბევრი რამ უნდა მოვიხსენით. გარიბალდის ჯარის სიმრავლით არ დაუმარცხებია მტერი: გამარჯვების მეორე დღესაც მტერი მაზე ძალუმი იყო; პალერმოს აღების დროს გარიბალდის ჰყავდა ორი ათასი კაცი და ათასზე ცოტა მეტი სიცილის პიჩიოტები. თუმცა მოქალაქეებმა უშველეს, მაგრამ საქმეს რომ კარგად ჩავუკვირდეთ, ადვილად დაერწმუნდებით, რომ მათი შველა დიდი არაფერი იყო, რადგანაც ქალაქში იარაღი სრულიად არ მოიპოვებოდა.

ბურბონები რიცხვით ოთხი ზომით მაინც იყვნენ გარიბალდიელებზე მეტი. მაში გარიბალდის ამგვარი გასაოცარი გა-

მარჯვება რისი ბრალი აყო? ბევრი ამ გამარჯვებას ბურმონტს ჯარის ცუდ მდგომარეობას აწერს, აფიცრების უმეცრებას, ჯარის-კაცების სიმხდალეს, მოიჯარადრების ბოროტ მოქმედებას... მაგრამ ეს სრულიად ასე არ არის, ახალგაზღა მეფეს, ფრანჩესკოს, ჯარი მომეტებულად უყვარდა და, თუ რამე იქცევდა მის ყურადღებას, ეს მხოლოდ ჯარის გაუმჯობესობა. ნეაპოლის ჯარი თუმცა ნაკლოვანი იყო, მაგრამ სხვა სამეფოების ჯარებს არაფრით არ ჩამოუვარდებოდა. ის მშვენივრად იყო გაწეროთნილი, რადგანაც მეფე მუდამ თითონ დადიოდა აღლუმზე. რაც შეეხება ჯარის-კაცთა სიმხდალეს, ამ გვარი აზრი სიმართლეს სრულიად მოკლებულია.

ეჭვი არ არის, რომ ნეაპოლის ჯარი სხვასავით მამაცად დაუხვდებოდა გარეშე შემოსეულ მტერს, სხვასაეთ ვაჟკაცურად დაიცავდა სამშობლო მიწა-წყალს, ოჯახს და შვილებს. ალბად სხვა მიზეზი უნდა ყოფილიყო, რომ ოცი ათასი მშვენივრად შეიარაღებული და სამხედრო საქმეში გაწვრთნილი ჯარი ორი-სამი ათასმა ცუდად შეიარაღებულმა და სამხედრო საქმეში სრულიად უმეცარმა ჯარმა იფრინა და დასძლია. აი რა იყო ამის მიზეზი: ყველა კარგად გრძნობდა, რომ ბურბონის მთარობა შერყეული იყო, არავის არ უცვარდა და ამიტომ დიდი დღე აღარა ჰქონდა. თვითეული გენერალი, აფიცრი და ჯარის-კაცი თავის გულში გრძნობდა, რომ უნდა დამარცხებულიყო, და ამიტომ იბრძოდა იმდენად, რაოდენიადაც საჭირო იყო მხოლოდ სინიდისის გასაშემენდად.

ბურბონის მმართველობამ თვითონ დაიღუპა თავი თავისი მოქმედებით, გარიბალდიმ ამ დალუპვას მხოლოდ ხელი შეუწყო.

მის წინ ჯარი ჯარზედ წყდებოდა, როგორც დნება თოვლი გაზაფხულას მზის სხივებისაგან, ისეთი ბრძოლა არ ყოფილა, რომ ბურბონები ოჯვერ, ოთხვერ და ოჯვერ მეტი არ ყოფილიყვნენ გარიბალდიელებზედ, როგორც, მაგალითად, პალეტონს. ამისდა მიუხედავად გარიბალდის გამარჯვება შედრებით ყოველთვის იეფად უჯდებოდა ხოლმე! ამისათვის რა

გასაკვირველია, რომ ხალხმა თავისი გმირის არსება საარაკო შარავანდელით დააგვირგვინა და უზენაეს არსებად ჩათვალი. მაგრამ მეცხამეტე საუკუნეში არავითარი სასწაულთ მოქმედებანი არ სწამთ და ხალხის მათდამი რწმუნებას სთვლიან სხვა ღრმა მიზეზის მაჩვენებლად, რომელსაც განუვითარებელი და გაუნათლებელი ხალხის თვალი ვერ ამჩნევსო; მშპაბენ.

გარიბალდის მთელი მომჯადოებელი ძალა და ძლევა-მოსილება მასში მდგომარეობდა, რომ ის იყო მთელი იტალიის ერის დიდი ხნის სატრაფიალო სურვილის გამომხატველი. მრავალი ხალხის თვალში თვისდამი რწმუნების და აღფრთოვანების მოხვეჭა თავის ტოლებში გარიბალდიშ ყველაზედ უკედ მოახერხა. ამ მხრივ გარიბალდი ერთად-ერთი ადამიანია; ყველა გმირები ცეზარიდან მოკიდებული ნაპოლეონამდე გარშემო მისთანა კაცებს იკრებდნენ, რომლებიც მათთან ჰირადი მისწრაფებით იყვნენ შეკავშირებული და შემდეგ მათი შემწეობით უმრავლესობას ჰმართავდნენ. გარიბალდის კი ამ გვარი კაცები თავის გარშემო აროდეს არ გაუჩენია. ამის მიუხედავად მთელი იტალიის ბედ-იღბალი ამ კაცს რამდენჯერმე ეკავა ხელთ და მისი ერთი სიტყვა საქმარისი იყო, რომ ხალხი წასულიყო იქით, საითაც გარიბალდის ჰსურდა. ამგვარი იყო გარიბალდის ხალხზედ ზნეობრივი გავლენა. მმართველობასთან გრძოლის დროს სიცილიაში მან მთელი თავისი აურაცხელი ზნეობრივი სახელ-დიდება სასწორზედ დაგდო, ამის შემდეგ რაღა გასაკვირველია, რომ მეფე ფრანჩესკო II-ს მმართველობამ მთელი თავისი ჯარით და ციხეებით ვერ გაუძლო!

გავარდა თუ არა იტალიაში პალერმოს აღების ხმა, მაშინათვე იქ დიპლომატების მთელი გუნდი მოვარდა, როგორც ყორნები დაეცემიან ხოლმე მზა ლუკმას. მაშინდელმა ვიქტორემანუილის მინისტრმა, კავურმა, რომელიც გარიბალდის შურიანის თვალით უუურებდა, შემწეობას თითქმის სრულიადაც არ აძლევდა, კუნძულის თავის მეფის სამფლობელოსთან შეერთება მოინდომა, გარიბალდის უნდოდა, შეერთების საქმე კუნძუ-

ლის და ნეპოლის ოლქების სრულ განთავისუფლებამდე გა-
დაედგა; მაგრამ კავური მზად იყო, ნეპოლის ხმელეთის აღგი-
ლებზედ უარი ეთქვა,—რასაკვირველია, დროებით,—ოლონდა ეს
საქმე გარიბალდისათვის ხელიდან გამოყცალა, რომ იმის თქმა
შესძლებოდა, რაც სულლამ იუგურტას ომში წიმოიძახა: „იმან
გაიმარჯვა, მე კი ომი დავაბოლოვეო!“ ამ მიზნით კავურმა ყოვე-
ლი თავისი ხერხი იხმარა, მაგრამ ის და მისი მომხრეები გა-
მარჯვებისა და პალერმოს აღების მნიშვნელობის დაფასებაში
მოტყუვდნენ. ნადავლის გაყოფა ჯერ ძალიან აღრე იყო. საქ-
მე ჯერ ისევ თოფ-ზარბაზნებს უნდა გადაეწყეიტათ. კუნძულ-
ზედ ჯერ კიდევ ოც და ათი ათასი შეფის ჯარის-კაცი იდგა.
ყველა ციხეები და გემები მათ განკარგულებაში იყო. ამისთა-
ნა ძალის წინააღმდეგ სადესპანო კალმებით ბრძოლი შეუძლე-
ბელია.

Յալցերմուս աղյօնիս Մյոմւցյ ճյաձուլուս օդցուլցին Տաթահիւ
յալայաց Տօպուլումի շախճա մյեսնոն, ռոմյելուց Տօլունուտ կյա-
մյուլնից մյշուրց յալայու ոսյու. յալոյին Կոնուս շոյրումին, ցընյ-
հալմա կլարմա, չարուս յալունին ճայցին ճառին մունքաց և լամյիրո-
նին ծողովմց թարթու թան գանձլու կյանմյուլնից:

შესსინიდან დაიძრა ხუთი თასი კაცი, რომელსაც ქვეითი
ჯარი, მეზარბაზნენი და ცხენოსანი ჯარი შეადგენდა. მათ უფრო-
სად პოლკოვნიკი ბოსკო იყო. მას მხედველობაში ჰქონდა არა
გარიბალდის უმთაერესი ძალა, რომელიც პალერმოსთან იდგა,
არამედ მედიჩისგან ჩრდილო იტალიიდან მოყვანილი ჯარი.
ბოსკოს განზრახვა სწორედ რომ ხელ-საყრელი იყო. საზოგადო
შეიარაღების წინადადება, რომელსაც კრისპი ჰუიქრობდა, არ
გამართლდა. ამიტომ გარიბალდის ერთად-ერთი იმედი თავის
ნებით მოსულებზე ჰქონდა; ესენი კი ნაწილ-ნაწილ და მთა-
გორიან ალაგებში შეტაკების დროს კარგი იყვნენ, სხვაგან კი
ვერ შეედრებოდნენ ჩრდილო იტალიელებს, რომლებიც გარი-
ბალდის გალაშერებაში რაედენჯერმე იღებდნენ მონაწილეობას.
ამიტომ მედიჩის დამარცხება, რომელმაც იტალიის საუკეთესო
ძალა მოიყვანა, გარიბალდისათვის მეტად საშძიმო იქნებოდა

და მის ძალასაც საშინლად დაასუსტებდა. დამარცხება კი არა, ამ ჯარის სრულიად გაფლეტაც იდვილი შესაძლებელი იყო, რადგანაც ბოსკოს ჯარი ორი ზომითაც მძლავრი იყო. მედიჩი დაბანაკედა პალერმოზე კარგა მოშორებით, მიღაცოსთან, მეს-სინიდან რავდენიმე კილომეტრის სიშორეზე. ამ გვარად ბოსკოს ყოველთვის შეეძლო, მესსინიდან ახალ-ახალი ჯარი მოსვლოდა, და მედიჩი კი მხოლოდ თავისი ჯარის ამარა იყო. გარიბალდი ამას ყოველისფერს მიხვდა, გაიგო თუ არა მედიჩისგან ბოსკოს ჯარის მოახლოვების ამბავი, მაშინათვე შეაგროვა ალპის მსროლელნი და მედიჩთან გასწია. ჯარი უკან მოიტოვა და თითონ ჩეულებისამებრ თავის ამალით წინ გასწია და ბრძოლის ველს სწრაფად გადაავლო თვალი და მიხვდა, რომ ამ უბრალო უხერხულობით მტრის მთლად განადგურება შეიძლებოდა. მარჯვენა მხარეს მედიჩი გაგზავნა და უბრალა, რაც შეიძლება მაგრად იდექიო, თითონ კი მიაშურა მარცხენა მხარეს, სადაც მალენკინის ახალ მოკრებილ ჯარს მტრის ცხენოსანი ჯარი ერკეცხოდა. გარიბალდიმ გარდასწყვიტა, რაც უნდა ყოფილიყო, მტერი გაეჩერებინა; ამიტომ ის რავდენიმე აფიცირით, სოფლის ვიწრო შარაში, შუაგულ მტრის ჯარში შევარდა. საშინელი ხელ ჩართული ბრძოლა გაიმართა. გარიბალდი კინალამ ტუვედ შეიცყრეს; მხოლოდ კაპიტანის მისორის სიმამაცემ გადაარჩინა. ეს მცირე ამბავი იმის საჩვენებლად მოვისხენიეთ, თუ როგორ ჰმოქმედებდა გარიბალდი ბრძოლის დროს და როგორ არა ჰოგავდა თავის თავს.

გარიბალდიმ მტრის იერიში შეაჩერა. ამდროს მალენკინიმ თავისი ახალგაზლა ჯარის კაცები შეაგროვა; მათ თავისი მამაცი ბელადის სივაუკეცის შერქვეთ, გაცოვებულ ლომებსავით ეცნენ მტერს და სოფლიდან გარეკეს. გარიბალდიმ მალენკინის უბრალა, რაც უნდა დამართოდა, აქ გამაგრებულიყო, და თითონ მიაშურა მარჯვენა მხარეს, რომელსაც ბრძოლის ბედ-ილბალი უნდა გარდაეწყვიტა. ბოსკოს ძალიან უნდოდა გარი-ბალდიელების ზღვისკენ განდევნა და ამიტომ მოელი თავისი მეშეელი ჯარი მარცხენა მხარეს მიაყენა, რომ ის სრულიად

დაემარცხებინა. გარიბალდი ამ დროს მარჯვენა მხარეს იყო. მან შეჰქრიბა თავისი ძველი და გამოცდილი ჯარის კაცები და ისეთის სისწრაფიდ დაეცა მტერს, რომ მან თავი ველარ შეიმიგრა და გაჰქურცხლა. ბოსკომ მეტი შებრძოლება ველარ გაჰვდედა. მოემწყვრა ნახევარ კუნძულზე, სადაც ქალაქი მიღაცო იყო და უბრძოლველიდ არსათ წასვლა იღარ შეეძლო. ბრძოლა კი იმის ჯარისათვის შეუძლებელი იყო: მან კარგად იცოდა, რომ საქმე თვით გარიბალდისთან ჰქონდა.

ორი დღის შემდეგ ბოსკო დაპირდისა და მიღაცოსთან ბრძოლა უკანასკნელი და თავ-გამომეტებული ბრძოლა იყო გარიბალდიელებსა და მეფის ჯართა შორის სიცილიაში. ამის შემდეგ ბურბონის მართველობამ გადასწყვიტა, კუნძულისაგან ხელი აეღო, რომ თავისი ხმელეთის ალაგები მაინც დაეცვა.

ამისთანა სულ-მოკლეობის გახაებად საჭიროა, ნეაპოლში საქმეების მდგომარეობაზე რაცდენიმე სიტყვა ითქვეს. გარიბალდის მართვალში გადმოხდომით, მისი მუდმივი გამარჯვებით, თვისი ჯარების დამარცხებით კალატაფანთან და ბოლოს პალერმოს აღებით შეშინებულმა მეფე ფრანჩესკო II-მ ყველა მეფეებთან ელჩები გაგზავნა. „თუ პირველი „ფლიბუსტირი“, — ამბობდა მეფე: — ჩემ ოლქებს ერთი-მეორეზე მართმეც, ნუ თუ ამან ყველა სამეფოები არ უნდა ჩააფიქრიანოს?.. და ნუ თუ ისინი თავის სარგებლობის გულისათვის ამ ავაზაკის საწინააღმდეგო ბრძოლაში არ უნდა მომეშველონ!“ მაგრამ ამის პასუხად ზოგი მხოლოდ გულმრიცვნელობას უცხადებდა მეფეს, სხვები კი მარტო მშვენიერ ჩემების აძლევნდენ.

ახალგაზდა მეფის ბედ-იღბალში დიდი მონაწილეობა მიიღო ნაპოლეონ მე-III-მ, რომელთანაც დე-მარტინო იყო გაგზავნილი. ეს გასაკვირალიც არ არის: სხვაზე ის უფრო ჩაეტროდა იტალიის საქმეებში, თუმცა ძალიან საეჭვო იყო — ფრანჩესკოს სარგებლობის გულისათვის იზამდა ის ამ საქმეს, თუ უფრო თავის საკუთარი სარგებლობისათვის. გარეშე მაყურებელი საფრანგეთის იმპერატორს ნეაპოლიტანის მეფის შესახებ კატის



მოქმედებას დასწამებდა, რომელიც თავის გაგუდვამდე შეთხოთ თავს იქცევს.

ნაპოლეონ III-მ, როგორც ეკროპის თაეისუფლების მფარველმა, რასაკვირველია, ახალგაზდა მეფეს ურჩია, რაც შეიძლება ჩქარა, თავის ხალხისათვის სხავა-და-სხვა შეღავათი მიენიჭებინა. რაც შეეხება ნივთიერ დახმარებას „ფლიბუსტირის“ წინააღმდეგ, იმან სხვებისავით მხარი აუქცია ამას, თუმცა კი ახალგაზდა მეფეს აიმედებდა.

18 თიბათვეს დე-მარტინო ამ გვარის რჩევებით და დაპირებით იტალიას დაბრუნდა.

რავდენიმე დღის შემდეგ ნეპოლის ყოველ კუთხეს მოჩანდა მეფის მანიფესტი, რომელშიაც ხალხს გამოცხადებული ჰქონდა ბეჭდური სიტყვის თავისუფლება, სხვა-და-სხვა შეღავათის ბოძება, ერის წარმომადგენელთა საკრებულო, პასუხის მგებელი მინისტრები, მაგრამ ხალხმა ამ მანიფესტს სრულიად ყურადღება არ ათხოვა, რადგანაც ბურბონების წინააღმდეგებმა მეფის მანიფესტის საპასუხოდ გამოუცხადეს ხალხს, მეფის მანიფესტში ითქმულ შეღავათებს ნუ მიენდობით და მხოლოდ გარიბალდის, როგორც იტალიის ერთად-ერთი მხსნელის, იმედი გქონდეთო. ხალხსაც ამ უკანასკნელების უფრო სჯეროდა. მას არც სიხარული, არც უკმაყოფილება არ გამოუმედავნებია. ზარბაზნების გრიალმა და მეფის წყალობის მახარობელმა—სამ ფეროვანმა ბაირალებმა, რომლებიც ყველა სახლებზე იყვნენ ამართული, ხალხზე ვერავითარი მოქმედება ვერ მოახდინა. მართლაც, რაც უნდა ჰქუა-ბეცი ყოფილიყო ადამიანი, მეფის ამ გვარ დაბირებებს მაინც ვერ დაიჯერებდა: ძველი წეს-რიგის მოშერებს უმაღლესი ადგილები ეჭირათ, ტ, როგორც სჩანდა, იმათ გამოცელას სრულიადაც არ უპირობდნენ; ძველებურად ყოვლად ძლიერი, აღმასრულებელი უფლება, მოქალაქეებს მაინცა-და-მაინც დიდად არაფრად ეთავაზიანებოდა, ასე რომ ხალხში უწესოებაც გამოიწვია. ძველ პოლიციას თავზარი დაეცა და თავს უშველა; მამართველმა აიოსამ საფრანგეთის გემს შეაფარა თავი. ქალაქი სამხედრო დროს შესაფერი წეს-რიგით იმართებოდა.

მაგრამ ამასაც არავინ უგდებდა ყურს, რადგანაც გაქცეული აიოსას ალაგის მმართველად ძველი ლიბრალი, ლიბორიო რომანო იყო დანიშნული. რავდენიმე მინისტრი სამსახურიდან გამოვიდა.

მაშინ დანარჩენმა მინისტრებმა იმ ცუდი შთაბეჭდილების გასაქრობლად, რომელიც სამინისტროს რიგიანი წევრების სამსახურიდან გამოსვლამ იქნია, მეფეს ორმცდა მერვე წლის კონსტიტუციის გამოცხადება ურჩიეს, რადგანაც ახალის შემუშავების დრო აღარ იყო. მეფე დათანხმდა და ისე ჩქარობდა, რომ ძველი, ორმოცდა მერვე წლის დადგენილება პირდაპირ გადმოადეჭვინა, ხელის მოწერის გამოცვლაც კი დავვიწყდა, ასე რომ კონსტიტუცია განვენებული მეფე ფერდინანდო II-ს სახელით იყო.

კონსტიტუციის ძალით ბეჭდური სიტყვის თავისუფლება იყო აღიარებული; მაშინათვე დაუწყეს გამოცემა რავდენიმე პატარ-პატარა გაზეთებს და ქუჩებში ჰყიდდნენ. მმართვებლობის მომხრე არც ერთი მათგანი არ იყო; ყველა დიდების გუნდრუქს უკმერდა გარიბალდის და ითალის შეერთებას ვიქტორ-ემანუელის მმართველობის ქვეშ ესწრაფოდა.

კონსტიტუციის ძალით სატახტო ქალაქში ეროვნული ჯარი დაარსდა. ფრანჩესკო II-ს ამის წინააღმდეგობა არ შეეძლო, მაგრამ მის ხელის შეშლას ყოველის ღონით ცდილობდა: ნახევარ მილიონ მცხოვრებ ქალაქში მხოლოდ 5,000 ჯარის კაცი იყო დანიშნული. იგივე კონსტიტუცია პარლამენტს თხოულობდა. საზოგადო არჩევნები ათ მარიამობისათვეს იყო დანიშნული. ამომრჩევლები უბნებში ჩაწერას არა ჩქარობდნენ. „რისთვის? — ამბობდნენ ერთნი, — ათ მარიამობისთვემდინ გარიბალდი უთუოდ ნეაპოლს იქნება და მაშინ მთელი ეს საქმეც გათავდება“. — „რის გულისათვის? — გაიძახოდნენ სხვები. — თუ გარიბალდი არ მოვიდა და ძველ მთავრობას ბოლო არ მოელო, ამომრჩევლების სიებს სულ აღვილად არა საიმედო პირების სიებად გარდააქციევენ.“



ამ გვარიდ ბურბონის მართებლობას ყოველგარშა ცდაშ ამაოდ ჩაუარა. საქმის მდგომარეობა კი თან და თან საშიში ხდებოდა. გარიბალდი სიცილის აღმოსავლეთს უახლოვდებოდა და კალაბრიაში გადასვლის განზრახვას არა ჰმალავდა. ნეაპოლის ლაცარონები,—ხალხი ზარმაცი და უდარდელი ჩეეულებრივ დროს, მაგრამ გასაჭირში მეტად მარჯვე, —სატახტო ქალაქის ქუჩებში გაიძახოდნენ: „აი გარიბალდიმ პალერმოში პურზედ და მაკარონზედ ფასი ერთბაშად ასწია; დროა, ნეაპოლსაც მოვიდეს და იგივე ჰქმნასო.“

ფრანგებსკო II-ის მდგომარეობა მეტად უიმედო იყო. ამ დროს მას მოულოდნელად გაუწოდა საშველად ხელი კაულრმა, რასაც ის სრულიადაც არ მოიფიქრებდა.

მეფის მანიფესტის ერთ-ერთ მუხლად პიემონის მთავრობასთან მეგობრული შეკავშირების დაპირება იყო. ამ მიზნით გილასწყვიტეს გაეგზავნათ იქ ელჩებად მანნა და ეინსპირი; მათი მოვალეობა საფრთხილო იყო: მეგობრული კაუშირი უნდა შეეკრათ იმ მთავრობასთან, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ ერთი პირის დალებით ნეაპოლის მთელ სამფლობელოს სულ ადვილად გადაჰყობავდა. მაგრამ მეფე ფრანგებსკოს ელჩები კაულრმა დიდის პატივისცემით მიიღო, რამაც ისანი მეტად გააკეირვა.

რას მოასწავებს ეს?

საქმე ის არის, რომ მთელ თავის მტრობისა და შუღლის მიუხედავად კავურს ფრანგებსკო მეორის მთავრობასთან ხაერთო ისა ჰქონდა, რომ ორივეს გარიბალდი სინსილას უწყვეტდა. კავურის ერთად-ერთი საგონებელი ნეაპოლის ოლქების პიემონის სამფლობელოებთან შეერთება იყო; მაგრამ მას უნდოდა შეერთება თვისი სადესპანო კრიმინულებით და ოსტატობით მოეხდინა და არა იმ „სათოვეს“ შემწეობით, რომელიც მხოლოდ მის ღრმა აზროვან გეგმებს და ანგარიშებს ხელს უშლიდა. კავურმა ნეაპოლის სახახლეში არა ერთი ხრიკები დააგო, რომ სასახლის პატარა შინაური ამბოხება აეტეხა ნეაპოლში და ფრანგებსკო II-ს მაგიერად ვიქტორ-ემანუილი და-

ესვა. ამისთანა განზრახვის აღსასრულებლად დრო იყო საჭირო და ამისათვის კი გარიბალდის ძლევა-მოსილი მოქმედების შეჩერება იყო საჭირო. ბურბონის მმართველობასაც ხომ ეს უნდოდი სულითა და გულით.

აი კავურმა მეფე ფრანგესკოს ელჩები რად მიიღო ასე თავაზიანად. რა უნდა მოქმდინათ ამ გასაოცარ მექანიზმებს თავისი საერთო მიზნის მისმლწევად?

დაეგოთ ხრიკები თვით სიცილიაში გარიბალდის წინააღმდეგ? კავურმა, დიდი ხანია, ეს საშუალება გამოსცადა; ჯერ კიდევ შეუა თიბათეეში, ესე იგი ერთი თვის წინედ, მან გარიბალდის კისერზე ორი კაცი მოახვია: პირველი, უფრო უდანაშაულო, მარკიზა ტორეარსა პალერმოს 13-ს მოვიდა; მეორე, მეტად გესლიანი, ლა-ფარინა თექვსმეტს გადმოხდა. გარიბალდიმ ორივე მეგობრულად მიიღო. ორივე სიცილიელები იყვნენ და მასთან გარდახვეწილები. გარიბალდიმ ტორეარსა მაშინვე მინისტრების კრებულთა პრეზიდენტად დანიშნა, მაგრამ ორივე გარიბალდის ყველაზე უფრო ეწინააღმდეგებოდნენ, იმიტომ რომ სიცილიის პიემონტთან შეერთება უნდოდათ,—ტორეარსას ზოგიერთი პირობებით, ფარინას—სრულიად უპირობოდ. ამ გვარად მუშაობდნენ კავურის რამდენიმე სხვა წვრილმანი მომხრები. ამ მუშაობის შედევრმა მალე იჩინა თავი.

ოც და სამ თიბათვეს პალერმოს საკრებულო ჰერცოგ ვარდურას მეთაურობით გარიბალდისთან მოვიდა, რომ პალერმოს საპატიო მოქალაქის ხარისხი მიერთმიათ და სიცილიის ხალხის მაგიერ მადლობის შესხმა წაეკითხათ. ეარდურამ, როგორც ამალის მჭევრ-მეტყველმა, სულ იმის შესახებ ილაპარაკა, რომ სიცილიას ვიქტორ-ემანუილის სამფლობელოსთან შეერთება სწყურიაო.

გარიბალდიმ, რომელსაც ლა-ფარინის გაიძვერაობა საყოფად მოსწყინდა, ამ შემთხვევით ისარგებლა, რომ თავისი აზრი შეერთების შესახებ გადაჭრით წარმოეთქვა; მას ორ-აზროვანი სიტყვები სძულდა და მითქმა-მოთქმის სამუდამოდ მოსპობა უნდოდა.



— მე ვიქტორ-ემანუილს ყოველთვის ერთად-ერთ შეფერდ ვრაცხდი, — უპასუხა გარიბალდიმ, — რომელსაც თავისუფლების ქვეშ მთელი იტალიის გაერთება შეუძლია. ამ საქმის დაწყების დროს მე თითონ გავიძახოდი: იტალია და ვიქტორ-ემანუილი. პირდაპირ გეუბნებით: მე მოვედი, რომ მთელი იტალიისათვის ეიბრძოლო და არა მარტო სიცილიის გულისათვის.

სამშობლოს ყველა დაქსაქსული და დაწიოკებული ნაწილები უნდა შევაერთხორცო. აი ჩემი ლაშქრობის მიზანი. სანამდის ეს არ განხორციელდება, არასფრით არ შეიძლება, როგორთი პროვინციის საქმე მთელი იტალიის საქმეს ჩამოვაშორო, დღეს რომ მარტო ერთი სიცილია შევუერთოთ, კუნძულზე სხვები დაიწყებენ ბრძანებლობას და ბატონობას, მაშინ მე ჩემ დანიშნულებას ვერ შევასრულებ და მიზნის მიუხსევლად უნდა თავი დავანებო.

კავური დამარცხდა, გარიბალდისთან აშკარა ბრძოლა, როდესაც მან ასე ნათლად გამოხატა თავისი აზრი, შეუძლებელი იყო, ტორეარსა და რავდენიმე კავურის მომხრე მინისტრი სამსახურიდან გამოვიდნენ. სალამოს მთელი ქალაქი ჰყორთდა: „გაუმარჯვოს დიქტატორს; მინისტრები არ გვინდა!“ ამგვარად კავურს არ შეეძლო, მეფე ფრანგესკო II-ს ელჩებისათვის სიცილიის საქმეში თვისი სამსახური გაეწია. მაგრამ კავურს ძალიან უნდოდა, რითიმე ელჩების გული მოეგო, რადგანაც ისინი თავის მეფის სახელით პირდებოდნენ კუნძულიდან მეფის ჯარის წაყვანას და ფოლმარულად კუნძულის პიემონის მმართველობისათვის დათმობას. იმაზედ უკეთეს რამეს თვით კავურიც ვერ მოიგონებდა; მას უნდოდა, ყოველგვარ სადაც სპანია შეფერხებას გაჭრებულდა, რაც ნაძალადევი შეერთების დროს შეუძლებელი იყო. ამ გარემოებას კი ის წმინდა და უდანაშაულო გამოჰყავდა: მეფე ფრანგესკო თითონ აძლევს მას საჩუქრად კუნძულს, ის კი მხოლოდ საჩუქარს იღებს. ამას გარდა ეს გარემოება ნეაპოლის სასახლეში იმის ხრიკებს და ერთგულ მუშაობას უტყუარ გამარჯვებას უქადდა. მაგრამ როგორ დაეყოლიებინა ის „სათოკე“? როგორ

აიძულებდა გარიბალდის ლაშქრობის გაგრძელებისათვის თავი დაენებებინა და თავის საქმის დაბოლოება პიერონტის პირველი მინისტრის ბრძნულ მზრუნველობისათვის მიენდო? კავურმა მიჰმართა უკანასკნელ საშუალების, რომელიც მას კიდევ დარჩენდა. მან დაარწმუნა მეფე ჭიქტორ-ემანუილი, საკუთარის ხელით გარიბალდისათვის წერილი მიეწერა.

მან მართლაც შემდეგი მისწერა:

„გენერალ! თქვენ იცით, რომ მე თქვენი ლაშქრობის მომხრე არ გიყავი და მას სრულიად გარეშე პირსავით ვუყურებდი; მაგრამ მძიმე გარემოება, რომელშიაც ეხლა იტალია არის, მაიძულებს, პირდაპირ თქვენ მოვგართოთ. თუ ნეაპოლიტანის მეფე მთელ თავის ჯარს სიცილის მოაშორებს, მის შესახებ ყოველ გვარ უფლებაზე ხელს აიღებს და სიცილიელებს თავის სურეილისამებრ მმართველობის ამორჩევის ნებას მისცემს—მაშინ ჩემის ფიქრით ჩვენის მხრივ საუკეთესო იქნება, ნეაპოლიტანის სამეფოს წინააღმდეგ მტრული მოქმედება შევწყვიტოთ. თუ აღმოჩნდება, რომ თქვენ სხვა აზრისა ხართ, მე მაშინ ხელთ მაქვს სრული უფლება, ვიმოქმედო ისე, როგორც ჩემის აზრით უშჯობესი იქნება. და ყოველ გვარ განმარტებაზე ამ საგნის შესახებ ხელს ვიღებ?“ ამ წერილით კავურმა უკანასკნელად სცადა გარიბალდის შეჩერება. მასში დაფარული მუქარის აზრი ძალიან ნათელი დასანახი იყო და იტალიის ხალხის საყვარელი ბელადი მან ვერ გააჩერა.

გარიბალდიმ უპასუხა.

— მეფე! თქვენდამი პატივის ცემის და ერთგულების დამტკიცება, მგონია, არა მცირია, მაგრამ მამულის ეხლანდელი მდგომარეობა ნებას არ მაძლევს, რომ თქვენს ბრძანებას დავემორჩილო, თუმცა სულითა და გულით მინდა. მე მომიხმო იტალიის ხალხის ხმას; სანამდის შესაძლებელი იყო, ვიცდიდი. ეხლა რომ შეეჩერდე, ამით ჩემს მოვალეობას და სამშობლოს განთავისუფლების წმიდა საქმეს ვუღალატებ. ნება მიბოძეთ, მეფეო, ამ გვარ შემთხვევაში არ დავემორჩილოთ; რა წამსაც ჩემ მოწოდებას შევასრულებ: მამულის განთავისუფლებას და-


ვამთავრებ, მყისვე ჩემს მახვილს ჩაგაბარებთ და უკანასკნელ
სულის აღმოფშვენამდე თქვენი მორჩილი ვიქნები.

ჯუშებე გარიბალდი.“

ამ წერილის შემდეგ დიქტატორი ნეაპოლზე გალაშქრებას
უფრო გულმოდგინედ მოემზადა. და შუა მარიამობისთვეს
1860 წელს მესსინის სრუტეზე გადვიდა, რეჯიოს ახლოს, და
ნაპირზე გადმოხდა.

მის ურიცხვ შეჯახებას და გამარჯვებას, იერიშებს, თავს
დასხმას და მტრის დამარცხებას თავი დავანებოთ; გადვიდეთ
პირდაპირ ნეაპოლის ახლოს ბრძოლის ველზე, სადაც მეფე
ფრანგისკომ მთელი თავისი ჯარი შეკრიბა, რომ ერთის ბრძო-
ლით თავისი სვებელი გარდაეწყვიტა — ან ქვეყნის საუკეთესო
კუთხის მეფედ დარჩენილიყო, ან უსახლ-კარო ღარიბად გამხდა-
რიყო.

(დასისრული შემდეგ წიგნში)



დამონაგული

რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან

ივ. განვითა

XI*)

მღეღვარება რადასა

რადა ჰაჯი როვოამასთან სცხოვრობდა. მაღალი, ტანადი და ლამაზი ქალი იყო. გულკეთილი და ფერმკრთალი სახე ჰქონდა, შავი თავიჩითი ესურა, რომელიც მისს ფერის სიმკრთალეს უფრო აჩენდა. ჯერ სულ პატარა იყო, რომ დაობლდა. მას აქეთ ჰაჯი როვოამამ აიყვანა აღსაზრდელად და მასთან ერთად ერთს ჭერს ქვეშ სცხოვრობდა კარგა ხანს. მერე მისმა პატრონმა ქალმა თანაშემწედ გაიხადა, ესე იგი, სამოლოზნოდ დაუწყო მზადება და შავი ტანისამოსი ჩააცვა. უკანასკნელ ხანს რადა მასწავლებლად იყო,—საქალებო სასწავლებლის პირველ კლასში ასწავლიდა ბავშვებს და ამისთვეის წლიურად ათას გროშს იღებდა.

რადა სულის შემხურეველ სენაკში იზრდებოდა. ყოველს მისს ნაბიჯს ბებერი ჭორიკანა როვოამა თვალყურს ადევნებდა; ერთი თავისუფლად ამოსუნთქვა არ ახსოვდა ამ გულქვა დედა-კაცის ხელში, რომელსაც თავისდღეში არ გამოუცდია სიტყბო დედობრივის წმიდა გრძნობისა. ჰაჯი-როვოამას ვერც კი წარ-

*) იხ. „მომზე“ 1898 წ. №№ XI და XII.



შოგდგინა, თუ შესაძლებელი იყო უფრო ლმობიერად ადამიანურად მოქცეოდა რადას. მთელი მისი აზრი და გონება კორებსა და სხვის კილვას უნდებოდა და იმის დროც კი არა ჰქონდა შეენიშნა, რომ მისი მტარვალური ქცევა რადა-სათვის დღითი-დღე აუტანელი ხდებოდა; ვერ ამჩნევდა, რომ რადას რაც უფრო ელვიძებოდა ადამიანურის ლირსების შეგნება, უფრო მეტის სიძულვილით იმსპეალებოდა მისდამი. ჩვენ უკვე დივინახეთ, რომ პაჯი როვომა უბოდიშოდ იმსახურებდა რადას, უკვე დიდ ქალად ქცეულს, თავის ძმის იურდანის დღეობაზე.

უკანასკნელ დღეებში რადა ბევრს მეცადინეობდა შეგირ-დებთან, ამიტომ რომ წლიურ ეგზამენების დღე ახლოვდებოდა. ბოლოს, ეს დღეც დადგა. დილა ადრიანა დაიწყეს სკო-ლაში მოწაფე ქალებმა და მათმა დედებმა დენა. ამ დღისა-თვის უკველანი პეპელებსავით დართულიყვნენ.

წირვა გამოვიდა და კვლავინდებურად ხალხით გაიგხო სკოლა, რომ უკველას ენახა, ბავშვები როგორა სწავლობდენენ. კარები, სარკმლები და მასწავლებლის კათედრა ლაშაზ გვირ-გვინებით მოერთოთ, ხოლო წმ. კირილეს და მეთოდეს ხატი ვარდებისა, სხვა სურნელოვან ყვავილებისა და ბზისა და ნაძეის მწვანე ტოტებისაგან გაკეთებულ მშვენიერ ჩარჩოში იყო ჩა-სმული. ქალებმა შერხები დაიჭირეს, ხოლო დანარჩენი ადგი-ლი—სტუმრებმა: უფრო საპატიო პირნი წინ დადგნენ, ზოგნი სკამებზე დასხდნენ კიდეცა. მათ შორის იყვნენ ჩვენი ნაცნო-ბებიცა. რამდენსამე საპატიო სტუმარს კიდევ მოელოდნენ და იმათი სკამები ცარიელები იდგა.

რადა თავისს მოწიფეებს თავ-თავის ილაგისა სხამდა დარ-ცხვენილი და თან უკველას დარიგებას აძლევდა. ეგზამენების მოლოდინში მისს სახეს მღელვარება ეტყობოდა, დილი უუშუნა თვალები საუცხოვოდ ჰშვენილდა და ერთობ მისი ყურება მეტად საამო იყო. ლოყები ხან აუკვერდებოდა, ხან ისევ მკრთალი ფერი გადაჰკრავდა,—ეტყობოდა, რომ გული უფანცქალებდა. ჰერძნობდა, ცნობის-მოყვარე სტუმრები სულ მე მიყურებენო

და რცხვენოდა, სითამამე ჰდალატობდა. მავრამ უფროსმა მასწავლებელმა ლაპარაკი დაიწყო თუ არა, ხალხის ყურადღება მიიპყრო, მაშინ რადასაც გულზე ეჯონა და ხალხს უფრო თამამად შეხედა; რომ დაინახა, სტეფანევი არ არისო, საშინლად გაუხარდა და გათამამდა. სანამ უფროსი მასწავლებელი სი-ტყვას ამბობდა, მთელს დარბაზში სიჩუმე იყო გამეფებული.

ჯერ პირველ კლასელების გამოცდას შეუდგნენ. მასწავლებელ კლიმენტის გულკეთილმა და მშვიდობიანმა სახემ, მისმა ტკბილმა სიტყვებმა მოწაფე ქალები გაამხნევა. ქალების პასუხს რადა გაფაციცებით უგდებდა ყურს და, ერთი ბეჭო რომ წაებორიძინა რომელსამე, მაშინათვე უსიამოვნება აღებეჭდებოდა სახეზე. ქალების წყრიალა ხმებს, მათს ვარდის-ფერ ბაგე-ტუჩებს უნდა გადაეწყვიტნა რადას ბედი და იღბალი. თავის ბრწყინვალე ოვალებით ამხნევებდა, ღიმილით ათამამებდა და ასე იტყოდით, მზადაა, მთელი თვისი სული შთაბეროს ბავშვებს ამ ათროთოლებულ პაწაწა ტუჩებშიო.

კარებთან ხალხმა გაიწია და ორი დაგვიანებული სტუჩები შემოუშვა. ორივე ჩუმად დასხდნენ თავისს სკამებზე.

რადამ აიხედა. ერთი მათგანი, უფროსი, ჩორბაჯი მიჩო იყო, სასწავლებლის მზრუნველი, ხოლო მეორე—კირიაკ სტეფანევი. მკრთალი ფერი გადაეფინა სახეზე რადას. თავს ძალას ატანდა და ცდილობდა არ შეეხედნა ამ არა სასიამოვნო კაცისათვის, რომელიც აშინებდა და სირცხვილში აგდებდა.

კირიაკ სტეფანევმა თავი დაუკრა ზოგიერთს სტუმრებს, მხოლოდ სოკოლოვს, თავისს მეზობელს, არ მისცა სალამი. ექიმს იმისკენ არც კი მიუხედნია.

სტეფანემა ფეხი ფეხზე გადაიდო და ქედმაღლურად დაიწყო იქით-აქეთ ყურება. ბავშვების პასუხს ხეირიანად არც კი უგდებდა ყურს, უფრო ხალხისაკენ იყურებოდა, სადაც ლალკა იურდანოეისა ეგულებოდა. მხოლოდ ერთი-ორჯელ მრისხანედ და ზიზლით შეუბლებირა რადას.

მასწავლებელმა კლიმენტმა ხელში წიგნი დაიკირა, მივიღა მიხალაკი ალაფრანკასთან და უთხრა, ქალებს ჰკითხე რამეო.

მიხალაკიძის უარი სთქვა, მე ფრანგულიდან გამოვცდი ბავშვებსათ.
 კლიმენტი მარჯვნივ მობრუნდა და ახლა სტეფანესა სთხოვა-
 ბავშვებისათვის რამე ეკითხნა. სტეფანემა წიგნი გამოართვა-
 და სკამი უფრო ახლო მიიღება.

ხალხში ჩურჩული შეიქმნა. ყველამ კირიაკს დაუწყო-
 ყურება. ბავშვებს ბოლგარეთის მოკლე ისტორიასა ჰქითხავდნენ.
 სტეპანემა წიგნი მაგიდაზე დასდო, თითო შუბლზე მოისვა,
 თითქო ჰქია უნდა გაიღიძოსოსო, და ხმა მაღლა რაღაცა ჰქითხა-
 ბავშვს. ქალი ხმას არ იღებდა. მისი მრისხანე სახე გულს უხე-
 თქავდა საცოდავს ბავშვს, ისე დაიბნა, რომ ისიც დაავიწყდა,
 რა ჰქითხა კირიაკმა და საცოდავად უყურებდა რადას, თითქო
 შევლასა სთხოვსო. სტეფანემა კითხვა-განიმეორა. ქალმა მაინც
 არ ამოიღო ხმა.

— წავიდეს, — გულცივად უთხრა კირიაკმა მასწავლე-
 ბელს, — მეორეს გამოუძახეთ.

გამოვიდა მეორე ქალი, იმასაც ჰქითხა სტეფანემა; ქალს
 ესმოდა, რაც ჰქითხეს, მაგრამ ვერ მიხვდა და მუნჯსავით გა-
 ჩერდა. სდუმდა ხალხიცა, რომელიც რაღაც უხერხულს მდგო-
 მარეობაში ჩაგარდა და როგორლაც იტანჯებოდა. ქალი ხელ-
 ფეხ შეკრულსავით იდგა; პაწაწუნა თვალებზე ცრემლები მოუ-
 გუბდა, მაგრამ ცრემლის გადმოგორებას კი ვერა ჰბედავდა.
 სტეფანემა ამრეზით შეხედა რადას და ჩილაპარაკა:

— ეტყობა, ძალიან გულაცრუებით უსწავლებიათ. ერთს
 კიდევ გამოუძახეთ. — რადამ მილეულის ხმით წარმოსთქვა ერთის
 ქალის სახელი. მესამე შაგირდმა სულ სხვა უპასუხა: სტეფა-
 ნეის კითხვა ვერ გაიგო.

სტეფანეს ქალმა რაკი თვალებში შეატყო, არ მომიწო-
 ნაო, ჯერ გაიკერვა, მერე უიმედოდ მიიხედ-მოიხედა. სტეფ-
 ანემა სხვა რამე ჰქითხა. მეორე კითხვაზე ქალმა სულ ვერა-
 ფეხი უპასუხა. შიშმა სრულებით არია, გაფითრებული ტუჩები-
 აუკანკალდა, ერთბაშად დაიღრიალა, გაიქცა და დედის გვერ-
 დით დაიმალა.

ყველანი შესწუხდნენ.

ხალხმა ვეღარ მოითმინა ასეთნაირად ტანჯვა საცოდავის ბავშვებისა და ჩოჩქოლი შეჭმნა. გაოცებულნი მაყურებელნი ერთმანერთს უცქეროდნენ, თითქო ეკითხებიან: „არა ამბავიაო“?

ხელახლა სამარებრივი სიჩუმე ჩამოვარდა და ყველამ წინ დაიწყო ცქერა: აქამდე განზე მდგარი ბოიჩო ოგნიანოვი წინ წამოდგა, მიუბრუნდა სტეფჩოვს და მკვახედ და გაბედულად უთხრა:

— მოწყალეო ხელმწიფევ,—პატივი არა მაქვს თქვენის ცნობისა,— მაგრამ მაპატივეთ: თქვენს ბუნდა და განყენებულს კითხვებზე პასუხის მოცემი მეხუთე კლასის მოწაფესაც გაუჭირდებოდა. ბავშვები როგორ არ გეცოდებათ?— მერე მობრუნდა რადასაკენ და ჰქითხა:— ქალბატონო, ხომ მომცემთ ნებას მე ვკითხო? — ეს რომ უთხრა, ოგნიანოვმა სთხოვა გამოეძახნა ერთ იმ ქალთაგანისათვის, რომელიც უკვე გამოახებინა სტეფჩოვმა.

ოგნიანოვმა ქალს იგივე ჰქითხა, რაც სტეფჩოვმა, მაგრამ ისე მოხერხებულადა ჰქითხა, რომ ქალმა მაშინათვე უპასუხა. ბავშვების დედებს გულზე მოეშვათ და მადლიერის თვალებით შეხედეს უცნობს კაცს. ყველა იმის სახელსა ჰქითხულობდა და ყველა იხსომებდა.

გამოუძახეს შეორე ჩაჭრილ ბავშვსაც, იმანაც გვარიანად მიუგო. ამის შემდეგ, სტეფჩოვის მიერ ზაშინებული ბავშვები გამხნევდნენ და ერთმანერთს არ აცდიდნენ, არა მე გავალ წინ და უკასუხებ ამ კეთილ კაცსაო, არა მეო.

რადას სიზმარში ეგონა თავისი თავი. საშინელი მდგომარეობა სამოთხის ნეტარებად შეეცვალა. სიხარულისაგან გული აუჩუყდა, თანაც უკვირდა, ამიტომ რომ ასეთს ბელნიერებას ირც კი მოელოდდა და მადლიერის თვალებით უყურებდა ამ სულგრძელ აღამიანს, რომელიც ასეთის გაჭირვების დროს მიეშველა. რადა პირველადა ჰქითხავდა კაცს, და ისიც უცნობს, რომელიც ასე ძმურად მოჰქცეოდა. „არა, ამ კაცზე როგორ



ამბობენ, ოსმალების ჯაშუშიაო? — გაიფიქრა რადამ. უხეროვნება, რომ ამ უცნობმა სტეფჩოვი ჭიათურით გასრისა და მის წინ მფარეველ ანგელოზსაცით იდგა. რადას გამარჯვებულად მიაჩნდა თავი. თავისსა და სხვის თვალში რადა ისევ ამაღლდა, ფასი დაედო, მედიდურად და ბედნიერად უყურებდა უველას და ატყობდა; უველანი მეგობრულად თანამჩგრძნობენ, უველას ვებრალებით. არ იცოდა, როგორ გადაეხადნა მაღლობა ამ კაცისათვის და მზად იყო სიხარულისაგან. ეტირნა კიდევა.

გამოუძახეს მესამე ქალსაც, რომელმაც სტეფჩოვს ვერაფერი მიუვო. ოგნიანოვმა ჰყითხა: — რაინა, მითხარი, როცა ბოლგარელები მოინათლნენ და ქრისტიანობა მიიღეს, მეფედ ვინა ჰყავდათ? — ეს რომ უთხრა, ტკბილად შეხედა ბავშვის ჯერ ისევ ცრემლებისაგან დანამულ თვალებს. გოგონა ცოტათი დაფიქრდა, გააღო პატარა ტუჩები, და მოისმა წვრილი, მკაფიო და ტოროლას ხმასაცით წკრიალა ხმა:

— ბოლგარეთის მეფემ ბორისმა მონათლა უველა ბოლგარები.

— აბა ყოჩალ, ბარაქალა! ახლა ის მითხარ, ბოლგარული ანბანი ვინ მოიგონა?

ამაზე პასუხის მიცემა ცოტათი ეძნელა გოგონას; დაფიქრდა, მერე პასუხის მიცემა მოინდომა და ისევ შედგა, — ყოყმობდა, ვუთხრა თუ არაო; შერცხვა.

— ჩვენებური ან, ბან, რაინა, პირველად ვინ დასწერა? — მიეშველა ოგნიანოვი.

გოგონას თვალები გაუბრწყინდა; ხმა არ ამოულია ისე იდაყვამდე შიშველი ხელი მოწყალედ მოყურე წმ. კირილე და მეთოდეს ხატისაკენ გაიშვირა.

— ჰო, ჰო! წმ. კირილე და მეთოდე, — უთხრეს რამდენმამე კაცმა ერთად წინა რიგიდან.

— გაიხარდე, რაინა! წმიდა კირილე და მეთოდეს მაღლმა დედოფლობა *) მოგანიჭოს, — მიაძახა გულაჩვილებულმა და გახარებულმა მღვდელმა სტავრომ.

*) ბოლგარლებს ერთი დედოფლი ჰყავდათ, რომელსაც რაინა ერქვა.

— ბარაქალა, რაინა! ახლა წადი, გეყოფა! — უთხრა ბეჭუნის აკანის აკანის აკანის.

გახარებული რაინა დედისაკენ გაიქცა. დედამაც ხელი მო-
ხვია, მხურვალედ, გულში ჩაიკრა და სახე დაუკოცნა.

ოგნიანოვს უნდოდა ისევ ხალხში გარეულიყო და მასწავ-
ლებელ კლიმენტის, ის იყო, წიგნი გადასცა.

— ბატონო, ჩვენს სტანკასაც ჰკითხეთ რამე! — გააჩერა
ჩორბაჯი მიჩომ. მის წინ იდგა ცოცხალი, ქერა თმიანი გოგო-
ნა და თამამად უყურებდა თვალებში. ოგნიანოვი გაჩერდა.

— სტანკა, რომელმა მეფემ განათავისუფლა ბოლგარები
ბერძნების მონობისაგან?

— ოსმალების მონობისაგან ბოლგარები განათავისუფ-
ლა... — შეცდომითა სთქვა ქალმა. ჩორბაჯი მიჩომ სიტყვა გაა-
წყვეტინა:

— სტანკა, გაჩერდი! შენა სთქვი, გენაცვალე, რომელმა
მეფემ განათავისუფლა ბოლგარები ბერძნების მონობისაგან,
ოსმალების მონობისაგან რომელი მეფე განათავისუფლებს, —
ის ჩვენც ვიცით...

— რაც ღვთის განგებაა, უეჭველად ასრულდება! — სთქვა
მღვდელმა სტავრომ.

ჩორბაჯი მიჩოს მიერ გულუბრყვილოდ ჩამატებულ სიტ-
ყვებზე ზოვიერთმა გულკეთილად გაიღიმეს. დარბაზში ჩურ-
ჩული შეიქმნა და სიცილი აუტყდათ.

სტანკამ კარგად ვერ გაიგო მამის ნათქვამი და ხმამალლა
უპასუხა:

— ბერძნების მონობისაგან ბოლგარები განათავისუფლა
მეფე ასენმა, ხოლო ოსმალების მონობისაგან განათავისუფლებს
რუსის მეფე ალექსანდრე!

სტანკის სიტყვების შემდეგ დარბაზში სამარისებური სი-
ჩუმე ჩამოვარდა. ზოგთ შიში და გაოცება გამოეხატათ სა-
ხეზე. ყველამ მაშინალურად რადას დაუწყეს ყურება. რადა



სულ გაწითლდა, აირია და თავი ძირს დახარა; მღელვაზებმას ამა გული მძიმედ აუდიოდ-ჩაუდიოდა. ზოგი საყვედურის სახით უყურებდა, ზოგი კმაყოფილად, მაგრამ ყველანი კი რაღაც უხერხულ მდგომარეობაში ჰქონდნენ თავსა. ამ ნახევარ საათის შინ დამცირებულმა და შერცხვენილმა სტეფჩოვმა ისევ აიმაღლა თავი და გამარჯვებულსავით დაიწყო ყურება. ყველამ იცოდა, რომ სტეფჩოვი ძალიან დაახლოვებული იყო ბეისთან, აგრეთვე ისიც იცოდნენ, თუ რა ერთგული იყო ოსმალებისა, ამიტომ, ცდილობდნენ მის სახეზე ამოეკითხნათ, რასაც ჰყიქრობდა. მართალია, პირველად ყველამ თანაუგრძნო რადასა და ოგნიანოვს, მაგრამ ეს თანაგრძნობა ახლა თანდათან გაჰქირდა და ის კი არა, წყრომისა და დრტვინების ხმაც კი გაისმა ხალხში. სტეფჩოვის მომხრენი ნიშნს უგებდნენ რადასა და ოგნიანოვს და ხმამაღლა აუხადებდნენ თავიანთ უქმაყოფილებასა, ხოლო მასწავლებლის მეგობრები შშიშარებებსავით სდუმდნენ და ხმას არ იღებდნენ. მღვდელს სტავროს საშინლად შეეშინდა თავისის მოუფიქრებელის სიტყვებისა და გული-გულში „მიწყალე მე, ღმერთო“-ს ლოცვა დაიწყო. ქალები სულ ცეცხლს იკიდებდნენ. ყველაზე მეტად ჰაჯი როვოამა ჰყაბასობდა. ჯერ კიდევ სტეფჩოვის ადრინდელი შერცხვენა არ დაჰვიწყნოდა და და ახლა კიდევ ასეთის ამბის მოწამე შეიქნა! ამიტომ, რომ გაეშვათ, რადასა და ოგნიანოვს შუაზე გაჰვლებდა. ოგნიანოვს ხმა-მაღლა დაუძახა, „მეამბოხე“ ხარო, ის კი დაავიწყდა, რომ ამ რამდენისამე დღის წინად ამავე კაცის შესახებ ყველას უთხრა, თსმალების ჯაშუში არისო. მაგრამ ამ ხალხში რადასი და ოგნიანოვის მომხრენიც ერივნენ. გინკა დიამანდიევმა პირდაპირ, მოურიდებლად დაიყვარა:

— ნეტავ ვიცოდე, ასე რამ შეგაშინათ? ამ ქალმა ქრისტე ხომ არ აცვა ჯვარზე? სიმართლე სთქვა, სხვა ხომ არაფერი მეც ვაშეობ, რომ ჩვენ მხოლოდ იღესანდრე ხელმწიფე გაგვათავისუფლებს.

— ხმა ჩაიწყვიტე, შე ხატის გივო! — ჩურჩულით ეუბნებოდა ძალზე გულ-გახეთქილი დედა ჰატარა მოწაფე ქილისა-

სტანკა კი მთლიად დაბნეული იდგა. მამისაგან და სხვა სტუმენ-ბისაგან, ვინც ჩვენს სახლში დადიან, ყოველდღე ის მესმის, რაც ახლა აქა ვსოდებით, და, ნეტავ, ვიცოდე, ასე უცნაურად რად დაიწყეს ჩურჩულიო?!

სტეფანი ადგა, ტანში გასწორდა, მერე მიუბრუნდა წინა რიგზე მჯდომთ და რიხით უთხრა:

— ბატონებო! აქ მისის დიდებულების სულთანის საწინა-აღმდეგო, სარევოლიუციო აზრებს აერცელებენ. არ შემიძლიან აქ დავრჩე და ამიტომ მიედივარ!..

ნერო პირონკოვი და ორი საში კიდევ სხეა უკან გაე-დევნენ სტეფანისა.

ცოტა ხნის უკან ყველანი დამშვიდდნენ, — რა მოხდა ისეთი, რომ ამდენი ამბავი აესტეხოო! „ბავშვეს, — ამბობდნენ ზოგნი, — გამოუცდელობით, რავდენიმე უადგილო, თუმცა მარ-თალი, სიტყვები წამოსცდა. მერე რა ვუყოთ?“ დარბაზში ისევ სიჩრდე ჩამოვარდა. ოგნიანოეს ისევ ალერსიანად დაუწყეს ყურება: მის მხარეზე იყვნენ ყველა დედები შევირდებისა და ყველა პატიოსანი სტუმრები, ასე რომ იმ დღის გმირი შეი-ქმნა.

ისევ განაგრძეს ბავშვების გამოცდა და წესი-რიგი ერთს წამსაც არ დარღვეულა. ბავშვებმა გამოცდის გათავებისას სიმღერა სთქვეს და ხალხი წავიდ-წამოვიდა.

როცა ოგნიანოვი რადასთან მიეიდა გამოსამშვიდობებლად, ახალგაზდა მასწავლებელმა ქალმა ალელვებულის კილოთი უთხრა:

— სულითა და გულით გმადლობთ, ბატონო ოგნიანოვო, ჩემისა და ჩემის მოწაფეების მხრივ! თქვენი ამაგი ჩემს სიცო-ცხლეში არ დამაიწყდება. — და ქალმა თავის მშვენიერ და დიდრონ თვალების სხივები შეიფრქვია ყმაწევილ კაცსა.

— მე თვითონ ვიყავი ერთ დროს მასწავლებლად და იმიტომ მიგიხვდით გაჭირვებას. მოგილოცაეთ გამარჯვებას, მშვენიერად გისწავლებიათ ბავშვებისათვის, — უთხრა ოგნია-ნოვმა და ქალს ხელი ჩამოართეა მაგრად.



ოგნიანოვი გავიდა. იმის წასელის შემდეგ მასწავლებელ
ქალთან სხვის ტუმრები მივიღნენ გამოსამშეიღობებლად, მაგრამ
რადა ვერავისა ხედავდა.

xii

ბოაჩო ფინიანოვი

კრალიჩის ახალმა მეცობრებმა საზოგადო კრებაზე გარდა-
სწყვიტეს, ამ ქალაქში იცხოვრე, ნურავის ნუ ემალები და ბოიჩო
ოგნიანოვს დაკიძებთ ყველანიო (ეს სახელი და გვარი დიაკვანმა
ბიკენტიმ დაარქვა უცაბედად). ზოგი მეცობართაგანი ჯერ თანა-
ხმა არ იყო, ეშინოდა, მაგრამ ოგნიანოვმა ყოველი შიში
გაუქარწყლა. ქალაქი ვიდინო აქედან შორსაა, ამბობდა ოგნია-
ნოვი, იქ მარტო მარკო ივანოვი თუ-და დადის და სხვისგან
ჩემს ამბავს ვერავინ გაივონებს და მით უფრო ვერავინ დამი-
ნახავს იქაო: რეა წლის განმავლობაში დიარბექირის ციხეში
ყოფნამ, ტანჯვამ, ცუდმა ჰაერმა უდროვოდ დამაბერა და სახე
გამომიცვალია, ასე რომ ვერავინ მიცნობსო. ციხეში ყოფნა
და ტანჯვა-მწუხარებამ ოგნიანოვს დუღი არ გაუტეხა და
ისევ ერთგულობდა იმ იდეიას, რომლისათვის ის იტანჯე-
ბოდა, პირიქით, ამ წვალების შემდეგ უფრო აღტაცებული
იდეალისტი გახდა, თავდავიწყებამდე გამბედავი შეიქმნა, ბოლ-
გარეთის სიყვარული ისე გაუძლიერდა, რომ მზად იყო უმე-
ტესის ხალისით თავი გაეწირა მცირს კეთილდღეობისათვის.
ახლა ბოლგარეთში იმისთვის შემოვიდა, რომ მის განთავისუფ-
ლებისათვის ებრძოლნა, თავი დაედო. იმ კაცს, რომელიც ცი-
ხიდან გამოიქცა, რომელიც აქ მოვონილის სახელით სცხოვ-
რობდა, რომელსაც არც ნათესავები ჰყავდა აქ, არც რამე სა-
საზოგადო დამოკიდებულება ჰქონდა მცხოვრებლებთან, რო-
მელსაც ბედნიერის ცხოვრების იმედი არა ჰქონდა, რომელიც
წამდაუწუმ იმის შიშში უნდა ყოფილიყო, საცაა გამცემენ ან
მიცნობენო,—ასეთ კაცს მარტო დიადის იდეის ზედვაელენით

შეეძლო ბოლგარეთში მისულიყო და მხოლოდ ამ იღებას შეუძლია
ძლო აქ გაეჩერებინა იმის შემდეგ, რაც იმან ორი კაცი მოჰკლა.
რა სარგებლობა უნდა მოეტანა აქ? რა ნიადაგზე უნდა ემოქ-
მედნა? შეეძლო თუ არა გულისნადები აესრულებინა? თითო-
ნაც არ იცოდა. ოგნიანოვმა მხოლოდ ის იცოდა, რომ დიდი
დაბრკოლება და ხიფათი მოელოდა.

შეგობრებს უნდოდათ აქაურები გაეცნოთ ოგნიანოესა-
თვის, მაგრამ ჰაჯი როვომამ ხმა დაჰყარა მთელს ქალაქში,
ეს კაცი ოსმალების ჯაშუშიაო, ასე რომ პირველ დღეებში
ყველამ ზურგი შეაჭია. მაგრამ მისმა ვაჟკაცურმა საქციელმა
მოწაფეების გამოცდის დროს, როცა სტეფანოვმა იმდენი სიმ-
დაბლე გამოიჩინა, ოგნიანოვს გული მოუჯო ყველასი. ყველა
იმასა ჰპატიუბდა, როგორც უცხო და სასურველ სტუმარსა.
მარკო ივანოვმა და მიჩო ბეიზედეტმა ურჩიეს, მასწავლებლობა
იკისრე სკოლაში და ხალხი უფრო პატივით მოგეპყრობაო.
ისიც დასთანხმდა. სკოლაში მის ამხანაგებად იყვნენ: კლიმენტი
ბელჩევი—უფროსი მასწავლებელი, ფრანჩიოვი, პაპოვი და გა-
ლობის მასწავლებელი სტეფანე მერდვენჯიევი, რომელიც ოსმა-
ლურ ენასაც ასწავლიდა ბავშვებს. კლიმენტ ბელჩევს რუსეთში
ჰქონდა სემინარია გათვალისწილი და, როგორც სემინარიელი,
გულკეთილი, ცხოვრების უცოდინარი და ოლტაცებული იყო;
იმასთან მონასტრის წინამდლვარი დადიოდა და ისიც დერუავინის
ოდას „ღმერთს“ და ხომიაკოვის ლექსებს უკითხავდა. ბაი
მარკო კი რუსეთის დიდების და ბონოპარტეს ისტორიას ათქ-
მევინებდა. პაპოვი შფოთიანი და ფილხი ყმაწეილი იყო, ერთს
დროს ლევსკის მეგობრად ითვლებოდა. თავისს ახალს მეგო-
ბარს ოლტაცებით დაუხვდა და მეტის-მეტად შეუყვარდა.

მხოლოდ მერდვენჯიევი არავის მოსწონდა. იმისთვის
სძულდათ, რომ ოსმალური ენა და ოსმალები უყვარდა.

ოგნიანოვი საქალებო სკოლაშიაც ასწავლიდა და, მაშა-
სადამე, რადას ყოველ-დღე ხედავდა.

დღე არ გაივლიდა, რომ თითო რამე სულიერი ღირსება
არ აღმოეჩინა ამ ქალისა და თავისდა შეუმნევლად შეუ-
ყვარდა.



ରା ତଥୀମା ଶୁଣିଲା, ରାଜାଶାପ୍ର ଶ୍ରୀବାରିଲା ଓହନିବନ୍ଦେଗି.

ჯერ ისევ იმ დღეს, როცა ოგნიანოეთ ისე მამაცურად
გამოექომაგა, რადა ალიგსო იმ ქალურის მადლობის გრძნობითა,
რომელიც მხოლოდ პირველ ხანშია მადლობა, მეორე დღეს
კი მადლობა სიყვარულიდ იქცევა ხოლმე. საბრალო რადას
მეტის-მეტად სწყუროდა ნაზი ალერსი და თანაგრძნობა და
ოგნიანოვი რაკი გაიცნო, მხურვალე, წმინდისა და უსაზღვრო
სიყვარულით შეიყვარა. ოგნიანოვი თეისთა იმედთა და ოცნე-
ბათა იდეალიდ წარმოუდგა; და, ამ ცხოველმყოფელის გრძნო-
ბის გავლენით, რადა დამშვენდა და გაიფურჩქნა მაისის ვარდ-
სავით.

დიდი ხანი არ დასჭირებიათ ამ კეთილშობილ და უმანკო
გულის პატრონ ახალგაზღებს, რომ ერთმანერთისთვის სიყვა-
რული გამოეცხადებინათ. ყოველ-დღე, როცა რაღას გამოემშვი-
დობებოდა, შინ ბედნიერი და უშეტესად მოხიბლული ბრუნდე-
ბოდა. ეს ახალი სიყვარული ქალისა მის გულში ჰყვაოდა და
სურნელებით იცებოდა და ამ სიყვარულის გვერდით მოთავსე-
ბული იყო მეორე ძველი სიყვარული მისი ბოლგარეთის თავი-
სუფლებისადმი.

მაგრამ ხშირად მისს გულს მწარე ფიქრები ჯანყ-ბურუსსა-
ვით გადაეფინებოდა. იმასა ჰდარდობდა, ეს უმანკო არსება
ჩემი გადმეიდე რა ბედს უნდა ეწიოსო? სად წავიყვანო? ორივე
სად წავიდეთო? მე—ბრძოლის კაცი ვარ, ჩემი ბედი ბეწვზედა
ჰქილია, ათასი ხითათი და დავიდარაბა მოგველის—და ასეთს
კაცს მწარია ამ საშინელს ეკლიანს გზაზე ვატარო უმანკო და
მოსიყვარულე ბავშვი, რომელიც მხოლოდ ახლად იწყებს
ცხოვრებას, ახლა თბება სიყვარულის მაღლიანი სხივებითაო.
ეს ეძებს და ელის ბედნიერ ცხოვრებას, სიხარულისა და უდარ-
დელ დღებს; ახლა მე რა უფლებით უნდა ჩაგაყენო ეს ქალი
იმავე დღეში, რა დღესაც ბედი მარტო მე მიშვადებსო?

არა, ყველაფერი უნდა ვუთხრა, თვალი უნდა ავუხილო, რომ იცოდეს, რა კაცი შეიკვარა, რა კაცთან უნდა იცხოვ- როსო. ის ეს ფიქრები სტანჯავდა ოგნიანოვსა და გადასწყვი-

ტა გულახლით ყველაფერი ეთქვა რადასათვის, რომ გულიდან
მძიმე ლოდი გადაჰვირებოდა.

ოგნიანოვი რადასთან წაიღდა. რადა მონასტრიდან გამო-
ვიდა და სასწავლებლის ერთ პატარა და ღარიბულად მორთულ
თახაში დადგა. ამ თახს ამშენებდა მარტო მისი მდგმური.

ოგნიანოვმა კარს ხელი ჰკრა და შიგ შევიდა.

რადა თვალცრემლიანის ღიმილით მიეგება.

— რადა, გიტირნია? ე ცრემლები რადა გაქვს, გენაცვა? —
ეს რომ უთხრა, ყმაშვილმა თავზე მოჰკიდა ხელი და მის აკვე-
რებულ ლოყებს ალერსი დაუწყო.

ქალმა თავი გაითავისუფლა მის ხელებისაგან და ცრემ-
ლები მოიწმინდა.

— მითხარი, რად გიტირნია? — ჰკითხა შეშინებულმა ვაუმა.

— ქალბატონი როვიამა, ეს არის, ახლა გავიდა აქედან, —
ნაწყვეტ-ნაწყვეტად უთხრა რადამ.

— შეურაცყოფა ხომ არ მოგაყენა ამ მონაზონმა? კიდევ
გაწვალა? მითხარი, გენაცვა, რა გაწყენინა... მოიცა, ეს ჩემი
ლექსებია, ესი უთელნია ფეხებითა?

— იცი, ბოიჩო, ქალბატონმა როვოამამ წამართვა, იატაკზე
დააგდო, ფეხებით ზედ შესდგა და სთელა. „მეამბოხეთა ლექ-
სებია!“ — დაიკივლა და ისეთი საშინელი სახელები დაგიძახა...
არ მეტირნა, მა რა მექნა?

ოგნიანოვი გასერიოზდა.

— მერე ჩემ შესახებ რა საშინელი სიტყვები უნდა ეთქვა
როვოამას?

— რა ვიცი, რეები არა სთქვა? მეამბოხეა, გაიდუკია,
ავაზაკიაო... ღმერთო, ერთი ბეჭო სიბრალული არა აქვს ადა-
მიანისა ამ ქალს!...

ოგნიანოვმა დაფიქრებულის სახით შეხედა რადას — და უთ-
ხრა:

— ყური დამიგდე, რადა, ჩენ დავმეგობრდით, მაგრამ
ერთმანეთს კი ჯერ კარგად არ ვიცნობთ, ანუ, უკეთ, შენ

არ მიცნობ... ეს ჩემი ბრძალია... მითხარი, გეყვარებოდი თუ არა, მართლა ისეთი კაცი რომ ვიყვე, როგორიც შენთვის უთქვამთ?

— ამას ნუ მკითხავ, ბოიჩო. მე შენ კარგად გიცნობ, მეტის-მეტი კეთილშობილი კაცი ხარ; მეც ამისთვის მიყეარხარ.— ქალი ბაქშესაერთ შემოეხეია კისერზე და ოვალებში დაუწყო ცქერა.

ოგნიანოვმა მწარედ გაიღიმა, გული აუჩვილა რადას გულუბრყეილო ნდობამ.

— შენც მიცნობ, ჩემო კარგო! თორემ ერთმანერთი არ გვეყვარებოდა,— ჩურჩულით ეუბნებოდა რადა და თავის დიდრონს თვალებს არ აშორებდა.

ოგნიანოვმა ნაზად აკოცა და უთხრა:

— ჩემო რადიკო, მე მინდა პატიოსანის კაცის სახელი მერქვას, როგორც შენ მეძახი, და ამიტომ უნდა გაგიმულავნო ის საიდუმლოება, რომელიც შენ არ იცი. მართალია, სიყვარული ნებას არ მაძლევს რამე გაწყვნინო, მაგრამ სინიდისი სულ სხვას მეუბნება. შენ უნდა იცოდე, რა კაცთან იჭერ საქმესა... მე ნება არა მაქვს კიდევ ჩურმად ვიყვე...

— მითხარი ყველაფერი, დაესხდეთ,— უთხრე შემკრთალმა რადამ.

ოგნიანოვმა ქალი დასვა და თვითონაც გვერდით მოუჯდა.

— რადიკო, ჰაჯი როეოამას უთქვამს, რომ მეამბოხე ვარ. იმან არ იცის, მე მართლა მეამბოხე ვარ, თუ არა, მაგრამ ყველა ახალგაზდასა და პატიოსან კაცს ის მეამბოხეს ეძახის.

— ჰო, ჰო, ბოიჩო, როეოამა მეტად ბოროტი დედაკაცია,— აჩქარებულად უთხრა რადამ.

— იმან არ იცის, მაგრამ მე მართლაც მეამბოხე ვარ.

რადამ გაოცებულის სახით შეხედა.

— ჰო, რადა, მეამბოხე ვარ და მარტო სიტყვით კი არა, საქმითაც. მე მინდა ხალხი ასაჯანყებლად მოვამზადო.

ოგნიანოვი გაჩერდა. ქალმა არაფერი უთხრა.

— მე მინდა აჯანყების დროშა გაზაფხულზე ავაფრიალო.

ამ ქალაქში იმიტომა ვცხოვრობ.

რადა ხმას არ იღებდა.

— ეს არის ჩემი მომავალი, საშინელია და ბევრი ხიფაჲი მომელის...

რადა არეული უყურებდა ყმაწვილს, მაგრამ არაფერი უთხრა. ოგნიანოვი ჰუკერობდა, რაკი ასე ცივად მიყურებს და ხმას არ იღებს, ეს არის, უნდა უარი მითხრას სიყვარულზედაო. ყოველ სიტყვაზე ამ ქალის სიყვარული უქრებოდა. თავის თავს ძალა დაატანა და განაგრძო თავისი აღსარება.

— აი ჩემი მომავალი. ახლა ჩემს წარსულ ცხოვრებასაც გაგაცნობ.

რადამ შეშინებული თვალები ისარივით დააშტერა.

— წარსული ცხოვრება უფრო საშინელია, თავგადასავ-ლიანია. იცოდე, რომ პოლიტიკურ დანაშაულისათვის რვა წლის განმავლობაში აზის ციხეში ვიყავ დამწყვდეული; მერე დიარ-ბექირიდან გამოეიქეცი, რადა!

რადა უარესად აირია.

— მითხარი, რადა, მონოზანმა ესეც გითხრა?

— არ ვიცი, — მოჭრით უპასუხა ქალმა.

ოგნიანოვი ერთს წუთს გაჩერდა, მწარედ დაფიქრდა, მერე განაძრო:

— როეოამამ აეზაკი და კაცის-მკვლელი დამიძახა!.. იმან არ იცის ჩემი ამბავი; უშინ ჯაშუშს მეძახდა. მაგრამ ყური მიგდე...

ამ ხელად რადამ იგრძნო, რაღაც ამაზე უსაშინელესი უნდა მოვისმინოვო და გაფითრდა.

— ყური მიგდე. მე ორი კაცი მოვკალი ამ ცოტა ხნის წინაღ!

რადა უნებურად მოერიდა.

ოგნიანოვმა ვერ გაპბედა, პირდაპირ შეეხედნა; პირი კედლისაკენ ჰქონდა მიბრუნებული და ისე ლაპარაკობდა. გული უფანცქალებდა, თითქო რკინის გაზი შემოუჭირესო.

— დიღ, მე ორი ოსმალო მოუკალი; მე, რომელსაც ჭიისათვის ფეხი არ დამიღვაშს... მე უნდა მომეკლა ორივე, ამიტომ რომ ჩემს თვალწინ უსულომერთოდ ნამუსი უნდოდათ აეხალნათ პატარა ქალისათვის. მისს მამას ხელ-ფეხი შეუკრეს და იმასც უნდა ეყურებინა თავის გაუპატიურებისათვის. დიღ, მე კაცის-მკულელი ვარ, მე ხელახლა დიარბექირი ან სახრჩობელა მომელის.

რადა მობრუნდა და როგორდაც უცნაურის სახით შეხედა.

— სთქვი, სთქვი.—ჩურჩულით უთხრა ქალმა.

— ახლა ყველაფერი იცი... მე ყველაფერი გითხარი, — უპასუხა ოგნიანოვმა.

ბოიჩო მოემზადა მოესმინა ქალისაგან საშინელი სიტყვები სიყვარულის უარყოფისა.

რადამ ყელზე შემოარკალა ხელები...

— შენ ჩემი ხარ, უკეთილშობილესო ადამიანო, — წამოიძახა ქალმა.— შენ გმირი ხარ, გენაცვა...

Ж. III

საჟეგანდების შეურა

კიბიდან მძიმე ნაბიჯების ხმა მოისმა და ხის ძველმა შენობაშ ზანზარი დაიწყო.

ბოიჩომ ყური დაუგდო და სთქვა:

— ექიმის სიარულსა ჰეგავს.

რადა სარკმელს მიჰვარდა და გახურებული სახე შუშას მიადო, რომ თავის მღელვარება დაეფარა.

ექიმი ჩვეულებისამებრ, დიდის ამბითა და ხმაურობით შემოჰერდა.

— წაიკითხეთ,—დაიძახა სოკოლოვმა და ოგნიანოვს რალაც წიგნაკი გადასცა,—ცეცხლია, ძმაო, ნამდეილი ცეცხლია. კაცი გაგიუდება!.. ნეტავი, მაჩვენა ამის დამწერის ოქროს ხელები, რომ ვემთხვიო!

ოგნიანოეშა წიგნაკი გადაშალა. რუმინიაში მყოფ ბოჭკვა-
 რელ ემიგრანტების გამოცემული იყო. როგორც უმრავლესობა
 ასეთის წიგნებისა, არც ეს იყო მაინ-ც-და-მაინც დიდის ქვეით
 დაწერილი. საესე იყო პატრიოტულ გაცემის ფრაზებითა, ცა-
 რიელ რიტორიკითა, ოსმალებს აგინებდნენ და ხალხს მათ წინა-
 აღმდეგ გასალაშქრებლად აქეზებდნენ. მაგრამ სწორედ ამისთვის
 აღელვებდა ასეთი წიგნები ბოლგარელ მკითხველებს, რომელიც
 მოწყურებული იყვნენ თავისუფლად გამოთქმულ სიტყვების
 გაგონებასა. ფურცლები დაჭმუჭვნილი, გასვრილი, დაცვეთილი
 ჰქონდა წიგნსა, ეტყობოდა, რომ წიგნი ასზე მეტს წაუკითხავს
 და ათასზე მეტისათვის სულიერი საზრდო მიუწოდებია.

სოკოლოვს თავბრუ ეხვეოდა ამ წიგნის შინაარსისაგან. თითონ ოგნიანოეიც, რომელიც სოკოლოვზე მეტად განვითა-
 რებული იყო, მოჰქიბლა წიგნშა და თვალს ვერ აშორებდა. ექიმი შურით უყურებდა ოგნიანოეს და სულწასულსავით წიგნს
 ხელიდან ჰგლეჯდა.

— მოიცა, წაგიკითხავ! — და ხმამალლა დაიწყო კითხვა. ხმას თანდათან უმაღლებდა, მარცხენა ხელით ჰაერს აპოზდა,
 ყოველ მძლავრ სიტყვაზე ფეხს ატყაპუნებდა და გააღმასე-
 ბულს თვალებს რადასა და ბოიჩოს აშტერებდა. ორსავე ტკბილი
 და საამო მღელვარება სოკოლოვის მეომრულ აღტაცებით
 შეეცვალა. ოთახი და მთელი სასწავლებელი ჰქუმდა მისის ხმი-
 საგან, რომელმაც უმწვერვალეს წერტილს მიაღწია. წიგნაკი
 გრძელის ლექსით თავდებოდა და სოკოლოვი ბოლოს იმ აღ-
 გილამდე ჩაეიდა. აქ კი, აკანკალებული გაჩერდა, ოფლი წურ-
 წურით ჩამოსდიოდა. მერე მიუბრუნდა ოგნიანოეს და უთხრა:

— ცეცხლია, ძმაო, ცეცხლი! აპაანდე, ახლა დანარჩენი
 შენ წაიკითხე... მე დავიღალე... არა, აქეთ მოიტა, ლექსებს
 შენ ისე ჰკითხულობ, როგორც მღვდელი სტავრო „მამაო ჩვე-
 ნო“-სა კითხულობს ხოლმე, მაღას დამიკარგავ. შენ წაიკითხე,
 რადკა!...

— გამომართვი, რადა, შენ კარგად ჰკითხულობ! — უთხრა
 ოგნიანოემა.

ქალმა კითხვა დაიწყო.

ლექსი პროზასა ჰგავდა, აქაც სიტყვების რახა-რუხი იყო, ნიჭი სრულებით არ ეტყობოდა მის დამწერსა. მაგრამ რადას წკრიალა ხშამ და მღელვარებამ ლექსი გააღაზათიანა.

ექიმი ხარბად ისმენდა ყოველ სიტყვასა და იატაკზე ძალუმად ფეხს ატყაპუნებდა. ყველაზე მეტად საინტერესო ადგილის კითხვის დროს კარი ერთბაშად შემოილო და შემოეიდა მონასტრის მსახური ქალი.

— მე მედახდით?

ექიმმა მრისხანედ შეხედა, გააგდო ოთახიდან სიტყვაც არ უთხრა ისე და ძალუმად კარი მიახეთქა. საბრალო დედაკაცი, რომელიც ძირს სცხოვრობდა, დარცხვენილი ჩამოვიდა ოთახში და თავის შვილებს შეუტია, გაჩუმდით, ჩვენი მასწავლებელი ქალი ექიმსა და მასწავლებელს წიგნს ასწავლისო.

ის იყო, ოთახიდან დედაკაცი გავიდა, ოთახის კარი ისევ დააკაკუნეს.

— ეგ ვიღა ოხერია? — საშინლად დაიღრიალა ექიმმა. — წავიდე, სარკმლიდან გადავისროლო, ვიღაც არის! — და კარი გააღო.

შემოვიდა პატარა ქალი და წერილი შემოიტანა.

— ვისთან არის? — ჰკითხა უკმეხად ექიმმა.

ქალი რადასთან მიეიდა და წერილი გადასცა.

რადამ დახედა უცნობის ხელით დაწერილს აღრესს, გაოცემით გახსნა ჩალათა და დაიწყო კითხვა. ბოიჩო შემკრთალის სახით უყურებდა. შენიშნა, რომ რადა წაბოწითლდა და ლიმი შეუთამშდა ტუჩებზე,

— ვინა გწერს? — ჰკითხა ბოიჩომ.

— აჲანდე, წაიკითხე!

ბოიჩომ წერილი გამოართვა და შემდეგი წაიკითხა:

„ჩემო მშვენიერო ქალბატონო! მაპატივეთ, რომ ვკაღნი-ერდები და ამ წერილსა გწერთ. თუმცა ჩენ ერთმანერთს არ ვიცნობთ და მე პატივი არა მჭონდა გაგცნობოლით, მაგრამ, ჰოი, მშვენიერო ქალბატონო, მე მთელი დღე და ღამე გონე-

ზიდან არა მშორდებით, სულ თქვენს ფიქრში გახლავარზე და ჩემი ნაზი გული თქვენსკენ მიისწრაფვის, ვითარცა მაისის ყვავილი მზისაკენ მიისწრაფვის.

„ზიზღით პირს ნუ შეაბრუნებთ ამ წერილს, რომელიც დამაწერინა თქვენდამი აღგზნებულმა სიყვარულმა. თქვენმა მშვენიერმა თვალებმა ლახვარივით განგმირეს გული ჩემი. ვაგლახ მე! ვაგლახ მე! ვბედავ მოგახსენოთ, რომ ეკლესიაშიაც კი, ამ ღეთის ტაძარში, როცა „რომელი ქერუბიმთასა“-ს ვვალობ, თქვენს მშვენიერს სახეს ნოტებ შორისა ეჭვრეტ; ჩემი ხმა ეკლესიაშია, მაგრამ ჩემი აზრი ფარენასავით თავს დასტრიიალებს თქვენს მშვენიერს სახესა და ცდილობს დაადგას სამოთხის გვირგვინი. მაპატივეთ, უნდა გაგიმელავნოთ ჩემის სულის კადნიერება და გულის სისუსტე, ვითარცა მოძღვარს. მზადა ვარ ჩემი სიცოცხლე თქვენ შემოგწიროთ და თქვენს სიყვარულს თავი ჩემი ვანაცვალო. იძლაც კი, როგორც თქვენი გულწრფელი მეგობარი, მზადა ვარ თავი შევსწირო თქვენთვის; ამიტომ, მოგახსენებთ, ფრთხილად ბრძანდებოდეთ როგორც ლაპარაკში, ისე ქცევაში თქვენს ნაცნობ ოგნიანოვთან,—ის საქმე ჭარია (ესე იგი, ჯაშუშია!!!). ეს მათქმევინა თქვენთვის ჩემია წმინდა სიყვარულმა. რათა უფრო დაგიმტკიცოთ ჩემი სიყვარული, მე მზად გახლოვართ დაგასწავლოთ არმოდიუს პაპარიგოპულოს ახალი სიმღერა და ამისათვის, თქვენის კეთილშობილურის თვალებით შემოხედვის გარდა, არაეთარ სასყიდელსა ვთხოვთ. ჩემს თავს ვანუგეშებ, რომ თქვენ სასურველ წერილს მომწერავთ და ჩემს ნაზს გულს არ დაღუპავთ და სასოს არ წარუკვეთოთ...

„მარადის თქვენი მონა-მოსამსახურე

„სტეფანე ხ. დ. მერდვენჯიევი“.

ბოიჩომ საშინლად გადიხარხა.

— ვერა ხედავთ იმ მერდვენჯიევსა! ჩა საშინელი მეტოქე მყოლია, რადა, მე კი არაფერი ვიცოდი! მე მიკვირს, ამ სუ-

ლელმა ასეთი წერილი როგორ დაბლაჯნა! მიწერ-მოწერის
წიგნში უნდა ჩავიხედო და გავიგო, საიდან მოიპარა.

რადამ სიცილით ნაკუწ-ნაკუწად იქცია წერილი.

— რადა ხევ? პასუხი მისწერე! — წამოიძახა სოკო-
ლოვმა.

— რა პასუხი უნდა მიიღესწერო?

— მისწერე: „ო-ო-ო, ტკბილ ხმიანო ბულბულო!
ო-ო-ო, იადონო! ო-ო-ო, ნაზის ვულის ჩიტო! მე ფრიადი
ჰატივი მქონდა დღეს, ექვს საათზე“, — განაგრძო სოკოლოვმა
და საათს დახედა, მერე ოგნიანოვს მიუბრუნდა:

— ხომ ხედავ, რა საზიზღარი რამ არის, ეს წუწკი ესა!
რა თავ-ლაფ დასხმული ინტრიგანია! გესმის, ოგნიანოვი კი
ჯაშუშიაო? მომილოცავს! შენს ალაგას რომ ვიყვე, ისეთ ლა-
ზითიან სილას გავაწნავდი...

— კარგია, გეყოფა! სულელს რა უნდა მოსთხოვო!

— არა, არა, გაიძვერები კი არ უნდა გვეზიზებოდეს,
უნდა დავსაჯოთ ხოლმე. მე მიმიშვი! — უთხრა ექიმმა რისხვის
კილოთი...

— კარგია, თავი დაანებე! ტალახში ქვა არ უნდა ისრო-
ლო, გაისვრები...

— აა, დამაცა! — დაიძახა ექიმმა და თავზე იტაცა ხელი,
თითქო რაღაც აზრმა გაუელვა და უნდა დაიჭიროსო.

— რა იყო?

— დამაცა! — და ექიმმა საშინლად გადიხარხარა.

ოგნიანოვი გაოცებული უყურებდა.

— არაფერი, არაფერი... მშვიდობით... არ დაგავიწყდეს:
ხეალ დილას სილისტრიის ველზე უნდა წავიდეთ.

— კიდევ რა მოგაგონდა?

— კიდევ ვნახავთ ერთმანეროს, მშვიდობით, მშვიდობით! —
და ექიმი საჩქაროდ გავიდა.

სოკოლოვი თავისს სახლში წავიდა და ქალურის ხელით
შემდეგის შინაარსის წერილი მისწერა მერდფუნჯიევს:

„გმადლობთ. წერილით პასუხის მოწერა უხერხულად შემოიტოვა მაჩინია. ხვალ საღამოს დედაბერ იაკიმიჩინას ბალში გელით. ჭიშკარი დაკეტილი არ იქმნება.—ახ! ახ!“

„თქვენი ნაცნობი“

28 ენერისთვეს 1875 წელს.

მერდვენჯიევი დანიშნულ ალაგას მოვიდა საყვარელთან ჟესაყრელად. მაგრამ, რადას მაგივრად, საშინელის ღრიალით მიეგება სოკოლოვის დათვი კლეოპატრა, რომელიც პატრიონა მოიყვანა მის სახლის გვერდით მდებარე ბალში და ერთს კუთხეში დააბა.

XIV

სილისტრის მინდორი

ეს სახელი ერქვა ერთს მშენიერს, მონასტრის ველზე მდებარე მწვანე მინდორს. თავისის ადგილმდებარეობის წეალობით ამ მინდორს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე შემოდგომა იყო, მწვანე სამოსელი ისევ შერჩენოდა და ადამიანს კუნძულ კალისპოს იგონებდა, საღაც, როგორც ვუწყით, სულმუდამ გაზაფხულია ხოლმე. მდინარის გაღმა მაღალი მოსხლეტილი კლდეები თეთრად გამოიყურებოდა, ნიალვრებისაგან გვერდები საშინლად დაჭიროდა და ჩიმოპრეცხოდა. საოცრად გრილოდა და ჰშვენოდა ამ პოეტურს კუთხეში.

იმ დროს, რა დროის მმავსაც ჩვენა ვწერთ, აქ მოქეიფე ხალხი იყრიდა თავსა. და ცოტანიც არ იყვნენ.

სოკოლოვი და ოგნიანოვი რომ მოეიდნენ, სილიტრის მინდორზე უკვე მოეყარათ თავი მოქეიფეთა და ხმაურობდნენ. მათს შორის იყვნენ: ნიკოლაი ნეტკოვიჩი, განვითარებული და კეთილშობილურის აზრების ყმაწვილი კაცი; კანდოვი, სტუდენტი რუსეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტისა, ავადმყოფი და ბოლგარეთში მოსარჩენად მოსული, მეტად განვითარებული,

მაგრამ უმწერვალესი იდეოლოგი; ბატონი ფრატიუ; პოპოვი, ილტაცებული პატრიოტი; მღვდელი დიმით, ისიც პატრიოტი და ლოთი; იყო აგრეთვე ბრძა კოლჩი. კოლჩი თითქმის სულ ყმაწვილი იყო, თეალთ აკლდა, სახე დატანჯული, მაგრამ გამომეტყველი ჰქონდა. სალამურს მშვენიერად უკრავდა, მთელი ბოლგარეთი შემოვლილი ჰქონდა თავის სალამურით, მხიარული ამხანაგი იყო, ოხუნჯი და ამიტომ უმაგისოდ ლხინი და ქეიფი არსად იმართებოდა.

სუფრა მწვანეზე იყო გაშლილი. მინდორს ცივი პატარა მდინარე ჩაუდიოდა და შიგ იდგა გახაცივებლად ორი ჩარექა ღვინო, ერთი თეთრი და მეორე წითელი. იქვე, რამდენისამე ნაბიჯის მანძილზე, ბოშები იდგნენ და, რაც ხმა ჰქონდათ, ოსმალურ სიმღერებს გაჰკივოდნენ. ორის დაირის ხმა მათს სიმღერას უერთდებოდა. ყველანი მეტად მხიარულად იყვნენ. სადლეგრძელო სადლევრძელოს მოსდევდა და ყველანი, მაშინ-დელ ჩვეულების თანახმად, ღვინოს ჯდომელა ჰსვამდნენ.

პირველი სადლეგრძელო ილია ლიუბოპიტნიმ წარმოსთქვა.

— ეს, ძმებო, ვისაც რა უნდოდეს, ღმერთმა მისცეს; ვისაც ჩვენი ცუდი უნდოდეს, ღმერთმა ნუ გაახაროს! ჩვენს მტერსა და მოძულეს სიავის მეტი სიკეთე არ შეახვედროს ღმერთმა...

ეს რომ სთქვა, ყველამ შელრიალა და ისე დასკალეს ფიალები.

— ჩვენს სუფრას გაუმარჯოს! — წამოიძახა ფრანგოვმა.

— ეს ღმერთმა გაუმარჯოს სილისტრიის მინდორს და მისს თაყვანის-მცემლებს, — წარმოსთქვა მღვდელ მა დიმით.

პოპოვმა ფრალა აიღო ხელში და წამოიძახა:

— ძმებო, ეს ღმერთმა გაუმარჯოს ბალკანეთის ლომს.*)

— მუსიკა, ის-ის იყო წყნარდებოდა, მაგრამ ამ სადლე-გრძელოზე ისევ დაუკრა. ბ-ნი ფრატიუ, რომელსაც ჯერ კიდევ არ წარმოეთქვა სადლეგრძელო, ადგა, ბოშები გააჩუმა, მიიხედ-

*) ბოლგარეთის დერბი ლომის სისისი.

მოიხედა, ხელში ფიალა აიღო და ოლტაცებულის სახით წარმოსთქვა:

— ბატონებო, მე ვსვამ ბოლგარეთის თავისუფლების სადღესრდელოს! გაუმარჯოს! — და თავისი ფიალა დასცალა. ამხანაგებმა კარგად ვერ გაიგეს მისი ნათქვამი, რაკი იმის აღრაცებულს სახეს უყურებდნენ, ეკონათ, სიტყვა აქვს სათქმელით და ფიალა არც-ერთმა არ დაცალა. ფრატიუს გაუკვირდა, რატომ არ თანამიგრძნესო და დარცხვენილი დაჯდა.

— რა უნდა გეთქვათ? — ცივადა ჰეითხა კანდოვმა, რომელიც ფრატიუს პირდაპირ იჯდა. ფრატიუმ კოპები შეიკრა.

— მე მგონია, საკმაოდ ნათლადა ვთქვი: მე ბოლგარეთის თავისუფლების სადღეგრძელო დავლიიდ. — ეს სიტყვები ფრატიუმ ჩუმად წარმოსთქვა და თან უნდოდ იყურებოდა ბოშებისაკენ.

— რას ეძახით თქვენ თავისუფლებას? — ისევა ჰეითხა სტუდენტმა.

სოკოლოვი მობრუნდა:

— მე კი მგონია, რომ ბოლგარეთის მონობის სადღეგრძელო უნდა დაელიოთ, ამიტომ რომ ბოლგარეთის თავისუფლება არსად არის.

— არ არის, მაგრამ ჩვენ გავაჩენთ, ჩემო კარგო.

— აბა, როგორ გავაჩენთ?

— ლოთობით, — წამოიძახა ვიღამაც დაცინვის კილოთი.

— არა, ბრძოლით! — უპასუხა იღელვებულმა ფრატიუმ.

— ფრატიუ, გონს მოდი: ხარს რქებით აბამენ, და კაცენით, — უთხრა დაცინვით ილია ლიუბოპიტნიმ.

— აგრეთვე სატევრითაც, ბატონებო! — დაიძახა ბრაზისაგან ანთებულმა ფრატიუმ და მუშტი გააკეთა.

— თუ აგრეა, მაშ გაუმარჯოს სატევარს, დამონებულთა მსხელს! — წამოიძახა ოგნიანოვმა და ფიალა აიღო ხელში.

მისმა ნათქვამა ელექტრონსავით დაუარა ყველას ტანში.

— აგუშ, — დაიძახა ეიღამაც, — აბა დაუკარით: „ეძება აშაყმა ნიკიფორემ“. ეს სიმღერა მაშინდელი ბოლგარული მარსელიოზა იყო.

ფრატიუმ უშველებელს დანას დაავლო ხელი და პეტ-იქით დაიწყო ქნევა. ეს მოქნეული დანა წითელ ლვინით სავსე ჭიქას მოხვდა და ლვინო ფრატიუს საზაფხულო ტანისამოსზე გადაედგარა.

— მუტრუკო! — დაუყვირა ფრატიუმ ყმაწვილს, რომელ-საც ეს საბედისწერო ჭიქა დაედგა სუფრაზე.

— ბატონო ფრატიუ, ნუ სჯავრობ, — უთხრა მღვდელმა დიმჩომ, — იმიტომ რომ საცა ომობენ, იქ მსხევრპლიც უნდა იყოს.

ამ დროს ყველა საშინლად ჰყვიროდა და ერთმანერთს ყურს არავინ უგდებდა. მუზიკაშ რაღაც ოსმალური გარში დაუკრა და დაირას ბრახა-ბრუხი აუტეხეს.

როგორც იყო, მუსიკა შესწყდა და სიჩუმე ჩამოვარდა. ბრმამ სალამურზე დაუკრა და არემარეს საუცხოვო, ტკბილი ხმა მოეფინა.

ბრმა ერთხანს კიდევ უკრავდა, სრული იდუმალება იყო გამეფებული გარშემო. ძალზე შეხურებულებიც კი ნეტარებით უსმენდნენ საამო ჰანგებს, რომელიც ბრმის გაშავებულ სალა-მურიდან მოისმოდა. ერთბაშად სალამურის ხმა შესწყდა და ბრმამ წამოიძახა:

— იცით, ახლა რასა ეხედავ?

ყველამ გაიცინა.

— იბა გამოიცანით, — სოქვა კოლჩომ.

— რას მოგვცემ, რომ გამოვიცნოთ? — ჰკითხეს რამდენ-მამე.

— ჩემს ასტრონომიულს ჭოგრს მოგცემთ.

— ახლა სადა გაქვს?

— მოვარეზეა.

— ყური გვიგდე. შენ ახლა მილკა ტუდურიჩინის წითელ ლოკებსა ხედავ, — უთხრა მღვდელმა დიმჩომ.

— ვერა, ვერ გამოიცან. კოცნა უფრო შემიძლიან, ვიდრო დანახვა.

ბატონ ფრატიუსა ხედავ,—უთხრა პოპოვმა. ამ ღროს ფრატიუ ბრძის წინ იდგა და მის თვალებთან მიტანილ ხელს იქნედა.

— არა: ქარის დანახეა განა შეიძლება?

— მზესა ხედავ!

— არა, ხომ იცით, წაჩინებებულნი ვართ მე და მზე, დავითიცე, სანამ სული მიდგას, თვალებში არ შეეხედო-მეთქი.

— აბა ლამესა ხედავ,—უთხრა ექიმშა.

— არც ისაა; მე ეხედავ ღვინით სავსე ფიალას, რომელსაც მაწოდებენ: მე ხომ სულ დაგავიწყდით!

რამდენმამე მაშინათვე დაუსხეს ღვინო და სიცილით მიაწოდეს.

— გაუმარჯოს! — წარმოსთქეა ბრძამ და თავისი ფიალა გამოსცალა. — აბა რა მოვიგე მე ახლა, თქვენ ხომ ვერ გამოიცანით?

— დანარჩენი ფიალები, რომლებიც ჩვენ გავავსეთ.

— რამდენია?

— წმიდა კვირიაკე.

— მე უფრო ორმოც მოწამეთა ვსცემ პატივსა, — შენიშნა მლვდელმა დიმჩომ.

— გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს!

— Vive la Bulgarie, vive la Republique des Balkans!*) — წამოიძახა ფრატიუს.

ძალზე გამხიარულდნენ ყველანი. გარეშენიც მოვიდნენ მათს საყურებლად. მერდვენჯიევი და კიდევ რომელიღაც ყმაწვილი კაცი მდინარის მეორე მხარეს ტირიფის ტოტებ ქვეშ იდგნენ და ცნობის მოყვარეობით უცქეროდნენ მხიარულ საზოგადოებას.

სოკოლოვმა თვალი მოჰკრა წყალგაღმა მდგართ და მის კეთილშობილურ სახეზე რისხვა გამოიხატა.

*) გაუმარჯოს ბოლგარეთს, გაუმარჯოს ბალკანეთის რესპუბლიკას!



ფრატიუმ ხელის ქნევა დაუწყო მერდევნჯიევს.

— მერდევნჯიევ, მერდევნჯიევ, მოდი ჩვენთან!

— ნეტავ ვიცოდე, ამ ბრიყეს რაღას ეძახი? — ჰეითხა ჰო-
ჰოგმა.

ექიმმა იდაყვი წაჰკრა და მიახვედრა, არა ღირს მისი და-
ძახებაო, და ხელახლა მომლერალს დაუწყო ყურება.

მერდევნჯიევი ცოტათი მოახლოვდა, მაგრამ ისევ მდი-
ნარის გაღმა იყო, და დარცხევნილი, გაუბედავად თავს უკ-
რავდა მოქეიფეთა, ალბად, სალამს აძლევდა.

ექიმმა დაუყვირა:

— მერდევნჯიევ, აბა ახალი სიმლერა სთქვი არმოდიუს
ჰაპარიგოპულოსი!

მერდევნჯიევი უფრო აირია, ექიმის გახურებული სახე
რომ დაინახა და ფეხს მოუჩქარა.

მოქეიფენი მიხვდნენ, რომ ექიმის ხუმრობა ძვირად დაუ-
ჯდება მერდევნჯიევსაო და ჩოჩქოლი შექნეს.

— დაბრუნდი, მერდევნჯნევო, თორემ კუკურიგოპულოს
სიმლერას გათქმევინებენ.

ამ დროს ექიმი ჰანტერასავით გადახტა მომლერლისაკენ.
დაეშია და კრავიეთ იღლიებში ხელი დაავლო. მერდევნჯიევ-
მა ყვირილი მორთო, მაგრამ ექიმმა ყური არ ათხოვა და მდი-
ნარის პირას მიშაზე დასცა.

— აბა ახლა იმლერე! — უთხრა ქშენა-ავარდნილმა ექიმმა
ბრძანებითის კილოთი.

— ჰო, ისე, ისე, იმლერის, ბულბულია. — დაუყვირეს რამ-
დენმამე.

— იმლერე, ვუბრძანებ შენს „ნაზსა და წმინდა გულს“.

მერდევნჯიევი ძალიან კარგად მიხვდა, რომ ექიმის რკი-
ნის ხელებს ვეღარსად წაუვალო, და თავტანი სულ ერთიანად
დაეკარგა. გარშემო საცოდავად იყურებოდა.

— მერდევნჯიევ, გვიმლერე და მერე წადი! — დაუძახა ჰო-
ჰოგმა.

— გაუშვი, ექიმო, გთხოვ! — უძახოდა ფრანგოვი.

— ჯერ არმოდიუს პაპარიგოპულოს ახალი სიმღერის-გაუკუნის და მერე წავიდებ! — თავისას გაიძახოდა ჯიუტურად ექიმი და თავის ლონიერს ხელებს გულზე აჭერდა.

მერდევენჯიევმა ერთბაშად გაიწია და დაიძახა: „ლოკომი-სათეის მე სიმღერას არ ვამბობ!“

მხოლოდ ეხლა მიაქცია ყურადღება ოგნიანოემა საერთო
ჩოხქოლსა და ყვირილს. გაიქცა იქითკენ, სადაც მერდვენჯიერი
იყო. მაგრამ სწორედ ამ დროს ექიმმა თავისი მსხვერპლი ამო-
ილიავა და წყალში გადააგდო; მდინარემ შეუიღი მოილო,
შეჭყაპუნდა და მოქეიფენი ყველანი დაასველა.

მომღერალი სულ ერთიანად გაწუწული ამობობლდა წყლი-
დან, გაეიდა ნაპირად და ოთხ-ანალებ გაიქცა. უკანიდან კი სი-
კვილი, ოხუნჯობა და საერთო ყვირილი მიაყოლეს.

მარტო ექიმი არ დამშეიდებულიყო ჯერ კიდევ. ყველანი ეკითხებოდნენ, კაცო, გვითხარ, რა მიხდათ, მაგრამ ის ერთსა და იმასევე გაიძახოდა:

— ეს საზიშლარი კაცია, ბატონებო!

ქეთმა საღამომდე გასტანა, ბოლოს, მოქეიფენი წამოი-
შალნენ და ქალაქისაკენ გამოსწიეს.

— ხვალ დილას სასწავლებელში უნდა შევიყარნეთ, ძმა-
ნო. რიპერტი/ზა გვაჩქს, — დაუძხია კვალის ოგნითაოვა.

— რა პიცსასა თამაშობთ? — ჰელიონის მიერთვის სტუ-
დიონის.

— „გენოვევას“.


— ეს დაძვლებული პირსა სად გამოჰქმეთ?

— „გენოვეფა“-ს დადგმა შემდეგის მოსაზრებით გადაკავებული ქართველი ხასიათი არა აქვთ, ჩირბაძეებისაც ასეთი უნდოდა. მეორე მოსაზრებაც ის არის, რომ ყველას წაკითხული აქვთ და უნდათ სცენაზე დაფული დაინახონ, როგორი იქნებათ. ზოგჯერ საზოგადოების გემოვნების თანახმადაც უნდა მოვიქცეთ. ჩვენი აზრი ხომ ის არის, რომ რაც შეიძლება, მეტი ფული შემოგვივიდეს. სამკითხველოსათვის წიგნები და გაზეთები უნდა გამოვიწეროთ, გარდა ამისა, სხვა საქმისათვისაც გვჭიროს ფული.

მხიარულნი მოქეიფენი ხმაურობით ქალაქისაკენ გაემართნენ. მალე საღამოს ბინდ-გადაფარებულ ბალებში შერგეს თავი. მეოთხედ საათს უკან ძლევამოსილის სახით ქალაქის ჩამობნელებულს ქუჩებზე მიდიოდნენ და, რაც ხმა ჰქონდათ, სარევოლიუციო სიმღერებს გასძახოდნენ. მათის არევით სიარულისა და სიმღერის ხმაზე ქალები და ბავშვები სახლებიდან ჭიშკრებთან გამოიშალნენ.

ოგნიანოვი ამ კამპანიაშა არ ერია. რომელიდაც ყმაშვილმა ყურაში უჩურჩულა რაღაცა და ისიც, არავის შეუნიშნავს, ისე მოშორდა ამხანაგებს.

(შემდეგი იქნება)



მასხარა პამფალონი

ძველებური მოთხრობა

(თარგმანი)

2

მეფობის დროს იმპერატორის თეოდოსეს დიდისა სცხოვრობდა კონსტანტინეპოლიში ერთი წარჩინებული კაცი, სახელმად ერმია. ის იყო ფრიად მდიდარი და ეჭირა სახელმწიფო სამსახურში დიდი თანამდებობა. მას უყვარდა სიმართლე და ეზიზლებოდა პირმოთნეობა. ამ გვარი ღვთისნიერი თვისებანი ერმიასი სრულიად არ ეთანხმებოდნენ უვარვის ხასიათებს იმ სახოვალოებისას, რომლის შორის სცხოვრობდა ისა. იმ დროს კონსტანტინეპოლიში და მთელს ეიზანტიის სამეფოში ოტეხილი იყო ლაპარაკი და სჯა სარწმუნოებაზე და ღვთის მსახურებაზედ. ხალხი შფოთავდა. ყველანი ცდილობდნენ ეჩვენებინათ თავი კეთილ-მსახურედ ღვთისა, თუმცა კი მათში სრულიად არ მოიპოვოდნენ არც მშვიდობა და არც ღვთის შიში. წამხდარ ხალხში აღელვებული და მორეული იყვნენ იმ გვარი შესაზარი ბიწიერებანი, რომლის მოგონებაც კი შეუსაფერო და სასირცხვილოა. პირნი უმაღლეს მდაბიო ხალხზე მდგომნი აგრეთვე გარემოულ იყვნენ ამ გვარის ბიწიერებით, ხოლო თავიანთ საზიზლარ ბოროტებას ჰქოარვიდნენ საშინელის ფარისევლობით. ყველა ესენიც აღიარებდნენ თავიანთ თავს ღვთის მოშიშრად, მაგრამ კი სცხოვრობდნენ წინააღმდეგ ღვთის მცნებათა; მათში გავრცელებული იყო გულ-ძვირობა და შური ურთიერთისა.



ამპარტავნობით თვალებ ახვეულნი დაბალ ხალხს ადამიანურებად არც კი სოვლიდნენ. განცხრომილთ, სამდიდრით მოწყენილთ არ იცოდნენ რაღა მოეგონებინათ, რომ ეფანტნათ ოქრო. სინიდის დაბნეულთ არა რცხვონდათ, რომ იმავე დროს ხალხი დიდ გაჭირვებაში იყო. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ საწყალობელნი ლარიბნი განუკითხეულად შიმშილით სულსაჲლევდნენ დიდკაცების კარებებთან, მაშინ როდესაც ეს ბატონები ეძლეოდნენ უზომო ლხინსა. ხალხმა, რასაკვირველია, ზედმიწევნით იცოდა, რომ დიდებულნი ერთმანერთის სისხლსა სვამდნენ და მრავალჯერ მუხანათობით ღუპავდნენ ერთმანერთსა. ცილის-წამება წინაშე მეფისა, საწამლავით მოკვლა—ჩვეულებრივი საქმე იყო მათ შორის. ხშირად, ლხინის დროს თავიანთ სახლებში, გინდა სხევან საწამლავს არევინებდნენ საკმელში მზარეულებს და სხვა შესყიდულ პირთა.

მთელი სამეფო სთვლიდა თავის თავს უუწმინდესად მაშინ, როდესაც სრულიად საზოგადოება და თვითეული მისი წევრის მაღალი, გინდ დაბალი საერთოდ იყვნენ სავსე უზომო ბოროტებით და სიბილწითა.

II

წარჩინებულ ერმიას ჰქონდა სული მშვიდი და გაწერთვნილი ქეშმარიტების, სიმართლის და ღვთის შიშის მოყვარეობაში. იმას გულითადი სურდა გიზანტის სამეფოში დამყარებულიყო ნამდვილი ღვთის მოყვარეობა და მოსპობილიყო პირმოთნეობა, რომელიც ძირს უთხრიდა ხალხის კეთილ-დღეობას. ერმია იტყოდა: თუ მივდევთ წმიდა სახარებას, უნდა მოვიქცეთ კიდეც თანხმად იმისა, რასაც გვასწავებს სახარება, თუ არა და, გამჩენ ღმერთსა ვთხოვთ ერთსა და საქმით კი წინააღმდეგი ვართ იმისა, რასაც მოვითხოვთ. ჩვენ ვდალადებთ: „მოგვიტევენ ჩვენ თანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა“, და რას ჩავდივართ? არაეს არას შევუნდობთ, უბრალო უთანხმოებისათვისაც კი გულში ვინერგავთ სიბოროტეს

და ვცდილობთ ჩვენი მოწინააღმდეგე შეუბრალებლივ შეწარმოება
თან გავასწოროთ და მოვსპოთ ქვეყანაზედა.

ამგვარი მიმართულებისათვის თანამოამხანაგენი დიდებულ-
ნი დასცინოდნენ ერმიასა და მეფესთან ასმენდნენ — ერმია გასუ-
ლელდა, აღარ ვარგა თავის უმაღლეს თანამდებობისათვის და
ვეღარ შეუძლიან მართვა საქმისაო.

ერმიას, რასაკვირველია, შენიშნული ჰქონდა ესა და ჰფიქ-
რობდა: რა ჰქნას? შეიძლება თუ არა მაღალ ხარისხზედაც იმ-
ყოფებოდეს და ამასთანავე თითონაც დროს განმაელობაში
ზნეობით არ წახდეს?

ერმია მიეცა ღრმა აზრებსა და ცხადად დაინახა, რომ უნდა
ამოირჩიოს ან ერთი, ან მეორე გზა: ან უნდა გაანებოს თავი
ქრისტეს მოძღვრობას, ან სიღიდეაცეს, ამისათვის რომ ეს ორი
ვენი ერთად ვერა თავსდებიან. ძალდატანება ამ შემთხვევაში
იქნება უნაყოფო. მეორეს მხრივ ჰფიქრობდა — კარგი, მე რომ
გავიმხილო პირმოთნეობა და ფარივსევლობა ჩემის ამხანავე-
ბისა და დავიწყო მათთან დამტკიცება ჭეშმარიტებისა, ისინი
უარესად ამიძულებენ, წინაშე მეფისა ცილსა დამწამებენ და
დამღუპავენ.

თუ ვასიამოვნებ ერთს, მეორენი წინ აღმიღვებიან; თუ
ხელს წავკიდებ ცბიერთ — გავსცრი ჩემი სულსა, თუ მივმართავ
გულწრფელთ — მე იმათ ვერას ვუშველი, ხოლო თავს დაეიტეხ
უბედურებას. დაიწყებენ: აი ერმია არის სავსე ბოროტ-განზრა-
ხულებითა, ის დახელოვნებულია ყოველ გვარ საიდუმლო სა-
ქმებში და ურვეს ხალხსა. მე, რასაკვირველია, ამგვარ ცილს
ვერ ავიტან, დავიწყებ თავის გამართლებას, მაშინ სული ჩემი
აღირევა, გამხეცდება, და იძულებული ვიქნები გამოვააშეარაო
სიბილწე ჩემ თანამოძმეთა. ამგვარად მე თითონ შევიმოსები
ღვარძლით ეგრეთვე, როგორც ისინი. მეფე დასჯის იმათ, იქნე-
ბა ზოგს თავიც მოჰკვეთოს. როგორ უნდა ავიტანო მე ესა?
არა, ესრედ არ გამოღვება.

არ მინდა არც არავინ შეეარცხვინო, არც არავის ვაყვე-
დრო, ამისათვის რომ ამაებს ჩემი სული მოშორებულია და



საზიზლარით ყოველივე ეს ჩემთვის. საუკეთესო იქნება ამგვარ აღ-
შფოთებულ ცხოვრებას თავი გავანებო. მიერ მეფესთან, შე-
ვემუდარები განმათავისუფლოს ყოველი თანამდებობიდან, და
როდესაც სიღიღეაცე შემისუსტდება, იქნება გულის სიმშვიდით
გავატარო დანარჩენი ჩემი სიცოცხლე და საღმე მოკვდე მდა-
ბიო კაცად.

III

როგორც განიზრახა, ისეც შეასრულა ერმიამ. მივიღა მეფე
თეოდოსესთან; არავიზედ არც საჩივარი, არც საყვედური არ
წარმოუთქვამს იმის პირსა, მხოლოდ ევედრებოდა დაითხოვოს
სამსახურიდან. მეფე არ ეთანხმებოდა, მაგრამ ერმია ბეჯითად
იმეორებდა თავის ახოვნასა. მაშინ თეოდოსემ, წინააღმდეგ თა-
ვის სურეილისა, ნება დართო და გაანთავისუფლა ყოველ თა-
ნამდებობისაგან. ერმიას დიდად უხარიდა, მაგრამ იმის ცოლი
კი ძალიანა სწუხდა. არაფრად სასიამოვნოდ არა ჰქედავდა ეს
ქალი თანამდებობის დაკარგვას: რაკი ჩემი ქმარი სამსახურში
აღარ იქნება, მეც ბეერს პატივს მოვაკლდებიო. „რა არის,—
აყვედრიდა ცოლი ერმიასა,—სხვებსაც უყვარს ღმერთი, მაგრამ
კი არავინ აჩქარებული ეგრე. შენ რა ხარ მაგრეთი გამორჩე-
ული!“ ერმია ხმას არ იღებდა და იყო დიდ მოთმინებაში. ცო-
ტა ხნის განმაელობაში ერმიას ცოლი გარდაიცვალა. შეილები
იმათ არა ჰყვანდათ, და ერმია დარჩა გამარტოებული.

„რა არის ესა, — ამბობდა ერმია, — ლეთის განგებაა, თუ
არა? მეფემ განმათავისუფლა სამსახურიდან და უფალმა ინება
მყოს თავისუფალი ყოველი შინაური საქმეებისაგან. ცოლი
მომიკვდა და აღარავინ დარჩა ჩემს ნათესაობაში, რომლისათ-
გისაც მე ვმოლვაშეობდე ჩემს თვალ-გაღუშვდენელს მამულებ-
ში. ეხლა მე შემიძლიან დაუყონებლივ შევუდგე წმიდა სახარე-
ბის გზას. რად მინდა მე სიმდიღრე? თუმცა ეხლა თავისუფალი
ვარ სახელმწიფო სამსახურიდან, ახსნილი ცოლშვილობის ვალ-
დებულებიდან, მაინც კიდევ სიმდიღრე დიდი ტვირთია და მო-

ითხოეს ზრუნვას ჩემის მხრითა და შესაძლებელია კადეც შეუ-
მითრიოს იმ გვარ საქმეებში, რომლებიც აღარ შეჰვერიან იმას,
ვინც გულითადი მოწადინებულია იქნეს მოწაფე ქრისტესი”.

ერმია, როგორც ვთქვით, ძალიან გაკეთებული კაცი იყო:
ჰყვანდა მრავალი ყმა და ჰქონდა სხვა-და-სხვა ადგილს სასახ-
ლები და სოფლები; ამასთანავე თვალმარგალიტით საესე იყო.

პირველიად, ერმიამ საუკუნოდ განათავისუფლა თავისი ყმე-
ბი, სხვა—დანარჩენი ქონება ფულად აქცია, დაურიგა საწყა-
ლობელთ, ისე რომ თითონ აღა-რა დაინარჩუნა-რა. უნდოდა
ყოფილიყო ზნეობით სრული, და ვისაც სწადიდა მიეხწევინე-
ბინა თავისი თავი ამ ნეტარე მდგომარეობისათვის, იმას იქსო
ქრისტემ უჩვენა მხოლოდ ერთი გზა: „განუტევე ყოველი,
რაიცა გაქვს და შემომიდექ მე”.

ერმიაშ მტკიცედ შეასრულა ეს აღთქმა მაცხოვრისა ჩვე-
ნისა: რაიცა მოეპოებოდა, სრულიად გაუნაწილა გლახაკთა და
სულით ხარობდა, რომ ამ გვარი ქველმოქმედება საძნელოდ
არ ეჩვენა მას. მართალია, პირველიად ეჩოთირებოდა მოშორება
რომელიმე საყვარელი ნივთისა, ანუ მამულისა, შემდეგ კი დიდ
კმაყოფილებას მიეცა, რომ მას აღარაფერი აღარ დარჩა. ეხლა
რაღა დაუშლიდა მას შესდგომოდა სახარების უმაღლეს მოძღვ-
რობასა.

12

განთავისუფლებული ყოველი ქვეყნიური ტვირთიდან, ერ-
მია ერთ დღეს ჩუმად გავიდა კონსტანტინეპოლიდან და შე-
უდგა გზას. ის ეძებდა გამარტოებულ ადგილს, სადაც შესძლე-
ბოდა ღვთის სათნო ცხოვრებისათვის დაეცვა თავი უბიშოე-
ბასა და სიწმიდეში.

ბევრი იარა ერმიამ ფეხში შველა და, შემდეგ დიდის გაჭირ-
ვებისა, დაუახლოვდა შორეულს ქალაქს ედესს. აქ, ერთ უდა-
ბურ მინდოოში, მოასწრო იმას საშინელმა ჭექა-ჭეხილმა და
ნიალვარმა. ერმიამ არ იცოდა, სად შეეფარებინა თავი. ამ გა-



ჭირვებაში უცებ დაინახა იქვე ახლო ერთი გამხმარი კულტურული მიბჯენილი ხე. ღმერთმა უწყის, ჩად იყო ეს ხე აქ მიყუდებული. ერმიამ დაინახა თუ არა, მაშინვე აცოცდა ამ ხეზე; ცხრა ადლამდე რომ ავიდა, თვალწინ წარმოუდგა კლდეში გამოქვაბული და სრულიად მშრალი პატარა ალაგი, რომელშიაც მოთავსდებოდა მხოლოდ ერთი კაცი, ისიც ფეხზე დგომით.

აი, სოქვა ერმიამ, ჩემთვის გამზადებული ადგილი. შეძვრა გაპობილ კლდეში, ჰკრა ხეს ხელი და გადააგდო იქით. ხე მოშორებით გადაგორდა ხვრელში და დაიმსხვრა.

ერმია დარჩა გამოქვაბულში და დაპყო იქ ოც და ათი წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში ერმია განუწყვეტლად ლოცულობდა წინაშე ღეთისა და ცდილობდა დაევიწყებინა ის ფარისევლობა და სიბოროტე, რომელიც მას ენახა, და რაიცა აღუშფოთებდა მას სულსა.

ერმიას ეხვია წელზე თოკი, რომელიც ძალიან გამოადგა: ჯერ იმის შემწეობით აცოცდა სველ ხეზე და მერე საზრდოც იმითი გაუქნდა. ეს თოკი დარჩენილიყო ერმიას კლდეზე გადმოკიდული. რავდენისამე დღის შემდეგ იმ ადგილებში აძოებდა ციკნებს ერთი პატარა ბიჭი, რომელმაც დაინახა თუ არა თოკი, მისწვდა და დაუწყო წევა. ერმიამ გადმოიხედა და უთხრა: „ბავშვო, შენ გარდას, წყალი მომიტანე: ძალიან მწყურიან.“ პატარა ბიჭმა მაშინათვე მოისხა გოგრის ჭინჭილა წყლით სავსე, მოუბა თოკის წვერს და უთხრა:

— აი, მამაო, მიირთვი წყალი და ჭინჭილაც მანდ დაიტოვე. ამასთანვე მიაწოდა პატარა კალათაც კვრინჩხითა.

ერმიამ დალია წყალი და ისადილა ამ ხილეულით და სოქვა: მომივლინა ღმერთმა ეს პატკია მწყემსი ჩარჩენელად.

საღამოზე ბიჭმა ამბავი მიიტანა სოფელში საკეირველ მეუდაბნოებე. ხალხმა დაიწყო სიარული გამოქვაბულ კლდესთან და ერმიასიმოდენა საჭმელი მოსდიოდა, რომ ვერც კი ერეოდა.

ერმია ჩამოჰკიდებდა ხოლმე გოგრის ჭინჭილას და კალათს. ჭინჭილას წყლით უვსებდნენ და კალათაში უწყობდნენ განხმარ კოშბოსტოს ფოთლებს, მუხუდოს ანუ ცერცესა და სხვა ამ

ვვარ მარცვლებს. აი ვიზანტიის წარჩინებულს და დიდყანის, უთეალავი სიმღიღრის პატრიონს, რა ჰქონდა საზრდოდა ოცდა ათის წლის განმავლობაში! ამის მეტს ის არას მოითხოვდა — არც პურს და არც არას მოხარულს, გინა შემწვარს. გაცემული თავის სიმღიღრე სრულიადაც არ ენანებოდა იმას და აღარც კი მოიგონებდა ხოლმე.

ლაპარაკი არაეისთან არა ჰქონდა, სასტიკად და მტკიცედ ეჭირა თავი და სიჩუმით მიჰბაძავდა ილიას. შესწირავდა ლმერთს მადლობას, რომ მან მიანიჭა ასეთი ძალა მუხანათ სხეულზე.

გავარდა ხმა, რომ ერმიას მინიჭებული აქვსო სასწაულთ მოქმედების მაღლი. ერმიას არავისთვის არა უთქვამს-რა, მაგრამ ხალხში ძალიან გავრცელდა ამ გვარი რწმენა. მოდიოდნენ ავადმყოფები, დგებოდნენ კლიის პირას ჩრდილოში და როდე-საც ბრუნდებოდნენ სახლში, ატყობდნენ თავიანთ თავს დიდ შევბასა. თითონ ერმია იყო გაჩუმებული, ჭკვა და გონება ლრმად ჰქონდა მიქცეული მხოლოდ ლოცვაზე. ამასთან ზეპა-რად განიმეორებდა სამ მილლიონ ლვთისნიერ ლექსებს ადა-მანტისას და ორას ორმოცდა ათი ათასს ამ გვარსავე ლექსებს გრიგოლისას, სტეფანოზისას და სხვ.

ესრე ატარებდა ერმია თავის დღეებს, საღამოზე კი, რო-დესაც სიცხე იკლებდა და პირსა ჰკრავდა სიგრილე, ის, შემდეგ ლოცვისა, იტყოდა: ვინ იცის, ამ ოცდა ათ წელიწადში რა რიგად გავრცელდა ქვეყანაზე ბოროტება, რა რიგად გაიდგა ფესვები სიბილწემ. ვინ იცის, ცრუმორწმუნოებამ და ფარი-სევლობამ ამოშრიტა ხალხში ყოველი ჭეშმარიტი სათნოება და მადლი.

რასაც კი წარმოიღვენდა დატოებულ საზაგადობის ცხოვრებიდან, იყო ისეთი შეესაბამო და ცუდი, რომ ერმია იმედსა ჰკარგავდა ქვეყნის მოქცევაზე. ის კი ავიშუდებოდა, რომ ამ გვარი უიმედობით ის ამცირებდა ლვთის გაჩენილთ და მარტო თავის თავს სცნობდა უნაკლულებოდ.

გულში გადიკითხავდა ადამანტის ლექსებს და ჰფიქრობდა: ვთქვათ, ქვეყანა გაჩენილა საუკუნოებისათვის და ყველა კაცი



სწავლობს, როგორც მოწაფე სასწავლებელში, რომ განემზადოს იმიერ ქვეყნისათვის, იქ უჩვენოს თავის წარმატება და ამით დაიჭიროს იქ ჯეროვანი ადგილი. მაგრამ რა წარმატებას განამხელს კაცი, როდესაც ზარმაცობაში ატარებს სიცოცხლეს: არც არაფერს სწავლობს და არც არას ივიწყებს? გაუქმდება თუ არა საუკუნობა? დევ, გვანუგეშოს ადამიანტმა, რომ შემოქმედი ვერ შესცდებოდა როდესაც იხილა, „თუ ვითარ ყოველივე კეთილ არს ფრიად“, ჩემის აზრით კი ეს ყოველივე სრულიად უვარგისია.

ერმიას ჭიუა ვერ უწედებოდა და ამაოდ ცდილობდა გაეგო: როგორნი უნდა იყვნენ ისინიო, რომელნიც სააქაო ცხოვრებით იმ გვარად მოიგებენ სულსა და შეიმოსებიან იმ გვარის ნიჭით, რომ მათ შეეძლებათ არამც თუ ცხოვრება, თავიანთ გაუკეთესებაც კი უსაზღვრო საუკუნოებში.

ვერას გზით ვერ წარმოიდგენდა ერმია ამისთანა პირთა და სწუხდა, რომ დაცარიელდება საუკუნოები, რაღანაც არ მოიპოვებიან ლირსეულნი გარდასახლებისათვის იქაო.

•

ერთ დღეს, როდესაც უკანასკნელი შზის სხივები განჰქრენენ და ცა და დედამიწას გარემოეფინა ბინდი, ჩვენი მეუდაბნოე გამოიყურებოდა თავის მღვიმედან და ღრმად ჩაფიქრებული ამბობდა: ნეტავი ერთი კაცი მაინც მაჩვენა, რომელშიაც მოიპოვებოდეს თუ გინდ უმცირესი ნიშანი უკვდავებისა. ამ დროს სწორედ საკუთრეველება მოხდა: ალიძრა ნაზად ნიავი და ტკბილად შეესმა ერმიას:

— ტყუილად სწუხარ, ერმიავ, ამაოდ მიეცემი შიშას: არსებობენ კაცნი, რომელნიც ჩართულარიან წიგნსა შინა უკვდავი ცხოვრებისახა.

მეუდაბნოეს აღტაცებით ესიამოვნა ეს წყნარი და მიშზიდავი ხმა და უპასუხა:

— უფალო, უკეთუ ლირს ვარ მოწყალებისა შენისა, ინებე,
რომ ერთი ამ გვარი კაცი მომევლინოს მე, და მაშინ სული
ჩემი დამშეიდლების და იმედი მომეცემა გამოჩენილთა შენთა-
თვის.

რაღაც სატრფო სუნთქვა წასჩრჩულებდა ერმიას:

— ამისათვის საჭიროა, რომ შენ დაივიწყო ისინი, ეისაც
უწინარეს იცნობდი, შთამოხვიდე კლდიდან და ნახო კაცი,
სახელად პამფალონი.

განსაციფრებელი სუნთქვა შესწყდა, მეუდაბნოე ალიძრა
და ოტანჯოდა — მართლა გაიგონა იმან ეს სიტყვები, თუ იმას
ყოველი ეს მოელიანდა? გავიდა გრილი ღამე, გათავდა პაპანე-
ბა დღეც, ბინდ-ბუნდი მოედო ბუნებას და ერმია ისევ თავ-
ჩახრილი იდგა. საოცარი ხმა კიდევ გაისმა იდუმალ ჰაერში:

— ჩამოეშეი დედამიწაზედ, ერმიავ, შენთვის საჭიროა წა-
ხეიდე და გაიცნო პამფალონი.

— მაინც ეინ არის ეს პამფალონი?

— ის არის იმათვანი, ეისიც ნახვისა შენა გაქვს მხურვა-
ლე სურეილი.

— და სადა ცხოვრობს პამფალონი იგი?

— პამფილონი ცხოვრობს ქალაქ დამასკში,

გაკვირვებულმა ერმიამ გარდასწყვეიტა ზედ-მიწევნით გაი-
გოს, ვინ არის პამფალონი და როგორ უნდა ეძიოს იგი და-
მასკში.

გავიდა დღე, დალამდა და დამშვიდებულ ჰაერში კვალად
გაისმა პამფალონის სახელი.

საიდუმლოთა მიუწოდებელი ხმა ეუბნებოდა:

— რისთვის იგვიანებ, ერმიავ, რატომ არ ეშუჩები, არ ჩა-
მოხვალ მიწაზედ და არ განემგზავრები დამასკისაკენ სანახავად
პამფალონისა? მოხუცი ხარ, შეიძლება სიკვდილმა გისწროს და
ვეღარა ნახო ისა. შენთვის ეს სავნო იქნება.

ერმია უპასუხებდა:

— როგორ წავიდე საძებნელად იმ კაცისა, რომელსაც მე
არ ვიცნობ!

— სახელი კაცისა განგიცხადე შენ.

— სახელი განმეცხადა, ხოლო იმისთანა უდიდეს ქალაქ-ში, როგორც დამასკი, ნუ თუ მარტო ერთი პამფალონია? ვის უნდა დავუწყო მე კითხვა?

ყუდრო პაერი გაირხა და განისმა ხმა:

— მაგისთვის შენ ნუ ზრუნავ. ჩამოდი მალე და შადი და-მასკში; იქ ყველანი იცნობენ პამფალონს, რომლის ნახვაც შენთვის საჭიროა. ის ყველას ამხიარულებს და შენც გულის დარღს განგიქარვებს და განუვეშებს.

წარვედ პამფალონთან.

xxv

ახლა კი ერმია აღარ იქვნეულებდა, რომ უნდა დამორჩილებოდა იმ ხმას, რომელიც სამი ღამე მას ზედიზედ ესმოდა. რომელ პამფალონთან უნდა მივიდეს დამასკში, ამაზე ერმია არა სწუხდა: პამფალონი, რომელსაც „ყველანი იცნობენ“, უნდა იყვეს ან სახელ-განთქმული ღვთის მეტყველი, ან მხედარი, ანუ გამოჩენილი დიდი კაცი. ერთის სიტყვით, აქ ფიქრი საჭირო აღარ იყო, უნდა წასულიყო გასაცნობად ჩინებულის პამფალონისა.

რას მოიფიქრებდა, რომ, შემდეგ ოც და ათი წლის ფეხზე დეომისა ერთ და იმავე აღგილზე, იმას მოუხდებოდა გამოძრობა კლდის ნაპრალიდან და წასვლა დამასკში...

რასაკვირველია, უცნაური კი იყო, რომ ამ გვარი უნაკლულებო განდგომილი წასულიყო დამასკში შესასწავლად პამფალონისა. დამასკი იმ უამად ისახელებოდა გარყვნილობით, უსჯულოებით და ყოველი ბიწიერებით,—მაგრამ ძველად მოხდებოდა ხოლმე, რომ სწორედ ამნაირ ულვოო ადგილს იგზავნებოდნენ მოციქულნი.

უნდა წავიდე დამასკში! მავრამ ერმიას მოაგონდა, რომ ის არის ყოვლად შიშველი. ძველ-ძული, რომლითაც ოც და ათი წლის წინად ის აქ მოვიდა, დიდიხანია ზედ ჩამოალპა.

ტანი ჰქონდა გაშევებული და დახეთქილი, თვალები გავარდებოდა ლებული. თმა ჩამოსვლიყო და ფრჩხილები ისე გაზღოდა როგორადაც მტაცებელ ფრინველს... რაგორ უნდა გამოჩენილიყო ერმია იმისთანა დიდს, ნებიერს და მდიდარს ქალაქში?

საიდუმლო ხმა არ აკლებდა მას ხელმძღვანელობას და ეუბნებოდა:

— არა გიშავს-რა, ერმიავ, წადი; სიშიშვლე შენი გაშოვნინებს შენ ტანსაცმელსა.

აიღო ერმიამ თავის ცერცეიო სავსე კალათი და გოგრის ჭინჭილა და ჩაუშვა ძირს დედამიწაზე. შემდეგ თითონაც მოებლაუჭა თოკისა და ჩაცოცდა ძირს. ისე გამხდარი და მისუსტებული იყო, რომ თოკმა ის შეიმაგრა. დასდგა დედამიწაზე და დაიწყო სიარული ისეთი ბარბაცით, როგორც დადის ახლად ფეხ-ადგმული ბაეშვი. ერმიას ფეხები გადაჩვეულიყო სიარულსა.

მიღიოდა ერმია უნაყოფუ და ცხელ უდაბნოთი, მიუაოდა დიდხანს. გზაზე შეხვდებოდნენ ხოლმე მხოლოდ ნადირნი, ფრთოვანი—ხვლიკები და გველ-ვეშაპნი. კაცი არსად არ შეხვედრია და ვისი უნდა შერცხენოდა, რომ შიშველი იყო. როდესაც მიუახლოვდა დამასქსა, ქვიშაზე იპოვა ერთი გამხმარი მკვდარი კაცი და იმის გვერდზედ თხის ძველი მილოტი, რომლითაც იმ დროს იმოსებოდნენ ბერები. ერმიამ ღმერთს მადლობა შესწირა, დამარხა მკვდრის ძვლები და მილოტი წამოიდო მხრებზე.

მზე პირობდა ჩასვლის, როდესაც ერმია მიუახლოვდა დამასქს. არ იცოდა ფეხი აეჩქარებინა და შესულიყო დამასკში, თუ მოეცადნა დილამდის. ახლო მოჩანდა დამასკი, მაგრამ ერმიას ფეხები ჰლალატობდნენ. მოიკრიფა ძალა და კლილობდა თვალნათლივ შესულიყო ქალაქში. მიეიღა სწორედ იმ დროს, როდესაც ბინდმა ჰკრა და სიბნელე მსწრაფლ ჩამოეშვა ზეცით. კაცს ეგონ ებოდა, თითქოს მოელი ქალაქი შთაინთქა მიუწოდობელ ცოდვაშიო.

შეშინდა მოხუცი და უკან დაიწია... მსწრაფლ წარმოი-
დგინა: იქნება ტყუილი იყო ის ხმა, რაც მე მაქეზებდა შესა-
ხებ ჩემის მოგზაურობისა. მოლანდება თუ განსაცდელია ესაორი?
რა უნდა გავაკეთო მე ამნაირ ხრიანცელ ქალაქში? აქ რა
მართალი კაცი უნდა ვპოვონ? საუკეთესო იქნება მე აქედან
გავიქცე, შევძერე ჩემს კლდეში და განურყევლად ვიღგე მე
იქა.

გამობრუნდა კიდეც, მაგრამ ფეხები მტყუნობდნენ. ამას-
თანავე ის გასაოცარი და ნაზი ხმა წასჩურჩულებდა.

— გაეჩქარე დამასკში, იქ შენ მოგელოლინება პამფალონი.
ერმია მიბრუნდა დამასკსა; ფეხებმაც დაუჯერს.

მიადგა ერმია ქალაქის გალავანს და ის იყო დარაჯიც
აპირობდა ალაყაფის დახშვას, ნახევარი კარი კიდეც მიეხურა.

VII

დარაჯი არ უშვებდა ქალაქში საწყალობელ მოხუცსა.
ბევრი ეხვეწა — სად უნდა დაერჩე მე აქ უცნობ ადგილსაო.
დარაჯი მაინც უარზე იდგა. რომ გაუჭირდა, აიღო ერმიამ
და მისცა ქრთამად თავის კალათა და გოგრის ჭინჭილა. სასტიკი
კარის მცველი მორბილდა, და ერმია შევიდა უცხო და მრავალ-
ცოდვიან ქალაქში.

საზოგადოდ, სამხრეთს ადგილებში ბინდი ძალიან ცოტას
ხნით არის ხოლმე; მზის ჩასვლის უმალვე სიშაებნელე მოედება
ყველას, ისე რომ ორ ნაბიჯზე კაცი ველარის გაარჩევს. იმ
დროს ქუჩებში ფარნები არ იცოლნენ და მცხოვრებნი რაკი
შეღამდებოდა, მაშინათვე შეიკრიბებოდნენ სახლებში. ღამით
კარში სიარული დიდათ საშიში იყო; მართებული ოჯახები
მაგრადა ჰკეტლნენ კარებებს, რადგანაც ეშინოდათ, რომ ავაზაკი
ვინმე არ შევარდნოდათ სახლში. ღამით კარების გაღება თითქმის
შექცლებელი იყო. მხოლოდ იმ იშვიათ შემთხვევაში გააღებდნენ,
როდესაც ან რომელიმე შინაურს შეუგვიანდებოდა კარზე, ან
მოკეთე მოუვიდოდათ ვინმე. ისიც ჯერ უნდა მტკიცედ დარ-

შმუნებულიყვნენ ვინ აკაკუნებს. ლია ჰქონდათ სახლი მხოლოდ გზა და კვალ არეულო ბედოვლათებს და ნამუს-გაწყვეტილ ქალებს, რაღანაც იმათოვის ის იყო სასიხარულო, ვინც უდროვოდ მიადგებოდა იმათა.

ერმია კი შევიდა ქალაქში, მაგრამ იმ სიბნელეში არ იცოდა, სად დაბინავებულიყო დილამდის. მართალია, დამასკუში ბევრი ქარვასლები იყო, მაგრამ იქ დგომას ფული უნდოდა და ერმიას, როგორც ვიცით, ერთი გრიშიც არსად მოეპოვებოდა.

ერმია შესდგა და ფიქრობდა—რა უნდა მოეხერხებინა, რომ ეშოვნა თავშესაფარი. ეჭ, სთქვა, მოდი პირეელ სახლშივე მივალო.

მიადგა ერთს სახლსა და დაარახუნა კარი.

— ვინა ხარ, რას არახუნებ?

ერმიამ უპასუხა:

— მე ვარ საწყალობელი მგზავრი.

— მერე რა გინდა შენა?

— გთხოვთ ამაღლამ მიბინადროთ.

— წადი, წადი, მაგისათვის ქარვასლებია.

— მე ვარ დატაყი და არ შემიძლიან ფასი გავილო.

— მაშ მიდი იმასთან, ვინც შენი ნაცნობია.

— ბატონი, მე აქ სრულებით არაეინ არ მიცნობს.

— თუ არაეინ არ გიცნობს, გაგვეცალე აქედან, ტყუილუბრალოდ ნუ გვიმტვრევ კარებსა.

— გემუდარებით ქრისტეს გულისთვის.

— დაანებე თავი მაგ სახელია. შენისთანა ბევრი დაეხერება აქა და თხოულობს ქრისტეს სახელით. გასწი, გაგვეცალე—შენთვის ბინა არა გვაქვს ჩევნა.

ერმია მივიდა მეორე სახლთან და დაურახუნა იქაც კარები.

— ვინა ხარ,—ჰკითხეს.—რა გინდა?

— ვარ საწყალობელი ქანც-გაწყვეტილი მგზავრი... შემიშვით ლეთის გულისათვის დავისვენო ამაღლამა.

— გასწი, გასწი ქარვასლაში.



— ფული არა მაქვს, — უპასუხა ერმიამ და ახსენა ქრისტე.

— კარგი, კარგი! ამ დროში ყველა ზარმაცი და ავაზაკი იფარიას თავსა ქრისტეს სახელით.

— არა, ბატონებო, — უპასუხა ერმიამ, — მე მოვედი უდაბნოდან და ჩემს დღეში არავისთვის ცუდი არ მიქნია.

— ჰო, თუ უდაბნოდან ხარ, იქვე უნდა დარჩენილიყავ. ტყუილად წამოსულხარ აქ.

— მე ჩემის ნებით არ წამოვსულვარ, მე მაქვს ნაბძანები.

— მაში მიღი იქა, სადაც შენ გიბძანეს, ჩვენ კი მოვჭორდი და თავი გაგვანებე; ჩვენ ძალიან გვეშინიან იმათი, ვინც თავიანთ თავს ბერებადა სთელიან და სად გინდა არ დადიან მილოტში წახვეულები; თქვენ დიღი წმინდანები ხართ, მაგრამ ეს არი უბედურება, რომ ყველა თქვენგანს მიყენებული ჰყავს შეიდ-შეიღი ეშმაკი.

— ეჭე! — სოჭვა ერმიამ: — დროს როგორ შეუცვლია ჩვეულება! ეტყობა, ალარ არი უწინდელი სიხარულით მიგებება და შეწყნარება მგზავრისა. შეუსწავლიათ ცრუ-მოძღვრება, ვითომ ყველა განდგომილში უფრო ბევრი ეშმაკი უნდა ბუდობდეს, ვიდრე უბრალო ცოდვილში. ქვეყანა უფრო გაფუჭებულა. დახედეთ, მე, განდევილს, მეუდაბნოეს, რომელიც ოც და ათი წელიწადი ფეხზედ ვიდექ და რომლის სხეულის ჩრდილში იკურნებოდნენ დავრდომილნი, თავსაფარსაც არ მაძლევენ ერთ ღაშესა!... შესაძლებელია მომკლან კიდეც, შესაძლებელია ამაზედ უარესიც მიყონ — გამაუპატიურონ, შეურაცხ-მყონ. ებლა კი ცხადადა ვხედავ, რომ ეშმაკმა შემაცინა, სასაცილოდ გამაკეთა და გამომამგზავრა აქა ჩემის სულის სასარგებლოდ კი არა, არამედ დასალუპად.

ამ დროს ერმიას წინ ვიღამაც გადურბინა და სიცილით უთხრა:

— ოჳ, რა ნაირ მაცინებ, მიხუცო! მართლადაც გეტყობა, რომ აქაობისა შენ სრულიადაც არა იცი-რა.

ერმიამ იფიქტრა: ვინ არის ესა? ქურდი თუ მერტე? მაინც და მაინც გამოვჭითხავ, სად შემიძლიან ბინა ეიშოვნო.

— შესდექი, — უთხრა ერმიამ: — ვინც გინდა იყო შენა, მითხარი, არის თუ არა აქ კაცი, რომელიც ცნობილი იყოს კაცომოყვარებით?

— დიალ, არიან აქ მაგვარნი პირნა.

— სად არიან ისინი?

— აი, ეხლა შენ იმათ სახლებთან არ იდექი და ელაპარაკებოდი მათა?

— კარგი, არ იცი შენ იმისთანანი, რომელნიც ღვთის-მოყვარენი იყვნენ?

— ღვთის-მოყვარენიც არიან?

— სადა?

— ეხლა ისინი, მზის ჩასვლის შემდეგ, სდგანან და ლოცულობენ.

— მაშ წავალ იმათთან.

— ტყუილად ნუ გაირჯები: კარების რახუნი დაუშლის იმათ ლოცვაზედ დგომას და იმათი მოსამსახურენი დაგაწყლულებენ რკინის ჯოხებითა.

მოხუცი დიდად ჰკეირობდა.

— რასა ჰგავს ესა? კაცომოყვარეთ ვერ აღუძრავ გრძნობას შენის გაჭირვებითა და ღვთის-მოყვარეთ, რაც უნდა შეძრწუნებული იყო, ვერას შეაგონებ და დაუშლი ლოცვას!... ღამე კი თქვენი უბნელესია, ხოლო ჩვეულებანი თქვენი საშინელნი არიან.

— რას სწუხარ, მოხუცო! — შენ წადი პამფალონთან.

— როგორა სთქვი? — გამოპყითხა განდეგილმა და მიიღო ისევ ის პასუხი:

— წადი პამფალონთან.

viii

ერმიას დიდად გაეხარდა, როცა გაიგონა სახელი პამფალონისა. მაშ ჩემი აქ წამოსვლა ტყუილ-უბრალოდ არ ჩაივლის. მაგრამ ვინ არის, რომელიც მე მელაპარაკება ამ ბნელაში: ხელმძღვანელი ანგელოზია, თუ უუწყეულესი ეშმაკი?



— მე სწორედ პამფალონი მინდა, — უთხრა ერმიამ, პამტიქა-
თვის რომ მე იმასთანა ვარ გამოგზავნილი. არ ვიცი კი ნამდევი-
ლად ის პამფალონია, რომელსაც შენ მისახელებ, თუ სხვაა?

— როცა გზავნიდნენ, რა გითხრეს შენს პამფალონზე?

— სთქვეს, რომ ის ყველას ამხიარულებს და ყველანი
იცნობენ იმასთა.

— ჰო, სწორედ მეც იმ პამფალონთან მიგიასწავლე. ის
პამფალონი, რომელსაც ყველანი იცნობენ, მარტო ერთია
ჩენში.

— ეგრე რითი იცნობენ იმას სუყველანი?

— იმითი, რომ ის არის მეტად სასიამოვნო კაცი და სადაც
მივიდეს თან მიჰყება მოუღალეო სიმხიარულე. აქ უიმისოდ
არც ლხინი, არც სხვა შექცევა არ შეიძლება და ის ყველას
საყვარელია. რაკი დაინახავენ იმის ერთგულს ძალს, ლეგას
და გრძელ ტუჩას თავის ქლარუნებით, იტყვიან ხოლმე სიხა-
რულითა: აი პამფალონის აკრა მორბის! ეხლავ პამფალონიც
გამოჩნდება და მხიარული სიცილი შესდგება.

— თან რად დაჰყავს იმას ძალლი?

— პამფალონის აკრა საკურრეველი ჭკვიანი და ერთგული
ძალლია და ბევრსა შველის თავის პატრონს ხალხის გამხიარუ-
ლებაში. პამფალონს ერთი საკვირველი ფრინველიცა ჰყავს.
გრძელ ჯოხზე კრკალია მობმული, ამაზე უზის ეს მრავალფრად
აყვავებული ფრინველი და თან დაჰყავს ხოლმე: ის თუ გინდ
დაუსტევნს, თუ გინდ დაისისინებს როგორც მცურავი.

— რად უნდა იმას ან ძალლი და ან ამგვარი ფრინველი?

— არ შეიძლება, რომ პამფალონს მავრეთი სასაცილო
რამ არ ჰყავდეს, ანუ სამასხარო ნივთი რამ არ ჰქონდეს.

— ერთი ამისსენი, თუ ლმერთი გწამს, ვინ არის ეგ პამ-
ფალონი?

— გაშ აქამდის არ იცოდი?

— არა. მე მხოლოდ უდაბნოში პირველად გავიგონე სა-
ხელი პამფალონისა.

უცნობ მესაუბრეს დიდად გაუკვირდა.

— შაშ ეგრეა! — უპასუხა უცნობმა. — სჩანს, არამც შეიქუდი და სხვა ქალაქებში, უდაბნოშიაც კი გავარდნილა ჩევენი პამფალონის სახელი! მაგრამ ეს არ უნდა გაგვიკვირდეს — ჩევენ პამფალონზე მხიარული და მოსუმარი კაცი აღარ შეიძლება. კაცი სიცილით მოკვდება, როდესაც ის დაიწყებს ხოლმე თავის ხუმრობას, როდესაც ის თვალებს ათამაშებს, ყურებს არყევს; როდესაც ის როკავს, ხან უსტვენს, ხან ტრიალებს.

— ხან უსტვენს, ხან ტრიალებს? — განიმეორა მეუდაბნემ. — მაშ ვინ არის, რა ხელობის კაცია ეგ თქვენი პამფალონი?

— მასხარაა, ოინბაზი.

— როგორ!.. ის პამფალონი!.. რომელთანაც მე მივდივარ!.. ის მასხარაა!..

— დიალ, პამფალონი მასხარაა. იმიტომაც იცნობენ ყველანი, რომ ის ხან დახტის ქუჩებში, ხან ყირამალა დადის მოედანზე, ხან ციბრუტივით ტრიალებს.

ამეების გამგონი ერმია ყოველ სახსარში მოიშალა და მოდუნდა, ისე რომ კვერთხიც კი გავარდა ხელიდან.

— ეშმაკო, ეშმაკო, მიწასთან გამასწორე შენა! მაცდინე და ძლები ჩემის შერცხვენითა!

ბნელაში მყოფმა და-ემატა:

— პამფალონის სახლი მანდვეა, აი მაგ კუთხეს იქით; ეხლა იმას აუცილებლივ ენთება სანთელი, ამისათვის რომ ის ღამე ამზადებს იარაღებს გასამართვად სამასხრო წარმოგენისა უნამუსო და გარყვნილ ქალებთან. და თუ სანთელი არ მოჩანდეს ფანჯარაში, აი აქედან მარჯვნივ დასთვალე და მესამე პატარა სახლში შედი და იქ მოისვენე ამაღამ. პამფალონის სახლი მუდამ ღიაა, გინდ დღე და გინდ ღამე.

სთქვა ესა, და მსწრაფლ სადლაც გაჰქრა ერმიას მესაუბრე.

ლმერთო, ეს რეები გავიგონე პამფალონზე. გულმა კვნესა დაუწყო ერმიას, — შეურყევლად იდგა ბნელში და ფიქრობდა:



— რა უნდა ვქნა მე ეხლა? ნუ თუ ის, ვისთვისაც უნდა
მომაშორეს ჩემს კლდესა და გამომიყვანეს უდაბნოდან, არის
მხოლოდ მასხარა და თვალთ-მაქცი. რა კეთილი მიუძღვის,
რა ლირსებით სავსეა საუკუნო ცხოვრებისათვის, რომ მე მივ-
ბაძო ეიღაც ოინბაზს და შევისწავლო რამე ცმისგან. რა ყოფილა
იმის საქმე? — გრეხა და ხტომა, მასხარობა და ყირამილა დგომა
მოედანზე და იმისთანა სახლებში, სადაც მიეცემიან ლოთო-
ბას და გარყვნილობას.

მიუწდომელია ესა, მაგრამ მეტი ღონე არ არის უნდა
წავიდე მასხარასთან.

თუმცა ერმია შეჩვეული იყო სიბნელესაც და სიციცესაც,
მაინც გარედ დარჩენა შეუძლებელი იყო. იმ დროებში ქალაქი
სავსე იყო ქურდებით და თავგანწირულ ავაზაკებით. ესენი
არავის არ ინდობდნენ და, რასაკეირველია, ერმიაც მოელოდა
იმათგან გაუპატიურებას.

ცოტა რომ გაიარა, მიადგა სახლს, საიდანაც ბნელაში
სანთელი გამობრწყინვდა როგორც ვარსკვლავი. დიდად დას-
ტება მოხუცი ერმია სინათლის დანახვით. უთუოდ აქ უნდა
იდგეს მასხარაო.

მიადგა სინათლეს, და თვალ-წინ წარმოუდგა პატარა და
დაბალი სახლი. კარები ლია იყო და ჭილობის საფარი აწეული,
ისე, რომ სუსველაფერი აშკარადა ჩანდა სახლში.

სადგომი არ იყო დიდი — მარტო ერთი ოთახი, დაბალი,
მაგრამ საქმიოდ ფართო. როგორცა ვთქვით, გარედან ჩანდა:
სახლის პატრონიც, სახლოსნობაც და იმის სამასხარო იარაღე-
ბიც. ადვილად იყო წარმოსადგენი, რომ აქ დარბასიელი კაცი
არ იდგებოდა.

კარების პირდაპირ კედელზე ეკიდა თიხის ლამპარი გრძელი
პატრუქით. პატრუქი ზეთით გაუღენთული იყო, სჭეარტლაედა
და უონაედა. გარდა ამისი კედელზე ეკიდა ბეერი გასაშტერე-
ბელი ნივთები: აქ იყო სხვა-და-სხვა სამკაული არაბული, ბერ-
ძნული და ეგვიპტური; რაღაცნაირი აჭრელებული ფრთები,
შუვნები, უღარუნები და ჭრიალები; წითლად შელებილი წვრილი

სარები და დავარაყებული კრკალები. ჭერის ერთ კუთხეში
ეყიდა ჯოხი, წილკავის ტარის მსგავსი; ზედ ება ხის კრკალი,
კრკალზე თავი ამოედო ფრთებ ქვეშ და ეძინა რაღაც ჭრელ
ფრინველს, ფრინველი პატარა ჯაჭვით იყო მიბმული კრკალზე.
მეორე მხარეზე ეყიდა დაირები ეჯვნებით, სალამურები და სხვა
ამ გვარი რაღაც იარაღები, რომლების დანიშნულებას კაცი
ვერ გაიგებდა, მეტადრე იმისთანა, ვინც უდაბნოში გადაჩვეუ-
ლიყო ქალაქის ცხოვრებასა.

იატაკზე ერთ კუთხეში იყო ლოგინი—გაშლილი ჭილობი, მეორე კუთხეში იდგა სკივრი, სკივრზე იჯდა თითონ სახლის პატრონი და რაღაც საქმობდა პატარა დაზღაზე.

გასაოცარი შეხედულება ჰქონდა ამ კაცსა: კარგა ხანში შესული, სახით შავგვრემანი და პირმომცინარე; სახის გამოხატულობა უმტკიცებდა გულ-კეთილობას. პირი შეღებილი ჰქონდა რაღაც წამლით და ჭალარა თმა ძალათ დახუჭუჭებული. შუბლზე ეკრა სპილენძის სალტა შემკული ელვარე რგოლებითა და ვარსკელავებრივ გამოჭრილ ჩხარუნებით.

აი ასრეთი იყო პამფალონი! გარეშემო ეყარა უცნაური
საოინბაზო იარაღები, წინ ედვა პატარა გაღვიებული მაყალი
და თავჩილუნული რაღაც პაწკია რგოლებს აკავშირებდა. რა-
საკირველია, ეერ შეამჩნევდა, რომ იმას დაჰკვირებია მეუ-
დაბნოე.

ძალლი ფეხთით უწვა ჩრდილოში და ამ გონიერმა პირ-
უტყვემა სუნით იგრძნო, რომ აქ ვიღაც უცხოაო, წამოიწია
თავი, ღრენა დაიწყო და ფეხზე წამოდგა. საყელოზე ასხმულმა
ეჭვნებმა წკრიალი დაუწყეს. ამ ხმაზე ფრინველსაც გამოელვიდა
და იმანაც წამოჰყო თავი, შეიბერტყა და თითქო დაუსტეინა,
თითქო ნისკარტით გააჭრაჭუნა. პამფალონმა წელი აიმართა,
საქმე დასტოვა და ძალლს შეუტია.

— გაჩუმდი, ყრა! შენც ხმა ჩაიწყვიტე, ზოია! ვნახოთ ერთი, რომელ მოწყენილ მდიდართან გვიბარებენ გასართობადა. ეი, ვინა ხარ მანდ? — ხმამაღლივ დაიყვირა პამფალონშა, — შე- მოდი მალე და სოქვი, რა გინდა?

ერმიამ შემოსძახა:

— შენ შემცდარი ხარ, პამფალონ; კაცი, რომელიც შენს კარგებთანა დგას, სრულიადაც არ მოსულა იმისათვის, რომ გაგიწვიოს შენ საონბაზოდ.

— სულ ერთია. ჯერ ლამე დიდია, თუ შენ არა, სხვა მოვა ვინმე დასაძახებლად და სახელიოლ ვიშოენი რასმე ჩემთვისაც და ჩემი ძალლისათვისაც. შენ კი თითონ რა გნებავს?

— მე გთხოვ ამაღამ მიბინადრო და ამასთანავე მაქვს დიდა სურვილი შენთან ბასიობისა.

ეს გაიგონა თუ არა, მაშინათვე მასხარამ იქით გაღაწყო იარალი, თვალებზე ხელი წამოიფარა და უთხრა:

— ვინა ხარ, ვერ ვხედავ და ვერც შენ ხმას ვიცნობ.

— ჰო, შენ მე ვერ მიცნობ, — უპასუხა ერმიამ. — სხვაც არავინ მიცნობს აქ, შორიდანა ვარ წამოსული. შენი ლამპარის სინათლემ მომიყვანა შენს კარგებთან და გთხოვ ბინასა.

— ეგ ძალიან კარგი სოქვი — მე მოხარული ვარ, რომ ჩემი ლამპარი უნათებს არა მარტო ქეიფის მოყვარეთ. ნულარა სდგეხარ ქუჩაში, თუ საუკეთესო სადგომი არსადა გაქვს დამასკში, გთხოვ შემოდი ჩემთან, რომ მე დაგამშვიდო შენა.

— მადლობელი ვარ, — უპასუხა ერმიამ: — და შენის მოსალმებისათვის უფალმა გაკურთხოს შენა, როგორადაც აკურთხა გულითადი მოსტუმრე და უცხოთ შემაწყნარებელი აბრა-ამი.

— კარგი, კმარა! მაგაზე არა ლირს ლაპარაკი! მაშინაც მეტი იქნება შენი მადლობა, როდესაც მოისვენებ ჩემ სახლში და წასვლას დააპირებ. შემოდი, შემოდი მალე: მინამ სახლში ვარ, გიშვერი განბანას, თორე სათამაშოდ დამიძახებს ვინმე და მაშინ აღარ მეცლება. საუბედუროდ, სირაკუზიდან მოვი-დნენ სხეა მასხარებიცა, ტკბილადა გალობენ, ჩანგზედაც კარგად უკრავენ და ლამის ლუკმა წამართვან. შეფერხებაც არ შეიძლება, რაკი დაშიძახებენ, მაშინვე უნდა გავიქცე. ეხლა სწორედ ის დროა, როდესაც მდიდარი და წარჩინებული სტუმრები ეწვევიან მხიარულ და უნამუსო ქალებსა.

— იყოს წყეული სათი ესე, — გაიფიქრა ერმიამ.

— შემოდი, ძმაო, შემოდი, ყურს ნუ ათხოებ ძალლს: ეს ჩემი აკრაა, ჩემი ერთგული ძალლი, ჩემი ერთგული ამხანაგი. აკრა იმისთვის არა სცხოერობს, რომ დაშინოს ვინმე. ჩემსავით, ესეც სხვის გასართობად არის გაჩენილი. მობრძანდი, მობრძანდი.

პამფალონმა ორთავ ხელი მიაწოდა და ამოიყვანა კიბეზე. განათებულ ოთახში რომ შემოვიდნენ, პამფალონი შეშინებული უცბად გადახტა იქით.

ისეთი საშინელი შესახედი იყო მეუდაბნოე.

უწინდელ ვიზანტიის ღიღებულს, ოც და ათის წლის ფეხზე დგომით ქარში და პაპანაქებაში, გაეუძლურებინა სახე თვისი. თვალები ჩასცვინოდა და ამლერეოდა, მთელი ტანი შავად მიჰკრობოდა ძვლებზე; ხელ-ფეხი დასჭირობიყო, ფრჩხილები გაზრდოდა და საზიზლრად დაჭკაკოდა. თავზე ერთი ბლუჯა ბალანიდა ჰქონდა. ეს თმა არც თეთრი იყო, არც მოყვითალო, არც მომწერანო, რაფაც მოლურჯო ფერი გადაჰკრავდა. თმა ქათმის ქოჩორივით ჰქონდა აშვერილი.

გაკვირვებით შესცეკროდნენ ერთმანეროსა ეს ორი სრულიად ერთმანერთის არა მზგავსი კაცები: ერთი იყო მასხარა, რომელსაც ღვთის მინიჭებულ პირისახეზე ეკლისა წამალი, მეორე — მთლიად გახუნებული და განუძლურებული განდეგილი. ამათ გაშტერებით შეჰყურებდნენ გძელ-ტუჩა ძალლი და აჭრელებული ფრინველი. და სუყველანი დუმილს მიეცემოდნენ. მაგრამ, ერმია სიჩუმისთვის არ იყო აქ მოსული, ის იყო გამომგზავრებული ულრმეს საგანზე მოსალაპარაკებლად პამფალონთან.

ზ. ს.

(შემდეგი იქნება)

უკანასკნელი ღამე იუდაში

(საილდგომში ამბავი)

ე. ჭ ე ბ ჭ ა რ ტ ი ს ა

Ⅰ

იუდა დიდ ხანს იდგა გაუნძრევლად იმ ადგილას, სადაც იქსოს საღალატოდ ამბორი უყო. თვალს ადევნებდა რაზმს, რომელსაც ძე კაცისა იერუსალიმში მიჰყავდა. სისხლის ფერი სინათლე ფანრებისა შუბებიანს და შიშეელ მახვილებიან ჯარის კაცებს ანათებდა. რაზმი ჩუმად და აჩქარებით მიღიოდა, ღამის ავაზაკებსავით, თან-და-თან ეფარებოდა ადამიანს თვალთაგან და, ბოლოს, სულ გაპქრა. მაშინ იუდამ გული დაიმშვიდა, გაეხვია თავისს გრძელსა და წითელს არდაგში, პირი ქალაქი-საკენ იბრუნა და ლოდინი დაუწყო.

შუაღამეს გადასული იყო. მთეარე მოლურჯო ფერით ანათებდა უნაყოფო მინდვრებს, წმიდა ქალაქის კოშკებსა და ციხე-სიმაგრეებსა. რაღაც გამოურკვეველი, საშინელი გუგუნი აღიოდა ზევით, ტაძრის მოედნისაკენ. უდაბნოში ბუის ხმა გაისმოდა. ვეებერთელა ღამურამ იუდას გვერდით ჩაუქროლა და თავისი ციფი ფრთა ლოყაზე მოახვედრა. იუდამ თავზე არდაგის კალთა მოიფარა.

ლოდინში იყო. ერთბაშად, სიხარულისაგან აღელვებული მობრუნდა ბალის შესავლისაკენ, ჩრდილიდან გამოვიდა და მიეგება კაცს, რომელიც, როგორც ეტყობოდა, გეთსამანის-

ბალში ვიღასაც დაექებდა. ეს კაცი მოხუცი ებრაელი იყო, მღვდელ-მთავრის ხაზინადარი. გრძელი და თეთრი წვერი ჰქონდა, წელში მოხრილი იყო, ჯოხზე ეყრდნობოდა და გაუბედავად უახლოვდებოდა. იუდა რომ მიუახლოვდა, ტყავის ქისა გადა-უგდო და აჩქარებით გაშორდა იქაურობას.

— მუნიან ძალლსაც კი უფრო ალერსიანად გადაუგდებენ ძვალს! — წაიბურტყუნა იუდამ.

აიღო ქისა და გაიღიმა. ქისა მძიმე იყო და ყურთათვის საამო ხმას იღებდა. იუდა გამოვარდა ბალიდან და მთვარის სინათლეზე ქისა გახსნა. პირველად ვერცხლის ელვარებაშ თითქო დააბრმავაო. მაგრამ მალე თვლა დაუწყო ფულსა. თითოეულს მათგანს მარჯვენა ხელში იღებდა სიმძიმის შესა-ტყობად და ერთს ფულს, რომელსაც კეისრის სახე ოდნავ გადასვლოდა, დიდ ხანს ჰსინჯავდა შეწუხებული.

— ეს ავგუსტია, — სთქვა იუდამ, — განსვენებული კეისა-რია. მე სხეა ფულები მირჩევნია, მაგალითად, ტიბერიუსია, სულ ახლებია... მღვდლებს პირობა შეუსრულებიათ. ეს ძალიან კარგია.

იუდამ ქისა ქამარში გაიკეთა და იერუსალიმისაკენ გას-წია. გულზე მოეშეა, თავის თავს ბედნიერადა სთვლიდა. რომ უფრო დამშვიდებულიყო, მოიგონა ცბიერული რჩევა კაიაფასი, სამარცვინო ვაჭრობის ღამეს ნათქვამი. მე გავყიდე წინასწარ-მეტყველი, რომელიც კანონის დამხობას წინასწარმეტყველებდა და მოხეს ზიზღით იხსენიებდაო. მე ვულალატე ისრაელთა ტყუილ მეფეს, ტყუილ მესიას, რომელიც ვაჭრებს სოლომო-ნის ტაძრიდან ერეკებოდა და მდიდრებს სასუფევლის კარებს უხშობდა! მე, ერთმა საწყალმა ისკარიოტელმა, საქებურად ვიძიე მისი შური ღვთისა, დავითისა და რომის მაგიერ! და სწორედ იმ დღეს, როცა მხე ტანჯვაში მყოფ ქრისტეს დაად-გება, კეშმარიტი ხალხი ღვთისა — ლებიტელნი, სადუკეველნი, მწიგნობარნი, ფარისეველნი და პილატე, ამაყი მოადგილე კეის-რისა, ქება-დიდებით მომისენიებენ, როგორც დიაფის საქმის მომქმედსაო.

— ჩემი სახელი, — ჰუიქრობდა იუდა, — იმნაირადვე არ და-
 ავიწყდება კაცობრიობას, როგორც იაკობისა, დანიელისა და
 ილიას სახელები არ დაავიწყდებათ!

II

იუდა მიჩუმებულსა და სახე მოღუშულ ქალაქში შევიდა;
 ეგონა, ახლა კაიაფა ქრისტეს თავისის დანაშაულის ამბავს
 ჰყითხავდეს იქნებაო, და მღვდელმთავრის სასახლისკენ წავიდა.
 შორიდან დაინახა განათებული სარქმლები; სასახლის კარებთან
 იქით-აქეთ მოარული ხალხის აჩრდილები მოსჩანდა. სასახლის
 წინ მოწითანო ფერის სინათლე იყო. ქუჩაში არავინ დადიოდა.
 მამალმა იყივლა.

— განთიადი მოწეულია, — სთქვა იუდამ.

ალაყაფის კარებთან გაჩერდა. შუა ეზოში დიდი ცეცხლი
 იყო დანთებული. ერთი ათორმეტთაგანი, პეტრე, სკამზე იჯდა
 და ხელს ითბობდა, თანაც, ერთ მღვდელმთავრის მხევალთაგანს
 ელაპარაკებოდა. როგორც ეტყობოდა, პეტრე დიდად ნაწყე-
 ნიც რყო და დიდ უბედურადაც სთვლიდა თავის თავსა. ხმა-
 მალლა ლაპარაკობდა და მხევალს უთხრა:

— კეშმარიტებას გეუბნები, ამ კაცს არ ვიცნობ!

მამალმა მეორედ იყივლა.

მხევალი წავიდა. პეტრე დადუმდა და მწარე ფიქრს მისცა
 თავი. იუდა ცეცხლს ისე მოუხმოლოვდა, რომ ვერც კი გაიგო.
 კაიაფას სამსჯავროდან ხმაურობა მოისმოდა, ხან კარგა ხნით
 დუმილი ჩამოვარდებოდა; მოისმოდა ხან მრისხანე და ზიზლის
 ხმა, ხან სერიოზი და მშვიდი ლაპარაკი. ამ ხმაზე გალილევე-
 ლი მეთევზე თრთოდა და ბავშვაეითა სტიროდა, ეგონა, ჩემს
 მეტი ეზოში არავან არისო.

და აპა, მამალმა მესამე გზის იყივლა.

პეტრე გააურეოლა, თავზარ-დაცემულსაეით შეჰლრიალი,
 თავი აიღო და წამოდგა. ორივე მოციქული, უარ-მყოფელი და
 მოღალატე, ერთმანეთს პირიპირს შეხვდნენ.

პეტრე ისე საშინლად აბრიალებდა თვალებსა, ისეთ მარტოცხელება
რის სახით იტაცა ხელი სატევარზე, რომ იუდა, შიშისაგან ათრ-
თოლებული, მღვდელ-მთავრის სახლის ჭიშკრისაკენ გაიქცა.

დიდ ხანს უვლიდა გარშემო ტაძარს, რომლის გალავანს
მხოლოდ მზის ამოსვლის შემდეგ იღებდნენ. უნდოდა ახლავე
ამოერჩია ადგილი, სადაც ზარაფის დუქანი უნდა გაედო.
მღვდლები, აბა რა თქმა უნდა, მოხერხებულ ადგილს დამით-
მობენ და და მალე მშვენიერი გვიპტური, ბერძნული, იტა-
ლიური, აზიური ფერები ჩემს ხელში გაივლისო. მაშინ სასა-
ცილოდ ავიგდებ ამ დამშეულ მაწანწალებს, სილარიბე და სი-
ნანული რომ უყვართ; სასაცილოდ ავიგდებ ამ ჩემს ღარიბო-
ბის დროის ამხანაგებს, იმ კაცის მოწაფეებს, რომელიც სასი-
კვდილოდ არის განმზადებულიო. რამდენმამე ლევიტელმა, რა-
ბინის მეთვალყურეობით, ტაძრის ყაფაზების გალება დაიწყეს.
იუდა თამამად მივიდა მათთან, თითქო თავის საკუთარს სახლ-
ში შედისო, პირზე ლიმი უთამაშებდა, ხელებს ალერსიანად იქ-
ნედა. მაგრამ მღვდელმა კოპები შეიკრა, ხელი გაიწოდა და
წინ გადაედობა.

— შესდექ და იქედან წადი! კანონი უწმინდურს ნებას
არ აძლევს წმიდა სახლში შემოვიდეს. გასწი! წუხელ შენ ოც-
და ათი თეთრი ჩაგაბარეს, სისხლის სისყიდელი მიღებული გაქვს:
შენი შრომა დაჯილდოებულია. გაგვეცალე, თორემ აქედან
ძალათი გაგავდებ, როგორც მემრუშეს, როგორც კერპთ თა-
ყვანის-მცემელს... ან კაცის-მკვლელს...

III

იუდა ტაძარს მოშორდა. ახლა კი პილატეს სამსჯავრო-
საკენ გასწია. რომაელები მღვდლებზე უფრო ლმობიერად მო-
მებურობიან და სინაგოგის მსახურთა მზაკერებისაგან დამითა-
რავენო. რაბინი ფანატიკოსნი არიან, მებრალება კიდეცა: ვი-
ცი, რომ ლევიტელნი გული-გულში ახლაც თაყვანსა სცემენ
ოქროს ხბოსა, როგორც მოსეს დროსა შერებოდნენ. როცა



დაინახავდნ, რომ მე, ისეარიონტელმა, კეისრის მოადგილობრივი მსახური
ხურმა, კეისრისაგან წყალობით აღვსილმა, დიდძალი ქონება და
სიმდიდრე შევიძინე, ჩემი დუქანი აქროთი, აბრეშუმის ქსოვი-
ლებით, ძვირფას თვალ-მარგალიტით და აზიური სურნელებით
გავავსე, როცა დაინახავდნ, რომ ყოველსავე ამას ძვირფასად
რომის ქალაქში ვასალებ, მაშინ კი დამდებენ ფასსა და ფერებას
დამიწყებენ, ყოველ დღეს ფეხებთან გუნდრუქს მიკმევენ, იმ
გუნდრუქს, რომელსაც თაეიანთ ღმერთს იეგოვას მოჰპარავენო.

იუდას უხაროდა თავისი მომავალი ბედნიერება. გზაზე
ქედმალლურად უყურებდა სინაგოგის წევრებს, მწიგნობართა
და ფარისეველთა, რომელნიც შორიდან თითოთ აჩენებდნენ
ერთიმეორეს, ხოლო ახლოდან თავს არიდებდნენ იუდას აჩრ-
დილს, როგორც უწმინდურს რასმე. ხალხის ჩოჩქოლი მოესმა
და იმანაც ფეხს მოუჩქარა ერთბაშად. ქუჩის მოსახვევთან სა-
შინელ სურათს წააწყდა.

თავგასული ბრბო პილატეს სასახლის კედლებს ურახუნებ-
და; ქურდები, ზნედაცემული ქალები, ფაცის გამტეხნი, ყალ-
ბი ფულის მჭრელნი, ავაზაკნი, კაცის მკელელნი და ძვირის
მომქმედნი, თავინანთის ბუნაგებიდან გამოცვინულიყენენ, ყვე-
ლანი თვალების ბრიალით ხელებს უშვერდნენ პროკონსულს
და ჰყვიროდნენ:

— ბარაბა! ბარაბა! მოგვეც ჩვენ ბარაბა!

პილატე თავშიშველი იდგა პორტირის ქვისაგან გაკეთე-
ბულ სვეტებიან აივანზე, გარს ეხვია ამალა და მღედლები.
თეთრი სამოსელი ესხა და ხალხს ისე ელიპარაკებოდა, მაგრამ
იუდაშ მისი ნათქვამი ვერ გაიგო. ყოველთვის, პილატე სალა-
პარაკოდ პირს დააღებდა თუ არა, ეს საშინელი ბრბო ფარე-
სად იწყებდა ყვირილს:

— ბარაბა! ბარაბა!

იუდა ხალხში გაერია. აქ მეგობრები დაინახა, რომელთაც
თავი დაუკრეს; კაცის მკვლელნი და ზნედაცემულნი დიაცნი
სალამს აძლევდნენ. როცა ხალხს გაატანა და პირველ რიგთან
მიეიდა, სასახლის ზღურბლთან, იგრძნო, რომ გარს შემოხევია

საშინელი ღელვა საერთო სიბრაზისა. ათასზე მეტმა ხალხში ერთის ხმით, საშინელის ხმით შეჭბლავლა:

— ჯვარს აცე ეგე! ჯვარს აცე ეგე!

პილატე დალონებული, შეწუხებული შებრუნდა სამსჯავროში, თან მიჰყა თავისი ამაღა. აიგანზე მხოლოდ ერთი ახალგაზღდა ასისთავი დარჩა, ორს სვეტს შეუ იდგა და ხალხს უყურებდა. მის წინ იდგა მოხუცი მოსამართლე, სათონ სახისა და სულსწრაფად და რაღაც უწნაურის შიშით შეპყრობილი კითხულობდა დიდთა წინასწარმეტყველთა წიგნს. გაალმასებული ხალხი ცოტ-ცოტად დამშვიდდა; ეს ხალხი ბუნდადა გრძნობდა, რომ სასახლეში სიკეთე არა ხდებოდა. ერთბაშად მღვდელმა მოციქული დაინახა, წითელ არდაგით შემოსილი; ასისთავს რაღაც უჩურჩულა და იმანაც, თავის მხრივ, ისკარიოტელს მიაპყრო თვალები; სახეზე აშკარად გამოეხატა ზიზღი და საჩქაროზე გაშორდა იქაურობას.

მაშინ მძიმე კარი, ბრინჯაოთი შექედილი, ნელა და დიდის ამბით გაიღო. პილატე კვლავ გამოჩნდა პორფირის ქვისაგან აგებულ სვეტებთან; ქუჩაში სამარებრივი სიჩუმე ჩამოვარდა. ნახევრად ჩამობნელებულს აიგანზე იქსო გამოჩნდა, ღვთისაგან რჩეულ ხალხისაკენ მომავალი. ბარბაცებდა, აქეთიქით მხარში უდგა ორი მეომარი, სახეზე სისხლიანი ცრემლი ჩამოსწვეთდა, თავზე ეკალთაგან შეთხული გვირგვინა ედგა, ხელში ლელწამი ეჭირა, ძოწეული ემოსა და მისი წვერები გულზე ჰქონდა გამონასკვნილი.

გაოცებული და დაღუმებული ხალხი გასისხლიანებულ მოჩენების მოახლოვებას უყურებდა. იუდას გული შეჭხარა და პირი მიიბრუნა. პილატე წინ დაიხარა, გაიშეირა თითი, რომელზედაც კეისარის ბრძანებათა შესამოწმებელი ბეჭედი უბრჭყვიალებდა, უჩვენა ხალხს ნაზარეველი და რაკრაკა ხმით წარმოსოქვა:

— ი კაცი!

ბრბომ ხელახლა იკექა საშინელს ხმითა, უფრო გამძაფრებულისა და ბრძანებითის კილოის ხმითა:

— ჯვარს აცვ ეგე! ჯვარს აცვ ეგე!

ზოგიერთმა ქალებმა ქვითინი ამოუშვეს; ერთი გლახაკი ტიბერიუსის ქანდაკებას შემოეხვია და ყვირილი დიწყო:

— ვაი იმას! ვაი იერუსალიმს! ვაი ღმერთს! ვაი მე!

ასისთავი პროკონსულის ტანის-მცველებს გაუძღვა, შუბი მოიმარჯეა, ბრძოს შეუტია და იესოს გზა უტია. იუდა თავისის მეზობლებს ეფარებოდა, იესომ არ დამინახოსო; მაგრამ პილატეს ერთმა მეომართაგანმა მახვილი დაჰკრა:

— შენ აქ რა გინდა? იმისთვის ხომ არ მოსულხარ, რომ ებრაელთა წინასწარმეტყველს დასკინო ან შეურაცხვეულ შენის აქ დასწრებით დიდება რომისა? ჩვენს ღმერთებს მოღალატენი სძულთ. აქედან გაგვეცალე, სადჟე ისეთს ალაგას წადი, რომ შენს მეტი არაეინ იყოს და შეგვეძლოს დაჰჭარო შენი შერცხვენა.

IV

იუდა ხალხის შორის მიღიოდა. რომაელ მეომართა რაზმს ესევე ხალხი გარშემო ეხვია. ბევრნი მათგანნი, რომელნიც ცოტა ხნის წინ ბარაბას განთავისუფლებას თხოულობდნენ, ახლა კი მიხედნენ ასისთავის ნათქვამსა. დაცინვა დაუწყეს იუდას, ჩურჩული შეპქმნეს და სახეზე ყველას ზიზღი გამოეხატა. იუდამ შეამჩნია ეს. სჯობს ფრთხილად ვიყვეო და სიარულს უკლო, და მერე ერთ მიყრუებულ ქუჩისაკენ შეუხვია.

— ნუ თუ ყველანი ისე მიყურებენ თითქო, კეთროვანი ეყიყეო? — ითიქრა იუდამ.

გადასწყვიტა სახლში დაბრუნებულიყო და იქ თავისუფლად მოეფიქრნა თავისი აწმყო და მომზადი მდგომარეობა. მაგრამ შემთხვევით ქალებისა და ყმაწეილების ჯგუფს წააწყდა და მათმა შეხედვამ შეაშინა. ესენი იყვნენ, რომ იერუსალიმში დიდებით მიმავალს ქრისტეს გზა ყვავალებითა და ხის მწვანე ტოტებით მოუფინეს და ჰგალობდნენ:

— ოსანნა! ძეო დავითისაო, შეგვიწყალენ ჩვენ! ოსანნა!

იუდამ გზას აუხვია და ქალაქის ციხისაკენ გაემართა. მაგრამ ბავშვები უკან გაედევნენ და წყევა-კრულვა დაუწყეს. ფეხს

მოუჩქარა, თანაც ჰერძნობდა, მომდევენ და მოკვლას შეუტკრებიანო. გამოვიდა ბაზრის მოედანზე; აქ გალილის სოფლებიდან ჩამოსულ გლეხებსა და მწყემსებს თავი მოეყარათ.

- იუდა! იუდა! — იძახდნენ ყმაწვილები.
- იუდა! — პასუხს აძლევდნენ გალილეველნი.
- მოჰკალით! მოჰკალით!

ქვები სეტყვასავით დაუშრნეს იუდას. იმანაც თავი დახარა, არდავი იკალთავა და გაიქცა თავის საშველად; ჰერძნობდა, ფეხებ ქვეშ დედა მიწა მისკდებაო. ეს არის, საშინელის ტანჯვით სულს ამომხდიან და, ყოველთ უწინარეს, ჩემს ოც და ათ ვერცხლს წამართმევენო. ერთბაშად ივრუსალიმის ყურთამდე გაღებულ ჭიშკართან გაჩნდა. სასოწარკვეთილი შიგ შევარდა. რომაელ დარაჯებმა იფიქრეს, მეამბოხე ხალხი გოლგოთაზე ამიტომ წასულა, რომ ჯალითებისათვის მეუფე ურიათა წაერთმიათო, ამიტომ ლახვარი დაუმიზნეს ხალხს და გააჩერეს.

იუდა მირბოდა სინათლით მოფენილ მინდვრებზე; მირბოდა ქვიან ველებზე, ნაკადულთა ნაპირებით, სერების გატიტვლებულ ზურგზე. ალალბედზე მირბოდა ხან ზოვისაკენ, ხან ტიბერიალისაკენ, ხან სამარიაში, ხან ბეთლემში, ხანაც სოდომისაკენ. ერთმა, ერთად-ერთმა აზრმა შეიძყრო მისი არსება; დავილუპეო; მე, კეისარისა და მოსეს ერთგული მოსამსახურეს, ისე დამდევენ, თითქო გაცოფებული ნაძირი ვიყვეო. დღეს უშიშრად სად შევაფარო თავი, ხვალ, მთელი ჩემი დღენი სადღა დავიმალოვო?

შუალის ხანზე იუდა ერთის კლდის ჩრდილში ჩამოჯდა და შენიშნა, რომ, თუმცა ამდენი ხანი ირბინა, მაგრამ საზარლის სახის კედლები იერუსალიმისა სულ რამდენისამე ნაბიჯის სიახლოვეზე მოსახნდა. მერე სერზე, ქალაქის გვერდზე, დაინახა რომაელ მხედართა რაზმი; იმის იქიდან გამოჩნდა რამდენიმე კაცი, ქალი და ბავშვი, ძაძით მოსილნი, ბოლოს, დიდალი ხალხიც. ამ უცნაურს და ბუნდ სურათს იუდა თითქმის შეუგნებლივ უყურებდა. მაგრამ აპა, რომაელ მეომრების შებებისა და ჩაფხუტების ზევით, ლურჯის ცის სივრცეში აღმართა სამი ჯვარი; თითოეულ ჯვარზე თითო კაცი ეჭიდა,

ხელ-ფეხ მილურსმული. ყველაზე მაღალ ჯვარზე იესო ქრისტეს ეკლის გვირგვინიანი თავი დაეხარა და კვდებოდა. და როცა რომაელთა მხედარნი იერუსალიმში დაბრუნდნენ, მოლალატემ ურიათა მეუფის ფეხებთან დაჩოქილი ქალი დაინახა, ხოლო ჯვარს გარშემო ეხვივნენ პირქვე დამხობილნი მოციქულნი და ყრმანი.

ამ სურათმა ცოტათი შეუმსუბუქა ტანჯვა და გამხნევდა. მოაგონდა, რომ ბევრი წინასწარმეტყველთაგანნი იქმნენ დევნილნი ხალხის მიერ, ბევრნი ეზიზლებოდნენ მღვდლებს, ბევრი-სათვის მიუყენებიათ ტანჯვა უფროსებსაო. ზოგიერთმა მათგან-მა თავიც კი დასდვა ლვთის ერთგულებისათვისო. მეც წავალ ურიასტანიდან, მართალია, ყველასგან შეურაცყოფილი და შეგინებული ვარ, მაგრამ ცოცხალი და ქისა გავსებული მაინც მიედივარო. ისაიასავით ორ ფიცარ შუა ვერ გამხერხამენო. შეაქცია ზურგი უმადურ სინაგოგასა და იოპიისაკენ გაემართა. მაგრამ ერთბაშად საშინელმა ქარიშხალმა გადაურბინა სერებსა და ბარზე; მხე დაბნელდა, თითქმის ჩაჭრა; ისკარიოტელის მახლობლად, რამდენისამე ნაბიჯის მანძილზე მეხმა კლდე გა-აპო შუაში; ხოლო გოლგოთაზე ელვით განათებული ჯვრები თითქო იზრდება და ინძრევაო; სამივე ჯვარცმული, გასისხლიანებულის და წინ-გაპურობილის ხელებით, უძრავ თვალებით, თითქო გამცემს უახლოვდებიანო.

იუდას თავზარი ლავცა, ნიწაზე პირქვე დაემხო და არდაგით თავი დაიფარა.

•

საღამომდე არ ამდგარა იუდა. მთელს სამყაროში სამარებრივი სიჩქმე იყო გამეფებული. ვერა ჰქედავდა გოლგოთისაკენ მიეხედნა. დიადი დუმილი ბუნებისა აშინებდა. მოუნდა ვინმე შექსვედროდა, გაეგონა აღამიანის ხმა, აღამიანის სახეზე თანაგრძობის ნატამალი დაენახა. ისევ უკან დაბრუნდა, იერუსალიმისაკენ, და გზის პირას ჩამოჯდა, დაღლილობისაგან დატანჯული.

ცოტა-ხნის უკან ცაზე ვარსკვლავები გაბწყინდა და მოლურჯო ლრუბლის ნაჭერიდან მთვარემ ბარი დაღლონებულის

სინათლით გააშუქა. ქალაქიდან მომავალ გზიდან მოისმა კვერთხის კაუნი და ერთბაშად გამოჩენდა ჩრდილი. ვიღაც კაცი აჩქარებით მოდიოდა წინ-დახრილი, თითქო ეისიმე წყევლის გაუყრბისო. ნახევრად ჩამოანელებულს უდაბნოში მისი ხელი მოსჩანდა, ჯოხის იქნევდა და სასოწარკვეთილს რაღაც გადაეწყვიტნა. მგზავრი არ გაჩერებულა, ისე გაუარა იუდას.

— აგასფერე! — დაუძახა იუდამ. — აგასფერე!

მგზავრმა ხმა არ გისცა და უფრო მოუჩქარა სიარულს. იუდა უკან გამოეკიდა და ხვეწნა დაუწყო:

— აგასფერ! ნება მომეცი უკან გამოგყვე! საცა შენ წახვალ, ყველგან წამოგყვები; საცა შენ დაისვენებ, მეც იქ დავისვენებ. შენი მოსამსახურე, შენი მონა, შენი ერთგული ძალლი ვიქნები. ამაღამ აქ მარტოს ნუ დამაგდებ.

— მე ძალიან შორი გზა მიდევს, ასურეთში მივდივარ, ეგვიპტეში, აზიის შუა-გულში, ცის დასავალსა. თავის დღეში არ დავისვენებ; ამის შემდეგ ჩემს თვალებს ძილი არ უნდა მოეკაროს. იქსო არ შევიბრალე. ახლა განვიზრახე ჩემი გულქვაობა შევინანიო და ამიტომ მთელი ჩემი დღენი უნდა ვიწოდიალო უმიზნოდ, უიმედოდ. მაგრამ ესც კია, რომ ამ მართალის სისხლი მაინც არა მცხია. გაფრთხილებ, იუდა, იქედნეს, რომელიც კი გზაზე შემხვდება, ფეხით გაუსრესავს არ გავუშვებ.

მგზავრი სიბნელეში უჩინარ იქმნა. იუდა თვალს ადევნებდა, როგორ გაჭერა ჩრდილი საუკუნო განდევნილისა; დიდ ხანს უგდებდა ყურს ჯოხის კაუნს, რომელიც თან და თან სუსტდებოდა. მერე ისევ გაუბედავად მიუახლოვდა იერუსალიმს. იცოდა, რომ ქალაქის კედლის მახლობლად, ხეები, რამდენიმე ქოხი იყო, სადაც ბინადრობდნენ ივაზაკი და საზოგადოებიდან დევნულნი. იქნება, ერთ ამ ქოხებთაგანში ვპოვო ამხანაგი და ბინა მზის ამოსელამდის, — იფიქრა იუდამ.

vi

ერთის ქოხის ჯუჯრუტანიდან სინათლე გამოკრთოდა. იუდამ შეიჭერიტა და ცეცხლის პირას დაინახა ის ავაზაკი, რომელიც მთელს ურიასტანს შიშის ზარსა სცემდა, ის ავაზაკი, რომელიც პილატემ განათავისუფლა ხალხის თხოვნით. ეს იყო ბარაბა. იუდამ კარი დააკაუნდა. კარი გაიღო.



— ბარაბა! დავიტანჯე... მცივა, მშიან, მეშინიან! შექმნები ნება მომცე, შენის კერის პირს გავათიო ლაშე.

ავაზავი თავისის ქოხის კარებთან იდგა. მხრები შეიშ-მუშან და გესლიანის სიცილით უთხრა:

— შენ გინდა ბარაბა გააუპატიურო? შენ თუ სახლში შემოგებული და როგორც სტუმარს პატივი გეცი, ხვალ იერუ-სალიმში ხალხი ჩამქოლავს. არა, ყური მაგდე, იუდა: მე ხუთი თუ ექვსი ურია და ორი რომაელი მხედარი მოვკალი, ეკლე-სიაში მღვდელ-მთავრის ზანდუკიძან ბევრი ოქრო მოვიპარე, ოქრო ავაძრე აღთქმის კოლოფესა, რომლის მიკარებისათვის კაცის სიკვდილი მოელის; მაგრამ კაცი თავის დღეში არ გამი-ცია, ჯალათებისათვის მსხვერპლი არ მიმიყვანია. უმაღლ ჩემის ხელით დაგახრჩობ, ვიდრე ჩემის ქოხის ზღურბლზე ფეხს გა-გადაგაბიჯებინებდე. თუ გეძინება, გოლგოთა აქედან შორს არ არის: შეგიძლია შენის უფალის ჯვარს თავი მიაყრდო და უში-შრად დაიძინო. ამაღამ თვით ეშმაკიც კი ვერ გაპედავს მყუ-დროება დაგირღებოს.

იუდაც გზას გაუდგა. ხან ციხის კედლებს ამოეფარებოდა, ხან ზეთის ხილის ჭალებში და ვენახებში შეჰყოფდა თავს. ყვე-ლაზე მეტად ის აწუხებდა, ბარაბამ როგორ შემარცხვინაო. აქედე თუ მყავდა მტრები, ისევ კეთილშობილი მტრები იყვნენ: ტაბარი, რომი: მოწაფეები ქრისტესი, ხალხი, ის წყეული ურია, გვერდით რომ გამიარა, — როგორც იყო, ამათს მტრობას მო-ითმენდა კაცი; მაგრამ მოსათმენი როგორაა ის, რომ კაცის-მკვლელმა, ბარაბამ, სახლში არ შემიშვაო!.. მეტად მწარედა ვარ შეურაცყოფილი და თვით შეურაცყოფის იარაღი მეტად საზიზლარი არისო!

ახლა უარესად შესძულდა იესო ნაზარეველი. შერცხვენილი თუ ვარ, სულ ამ ჯვარცმულის წყალობითათვის. ახლა უხაროდა, რომ ასეთი კაცი გაჰყიდა; საშინელის ლიმილით იგონებდა იესოს ტანჯეს. მოიგონა, როგორა ჰეგემეს ეკლითა, როგორა სცემდნენ ყვრიმალში, როგორ მწარედ სჩევლეტდა ეკლის გვირ-გვინი, რარიგ სტანჯავდა ლურსმები ჯვარცმისა...

ამ დროს ერთმა მწარე ფიქრშა გაუელვა თაეში: წამე-ბული, ესდენ ძეირთასი ქვეყნისათვის, მღვდელ-მთავრებს ძალიან იაფად ჩავუგდე კლან ჭებშით.

— სულ უკანასკნელი, 100 დრაპეანად ღირდა, — წაიბუტ-ბუტა იუდამ, — მღვდლებმა საშინლად მომატყუეს.

ვარსკვლავებით გაკაშვაშებულს ცას მუშტი მოუღერდა და დაემუქრა. წყურეილი და ცივება სულს ართმევდა; ხეებისაკენ გაემართა, იქნება მათს ქვეშ წყარო ვიპოვნოვო. ქარი ნელა აშრიალებდა ფურცლებსა. იუდამ ცოტაოდენი შვება იგრძნო. ერთბაშად განწირულებით დაილრიალა და ჩაიჩიქა, თითქო უხილავმა ხელმა ძალა დაატანა. იცნო ზეთისხილის ხე, რომლის ქვეშ შეიარალებულ შეომრების თანადასწრებით ძესა კაცისას სასიკვდილო ამბორი უყო.

დაჩიქილი გამობობდა გეთსამანის ბაღიდან, მერე, ფორხილით, უდაბნოში დაიწყო ლოლიალი. სრულებით არასა ფიქრობდა ახლა, არაფრის იმედი ჰქონდა, ერთი-ლა უნდოდა: შეხვედროდა ზეციდან ჩამოგდებული განრისხული სატანა და იმისთვის გული აეჩვილებინა თავისის უსაზღვრო სასოჭარკვე-თილებით.

მოშორებით ორი ბზა იდგა და თავის ტოტებით ჭას დაჰყუ-რებდა. ეს იყო იაკობის ჭა, რომლის წმიდა წყალი იყსო ქრისტეშ ერთის სიცუვით იკურთხა. იუდამ ვერ შესძლო დაე-ვიწყებინა ეს დიადი მოგონება. ჭის გვერდით მძიმედ დაეშვა. ჯაჭვს სათილი არ ეკიდა და იუდა რიკულს გადააშვა, რომ მისს ცხელს პირს წყალის სიგრილე მოჰქვედროდა.

vii

ბზების შორის, ნაზ აჩრდილსავით, ახალგაზდა ჭალი გა-სრიალდა, თეთრად მოსილი, თეთრი თავსახურიანი; ნაზის ტანისა იყო, შიშველის ხელით მარჯვენა მხარზე შემოდგმული თიხის სარწყული ევირა. იუდამ მაღლა აიღო თავისი გახურე-ბული სახე და ოდნავ გასავონის ხმით წარმოსთქვა:

— მწყურიან!

ახალგაზდა ჭალი შიშისაგან შეკრთა, თითქო საზარელი მხეცი დაინახა.

— მწყურიან! — განიშეორა იუდამ.

— იმანაც, წინასწარმეტყველმა, რომელიც შენ გაეცი, ჯვარზე დაიძიხა: „მწყურიან“!... ხოლო რომაელებმა შუბის წვერზე წამოაგეს ძმით გაექნოთლი ღრუბელი და მიაწოდეს...

ეს რომ სთქვა, ჭალმა სარწყული ჭაში ჩაუშვა, აავსო წმინდა წყლითა, რომლის წვეთები მარგალიტივითა კრთოდა.



იუდა ხმას არ იღებდა. კანკალი აუვარდა ამ ბავშვის შენაშე. მისი გამშრალი ტუჩები ცივ წყლისაკენ იწევდნენ.

ქალი დაიხარა; მეტად ჰშვენოდა მისი დაღონებული სახე — გამომართვი, — უთხრა ქალმა, — იქსოს სიყვარულისათვის გაძლევ, გამომართვი და დალიკ.

როცა იუდამ წყურვილი მოიკლა, ქალმა კოკა ისევ შემოიტგა მხარზე და მოშორდა, თეთრად შემოსილი, ვარსკვლავების ალექსიან ნათლით დამშვენებული.

ამ დროს იუდას ბნელ სულში თითქო სინათლის ტალღა ჩიაჭრაო. ერთბაშად გაზომა მთელი უფსკრული თავისის შეცოდებისა, თავისი ავაზაკობისა. ამან ერთბაშად გაუდვიძა და აღუშფოთა სინიდისი, ახალგაზდა ქალის სიმშვიდემ თვალშინ გადაუშალა ის საიდუმლოება, რომელიც მას თავისდღეში არა სწამდა. სთქვა, მე ღმერთი შევურაცყავიო, და ამ აზრმა თავზარი დასცა, გული ლახერით გაუპო.

— ვინ არის ეს ჯვარუმული, — სთქვა იუდამ, — რომელმაც ამ ბავშვის ხელით თავზე გულკეთილობის ბალზამი დამასხა?

დიდხანს იჯდა იაკობის ჭის კიდესთან. ერთი და იგივე აზრი არა შორდებოდა; მაგრამ ეს აზრი სანუგეშოს არას ეუბნებოდა, პირიქით, უსაზღვროდ სტანჯავდა, ჰქეჯნიდა. მის პირდაპირ, ფერდზე, გამხმარი ლელვი იდგა. იმას რომ შეხედა, ბუნდად მოაგონდა იგავი ქრისტესი. უცბად ხესთან მიირჩინა, წითელი არდაგი ძირს დააგდო, ზედ დაჰყარა ოც-და-ათი ვერცხლი, თავიდან დოლბანდი მოიხსნა და ლელვის ყველაზე მსხვილ ტოტზე თავი ჩამოიხრჩო.

მკვდარ მოციქულის ფეხებთან გაშლილი არდაგი სისხლის დიდ ლაქესა ჰგვინდა. ზედ ტურა დაწვა და განთიადამდე ეძინა. როცა უფერული დილა დადგა, უშველებელმა ძერამ მოწითანო ფრთებით მალლა ჰაერში საბედისწერო ხის ზემოდან ტრიალი დაიწყო.

თ. სახურა

ა შ ხ ა ზ მ ი

(ეროვნული მასალები *)

XI აფიცა (შაშვა) ¹⁾

დღევანდელ აფხაზის ცხოვრებაში შესანიშნავი ადგილი უწინავს აფიცას-სა («შაშვა»-ს), ვითარცა მისისანე და უფლად ძლიერს დმიტოს შედელობისას, რომელიც სამაგალითოდ სჭირდებოდა თავისი ურჩეს აფხაზსა. როგორ, როდის და ანუ საიდან წარმოსდგა აფხაზთა მიერ «შაშვა»-ს გადმიერთება, აფიცას, თავებანისცემა, ეს წვენთვის ჯერ-ჯერობით გამოურკეველი რჩება. მხოლოდ ეს კი აშენაა, რომ რეანის თავებანისცემა (ცეცხლისა?) დღევანდლამდის დარჩენილა აფხაზებიში სავსებით, თუმც ამ უკანასკნელ დროში, როგორც მოსალოდნელიც იყო. ცოტ-ცოტად სუსტდება, კლიფერსა ჰქონდება... ამ წერილში შეძლებისდა გვარად ეეცდებით გავაცნოთ მკითხველსა, თუ ვითარის შიშით შექურებს წინაპართა გარღმინაცემ რწმუნებათა, ზნე-ჩეკეულებათა და ადათების ფანატიკურად აშერულებელი აფხაზი «შაშვა»-სა, როგორ ემსახურება მას, და როგორ იჩენს ეს უკანასკნელი (შაშვა) თავისი ძლიერება-მრისხანებასა უჩნის

*) იბ. „მოამბე“ № XI, 1898 წ.

1) სიტყვა „აფიცა“ პნიშნავს სამშედლოს; „აფი“—მშედელია. „აფირის“ (სამშედლოს) ღმერთია „შაშვა“. შიგრამ ეს უკანასკნელი (შაშვა) თითქმის ავიტყდათ და მის შიგირ მისის მიმშვენელობით იშმარება სიტყვა „აფირის“ (სამშედლო). აქვე შენიშნავ: სიტყვა „შაშვა“-ს ქართულ ისოებით გამოხატვა შეუძლებელია, რადგანაც ისი მეორე ნაწევარი—„შვა“ სრულით გამოითქმის.



აფხაზე, და აგრეთვე რა დამოკიდებულება აქვს აფხაზის «აფხისეთში» (მშედელთან), ვითარცა ძღიერ და მრისხანე ღვთაების წარმომადგრენელთანა და ვითარცა ხელოსანთანა.

«აფხის» დღესასწაულ დღედ აფხაზის მიწნეული აქვს ასაღი წელიწადი, რომელსაც «ხეჩხამა-ს») ეძახის. ღოცვა და მსხვერპლის შეწირვა კი იციან ახალ-წლის წინა დამით, 31 დეკემბერს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აფხაზეთში უფელგან ერთნაირად არ იციან ღოცვა და მსხვერპლის შეწირვა. დასავლეთ აფხაზეთში უფრო სხვანაირადა ხდება «აფხის» მსახურება, აღმოსავლეთისაში კი — სხვანაირად; ასე გასინჯეთ, სოფელ-სოფლადაც სხვადასხვა თავისებურს ელფურსა ჰდებულობს ეს «შაშვერ»-ს მსახურება. ჩვენ აქ საზოგადოდ აღწერთ ამ დღესასწაულს, ხოლო პერი და წვრილმან მხარეებს თავს დავანებოთ.

შესანიშნავია ის გარემოება, რომ «შაშვერ» თითქოს საუთველთაო ღვთაება არ იყოს; თუმცა მისი რწმენა, შიში, კრძალულება უოველს აფხაზის აქვს, მაგრამ უველა კი მას არ სწირავს მსხვერპლისა და არ ემსახურება: ემსახურებან და მსხვერპლისა სწირავენ ის ოჯახთბანი და გვაროვნთბანი, ვისაც «აფხის» «ქმართებს» (იქც), ესე იგი, ვინც ან მშედელია თვით, ანუ წინაპარი მშედლები ჰყავდა, და ანუ რამე მიზეცით «შაშვერ» მას განრისხებია და ამით დაუმორჩილებია, უემია, დაუბეგრავს და მსხვერპლის თხოვლობს! დასავლეთ აფხაზეთში «შაშვერ»-ს თითქმის უველა აფხაზი (მეგოდრთაგანი) ემსახურება და მსხვერპლის სწირავს, აღმოსავლეთისაში კი — არა: აქ შესვედებით იმისთანა ტჯახთბას, რომლის რამდენიმე წევრი «შაშვერ»-ს ემსახურება, დანარჩენი თავისუფალი არიან.

დასავლეთ აფხაზეთში თითქმის უფელი აფხაზი თავის თავს გაღდებულად სთვლის «ხეჩხამა-ს წინ დამით მსხვერპლი შესწიროს

* 1) სიტყვა „ხეჩხამა“ მეცნიერებული: ხეზ-ხევიძე (ხეზ-ხელის, ხევიძე—ლოცვა)—ხელის ლოცვა. არა ერთისა და ორის სარწმუნო პირთაგან გაგვიგია, რომ მეცნიერებულ შეცდებია მდ. ინგურის (შეცდიდის შაზრაში) გაყოლებისე წელიწადში ერთხელ იციან ლოცვა ხელისა, მარჯვენასი. ეს წევრლება რაჭაშიც არის დარჩენილიო.

«აეირასა» და ამით მისი გული მოისუიდოს, მთარიმილის. საზოგადოდ დოდ, ვინც მჭედელია (ანუ წინაპარი ჰქოლია მჭედლად) და ან შეძლებული ოჯახია—ჰქოლავს სამსხვერპლი ზეგარაკსა—თხისა (მამალი დაკოდილი თხა) ამ სადამოს, აგრეთვე იმდენს მამალისა, რამდენი წერიცაა ოჯახში, ანუ რამდენსაც ტმართებს «აეირას» სამსახური, აცხობენ კვერებს (აგვაკას) თითოს გაცის თავზე და უკეთეს ამს სწირავენ მსხვერპლად «შაშვას».³) ა თვით წესი შეწირვისა. ვინც მჭედელია, ანუ ვისაც სამჭედლო აქვს, ის ზემო აღნიშნულ მსხვერპლითა და თავის ოჯახთაბით მიდის სამჭედლოში და აქ გრძემლის წინაშე დოცულობს და მსხვერპლსა სწირავს. ოჯახის უფროსი ერთ ხელში წერიზე წამოცმულ საზეგარაკო თხის გულ-დვიძლით და მეორეში დვინით სავსე ჭიქით დოცულობს. დანარჩენი კი გრძემლის წინა დგანან და მოკრძალებითა თავის გონებაში სთხოვენ «შაშვას მოწევალებასა, შემწეობას... უფროსი კი, დასხლოფვებით ამას ამბობს: «იყვავამა» (გეშმის?), დადებულ «შაშვა! შეძლებისადა გვარად მსხვერპლითა შენს წინაშე გდიბევართ და მუხლ-მოდრეებით ბეჭედრებით, გემუდარებით, შეიწირო ესა და იურ კვლავინდებურად ჩეგნი მოვარველა და შემწე შინ, თუ გარედ, გზაში თუ ტექში» და სხვა. ის ოჯახი, რომელსაც სამჭედლო არა აქვს, თუ შეუძლიან თხითა, თუ არა მარტო მამლებითა და კვერებითა (მამალი და ბეჭედიც კაცის თავზე თითოს) თავის სახლში სწირავს მსხვერპლსა. დოცვა და მსხვერპლის შეწარება ისევ იმ წესითა და რიგით სრულდება, როგორც ზეგითა გვაკეს აწერილი, მსოფლიდ იმის მაგიერ, რომ სამჭედლოში იღოცონ, სახლში დოცულობენ. დოცვის შემდეგ იღენენ. ახალ წელიწადსაც ამ «შაშვას სახლზე დღესასწაულობენ. ასეა დასავლეთ აფხაზეთში.

აღმოსავლეთ აფხაზეთში კი აა როგორ იციან. «ხეჩხვამაას წინ დაშით, უფროსერთ შემთხვევაში კი ახალ წლის პირველ ტვირის იმ დღეს, რა დღეცა მართებს აფხაზსა,⁴) «აეი» (მჭედლი)

³⁾ როცა იტხანი იწყევლება „შაშვა“-თი, ამბობს: „შაშვა“ „უიბლააიტ!“ („შაშვა“-მ დაწვისონ).

⁴⁾ როგორც წინა წერილებში შევნიშნეთ, თითქმის ყოველს იტხაზს კვირაში ერთი დღე შეჩრთებს ხატისა, უქმ დღედ აქვს მიჩნეული: ამ დღეს აფხაზი არავითარს საქმეს არ აკეთებს და არ სახლიდან არაუერს არ ვასცემს, —ხატი გამიწყრებათ.



ჰქონდა საზეარაკო თხსა, კაცის თავზე თითო მამალსა და აჭარამათა ნებს გვერებს. ამასისაში სხვებიც, ვინც მისი «აურას», ემთხილებიან და ემსახურებიან, მოდიან, თან მთაქვთ საფრაგად შინ გაკეთებული კვერები, მიჰყავთ მამლები. აქა, ეველა მღლოცავმა მოიყარა თავი შედღისას, მოხარშეს საზეარაკო თხა და ეველაფერი მთამზადეს. მერე შეუდგებიან მისხვერპლის შეწირვასა და დოცვასა. დოცვა და გეძრება თვით «აურაშივე» ხდება. შეეღები ისევ საზეარაკო ცხოველის წერზე წამოცმელ გულ-ღვიძლით ერთ ხელში და მეორეთი ლალის ფერ ღვიძით სავსე ჭიქით მოკრძალებითა დგება გრძეშლის წინაშე, მისს გარშემო კი დანარჩენი მღლოცაზი, და ამ რიგად სწორავს მსხვერპლსა. დოცვა, დახლოვებით, ისევ ისეთია, როგორც ზევით მოვისენეთ. რასაკვირველია, უოველი მღლოცველი ცდილობს, რაც შეიძლება, მჭერ-მეტელელურად გარდასცეს თავის გულის ნაღები «შაშვია-სა. დანარჩენი მღლოცაზი «აურა» დოცვას «ამინითა აბოლოვებენ.

მჭედელი თავის დოცვაში, სხვათა შორის, ისენიებს, რომ ეველა მისი «შაშვია» მოთხილნი, შეძლებისადა გვარად, მისხვერპლითა მოვიდნენ მასთან და სთხოვენ, რომ მათ ექმნეს შემწე და შეულობელი, მფარველი უოველოვის და უოველგა...»

დოცვის შემდეგ უველანი საერთოდ დახინობენ. აქე შეგნიშნეთ, რომ, თუ რამე გადარჩა ვახშამსა მღლოცავთა მიერ მოტანილ მამალ-კვერთაგან, ეველა «აურა-სა (მჭედლისა).

აქ შესანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. თუ მჭედლის თვახთან გადაშენდა, ან სხვაგან გადავიდა, მაშინ «უფროსობა» და «შაშვია-ს მსხვერპლის შეწირვისა და მსახურების უფლება გადადის გვარის უფროსობაზე, თუ კი მას «აურას» მსახურება ემართა, თუ არა — ვისაც კმართვებს, ერთ ერთ იმათ უფროსთაგანზე გადადის (აურის სახლის გაცთაგნ უნდა იყოს). ამ უფლების მომოვებისათვის კი საჭიროა, რათა ამით თავისი თავი დირსი ჰქონს ასალ ღვთაებრივი მოვალეობის აღსრულებისა. მსხვერპლის ორ ადგილასა სწირავს: ერთს თვით სხვაგნ გადასულ მჭედლისას, მეორეს — თავისი შინ — «შაშვია» — ს მობრძნების ნიშნად. ამ მსხვერპლების შეწირვის შემდეგ ეს შირი ითვლება

⁵⁾ როლენბობა საზეარაკო ორებისა, ანუ მათი წლოვანები (თხი ს წლოვანობასიც აქეს შირვნელობა) დამოკიდებულია შეითხავის ჩერენებაზე.



«აფირის» წარმომადგენელად, მისის უზენაესის ნების და მსჯელი დას ამსრულებლად. მიუხედავად იმისა, იცის მან მშედლია, თუ არა, დანარჩენი მასთან მიღიან საჭარავად და მსხვერპლის შესაწირავად.

ამ შემთხვევაში ესეც კი შეიძლება, რომ უკელამ თავი «შეისნას», ესე იგი მსხვერპლის შეწირვისა და ღოცვის უფლება თავის სახლში გადმოიტანოს, რისთვისაც ისევ ისე ზოარავია საჭირო.

ასე და ამ რიგად ხდება ეს უოველ-წლიური აფხაზის მიერ მსხვერპლის შეწირვა «შაშვისადმი», ეს ჩვეულებრივია; არა-ჩვეულებრივსა ქვეით აღვწერთ.

«შაშვია-ს მსახურება და მორჩილება შემცვიდრეობით გადადის მამისაგან გაფიშვილებზე: ქალიშვილები კი პირადად ვალდებული არიან თავისს მამისს «აფირას» ემსახურონ სიგვილისმდე ჩვეულებრივ. ეს მოვალეობა მათს შეიძლებზე არ გადადის. გათხოვილ ქალიშვილს შვილი უკოლება თუ არა, მოდის თავის მამის «აფირში» მსხვერპლის შესაწირავად. საზოარავო ცხოველია ისევ თით. შესწირავს რა, წესისმებრ, მსხვერპლსა, გამოილოცავს თავსა და მიღის შინ. ამის შემდეგ მისი მსახურება იმაში გამოიხატება, რომ უოველ-წლივ ერთი მემაღი უნდა შესწიროს «შაშვია-ს

«აფირა» (მშედლისა) უკელას ეშინიან და ერიდება, ვითარცა მრისხანე «შაშვია-ს წარმომადგენელისა; ეშინიანთ: «არ დაგვწევ-ულოსთა». ვინც ამ მშედლის «აფირას» ემსახურება, იმათშია ეს შიში. საზოგადოდ, აფხაზს «თავისი» «აფირასი» და «აფირა» ეშინიან, სხვებისა — არა: გარეშე «აფირას» ჩემთან საქმე არა აქვსთ. სხვისი აფირა მაშინაა საშიში, თუ ოუგალად დაიფიცე მასში ანუ რამე ავნერ.

თუ რამდენად ძლიერ «ღმერთად», საჭორავად მიაჩნია დღევან-დელ აფხაზს «აფირა» (შაშვი), ეს იქიდნაც ნათლადა სხანს, რომ დღესაც აფხაზეთში შინაურ, წვრილმან საქმების გარიგების დროს მტრუქან-მართლის გამოჩევი აფირაა: დღესაც თავის სინიდისის გასაწმენდა და დასაფირავად მიყმართავენ მასა (აფირას) თავის მოწამე-ჩამეოლებითა. უწინ კი (აფხაზეთის დამოუკიდებლობის დროს)



ერთად-ერთი, როგორც უკვე წინა წერილში შევნიშენეთ, სადაც
საქმეებში მტკუან-მართლის გამრჩევი იუთ ფიცი: «აჟირაში», «და-
დრობში» და «ღლობში» (სოფელ იღორის წმ. გიორგის ხატი).
შეიძლება მკათხველმა გაიგეორეთ, რომ წარმართულ საღოცაც
«აჟირას» და ნახევრად წარმართულს, ნახევრად ქრისტიანულს და-
დრობში. გვერდო გუგენებთ იღორის წმ. გიორგის ხატსა, მაგრამ
ეს ასეა.

ჩვენ არ ვიცით, თუ რამდენად მართლა სწამდა ქველად აფხაზის
ქრისტიანობა; ესმოდა-და მას მაშინ საზოგადოდ დიდებული მო-
ძღვრება ქრისტესი? ვიცით მხოლოდ, რომ დღევნდელ აფხაზის
(ქრისტიანისა, გინდ მუსულმანისა) საწმუნოება წარმოადგენს ოდან
ხარევსა, ამაღვამის ქრისტიანობისას, მუსულმანობისას და უფრო
კი წარმართობისას! დღეს აფხაზის თვალში თითქმის არ აქვს გარ-
ჩევა «დიდრითებშისა», «ღლობისა», თუ «აჟირას»: უკედას ამას დღევან-
დელი აფხაზი, განურჩევად სჯელისა, აღმერთებს და თავებს სცემს! თუ მთავრობამ მიუშვა, აფხაზი მუსულმანი ისეთივე შიშითა
და მოკრძალებით ჭედებულობს ფიცსა იღორის წმ. გიორგის ხატზე,
როგორც «დიდრითებში» და «აჟირაში».

კო, ამ თრს («დიდრითებშისა» და «ღლობისა») გვერდო უდგათ
დღესაც «აჟირა» სინიბისის გაწმენდის საქმეში, ფიცის მიღებაში.
ეს კი ნამდევილად, გადაჭრით შეიძლება სოქვას კაცმა, რომ დღესაც
აფხაზი ქრისტიანი ცრუობაზე, ტეუზილზე უფრო დაიფიცავს, უბრა-
ლო საყდარი, ვიდრე «აჟირაში»: აფხაზის თვალში «აჟირა» უფრო
მაღლა სდგას, ვინემ ეპალესია! საედაზე უფრო «აჟირასი» ეში-
ნიან დღევანდელ აფხაზისა!

თვით ფიცის მიღება საშეკრულოში ასე სწარმოებს: მოფიცარი—
დამნაშაუე აფხაზი თავისის მოწმებითა — ფიცში ჩამუოლებითა — მოწი-
წებითა და შიშითა დგება გრძემლის წინაშე და ამბობს: «შეშემა,
დაუჭავაშა?» (გესმის?) შენი მაღლი გამოწერესთ, თუ ამ საქმეში შე
დანაშაული გიორეთ და სხვ. მოწმებიც ფიცის ქვეშ ემოწმებიან,
რომ იმას ამ საქმეში დანაშაული არ მიუძღვისთ. ამით თავდება
ფიცი, და დამნაშაუეც დანაშაულ ახდილია, გასამართლებულია. ეს



კა, რომ მომჩინეან-მოპასუხის თვალითანი სამუდამოდ ჰქონდებოდა ურთ-ერთს, აქაც და ჩეენ შორის «შაშვა არისო! თუმცა, ხშირად, ხმასა სცემენ ერთმანერს, მაგრამ მათს შორის რაიმე შეგობრული დამოკიდებულება უფლად შეუძლებელია: მეგუზალი რა არის, მუგუზალსაც ურთ-ერთს არ მისცემენ, გულით რომ უნდოდეთ მაინცა: «აფირაა» ჩეენ შორისო!»

ამისთანა ფიცის მიღებაში «აფის» (მჭედლის) საჩუქარია: ზოგან ეველა მოფიცეართაგან 1 მ. 3 მანათამდე, ზოგგან—კი კაცის თავზე 20—50 კ.

აქ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: დღესაც სოფლის მოსამართლენი, სანამ ვინმე აფხაზს ფიცის გადაუწევეტდნენ «სამჭედლოში», დაეკითხებიან: «შაშვა-სთან ხომ არ ხარ შემცდარია» (შაშვა უკანა-შეუმა?—შაშვას წერთმით, რისხვით ხომ არ უფოლხარ ლოგი-ნად ჩავარდნილიო, დასჭირდო?), რომ ხელმეორედ არ მიუსაჭინ ფიცი იმ «დგომასთან», რომლისაგანაც უკვე იქმნა დასჭირდი ცრუ ფიცისათვის. ამას იმიტომ სჩადიან, რომ ამისთანა «უურადღებო» «შაშვა-ს რისხეა მოედნინება არა მარტო ცრუ მოფიცარსა, არამედ მსაჭულებსაც და, ასე გასინჯეთ, საზოგადოებასა!»

უბრალო რაზედმე არ დაიფიცავს აფხაზი აფირაში, გარნა ისიც შეიძლება, რომ სასჭელის შიშით, თუ სირცხვილის შიშით აფხაზი ცრუ ფიცის ღებულობს აფირაში, რის გამოც ეს უკანა-სკნელი სამაგალითოდ სჭის დამნაშავესა.

აფხაზი უგველს უბედურებას თითქმის თავისის თავს აბრალებს: ეწვია რამე უბედურება აფხაზსა, მაგალითად ავადმეოფება, რამე სწება და სხვა, ის ამაში თავის თავს ჰქის დამნაშავედა: აღბად ჩემს რომელსამე საღოცავს ვერ მოვუბე გული, რისთვისაც ეს უკანასკნელი მსჯის სიკვდილითა, თუ ავადმეოფებითა სხვა აფხაზთა სამაგალითოდ. ამ რწმენის გამო აფხაზი სულ თავის საღოცავების შიში და რწმლაშია: რიმელიმე მათგანი არ გამირისხდესო! შით უფრო მუდამ შიშია ცრუ ფიცის მიმღები აფხაზი.

ამისთანა შირს გაუხდება ვინმე ავად, ანუ რამე უბედურება ეწვება თუ არა, თავგადაგლეჭილი მირბის თავის მამ-პაპულ მე-



თხავთან და ჰქითხავს უბედურების მიზეზსა. მარჩიელ-მკანთლენიც შეა-მზარეული შასუნი აქვს: დობით, თუ ბანქთ მის საღოცავის აზრს ატყობინებენ! ისიც უთთებს ან «აკარაზე», ან «დიდროიფზე» და სხვა საღოცავზე. და იბებავი აფხაზი, ისედაც ავადმეოთობით, თუ სიკვდილით ზენებირივ-ქონებრივად დასჭალი, თავგაგლეჭილი მირბის (ამ შემთხვევაში) მკედელიან, რომლის სამყედლოშია იმან შესცდა «შაშვა-ს», და სთხოვს საჩქაროდ უშეელოს: ჩვეულებრივი საწინდარი დაუგვის და სხვა. და, ა, მთაწია ზეარაკებითა თავის შესნის ღრმაც; დამნაშავე აფხაზი თავის ზეარაკებითა⁶⁾ მიღის მკედელთან საღოცავად. ლოცვა და მსხვერპლის შეწირვა ხდება ან «აკარაში», ან და (უფრო ხშირად) საღმე შებურვილ ტექშა მოჩეხ-ხუე მდინარის პირად. მღლოცველი ამ შემთხვევაში ის მკედელია, ვისი «აკირმაც» «დასცა ლოგინად» დამნაშავე აფხაზი. მე აქ დაწერი-ლებით არ ადგირ წესრიგს ამ მსხვერპლის შეწირვისას, რადგანაც საზოგადოდ ეს წესრიგი უველა შემთხვევაში თითქმის ერთი და იგივეა ეს წეს-რიგი უკვე გვაჭის აწერილი წვენს წინა წერილებში.

თავის შესხესნელად ერთია საჭირო, ურთმლოდაც თავის შესხ-ნა უკვლებ შეუძლებელია: უსათუოდ უნდა გადაუსადო, უზღდო იმ პირს ის ზარალი, რისთვისაც შენ ცრუ ფიცი «აკარაში» მიიღე. თუ მთაწირდაპირე მხარე არ დააქმაუთვილე, ისე შენი მსხვერპლი «შა-შვა-ს მიერ არ იქნება მიღებული!»⁷⁾

ჩამთლოცა დამნაშავე აფხაზმა, შესწირა ჯერთვანი მსხვერპლი «შაშვა-ს და მით მრისხანე საღოცავის გული მთისეიდა, მაგრამ

⁶⁾ რიცხვი საზეარაკო ოქებისა და მათი (ოქების) წლოვანება დამოკიდებულია შეითხავის ჩვენებაზე: მიგალითიდ, ზოგ ერთი ოქი მოჰყოვს, ზოგ ორი და სამი, იმის მიხედვით, რანაირი დანაშაული!

⁷⁾ აქ ამას წინად ამ მხრით შესანიშნავი საქმე მოხდა: აფხაზს ა—ს უიცი მიულია „იფირაში“, რომ ხადაო საქმეში იფხაზი ბ. მართლიიონ. ეს საქმე მომზღვირა 1876 წ. ამ უიცის შემდეგ ა—ს ჯერ მოპკედომია მამა, მერე დედა, ძმა და ერთი ხამი წლის შემდეგ ზედო-ზედ მოპკედომი ცოლი და ქალ-ვაერ. შეითხვებს აუსხნიათ, რომ ა—ს „იფირა“ სჯის ცრუ უიცისთვის, რომელიც 1876 წ. მიუღია. ა—მა უჩივ-ლი ბ—ს, შენა ხირ ჩემის უბედურების მიზეზით. სოფლის სისახლთლომ ბ. ცკინა დამნაშავად და გადაუწყვეტა ა—ს თავის შესხაში ხარჯი შენ, ბ—მ., მიეციონ და რაც ამ საქმეზე რამე დოუხარჯავს ა—ს, შენ უნდა უზღოვო. ერთის სიტყვით, 500 მანეთმდე მიუსაჯეს ბ—ს ა—ს სახარჯებლოდ!

ამისთვის შეწირულ ბაჟების სხვა საქმეში ჩაეცება შეკდებელია, სანამ შეკდლად გამოვიდოდეს: ასე გასინჯეთ, წერა-კითხვის სწავლაც ადგრძელებადა, აქაც და «მაშვე» გაგვიწურებაც, თუ თავი არ შეისნა, არ შეისყიდა ზეარაკებითა მკითხავების ჩვენებისამებრ!

«ამაწაფა» (მოწაფე, შეგირდი), ხელობის სასწავლად რომ მო-
დის «აკირაში», ოჩითა და ქათმებითა მსხვერპლსა სწირავს, რათა
ამით «შეშემა»-ს უკრალდება და გული მოისუიღის. საზოგადოდ,
ძალი სამს წელიწადს რჩება მჭედელთან და ამ ხნის განმავლობა-
ში სრულს მის (მჭედლის) უფლებაშია. გარდა ამისა, ხელობის შე-
სასწავლად «აკირა» (მჭედლის) სასუიღლად ახლო წარსულში გადა-
წევეტილი იყო: ვინც მაგალითად, თოვის პეტებს სწავლობდა,
იმას უნდა მიეცა რვა ძროხა⁵) და რვა მანეთი ფულად; ვინც ჩახ-
მახის და თოვის ლულის ხეზე გაწეობას სწავლობდა, იმას უნდა
გადაეხსა 5 ძროხა და 5 მანეთი ფულად და სხვა. ამ გარდასასა-
დის ნახევარი წინდა-წინ უნდა მიეცა, დანრჩენი ნახევარი კი—
განთავისუფლების ღროხს.

«ამაწაფამ» (შეგირდმა) შეისწავლა მჭედლობა და დაპირა შინ
წასულა: ამ ღრცესც გამოისახეს ნეკლი ზეკარაკი უნდა შეისწიროს «შა-
შეხა»სა თავისი ასტატის სელით. საზეკარაკო ცხოველი ისევ თჩია.
მღლოცველი მჭედელი სთხოვს თავისს «შაშეხს», რომ ესა და ეს
დირს ჰქონდეს მისი დიდებულის სახელის მსახურებისა და სხვა. ღოცვა

⁸⁾ ეს უკანისენელ დრომდე იყრაზებუში ძრობა პფასობდა 10 შან. საზოგადოდ,



და მსხვერპლის შეწირვა გრძემლის წინაშე სრულდება. შეგირდი
ამ ღრცეს დაწიქებულია.

აი, ესლა, გამოთხოვების სანის, შეგირდი გარდასახადის დასარ-
ჩენ ნახევარს აძლევს თსტატსა. ეს კა დიდ საშიშრად მიაჩნია
აფხაზეს, რომ რამე ნაირად გული ატკინოს, აწევნინოს თსტატ
შექედელს, რისთვისაც დამნაშავე შეგირდი საშინლად დაისჭება «შა-
შვესაგან». თვით შექედელისტატი გალდებულია ესლა მისცეს შე-
გირდს თითო სელი სამშეღლო დარადისა; გრძემლი, ჩაქეჩი და სხვ.

შეგირდმა სახლში მცხვდისთანავე უნდა შესწიროს ისევ თხითა
მსხვერპლი შაშქას და ამით თავისი თავი ღირსი ჰეროს მრისსანე
საფორცავის მსახურებისა. ამ ღდიდას ის ხდება ცალკე «ფირის» წარ-
მომადგენელად და შაშქას უზენაას ნების ადმისრულებლად: ის ამ
ღდიდას «ფირისა» (შეკვეთისას) უველსავე უფლებას ჰდებულობს...

დღეს ეს ჩვეულება გადაჭარდნილია, თუმცა აქა-იქ მიურუებულ და მიყარდნილ სოფლებში დღესაც შეხვდება კაცი. აქ შევნიშნავთ, რომ დღეს აფხაზთ ცოტ-ცოტად ეჭვი ებადებათ «შაშვას» ძღიერებისა.

ომარ-ზაფა სამეცნიერო შეკვეთი

მოგონებანი კ. ა. ბოროჭდინისა*)

Ⅰ

სამეცნიერო ყირიმის ომის დროისა

გეოგრაფიული მდებარეობა სამეცნიეროსი.—ისტორიული ცნობანი ამ მხარის შესახებ.—რუსეთის ქვეშევრდომობა — გრიგოლ ღალათისი.—სათხოვნელი მუხლები.—ლევან დადიანი.—იმპერატორის ნიკოლოზის მისვლა 1837 წ.—დავით დადიანი.—მისი რეფორმები.—თ. ჭავჭავაძის ასულის შერთვა — ცნობანი ჭავჭავაძის გვარის შესახებ.—ცხოვრება დავით დადიანისა და მისის მეუღლისა ზუგდიდში, — გარდაცვალება დავითისა 1853 წ.—დედოფლის დანიშვნა სამეცნიეროს მმართველად მისის შვილის ნიკოლოზის სრულწლოვანებამდე.—ამ მოგონებათა ავტორის მისვლა სამეცნიეროში მცირეწლოვანი დადიანის აღმზრდელად.— მოღვაწეობა დელოფლისა ომის დროს.—საზაფხულო საცხოვრებელ ადგილას, გორდში გადასვლა.— სამეცნიეროში დაბანაკებულ ჯარების უფროსად თავად მუხრან-ბატონის დანიშვნა.— მისი კინაობა და გეგმა გალაშერებისა.— მისი ჯარი.— ბანაკი სორტაში.— ნინო ალექსანდრეეს ასული გრიბოედოვისა.— ნიკოლოზ ხელმწიფის გარდაცვალება.— ნ. ნ. მურავიოვის მოსვლა სამეცნიეროში.— გარშემორტყმა ყარსისა.— ქობულეთისაკენ წასვლა.— ფარად-ფაშის და მისის ჯარების გამოსვლა სოხუმში — შტრუმი ყარსისა 17 ენკანისთვეს.— ისმალთა ახალის ჯარების მისვლა ბათომში, იმათი წამოყვანა სოხუმში; ომერ-ფაშის მისვლა სოხუმში და იქიდან მისი გამომგზავრება სამეცნიეროსაკენ.

შავი ზღვით გაგრიდან მოყოლებული რაც უფრო უახლოვდებით კავკასიის ნაპირებს, მთებს უფრო და უფრო ეცვ-

*), „მოამბის“ წინა ნომრებში გავათავეთ ბეჭდვა კ. ბოროჭდინის მოგონებაზთა იმ ნაწილისა, რომელიც ეხებოდა სამეცნიერო-სენატის სამთავროთ გაუქმდებას. მეორე ნაწილი იმავე ავტორის მოგონებათა ექვება საკუთრივ სამეცნიეროს, ანუ უკეთ, იმ ხანის, როდესაც სამეცნიეროში ომერ-ფაში შემოვიდა. ეს წერილები იძებელებოდა რუსულ უსამხედრო კრებულის 1873 წლის ნომრებში, და ახლა კეცდებით „მოამბის“ შეითვლებულისაც გავაცნოთ.



ლება სახე. გავრამდე სალი პირქუში და მოსხლეტილი კლდუქები ზედ დაჰყურებს ზღვას, გაგრის იქით კი მთები თანდათან და-ქანებული ხდება, ადგილ-ადგილ ამფითეატრს ემსგავსებიან, ზედ დაჰყურებენ კავკასიონის ქედის მწვერვალი, სულ მუდამ თოვ-ლით დაფარულნი. რაც უფრო იცვლება სახე ამ მთებისა, ისე ზღვას თანდათან შორდებიან, და ზღვის პირად მდებარე ვაკე თანდათან ფართოვდება. სოხუმის ნავთხადგურილან მოყოლე-ბული აჭარის ქედამდე მთები ნახევარ რკალის მსგავსად უკან იწევს, ხოლო მთის წინ იშლება ვაკე, რომელსაც სიგრძე ას ორმოც და ათამდე ვერსი ექნება, ხოლო განი ალაგ-ალაგ ას ვერსზე მეტი. ამ ვაკესა რწყავს თთხი დიდი მდინარე, რომელ-ნიც შავ ზღვას ერთვიან: კოდორი, ინგური, ხობის წყალი და რიონი. ამ ოთხ დიდ მდინარეს ბევრი სხვა პატარა მდინარე ერთვის, ამათ შორის ყველაზე დიდია ტებური და ცხენის წყა-ლი. ეს ვაკე მეტად ნაყოფიერია, და ბევრგვარი მცენარეული ხა-რობს აქ. ბევრს მის ქედებს მწვანედ ხასხასი გააქვს ზამთარ-ზაფხულ მწვანე წყავის ტყისაგან; აქ ხარობს თუთა, კაკალი, ხურმა, რომელზედაც უშველებელი ვაზია გასული, უზარმაზარი მუხა, წაბლი, კოპიტი, ძელქვა, და მათ შორის მედიდურად აზიდულია ჭადარი. ზღვის პირის მდებარე ადგილებში საშინე-ლი ციებ-ცელება იცის. აქაურ ციებ-ცელების შესახებ ჯერ კიდევ პიპოკურატი სწერდა. ამ ვაკეზე, ჩრდილოეთიდან მოყო-ლებული, მდებარეობს აფხაზეთი, სამურზაყანო, სამეგრელო, იმერეთი და გურია.

ჯერ ისევ წარსულის საუკუნის ნახევარში ეს მხარენი ოსმა-ლეთს ეკუთვნოდნენ; მაგრამ 1638 და 1658 წლებში სამეგ-რელოს და იმერეთის მთავრებმა მოინდომეს ოსმალეთის ბა-ტონობისათვის თავი დაეღწიათ და რუსეთს მიმართეს, გაგვა-თავისუფლეთ და შენი ქვეშევრომნი გავხდებით. მთელი საუ-კუნოების განმავლობაში მარტოოდნენ მოლაპარაკება იყო გა-მართული, უგზავნიდნენ ერთმანერთს ძლვენს, მოკითხვას უთვ-ლიდნენ, და პირველად შხოლოდ 1770 წელს გამოგზავნა რუ-სეთმა ჯარი, გრაფ ტოტლებენის მეთაურობით, იმერეთსა და

გურიაში ოსმალთა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში მისა-შველებლად. აბხაზეთი, სამეგრელო, იმერეთი და გურია ოს-მალეთს ხარკად აძლევდნენ გოგო-ბიჭებსა და ამით გამოიხა-ტებოდა პოლიტიკური დამოკიდებულება ამ მხარეთა და ოსმა-ლეთ შორის. ხოლო 1774 წელს, მეათაოცის 10, შემდგარ ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატის 23 მუხლის ძალით ჩამოთვ-ლილი მხარეები დასახელებულ ხარკის ძლევისაგან განთავი-სუფლებულ იქმნენ. ამ წამიდან მოყოლებული თვეთეულ ამ მხარეთაგანს სრული დამოუკიდებლობა მიენიჭა როგორც ოს-მალეთისა, ისე რუსეთის მხრივ.

იმერეთს თავისი შეფე ჰყანდა; გურიას, სამეგრელოს და აფხაზეთს—თავისი საკუთარი მთავრები.

ეს მხარენი, მართალია, ოსმალეთის ბატონობისაგან გან-თავისუფლდნენ, მაგრამ იმის წყალობით, რომ შინაურობაში ერთავად შეფოთი და არეულობა იყო, დამოუკიდებელ პოლი-ტიკურ ცხოვრებით დიდხანს ვერ იცხოვრებდნენ, განსაკუთრე-ბით მას შემდეგ, როცა მეზობლად, ტფილისში, იღმართულ იქმნა რუსეთის დროშა და რუსეთმა ერთი-მეორეზე დაიპყრო მუსლემინთა პროვინციები. მთავართაგან პირეველი გრიგოლ დადიანი*) გახდა რუსეთის ქვეშევრდომი. ამის მიზეზი შეიქმნა ლეჩხუმი. ამ კუთხის დაპყრობის გამო გრიგოლ დადიანსა და იმერეთის მეფეს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა. გრიგოლ დადიანმა სთქვა, იმერეთის მეფეს მარტო მე ვერას დავაკლებო და თავადს ციციშეილს შეუთვალა რუსის ხელშითესთან მი-შუამდგომლე, თავის მფარველობის ქვეშ მიმილოსთ. 1803 წ., დეკემბრის 1, პოლკოვნიკმა მაინოვმა გრიგოლ დადიანს ფიცი მიაღებინა თავისის სამთაეროთი რუსეთის ქვეშევრდომობაზე.

*) დადიანი—ინც სახელია და ორც გვარია, ირაქედ ტიტული სამეგრელოს მთავრისა. სამეგრელოში რამდენიმე დინასტია იყო მთავრებისა. შეXVII საუკუნეში მთავრობდა ბერის დინასტია, იმის შემდეგ გოშუა გახდა მთავრად, გოშუას შერე-ლიმარტიანი გმთავრდა, მერე ჭილაძე და, ბოლოს, ჩიქოვანი. წარსულს საუკუნე-ში ჩიქოვანთა გვარის პარველი მთავარი კაცია ჩიქოვანი იყო დადიანიდ. კველა ამ გვარებს, როცა მთავრებად იყვნენ, დადიანის ტიტული ქვინდით. ფერ.



ამის შემდეგ სამეცნიელოს მთავარს ჩააბარეს უმაღლესი აუქტორული მარატა, რომელ შიაც აღნიშნული იყო მისი ინვესტიციურა, სარდალის წოდება, ესე იგი უფროსობა სამეცნიელოს ჯარებისა, უბოძეს აგრეთვე ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა, სახელმწიფო დროშა და ოფიციალური შემკული ხმალი; მისმა მეუღლებმ, დედოფალმა ნინომ, ძღვნად მიიღო სიასამურის ტყვავი და ათი ალაბი წიოელი ხავერდისა. დადიანის ქვეშერდომობა გამოიხატებოდა თხოვნის მუხლებით, რომელთა თავი და თავი შინაარსი შემდეგი იყო: 1) თვისთა ქვეშევრდომთა თავისუფლების და სიკვდილ-სიცოცხლის უფლება დადიანმა ხელაღებით დაუთმო რუსეთის ხელმწიფესა, და ამიტომ სამეცნიელოში შემოღებულ იქმნა რუსეთის იმპერიის სასისხლის სამართლო კანონები; 2) სამეცნიელოს საშინაო მართვა-გამგეობის საქმე და გასამართლება თვისთა ქვეშევრდომთა სამოქალაქით წესითა მთავრის სრულს უფლებას შეადგენდა; 3) დადიანი სთხოვდა რუსეთის ხელმწიფეს, რუსის ჯარმა დაიფაროს ჩემის სამთავროს საზღვრები და ამისთვის საჭირო ჯარი სულ მუდამ სამეცნიელოში იმყოფებოდეს.

რუსეთის ხელში პირველი დადიანი, როგორცა ვთქვით, გრიგოლი იყო; მისი რეზიდენცია, ზუგდიდი, გააქალაქეს და სახელად უწოდეს გრიგორიოპოლი (გრიგოლის ქალაქი). ამას-თანავე, იმპერატორმა ალექსანდრე I გრიგორიოპოლის ტაძარს შესწირა ის სასწაულთ მოქმედი ღვისმშობლის ხატი, რომელსაც ღვთისმშობლის სარტყელი ჰქონდა, და რომელიც იმპერატორს სამეცნიელოს ხალხის მოციქულებმა მიართვეს ძღვნად; ეს ხატი ძვირფას თვალმარგალიტით შემკული და ოქროთი შეჭედილი, უნდა ყოფილიყო წინდი იმპერატორის მზრუნველობისა იმ ხალხისათვის, რომელმაც მისი ქვეშევრდომობა მიიღო.

გრიგოლი დიდხანს არ დარჩენილა სამეცნიელოს მთავრად: ამბობენ, იმერეთის მეფე სოლომონი ძალიან გულმოსული იყო, ლეჩეუმი როგორ წამართეა, და ამიტომ მოსწამლაო. მისის გადაცვალების შემდეგ მთავრად აღიარებულ იქმნა მისი უფ-

როსი შეიღი, ლევანი. მაგრამ რადგან ლევანი მცირეწლიანი იყო სამეგრელოს მართვადა დედა მისი, დედოფალი ნინო; ხოლო როცა ლევანი სრული წლოვანი შეიქმნა, დედოფალი პეტერბურგში გაიხმეს და სიკვდილამდე ამ ქალაქში სცხოვრობდა.

ლევან დადიანი გარდაიცვალა 1846 წ. და სიკვდილამდე ოთხის წლით ადრე, ესე იგი 1842 წ., სამეგრელოს მართვა-გამგეობა გადასცა უფროს შვილს დავითს.

როცა ჩეენ 1855 წელს მოვედით სამეგრელოში, ლევან დადიანი ჯერ ისევ გუშინდელ დღესავით ახსოვდათ. კარგის მეტი ცუდი არაფერი გამიგონია მის შესახებ. დიდის განათლებისა არა ყოფილა, რუსულად თავისუფლად სწერდა და ლაპარაკობდა, თავისის ალერსიანის ქცევით, გულკეთილობით და კეთილშობილებით ყველას იზიდავდაო. მოელი სიცოცხლე მხიარულად გაატარა; პირველ ვეზირადა ჰყვანდა ნიკოლოზ ბატონიშვილი, ანუ, როგორც ხალხი ეძახდა, დიდი ნიკო, შეგნებული, საქმიანი და სამართლიანი კაცი.

თავისი უფროსი შვილი, დავითი, ლევანმა აღსაზრდელად ჯერ თავადს ვასილ ოსიფის ძე ბებუთოვს მიაბარა, მერე ბარონ გრიგოლი ვლადიმირის ძე როზენს, თვითონ კი თავისის ამალითურთ ერთავად ნადირობაში ატარებდა დროს. იმ დროს ჯიხვი, ირემი, ველური ღორი, მელა, კურდღლი ბევრი იყო სამეგრელოში; ნადირობის დროს იმართებოდა ლხინი, სიმღერა, თამაში; დროს მეტად მხიარულად ატარებდნენ; ამას ზედ დაურთეთ მთელის დუნიის თვალი მეგრელი ლამაზი ქალები, რომელთაც ლევანი მეტის-მეტადა სცემდა თაყვანსა. ლევანი სულით და ხორცით ერთგული იყო რუსეთისა და რუსის იმპერატორისა და ყველა რუსი, ვინც მას სტუმრად ეწვევოდა, მოხიბლული ბრუნდებოდა მისის სტუმართმოყვარეობითა. ბევრს ახსოეს განსეენებულის იმპერატორის ნიკოლოზის მოსვლა კავკასიაში 1837 წ. ლევან დადიანი თავის სამთავროს საზღვარზე დაუხვდა ხელმწიფეს; ისა და მისი მეუღლე დედო-

ფალი მართა დაჩოქილები მიეგებნენ უმაღლესს სტუმარს.
 ლევანს პურ-მარილი ეჭირა, ხოლო მართა დედოფალი, აღმო-
 სავლეთის ხალხის ჩვეულების თანხმად, ოქროს ლიტრა წყლითა
 და ტასტი ეჭირა ხელში, ხოლო მხარზე გადაგდებული ჰქონდა
 პირსახოცი. ხელმწიფე თრსავე ემბორა და ლევანთან სამი
 დღე დარჩა ზუგდიდში. ვინც ეს ამბავი თავის თვალითა ნახა,
 გეიამბო, ლევანს თვის-მეერ შეთხული ტანისამოსი ეცვაო:
 მასრებიან ჩიხის მხრებზე გენერალ-ლეიტენანტის ეპოლეტები
 ჰქონდა დაკერებული და კალმიიანი სამ-კუთხა ქუდი ეხურა
 თავზედაო. მაგრამ ხელმწიფე ისე მოჰკიბლა მისმა პურ-მარი-
 ლიანობამ და თავაზიანმა ქცევამა და თავი ისე დაიჭია, ვი-
 თომ არც კი შეუმჩნევია ასეთი უცნაური ტანისამოსი.

ლევანს რაც რამ ებადა,—მდიდრებში კი არ ჩითვლებო-
 და,—სულ მისს დაახლოებულ პირთ და ღარიბებს ურიგდე-
 ბოდათ. სიკედილის შემდეგ მთავარს 15,000 მანეთი ვალი
 დარჩა და ეს ვალი მისმა შვილმა დავითმა გადაიხადა მერე.

დავით დადრანმა დიდი გაუსტრიო წინ თავისს მამას სწავლა-
 განათლებითა და, როცა 1842 წელს სამეგრელოს მართვა-
 გამგეობა ჩიბარა, ხელი მიჰყო სამოსამართლო და საადმინი-
 სტრაციო საქმეთა გაწესრიგებას. მოსამართლესა და მმართველს
 ყოველ საქმისათვის გადაწყვეტილი სასყიდელი გაუჩინა, და
 თვითონ თანამდებობამ მოსამართლისა და მმართველისამ და-
 ვითის დროს სულ სხვა ხასიათი მიიღო, სახელდობრ: შესა-
 ძლებელი გახდა თანამდებობის პირი, თუ საჭიროება მოითხოვ-
 და, გამოცვლილიყო და, გარდა ამისა, თვით თანამდებობა
 მეცვიდრეობით არ გადასულიყო, ძველებურად, გვაროვნობის
 წევრებზე. მთელი სამეგრელო მთავარმა რამდენსამე ოლქებად
 დაჰყო, ყოველს ოლქში დააყენა მდივანბეჭი, ესე იგი, ოლქის
 უფროსი, რომელსაც სამოსამართლო და საპოლიციო უფლება
 ჰქონდა მინიჭებული, თან, დაურიგდათ ინსტრუქცია, რომე-
 ლიც 1842 წელს კავკასიის მხარის მართვა-გამგეობისათვის
 შემუშავებულ დებულებას ეთანხმებოდა.

დავითს ისეთი მეუღლე ესაკიროებოდა, რომ მისი შესაფერი ყოფილიყო განათლებით და აზრ-შეხედულებითა. და აპა, იმანაც მეუღლედ აირჩია ეკატერინე ჭავჭავაძისა, შვილის-შვილი თავად გარსევან ჭავჭავაძისა, საქართველოს მეფის ელჩისა იმპერატორ ეკატერინესა, პავლესა და ოლექსანდრეს წინაშე. გარსევანის შვილი ალექსანდრე პეტერბურგში დაიბადა. მის ნათლიად ბრძანდებოდა თვით ხელმწიფე ეკატერინე. განათლება ევროპიული მიიღო, 1812 წელს ომში იღებდა მონაწილეობას, უფროსად იყო სახელოდებან ნიჟეგოროვდის პოლკისა, უმაღლესი საადმინისტრაციო თანამდებობა ეჭირა და იმავე დროს ქართველი პოეტიც იყო. ქართველნი ასულნი დღემდე, მღერიან პუშკინის რომანსებს, რომლებიც იმან ქართულადა სთარგმნა, ალექსანდრე ჭავჭავაძე სახელოდებანის გრიბოედოვის მეგობარი იყო და იმას მიათხოვა თავისი ქალი ნინო, რომელიც ესე უდროვოდ დაქვრივდა. თ. ოლექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძის ოჯახი ბარონ როზენის, გოლოვინის, ნეიდჰარტისა და ცოტათი ვორონცოვის დროსაც კი ტფილისში პირველი იყო. ეკატერინე მისი მეორე ქალი იყო.

დავით დადიანი და ეკატერინე დედოფალი თოთხმეტი წელიწადი სცხოვრობდნენ სამეგრელოში, მშეენიერი სასახლე ააგდეს ზუგდიდში და სასახლესთან საუცხოვო ბალი გაშენეს. ევროპიულადა სცხოვრობდნენ და რუსთავინი თუ ვინმე შეივლიდა მათთან, მეტად სტუმართ მოყვრულად უხვდებოდნენ.

1853 წლის აგვისტოში, ხანგრძლივის ავაღმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა დავით 42 წლისა. როვორც ექიმები ამბობდნენ, კუჭის ქრონიკული კატარი გასჩენდა, რამაც სამარის კარამდე მიიყვანა, მაგრამ იმასაც ამბობდნენ, რომ მთავრის წინააღმდეგ დასი შესდგა და იმათ მოაწიმლინესო.

მთავარს დაეითს ოთხი მცირეწლოვანი შვილი დარჩა. უფროსი, შეიდის წლისა, ნიკოლოზი იყო, სალომე ექენესის წლისა დარჩა, ანდრია—ოთხისა და თამარი—რამდენისამე თვისა.



ხელმწიფემ კეთილინება და ეკატერინე სამეცნიეროს შრაკ-თველად დანიშნა, სანამ ნიკოლოზი სრული-წლოვანი გახდებოდა, და უმაღლეს რესკრიპტთან ერთად ებობა პირველ ხარისხის ორდენი ჭმ. მთავარმოწამის ეკატერინესი. ის იყო, მიწას მიაბარა ვვამი თავის მეუღლისა, ისე გურიაში შეკვეთილი ციხის გამაგრებას და საომრად მზადებას შეუდგნენ.

29 აპრილს 1854 წელს მე ზუგდიდში მოვედი დედოფლის სასახლეში. კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში ვმსახურებდი და ამ კანცელარიის დირექტორმა გამომგზავნა დედოფლის მიწერ-მოწერის საწარმოებლად. ამასთან, აღმზრდელობა უნდა შეკისრნა მისის შეილებისა ნიკოლოზისა და ანდრიასი.

როცა ოთახში შემიყდანეს, სადაც ტახტზე ორი ლამაზი, შუახნის მანდილოსანი ისხდნენ, ყოყმანი დავიწყე, — არ ვიცოდი, დედოფალი რომელი იყო მათგანი? ალალბედზე მივუბრუნდი იმას, რომლის სახე სათნოდ და გულკეთილობის გამომეტყველად მეჩვენა, და შევსცდი, — ეს იყო ნინო გრიბოედოვისა; გაგრამ საჩქაროდ ხელით მანიშნა თავისი და, დედოფალი ეკატერინე. ასე გავიცანით ერთმანეთი. მერე გამაცნეს განსვენებულის დავითის ძმები გრიგოლი და კონსანტინე, შემდეგ მომვარეს ბავშეები, რომელთაგან ნიკოლოზი მეტის-მეტი ლამაზი ბავშეი იყო, ამ დღიდან ამ ოჯახის წევრი შევიქნენ და იმათთან ერთად ორი წელიწადი გავატარე.

რამდენისამე დღის უკან, 7 მაისს, ინგლისელებმა ყულევს ზარბაზნები დაუშინეს. ეს დაბა ოც და ხუთის ვერსის მანძილზეა ზუგდიდიდან, ზღვის პირას. სასახლის აიგნიდან გვესმოდა ყოველი დაცლა ზარბაზნისა და ვხედავდით ზარბაზნის კვამლს. ამის შემდეგ ყულევი ოსმალოს ჯარმა აიღო, ომი გახურდა და მოკლე-ხანში სამეცნიერო ბრძოლის ველად შეიქმნა.

სამეცნიეროს მმართველი დანიშნულს დედოფალს ძალიან გაუჭირდა ხაქმე. იმის მაგივრად, რომ შვილები იღებარდა, უნდა ეზრუნა სამთავროს მართვისა და მამულის მოვლისა-

თვის, რაიცა მისთვის ახალი და უცნობი საქმე იყო. ქრისტიანი
სიცოცხლეში დედოფალი ოჯახის საქმეთა გარეშე არაფერში
ერეოდა და თვით დაეითიც არაფერში ურევდა, ამიტომაც
იძულებული შეიქმნა ყველაფერი თავიდან ესწავლა და ისიც
თავისით, რადგან მაზლები ისეთ კაცებად ვერა სცნო, რომ
მინდობოდა ყველაფერში და მათას რჩევა-დარიგებისათვის
დაეჯერებინა.

დელოფალი ექვს საათზე დგებოდა; რვა საათიდან მთხოვნელებს იღებდა, აღმოსავლეთის ჩვეულების თანხმად, მასთან ყველას შეეძლო შესულიყო; ყველასათვის უნდა მოესმინა თხოვნა, ყველა უნდა დაკმაყოფილებული გამოესტუმრებინა, ყველა უნდა შეერიგებინ. საღილიბამდე ამ საქმეს უნდებოდა. საღამოს ისევ დაიწყებდნენ მთხოვნელები დენას. სამუშაო ბევრი ჰქონდა, ამასთან, ის სამუშაო ძალიან რთული იყო, თუ არ დავივიწყებთ იმას, რომ დელოფლის წინამოადგილედ მისი ქმარი იყო, რომელმაც აუარებელი კითხვები აღძრა. დავითში იცოდა, რა როგორ უნდა გაეკეთებინა, ყველაფერში ცოდნა ეტყობოდა, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ხშირად პირადის სარგებლობისათვის მოქმედებდა. დელოფალი იძულებული იყო, რა თქმა უნდა, იმავე გზით ევლო, თუნდაც იმისათვის, რომ დავითის დაწყებული საქმე განეგრძო და შვილების ქონებისათვის ეპატრონებინა; მაგრამ იქაც საჭირო იყო ცოდნა და მიხვედრილობა, რაიცა ყველას ერთნაირად არა აქვს მინიჭებული. მით უფრო ეერ მოსთხოვდა ამ ცოდნას კაცი იმ ქალს, რომელიც საქმისათვის მომზადებული არ იყო, ხოლო ეს საქმე, როგორც ვიცით, მას სრულიად მოულოდნელად და ძალიან გავირებულს დროს ხვდა წილად.

უფრო მაშინ გაჭირდა საქმე, როცა აფხაზეთიდან ზღვის
ნაპირით ჯარებმა დაიწყო დენა სამეგრელოზე გასავლელად.
დედოფალი იძულებული იყო ჯარებისათვის ხელი მოემართნა,
დახმარება აღმოეჩინა. მავე დროს, არც გზები ვარგოდა და
არც ხიდები იყო საღმე. გარდა ამისა უნდა შეედგინა ადგი-



ლობრივი მილიცია, რადგან ომი სამეგრელოში უნდა პტეზი-ლიყო.

ოსმალებმა ყულეევი რომ აიღეს, დედოფალმა ზუგდიდს თავი დაანება და მთავრის საზაფხულო სამყოფელ აღვილას, გორდში, გადაებარგა. აქ დედოფალს გაფაციცებით ყური უნდა ეგდო, როგორ მიდიოდა ბრძოლის საქმე დუნაის სამთავროებში და მცირე აზიაში. ამავე დროს ამბავი მოუვიდა, რომ აფხაზეთში ოსმალეთის ფაშა სეფერ-ბეი გამოვიდა, თან მოჰყავს ორი ათასი ჯარი და მოაქვს ოც და თექვსმეტი ზარბაზანი. მის ჯარს შემოუერთდნენ მეზობელი მთიელნი ჯიქები, უბიქები, შაფსულები და ნათუხაველები. თითონ სეფერ-ბეი ნათუხაველი იყო, მთის ხალხთა შორის დიდი გავლენა და ხმა ჰქონდა, რამდენიმე ენა იცოდა, მათ შორის რუსულიცა, და რუსოსმალოს ბრძოლის დროს იმასა ცდილობდა—რუსის ჯარის ძალა მთიულებთან ბრძოლის დროს შეესუსტებინა. ამიტომ, მოიხმო მთიელნი და ურჩია გალა შქრებულიყვნენ სამეგრელოსა, იმერეთისა და გურიაზე.

1854 წელს ქუთაისის გუბერნიასა და სამეგრელოში დაბანაკებულ ჯარების სარდლად დანიშნულ იქმნა გენერლ-მაიორი თავადი ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი. ჩამომავლობით ქართველი იყო ახალი უფროსი ჯარებისა, ზედმიწევნით იცნობდა ამ მხარეს, ხალხს და მათ ზნე-ჩვეულებას. მისი დანიშვნა გურულ რაზმის (ასე ეძახდნენ რიონის ვაკეზე დაბანაკებულ ჯარებს) უფროსად დედოფალს ძალიან გაეხარდა. ჯერ ერთი, უხაროდ ისა, რომ მისის ქვეყნის დაცვა მთავრობამ ომში გამოცდილ კაცს მიანდო, მეორეც, ეს კაცი მისი მახლობელი ნათესავი *) და ძველი მეგობარი იყო.

თავადი მუხრან-ბატონი ჰეთიქრობდა, ინგლის-ფრანგების ჯარი თუ შემოვა სამეგრელოში, ისევ შავის ზღვიდან შემოვარ და ამიტომ დედოფალს გააცნო თავისი გეგმა მომავალის

*) თ. ივან მეუხრან-ბატონს (იშ უკვე მიცვალებულს) შეუდლედ დავით დადიანის და ნინო ჰყავდა.

მოგერებითის ომისა. თ. მუხრან-ბატონის გეგმა ხელმწიფე იმ-პერატორმაც მოიწონა და საკუთარი ხელით დაწერა: „მშვე-ნიერი და ჭყვიანურია“.

მუხრან-ბატონის აზრით, ბრძოლის ასპარეზად უნდა გამ-ხდარიყო სამი ადგილი: ჩრდილოეთიდან მდ. ინგური; სამხრე-თიდან—მდინარე სუფსა; დასავლეთიდან—ზღვის ნაპირი. მტე-რი თუ შემოგვესია, ამ სამში ერთის ადგილიდან უნდა შემოგვე-სიოსო, ან ორიდან, ან სამსავე ადგილიდან ერთადაც. თან იმის შიშიც უნდა გვქანდეს, რომ იმათი ჯარი, უეჭველია, ჩვენზე ძლიერი იქნებაო. ამ მოსაზრებით გურული რაზეც მუხრან-ბა-ტონმა ისე გაანაწილა, რომ სამეგრელოის შუა-გულში, სოფ. ორტაში, უნდა მდგარიყო მთავარი რეზერვი, რომელიც, სა-ჭიროების დროს, ან ერთს მიეშველებოდა, ან მეორეს, ან ორ-სავე ერთად, ან, თუ მტერი სორტას დაესხმოდა თაეს, მაშინ ორგანვე დაყენებულს ჯარს გარს შემოიკრებდა და ისე მიე-გებებოდა მტერს.

მუხრან-ბატონის რჩევით, დედოფალი ჯარის მთავარ ბანა-კის მახლობლად დაბინაედა, სოფელ ქვაშხორში, ერთის თავის ნათესავის, კნეინა მარიამ ნიკოლოზ დალიანის ასულის შარ-ვაშიძის სახლში. ჯარი მდ. ტეხურის პირას იყო დაბანაკებუ-ლი, სოფ. სორტაზე მიკრულ მინდობრზე, დედოფლის ბინიდან სამს ეერსზე. თეთო ბანაკს „სორტიანი“ დაარქვეს, სიტყვების „სორტა“ და მუხრან-ბატონის სახელს „ითანეს“ ერთად შეხა-მებისაგან.

დედოფალი ხშირად მოლიოდა ჯარის ბანაკში, იმასთა-ნაც მოლიოდნენ ბანაკიდან სტუმრად. დედოფალს, რა თქმა უნდა, არა სჭიროდა სხვისი სწავლება და მისს სტუმართ-მო-ყვარეობას და ყველასთან ალერსიანს ქცევას საზღვარი არა ჰქონდა.

ამ შემთხვევაში დედოფალს განსაკუთრებით ეხმარებოდა მისი და, გრიბოედოვის ქვრივი ნინო. ჩვენ არ შეგვიძლიან ორიოდე სიტყვა არა ვთქვათ რუსეთის გამოჩენილ მწერლის



მეუღლის შესახებ, მით უფრო, რომ არსად-რა წაგვიყითნაც ამ შესანიშნავ და მეტის-მეტად ძეირფას ადამიანის გამო.

ნინო გრიბოედოვისა მეტის-მეტი ტანადი იყო, შავვერზე მანი და მშეენიერ თვალებიანი. ქარს თხუთმეტის წლისა მის-თხოვდა, როცა მისი მშვენიერება საესებით იყო გადაშლილი. გრიბოედოვს უზომოდ უყვარდა თავისი ახალგაზდა ცოლი, რომელსაც „მურილიოს მაღონას“ ეძახდა. ამ საყვარელს არსებას ქმარი ისე უყურებდა როგორც ბავშვს და ჩემი ვალია, რაც აღზრდა დააკლდა, მე შევუსრულოვო. როგორც მისი დაახლოვებული ნაცნობები, და მათს შორის პ. ა. კარატიგინი, ამბობენ, გრიბოედოვი მეტად ნიჭიერი და განსწავლული კაცი იყოვო; პოეტიც იყო, და მშეენიერი მემუსიკეცა, ზედ-მიწვევნით იცოდა რამდენიმე ექროპიული ენა, სწავლა მიეღო ილმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე, და, ყველა ამას გარდა, მეტის-მეტი სიმპატიური კაცი იყო. თუმცა ერთის წლის მეტი არ დასტალებია თავის საყვარელ არსებასთან სიკეოცხლით დამტკბარიყო, მაგრამ ამ მოკლე ხნის ცხოვრებითაც დაუვიწყარი შეიქმნა ნინოსათვის, ისე ღრმად ჩაეგებელნენ მისს კეთილს გულს ამ დიადის მასწავლებლის ლირსებანი. როცა გრიბოედოვი თეირანში წავიდა, სადაც უდროვოდ მოჰკვდა კიდეცა მტრის ხელისაგან, ხუთის თვის ორსული მეუღლე თავრიზში დასტოვა. აქ ნინოს დაახლოვებული ნაცნობები იყვნენ ინგლისის ელჩის ოჯახის წევრნი, მისი ცოლი და ქალები; გარდა ამათი, მასთან სტუმრად იყო ერთი მისი ნათესავთაგანი, თავადი რომან ჭავჭავაძე, რომელიც მანამ გამოუგზავნა თვალის-ჩინიერით. როცა ამბავი მოუვიდა, გრიბოედოვი თეირანში მოჰკვდესო, ცოლს ეს ამბავი არ გაუმედავნეს; მხოლოდ უთხრეს, ქმარს წერილის მოწერის დრო არა ჰქონდა, ძალიან ბევრი საქმეები აქვსო, შემოგითვალით, აქ დიდ ხანს დავრჩები, და ამიტომ ტფილისში დედასთან დაბრუნდი და იქ უცადე ჩემს დაბრუნებასაო. დიდი მოხერხება იყო საჭირო, რომ მისგან ნამდევილი ამბავი დაემალათ; გულმა უგრძნო, რაღაც არა სასიკეთოს მიმაღავენო, მაგრამ ამ დროს მამისაგან თ. ალექსანდრე ჭავჭავაძისაგანაც,

რომელიც მაშინ სომხეთის ოლქის მმართველად იყო, მოუკიდა
წერილი. ისიც იმასვე სწერდა და ატყობინებდა, შენს მისაგე-
ნებლად ჯულფაში წამოვედი და გელიო. ნინოც დასთანხმდა
და მშენდობით ჩამოვიდა ტფილისში. მაგრამ ტფილისში უფრო
გაუჭირდათ მისთვის ქმრის სიკვდილი და ემალათ: ამდენი დრო
გადის და ქმარი მაინც წერილს არა მწერსო, მერე ისეთი
ქმარი, რომელსაც გავიჟებით უყვარვარო; თან და თან ემა-
ტებოდა ექვი და, ბოლოს, სრულებით შემთხვევით გაიგო
ყველაფერი. ერთხელ მასთან გრაფ პასკევიჩის მეუღლე, გრიბოე-
დოვის ბიძაშვილი, მოვიდა სტუმრად სწორედ იმ დროს, რო-
ცა ნინოს დედა ხიდლაც იყო გასული. ლაპარაკის დროს წა-
მოსცდა გრიბოედოვის თავგადასაგალი და, რაკი ერთი წამოს-
ცდა, იძულებული გახდა ყველაფერი ემბნა. ნინოს საშინელი
ისტერიკა დაემართა და მეორე დღეს ხუთის თვის ბავშვი დაე-
ბადა ამგვარად დაპარგა ქმარიცა და შვილიცა. თექვსმეტის
წლის ქრისტიანთვის ყოველი ნუგეში დაიკარგა და გადასწყვი-
ტა თავის საყვარელ ქმრისათვის არ ეღალატნა და სიკვდილამდე
მისი ერთგული ყოფილიყო. მართლაც, ქმრის სიკვდილის შემ-
დევ 30 წელიწადი იკოცხლა და მეორედ გათხოვება არც კი
უფიქრია. ბევრს ნაქებს და გავიჟებით შეყვარებულს საქმროს
უნდოდა მისი შერთვა, მაგრამ იმან მაინც არ უღალატა თა-
ვის აღთქმას და ქვრივად დარჩა. გრიბოედოვის გვამი ნინომ
ტფილისში მოასვენა და მთაწმინდის ეკვლესიაში დაასაფლავა.
ამაზე დიდებულ იდგილის მოძებნა არ შეიძლებოდა რუსების
უკვდავ მწერლის საფლავიდ.

ამ დროდან მოყოლებული ნინო გრიბოედოვისამ თავისი სიცოცხლე თავისს ნათესავ-მოყვარეებს შესწირა, სულ იმასა ჰქიქრობდა, ვის რა სიკეთე ვუყოფო. სანამ მისი და, ეკატირინე, გათხოვდებოდა, მასთან ერთად საზოგადოებაში გამოდიოდა, მის გათხოვების შემდეგ თავის უმცროს დას, სოფიოს (შემდეგ ში ბარონ ნიკოლაის მეუღლე) ზრდიდა, ხოლო როცა მისის ძმის, დავითის, შვილები მოჩიტდნენ, მათი გადია შეიქმნა. მამის ოჯახში ის ყველასათვის საჭირო იყო, უკმისოდ არაფერი

შეეძლოთ, სახლიდან კახეთში მიჰყვანდათ ძმასთან, კახეთიდან სამეგრელოში—დასთან. ნინო მფარველი ანგელოზი იყო მთელის ოჯახისა, ის იყო ისეთი არსება, რომელსაც თავკანსა სცემდნენ და აღმერთებდნენ ყველანი კავკასიაში, მთავარმართებლებიდან მოყოლებული უბრალო ხალხამდე. იმის შესახებ საზოგადოდ ამას ამბობდნენ: „ნინო კეთილი ადამიანია“.

მართლაც, მისი გულკეთილობა განთქმული იყო. ყველა გაჭირებულს შეეძლო თავისუფლად მისულიყო მასთან, შეეჩივლა თავისი მდგომარეობა, ეთხოვნა დახმარება და დარწმუნებულიც უნდა ყოფილიყო, რომ „კეთილს ნინოს“ სხვისი ჭირი საკუთარ ჭირად მიაჩნდა, სხვისის სიხარულით თეოთონაცა ხარობდა. ვინც უნდა დიდებაცი ყოფილიყო, არავის დაერიდებოდა, ყველას სთხოვდა, ამა და ამ გაჭირებულს დაეხმარეა და ხელი გაუმართეთ; თავის დღეშიაც არავის არ გაუცუდებია. ამიტომ, მთხოვნელები გამოულეველი ჰყვანდა სულმუდამ. ვთქვათ, რომელიმე ახალგაზდა მოხელე რასმე დააშავებდა და უფროსი სამსახურიდან დათხოვნას დაემუქრებოდა,—მაშინათვე ნინოსთან მირბოდა—გაჭირებიდან მიხსენიო. ნინო ცოტათი დატუქსავდა, თოონ მაინც წავიდოდა, სადაც საჭირო იყო, თუნდ მთავარმართებელთან ყოფილიყო მისასელელი, და საქმეს გაარიგებდა ან კიდევ რომელსამე პატივის-მოყვარე კაცს დაწინაურება მოუნდებოდა,—წავიდოდა ნინოსთან და ისიც ცდილობდა მისი სურვილი დაეკმაყოფილებინა; ერთის სიტყვით, ყველანი იმასა სთხოვდნენ, ათას რასმე ავალებდნენ, და ნინოც უარს არავის ეუბნებოდა, და კიდევ ამიტომ იყო, რომ იმ დროს კავკასიაში იმასავით არავინ უყვარდათ. პენსია ძალიან ცოტა ეძლეოდა, რაღაც 2,000 მანეთი, და იმის ნახევარიც აღმად სხვებს ურიგდებოდა, ასე რომ, მღიდრული ცხოვრება რომ ნდომებოდა, მაინც არ შეეძლო. სულ მუდამ აღერსიანი იყო. სულ მუდამ ღიმი უამაშებდა ტუჩებზე; ყველას საამოდ რჩებოდა მისი ნახეა, მასთან ბაასი. ხშირად იგონებდა თავისს ქმარს, ზეპირად იცოდა რამდენიმე სამუსიკო პიესა, გრიბოედოვის დაწერილი. ეს პიესები მშეენივჩად შემუშავე-

ბული და მეტად თავისებურის მელოდიისა იყო, და სამწუხა-
როა, რომ ისე დაიკარგა, ჩაუწერავი. ნინო მოჰკვდა და თან
ჩიიტანა საფლავში. მასთან ბაასი ყველას ესიამოვნებოდა, თვი-
თონ მხიარულის ხასიათისა იყო და სულ მუდამ დიდის სია-
მოვნებით იზიარებდა სხვათა მხიარულებას. როცა ეკატერინეს
ქმარი მოჰკვდა, ნინო მაშინათვე სამეგრელოში წამოვიდა და
მას აქეთ სულ დასთან იყო.

სხვა არა ყოფილიყო-რა, მარტო ნინო გრიბოედოვის იქ
ყოფნა ჰქმაროდა სორტაში დაბანაკებულ ჯარისათვის. დედოფ-
ლის სადგომი ერთავად სტუმრებით იყო სავსე, აქ იყო შესი-
კაცა, თამაშობაცა, სიმღერაცა და ოჯალების ღვინოცა,—ყვე-
ლა დიდად ნასიამოვნები ბრუნდებოდა უკან. ასე გავიდა ზამთ-
რის თვეები, და ვისაც კი გამოუცდია, თუ რა ძნელი, მოსა-
წყენი და უხერხულია ჯარისათვის ერთ ადგილას ხანგრძლივად
ყოფნა, მიხვდება რა სასიამოვნო იყო სამხედროთათვის დე-
დოფლის სახლში სიარული და დროს გატარება, მით უფრო,
რომ ჯარს ამ დროს სახადი და ჭაობის ციება დაერია და
იმდენი ხალხი გაუუქა, რამდენიც არც ერთს ომში არ დაიხო-
ცებოდა.

თებერვლის გასულს ამბავი მოვიდა, იმპერატორი ნიკო-
ლობზი პავლესძე გარდაიცვალოა. ეს ამბავი პირველად ახალის
მთავარმართებლის ნიკოლოზ ნიკოლოზის ქე მურივიოვისაგან
გავიგეთ, რომელმაც, თავის მხრივ, პეტერბურგიდან განგებ გა-
მოგზავნილ ფელდეგერისაგან ვაიგო ტფილისიდან პირველ სა-
დგურზე, ღართის კარში.

ახალმა მთავარმართებელმა სამეგრელო პპრილში ინახუ-
ლა. ნ. მურავიოვი დედოფალს პატარაობითეე იცნობდა, რად-
გან მისს მამის, როგორც კარვის მეგობრის, სახლში ხშირად
დადიოდა, ამიტომ ჭვაშხორში რამდენსამე დღეს დარჩა დე-
დოფალთან, როგორც დაახლოვებულ მეგობართან; ნინო გრი-
ბოედოვისაც დიდის ხნიდან იცნობდა მურავიოვს. სამეგრელოს
საშინაო საქმეები, ცოტა არ იყოს, ალუფხულ-დალუფხული იყო

ამ დროს ხალხი მთავრობას არ ემაფლიერებოდა და ამის ნიშნებმა მთავარმართებლის მოსვლის ცოტა-ხნით წინ უკვე იჩინა თავი სუჯუნაში. ამ უკმაყოფილების სათავე აფხაზეთის მთავრის სიმამრის სახლში, სოფ. ჭვალუაშვილი იყო, და დედოფალმა მურავიოვას სთხოვა, შინაური მშვიდობიანობა დამყარე ჩემს სამთავროში. მთავარმართებელმა სამეცნიეროს თავადებს ერთად თავი მოუყარა და სიტყვით მიმართა ყველას, განსაკუთრებით თავადს გიორგი დადიანს, მაგრამ მისმა ნათქვამა, როგორც შემდეგში აღმოჩნდა, სასურველი ნაყოფი ვერ მოიტანა.

ქვაშხორიდან მთავარმართებელი ზუკლადში გაემგზავრა, საღაც აფხაზეთის მთავარი (მიხ. შარვაშიძე) დაუხვდა. არავინ იცის, ამ ნახევის დროს რა იღაბარაკეს ამ ორმა; მხოლოდ ის ვიცით, რომ, როცა თავადი შარვაშიძე მთავარმართებელს მოშორდა, ძალიან აღელვებული და გულმოსული იყო. მას შემდეგ სამის კეირის უკან მ. შარვაშიძე მოულოდნელად წავიდა სამეცნიეროდან აფხაზეთში და თავის სიმამრის სახლში მას უკან არ დაბრუნებულა.

მუხრან-ბატონის გეკმა და განკარგულება ომის შესახებ მურავიოვა სრულიად მოიწონა. თითონაც კარგად ესმოდა, გურული რაზმი უნდა გავაძლიეროთო, და მუხრან-ბატონს დაპირდა, ჯარს მოგიმატებო, მანამდე კი, თუ დაგჭირდათ, სურამში სათაღარივოდ დაბანაკებული ექვსი ბატალიონი ჯარი აქ დაიბარეო. სამეცნიეროდან რომ! მოდიოდა, მთავარ-მართებელმა დედოფალს უახრა, ყარსის გარემოცეს ვა-პირობო.

მაისში მუხრან-ბატონმა, მთავარმართებლის განკარგულებით, სორტაში დაბანაკებულ ჯარის ერთი ნაწილი წამოიყვანა, იმას შეუერთა გურიაში მყოფი ერთი რაზმი და ქაბულეთის სანჯაყის დასათვალიერებლად წავიდა. მუსტაფა-ფაშის კორპუსი მიუვალ აღგილას იდგა ბანაკად და საცა იდგა, იჭიდან არ დაძრული. ოსმალებს კარგად ესმოდათ, რომ რუსებს ჯარის

მოსკოვის არაეითარი აზრი არა ჰქონდა გარდა აღგილის და-
თვალიერებისა, ამიტომ რომ ქობულეთის სანჯაყის აღება
რუსის ჯარს ხელს არ მისცემდა, პირიქით, მეტ ბარგადაც
გაუხდებოდა. ქობულეთის დათვალიერებას რომ შორჩინენ,
ჯარები თავ-თავის აღგილებზე დააყენეს, ხოლო ბანაკი სორ-
ტიდან სიმრთელისათვის მახლობლად მაღლობ აღგილზე გადაი-
ტანეს.

დედოფალი ისევ დაბრუნდა გორდში. ნინო გრიბოედო-
ვისა მოშორდა და ტფილისში წავიდა. დედოფალი ძალიან
შეაწუხა იმ გარემოებამ, რომ ზუგდიდში არ შეეძლო ეპ-
ხოერნა. აქ დიდი სასახლე ჰქონდა, პარიზიდან ჩამოტანილი
შვევნიერ ავეჯით მორთული, იქვე ჰქონდა მართლა და საუ-
ცხოვო ბალი.

შეა ზაფხულში ამბავი მოვიდა, მურავიოვმა ყარსს ჯარი
შემოარტყაო. ცოტა ხანს უკან ამას სხვა ამბავიც დაერთო.
ომერფაშის შტაბის უფროსი ფერხად-ფაშა დიდის ჯარით აფ-
ხაზეთის ნაპირას გავიდაო, უკან კიდევ ახალი ჯარი მისდევსო.
ყველამ მოუთმენლად დაუწყო ლოდინი, რა იქნებაო.


მუხრან-ბატონმა მურავიოვისაგან დაპირებული სათადარი-
გო ჯარი მოითხოვა, მაგრამ ამბავი მოუვიდა, ჯარი ვერ მო-
ვა, რადგან მურავიოვმა საჭიროდ სცნო ეს ჯარი ალექსანდრო-
პოლში გაეგზავნაო. მეტი გზა არ იყო, იმას უნდა დასჯერე-
ბულიყო, რაცა ჰყავდა. მაგრამ, როგორცა ვთქვით, ამ ჯარს
ზამთარში დიდი ზიანი მისცა ციებამ, ასე რომ სულ 8,000 ჯა-
რის კაცი თუ იქნებოდა. მაგრამ ჯარი, ამდენი ხნის განმავ-
ლობაში უსაქმოდ გაჩერებული, მხნედ იყო, მოუთმენლად მოე-
ლოდა ომს, შეტაკებას.

ენკენისთვის გასულს ამბავი მოვიდა, რუსის ჯარმა ყარს-
თან 17 ენკენისთვეს ბრძოლა წააგოო, ამავე დროს ყირიმი-
დანაც რუსის ჯარის დამარცხების ამბავი მოვიდა. ამ იმბებმა
უფრო ააგულიანა მუხრან-ბატონის ჯარი საომრად, იქნება გა-
ვიმარჯვოთ და, ცოტათიც არის, დაგვავიწყდეს უინანდელი

მარცხიო. იმავე თვეს ბათუმში ახალი, სებასტოპოლიდან დაბრუნებული ჯარი ამოვიდა ოსმალებისა, მაგრამ აქ დიდხანს არ გაუჩერებიათ, მალე სოხუმში წაიყვანეს, სადაც ლვინობის-თვეში ომერ-ფაშაც ამოვიდა და შემდეგ მთელი თივისი კორპუსით სამეგრელოსაკვნ გამოემართა.

თ. ს.

(შემდეგი იქნება)



შეელი და ახალი სკოლა

▼

ახალი სკოლა პირველად დაარსდა ინგლისში 1889 წ. აბბათსკოლზე, დერბიშაირეს საგრაფოში; ეს სკოლა აგებულია სოფლის დიდ მამულში, და ეს უკანასკნელი პირობა შეაღეცნს უმთავრესს ახალი სკოლის პირობებ შორის:: მეორე ამგვარი სკოლა დაარსებულია აბბათსკოლმის მასწავლებლის მიერ სამხრეთ ინგლისში ბედელსში; სუსსექსის საგრაფოში.

ეს ორივე სკოლები შეხედულობითაც ძლიერ განირჩევან ჩვენ სკოლებისაგან. ისინი წარმოადგენენ მიმზიდველ შეხედულობის შენობებს, რომელნიც ყველა ინგლისელ კოტელედებს გვანან და არა ყაზარმებს, როგორც ჩვენი გიმნაზიების შენობები. შიგნითი მოწყობილება კიდევ უფრო უმატებს სასიამოენო შთაბეჭდელებას. მაგალითად, ბედელსის სკოლის სასაღილო ოთახი სრულებით საოჯახო ოთახს ჰგავს: ძალიან სუფთად და ლამაზად მორთულია, სტოლზე სუფთა სტოლის საფრებია, სტოლის მოწყობილება ძალიან ლამაზია; ფორტეპიანო, სურათები, ქანდაკებანი, და საზოგადოდ მთელი მებელი ამტკიცებს, რომ აქ ყურადღება ერთნაირად არის მიქცეული როგორც სარგებლობაზე, ისე სიამოვნებაზედაც. ამას ემატება ის, რომ მასწავლებლები და სკოლის დირექტორი თავის ცოლშვილით საღილს სჭამენ ბავშვებთან ერთად იმავე სტოლზედ, ისე რომ ბავშვი არ არის ძალად მოწყვეტილი ოჯახურ ცხოვრებას და გადატანილი უცხო და სრულებით შეუფერებელ ცხოვრების ატმოსფერაში. აქ ბავშვი მხოლოდ სცვლის ერთ ოჯახს მეორე უფრო დიდ ოჯახზე.



ახლა ვნახოთ, როგორ არის მოწყობილი ცხოვრებულების სკოლებში და ამისათვის ჯერ-ჯერობით აეწერთ, თუ როგორ ატარებენ დღეს ამ სკოლაში.

დგებიან დილით (ზამთარში 7 ს.)	.	.	.	6—15
გიმნასტიკა და ფარიკაობა	.	.	.	6—30
პირველი გაკვეთილი	.	.	.	6—45
ლოცვა	:	:	:	7—30
საუზმე	:	:	:	7—30

საუზმის შემდეგ ოთახების მილაგება (ყოველი მოსწავლე თითონ ალაგებს თავის ლოგინს).

მეორე გაკვეთილი	.	.	.	8—30
პატარა საუზმე	:	:	:	10—45

თუ კარგი ამინდია, ბავშვები წელამდის ტან-გახდილნი ეხოში ვარჯიშობენ.

მესამე გაკვეთილი	.	.	.	11—15
სიმღერა ან წყალში ცურაობა	:	.	.	12—45
(უკანასკნელი გაზაფხულ-ზაფხულში).				

სადილი	.	.	.	1— „
ვარჯიშობა მუზიკაზე ან ფორტოფიანოზე	.	.	.	1—30
თამაშობა და მუშაობა ბაღში, სეირნობა ფეხით	.	.	.	
ან ველოსიპედებით	.	.	.	1—15
მუშაობა სახელონოში	.	.	.	4— „
ჩაის სხა	.	.	.	6— „
სიმღერა, სათეატრო რეპეტიციები, მუსიკა და სხვ.	.	.	.	6—30
ვახშამი და ლოცვა	.	.	.	8—30
დაწოლა	.	.	.	9— „

ამ სიით ეხედავთ, რომ ახალ სკოლაში ასე არის განაწილებული დრო:

გონებრივი შრომა	.	.	.	5— „
ფიზიკური	"	.	.	4— $\frac{1}{2}$
გასართობი	.	.	.	2— $\frac{1}{2}$
ძილი	.	.	.	9— „
საუზმე, სადილი და თავისუფალი დრო.	.	.	.	3— „

კვირაობით მოსწავლენი თავისუფალნი არიან და ქრისტიანები თავის ნებაზედ ატარებენ. როგორც ვხედავთ, დღვე გაყოფილია სამ ნაწილად: დილა დანიშნულია გონებრივი შრომისათვის, სწავლისათვის, დღის მეორე ნახევარი ფიზიკურ მუშაობისათვის ბაღში ან სახელოსნოში, საღამო ეკუთვნის ხელოვნებას, მუსიკას და სხვა საზოგადო გასართობს. ეხლა ვნახოთ, რა აზრი აქვს ამისთანა გაყოფას და საზოგადოდ განვმარტოთ ახალი სკოლის იდეები და მთი შედეგი.

ერთი-ერთი ძირითადი მიზანი ამ ახალნაირი სწავლებისა ის არის, რომ ყმაწვილებმა უნდა იცოდნენ სწავლის მოხმარება ცხოვრებაში და ახალი ცოდნაც შეიძინონ ამ სარგებლობის ხალისით, და არა ჯილდოს გულისათვის. ჯილდო და ნიშნები სრულებით უარყოფილია ამ სკოლაში; საზოგადოდ, ინგლისელი და ამერიკელი ჰელაგოგები იმ აზრისანი არიან, რომ ბავშვების წაქეზება შრომისათვის ამ გზით არ ვარგა: ჯილდო, ნიშნები, ამხანაგთან შედარება—ყოველივე ეს უბადავს ბავშვს გულში მხოლოდ შურს, და არა მოვალეობის გრძნობას, წინააღმდეგი იღზრდის მეთოდი კი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ყმაწვილს ისე ექცევი, როგორც დიდს ადამიანს და მის სვინიდისს ენდობი, ამისთანა მეთოდი ბევრად უფრო აუმჯობესებს ბავშვის შრომას და უორკეცებს სწავლის ინტერესს, რადგან მაშინ მხოლოდ შრომაზე და სწავლაზე არის მისი ყურადღება მიქცეული და არა მაზე დამოკიდებულ ჯილდოზე. ბავშვმა უნდა შენიშნოს თავისი წარმატება სწავლაში თავის საკუთარ უწინდელ ცოდნასთან და არა თავის ამხანაგის ცოდნასთან შედარებით, მასწავლებელმა უნდა შეამჩნევინოს ბავშვს, რომ ის უკეთ სწავლობს წინანდელზე, მაგრამ არასოდეს არ უნდა დაუყენოს თვალ წინ მისი უპირატესობა ამხანაგზე. მე მგონია, ასეთ მეთოდს დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს ბავშვების ზეობაზე: ამით იმათ ცუდ თავ-მომზონეობას ელება ბოლო, და კარგი, პატიოსანი წარმატების, თვის გაუმჯობესობის სურვილი ეზრდებათ გულში. ახალი ენების სწავლას დიდი ადგილი უჭირავს ახალ სკოლაში



და სრულებით ახალ მეთოდებით ცველა ჩვენგანს უწმუნებელი ერთი ან ორი ახალი ენა, მაგრამ არც ერთმა თითქმის არ ვიცით ეს ენები. ჰვავს, რომ ჩვენ ცუდი მეთოდით გვისწავლია. აბბათსკოლმის სკოლაში ათ-თერთმეტ წლიმდის სწავლა ინგლისურ ენაზედაა; მერე ორ წელიწადს ლაპარაკობენ, რაც შეიძლება მეტს, ფრანგულად; შემდეგ ორ წელიწადს—გერმანულად. ლათინურს და ბერძნულს, ისიც ზოგიერთ მოსწავლეებს, რომელთაც სურთ ამ ენების შესწავლა, ასწავლიან ბოლო წლებში.

რასაკირველია, ცველა ამ ენების სწავლა სწარმოებს ბუნებითი მეთოდით, ესე იგი პრაქტიკულად, გრამატიკას კი ასწავლიან მერე, როცა ენა უკვე შესწავლილია.

რომ ბავშებს არ დაავიწყდეთ ენები, რომელიც ისწავლებს წინა წლებში, იმათ ამ ენებზედ ყოველ დღეს ორ-სამსაათს ალაპარაკებენ.

მათემატიკის სწავლებაც პრაქტიკულია: მათ ასწავლიან შეძნილი ცოდნის პრაქტიკულად მოხმარებას: მაგალითად, ყმა-წვილები ამზადებენ რამე ნაწარმოებს, რომლის ზომა-სიდიდე თვითონ უნდა გამოიანგარიშონ და მოისაზრონ; ისინი მიწა-საც თვითონ ზომავენ. ამას გარდა მათ აძლევენ გამოსაანგარიშებლად ფერმის, ბალის, სახელოსნოს, სათამაშოების, საწერ მოწყობილების, ქიმიურ ლაბორატორიის, სამხატვრო და საოჯახო ხარჯის სიებს. ამ სიებში მოყეანილი რიცხვების გამოანგარიშება და მათი ჯამის შედეგენა სრულიად ბავშვებზეა მინდობილი.

რასაკირველია, ამისთანა სწავლას დიდი ინტერესი აქვს და დიდი სარგებლობაც ცოდნას. უსულო ციფრები თითქო ცხოველდებიან ბავშეის თვალში, ის იგებს, რა მნიშვნელობა აქვს მათ ოჯახში, ვაჭრობაში და მრეწველობაში, ერთი სიტყვით, ამისთანა მეთოდი აძლევს მათ საზოგადო ცხოვრებისათვის საჭირო პრაქტიკულ ცოდნას.

ბუნების მეცნიერების შესწავლას, რომელსაც ახალ სკოლაში ძალიან დიდი ყურადღება აქვს მიქცეული, ისევ ბავშვე-

ბის მიერ პირდაპირი თვალ-ყურის დევნება და გამოკვლევა აქვს იარაღად: ბავშვები თითონ აგროვებენ სხვა-და-სხვა მცენარეების, ცხოველების და მინერალების კოლექციებს, ადევნებენ თვალს ცხოველების ხასიათს და ზნე-ჩვეულებას, მცენარეების აგებულებას, სწავლობენ მნათობების სახელებს და სხვ. და სხვ.

სეირნობა, რომელიც ახალი სკოლის პროგრამას სავალ-დებულოდ მიაჩნია, უადვილებს ბავშვს ბუნების შესწავლას, და ამ რიგად ბუნების მეცნიერება ბევრად უფრო ეადვილება მათ და ეხალისებათ კიდეც: ამისთანა სწავლა ღრმა ფეხვებს იდგამს ბავშვის გულში; სწავლის ზიზღს კი არა, უაღრეს ხალის და სწავლის გაგრძობისა და ახალი ცოდნის შეძენის სურვილს უბადავს მას. ეს ინტერესი და ხალისი ბავშვს, რა თქმა უნდა, ცხოვრებაშიაც გაჰყენება და ბევრად დაუტკბობს და ვაპატიოსნებს იმის.

ისტორიის სწავლასაც იგივე ხალისის გაღვიძება აქვს მიზნად: ფაქტების და სახელების სიმრავლით არ იმძიმებენ ბავშვის გონებას, მიზეზების და შეჯეგების გამოაშკარავებით, წარმომადგენელ შესამჩნევ პირების დახასიათებით და ისტორიულ დიდ მოვლენათა ახსნით გონებას უხსნიან ყმაშვილს და უხატავენ თვალ-წინ დიად ისტორიულ დრამას აღამიანის ცხოვრების ყველა საუკუნოებისას, ცდილობენ, რომ დაანახვონ ბავშვებს ის დამოკიდულება, რომელიც არსებობს ერთი მხრით ქვეყნების ფიზიკურ-პოლიტიკურ მდგრადობისა და თვისებების და მეორე მხრით მათ ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას შორის. ინგლისის ისტორიის მერე ყმაშვილები სწავლობენ მსოფლიო ისტორიის საინტერესო და დამახასიათებელ ხანებს.

თხუთმეტ წლამდის სწავლა ერთნაირია სუსყველა მოსწავლისათვის; მერე კი ყველას შეუძლია სწავლის იმ გზას დაადგეს, რომელიც უფრო მოსწონს, მოსწავლე ირჩევს იმ დარგს, რომელიც უფრო ეთანხმება მის ნიჭს და მისწრაფებას, იმის მა-



ხედვით, თუ რისთვის უნდა მოემზადოს: ზოგი ემზამზადება უნდა-ვერსიტეტისათვის, ზოგი შეუჩნეობისათვის, ზოგი ვაჭრობისა-თვის, ან თავისუფალ პროფესიისათვის. როგორც ვხედავთ, აქ სწავლა არის მოწყობილი მოსწავლეებისათვის და არა მოსწავლე სწავლისათვის, როგორც ჩვენს გიმნაზიებში.

საზოგადოდ, ერთი აზრი უძევს ამ პროგრამას საუფლებლად, და ეს აზრი არის ის, რომ თეორია თავის დღეში არ უნდა განსხვავდებოდეს პრაქტიკისგან, ყოველ ცოდნას მიხნად უნდა ჰქონდეს ცხოვრებაში გამოდგომა.

უკველა ამ საგნებისათვის დანიშნულია დილის სამი გაკვეთი-ლი; ნასაღილევს კი მთელი დრო ფიზიკურ შრომას და სხეულის გარჯიშობას აქვს მონდომებული; გონებრივი ვარჯიშობის შემ-დეგ ფიზიკური ვარჯიშობა იწყება. ჩვენ სკოლაში კი მთელი დილის სწავლის მერე მთელ ნასაღილევს და მთელ საღამოს 9—10 საათამდის ბავში გაკვეთილების სწავლას ანდომებს. ეს მავნებელია მარტო ჯანმრთელობისათვის კი არა, თვით სწავ-ლისათვისაც, რადგან სრულებით შემცდარია ის აზრი, ვითომ ბავში სწავლობს მით უფრო ბევრს, რაც უფრო მეტ ხანს უზის წიგნებს.

ნასაღილევს 1 ს. 45 წ.—6 საათამდის ბავშეები ბალში, მინდოორში ან სახელოსნოში მუშაობენ, აგრეთვე სეირნობენ ფეხით და ველოსიპედებით.

„ჩვენი მიზანით,—იუწყება ახალი სკოლის პროგრამა— მდგომარეობს იმაში, რომ გაეაუმჯობესოთ ფიზიკური ობზრდა, გავუღვიძოთ ბავშეებს გულში ხალისი ვაჭრობისა, მრეწველო-ბისა, აღზარდოთ მათში ენერგია მოქმედებისა და ნიჭი თა-ვისი ან და სხვისი ნაწარმოების სწორის დაფასებისა. ბევრი უბედურება ხდება იმის გამო, რომ ადამიანს ფიზიკური ძალა არ შესწევს, ამისათვის საჭიროა ბავშვებისათვის ყოველდღიუ-რი ვარჯიშობა სხეულისა და ფიზიკური შრომა; ამითი მცირ-რდება ის მავნებლობა, რომელიც მოაქვს სხეულისათვის გო-ნების დალლილობას და მჯდომიარე ცხოვრებას“

ფიზიკური ვარჯიშობა და შრომაც ისე არის მოწყობილი, რომ იმას მიზნად აქვს ისევ პრაქტიკული სარგებლობა. აბბათს-კოლმის სკოლაში ბავშვებმა თითქმის დაუშმარებლად ააშენეს და მოაწყეს თვითონვე თავიანთი სკოლა, როგორც, რობინ-ზონ კრუზომ, იმათაც მრამჩადეს ბეერი ავეჯეულობა, რომელ-საც ხმარობენ.

თვითონ ბავშვებმა გაწმინდეს ბალი, გააკეთეს გზები, გაი-ყვანეს წლის არხები; იმათ შეღებეს ღობები, კედლები, სახელოს-ნოში ისინი სწავლობენ დურგლობას, ხუროთ-მოძღვრებას და თვითონვე ამზადებენ დიდ ძალ მებელს სკოლისათვის. ერთხელ ფერმის მომღერელი ივად გახდა; ბავშვებმა სურვილი გამოაცხა-დეს საქონელს ჩვენ მოვუკლითო და კიდეც მოუარეს სამ დღეს, სანამ მუშა კარგად გახდებოდა. მეორედ ბავშვებმა მოინდომეს ცხენის ყადვა, თვითონ წავიდნენ იარმუქაზედ და იყიდეს იგი. სამთა უფროსმა მოსწავლემ მალე ასწავლეს უმცროსებს ცხენით სიარული და მისი ტარება.

ზაფხულობით, რასაკვირველია, უფრო ბალში და ფერმაში მუშაობენ. კროკეტი, ტენისი, სეირნობა ფეხით და ველოსი-პედებით, ფოტოგრაფიული სურათების გადაღება სხვა-და-სხვა აღვილებისა — აი რას ანდომებენ ბავშვები თავისუფალ დროს.

სხვა-და-სხვა ნიერებ შორის ბავშვებმა გააკეთეს სტოლი, შკაფი, სამტრედე, იხვებისათვის სახლი, სარაია და სამი ნავი.

ეხლა თურჩე აპირობენ მდინარეზედ, რომელსაც თითქმის 30—40 მეტრის სიგანე აქვს, ხილის გაკეთებას; ამ ხილს ბურ-ჯები ქვისა ექნება, თვითონ კი ხის იქნება, და ყოველივე ეს მარტო ბავშვების გაკეთებული უნდა იყოს.

ბავშვებსავე აქვთ მინდობილი აღვილის გამოზომება და გეგმის დახატვა სკოლის ხიალ შენობებისათვის. სახლის მახ-ლობლად ორის ქიმიური ლაბორატორია და სადურგლო.

ხანდისხან იმისთანა სერიოზულ საქმეებსაც კი ანდობს ბავშვებს სკოლის დირექტორი, როგორც ბანკიდან ფულის გა-მოტანა და სხვ.



ერთი სიტყვით, მასწავლებლები ისე ეკიდებიან მასშიაც—
ლეგებს, როგორც დიდებს, და მოსწავლეებიც დიდს პატივის-
ცემას და ნდობას იჩენენ მასწავლებლების მიმართ.

უკელა ზემოდ აღწერილ ვარჯიშობას მიზნადა აქვს არა
თუ მარტო ის, რომ ყმაწვილი პრაქტიკულ მოქმედებას, შეა-
ჩეიოს ირამედ სხეულის განვითარებაც, მისი გამაგრება. ეს მი-
ზანიც რომ მართლა მიღწეული არის ამ ახალ სკოლის სის-
ტემით, მტკიცდება შემდეგით: სკოლის მოწაფის აწონვა და მისი
სიმაღლის გაზომვა აჩვენებს, რომ სკოლაში ყოფნის დროს
ყმაწვილი ბევრად უფრო მატულობს წონაშიც, სიმაღლეშიც,
ვიდრე სახლში ყოფნის დროს; ეტყობა, რომ სკოლაში ყოფნის
დროს სხეული ბევრად უფრო კარგად ვითარდება.

აქედან ვხედავთ, რომ ახალი სკოლა გონების და ზნეო-
ბის სისაღესთან, ჯანმრთელ ადამიანების ვამმრავლებელია, რაც
შტკიცდება იმითი, რომ სკოლაში ძლიერ იშვიათია ავადმყო-
ფობა; სურდო და თავის ტკიცილიც კი იშვიათი მოვლენაა.
„ჩვენი რეფიმი—ამბობს სკოლის დირექტორი—ყმაწვილებისათ-
ვის იმის დამამტკიცებელი უნდა იყოს, რომ უშერესი წილი
ავადმყოფობისა უმეცრებისა, დალლილობისა, უწესრიგო შრო-
მისა ან ბიწიერების შედეგია. ყველაზე უფრო დიდ ყურადღე-
ბას ჩვენ იმას ვაქცევთ, რომ მოსწავლეები სისუფთავეს და პიგი-
ენური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას შევაჩვიოთ. ყოველ
დღეს ცივი წყლით ტანის ბანა და ზამთარ-ზაფხულ ფანჯრებ-ლია
ოთახებში ძილი მეტის-მეტად ამაგრებს ბავშვების სხეულს.

ეხლა ჩვენ შევუდგებით იმის აღწერას, თუ რას ანდო-
მებენ ყმაწვილები საღამოს, ჩაის შემდეგ, ესე იგი დროს 6 საა-
თიდან—9 საათამდის.

საღამოს ახალ სკოლაში ანდომებენ საზოგადოებრივ ნი-
ჭის განვითარებას, ესე იგი ცდილობენ, რომ ყმაწვილები შეე-
ჩეიონ საზოგადოებაში ყოფნას და რიგიანად თავის დაჭერას.
ყოველ საღამოს ბავშვები იკრიბებიან სასტუმრო ოთახში, სა-
დაც ხვდებიან და ელაპარაკებიან დირექტორის ოჯახობას და

შპელი და ასაღი სკოლა
არის სტუმრებს. სასტუმრო ოთახი ლამაზად და მხიარულად არის მორთული სურათებით და ქანდაკებით.

ისე რომ 6—9 საათამდის სკოლა ემსგავსება ოჯახის სასტუმრო ოთახს. აქვე ატარებენ დროს სიმღერებში, ფორტე-პიანოს და სკრიპკის დაკერაში, კონცერტებში და სათეატრო რეპეტიციების გამართვაში.

მუსიკის სკოლაში პირველი ალაგი უჭირავს. ყოველ კვირაში ერთხელ აქ იმართება მუსიკალური საღამოები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებენ როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებლებიც. ყმაწვილებს იმდენივე ვიოლონები აქვთ, რამდენიც საფოტოგრაფიო აპარატი.

დრამატიულ წარმოდგენისათვის ყმაწვილებმა თითონ მოიწყვეს თეატრი.

კვირაში ერთი საღამო დანიშნულია შექსპირის თხზულების საკითხავად.

ამას გარდა სკოლაში არის დაარსებული ორი საზოგადოება, სადაც ყმაწვილები სხვა-და-სხვა საგნების შესახებ ბაასობენ და კამათობენ; მოსწავლეები სცენებ სკოლის ნახატებიან ჟურნალს (School Magazine), ამ გვარად ყმაწვილებში იწვრთნება ლიტერატურული და ხელოვნური ნიჭი და გემოვნება. ამავე მიზანს ეთანხმება სკოლის მუზეუმის დაარსება, სადაც აგროვებენ დიდებულ მხატვრების ნაწარმოების პირებს, სკულპტურულ ნაწარმოებებს, ხელოვნურ მებელს და სხვ. და სხვ.

ის თვისებაც კი, რომელიც ნაკლულევანებად უნდა ჩაეთვალოს ძველ სკოლას, ამ ახალ სკოლის კარგ მხარეს შეადგენს:

პანსიონს დიდი მავნებლობა მოაქვს ჩვენს გიმნაზიებში, სადაც 500—600 ბავშვია ერთად შეგროვებული და ერთმანეთზედ ცუდი გავლენა აქვთ. აქ კი, ამ ახალს სკოლაში, სადაც მხოლოდ 50 მოსწავლეა და ასზედ მეტი არ იქნება არას დროს, პანსიონი ძალიან სასარგებლოც არის, რაღაც ბავშვი უფრო დიდ ხანს არის მასწავლებელის კეთილ გაელენის ქვეშ.

და ამასთან უფრო ადვილია ბავშვის გულის და ხასიათის გა-
გება თვით მასწავლებელისათვისაც.

მასწავლებელის გავლენა რომ ნამდვილად კეთილია, რომ
მას შეუძლია და კიდევ სურს ბავშვის ხასიათის გაგება და მისი
განვითარების თვალ-ყურის დევნება, ეს სხანს იქიდან, თუ რას
თხოვლობს ახალი სკოლა თვით მასწავლებლისვან; მასწავლე-
ბელი უნდა იყოს ზნეობრივ მხრით ქრისტიანი, ესე იგი სი-
ტყვით, საქმით და რწმენით დიად ზნეობრივ პრინციპების მი-
მდევარი, უნდა იყოს შრომის მოყვარული კაცი, პატიოსანი
მშრომელი და დაღინჯებული, ესე იგი მას უნდა ჰქონდეს მა-
ღალი მიზანი ცხოვრებისა, პატიოსნად უნდა ეჭიროს თავი,
უნდა იხევჭდეს უცხოთა პატივისცემას და ახლობელთა სიყვა-
რულს; უნდგ იჩენდეს მოთმინებას უბედურებაში, და ყოველ-
თვის მართლის მთქმელი და მიმღევარი უნდა იყოს.

გონების მხრით: მასწავლებელმა ძალიან კარგად უნდა
იცოდეს ის საგნები, რომელიც უნდა ასწავლოს. ამას გარდა
უნდა იყოს ჭყვიანი და გონება-ვახსნილი ადამიანი, რადგან
ყრეველი მასწავლებელი ახალ სკოლაში მასწავლებლობის გარ-
და აღმზრდელის თანამდებობასაც ასრულებს.

ფიზიკური მხრით: მასწავლებელი ჯანმრთელი და ენერგი-
ული კაცი უნდა იყოს, არავითარი ფიზიკური ნაკლი არ უნდა
ჰქონდეს.

პედაგოგიური მხრით: უნდა ჰქონდეს სიყვარული თავისი
საქმისა, და სწავლა და ოღზრდა თაეის ცხოვრების უმთავრეს
მიზნად უნდა მიაჩნდეს.

რასაკვირველია, ადამიანს, რომელიც ყველა ამ მოთხოვ-
ნილებას დაკმაყოფილებს შეუძლია კეთილი გავლენა იქმნიოს
მოსწავლეებზედ და იმათი ნდობა და სიყვარული დაიმსახუროს,
რაც ძალიან ადვილებს აღზრდის საქმეს.

ძალიან ეხმარება ამ უკანასკნელს გარემოებას ისიც, რომ
უფროსი მოსწავლეები იღებენ დიდ მონაწილეობას აღზრდის

საქმეში; ისინი იცავენ წეს-რიგს მთელს კლასში; ყოველ კლასში უფროსი მოსწავლე აძლევს ყმაწვილებს და თვით მასწავლებელს წიგნებს ბიბლიოთეკიდან, ზოგს საწოლი ოთახები აქვს ჩაბარებული, ზოგს სათამაშო მოწყობილობა, ზოგს ბაღის იარაღები, ზოგს კიდევ კოლლექციები. მასწავლებლები უფროს მოსწავლეებს ისე ექცევიან, როგორც ამხანაგებს. ენდობიან მათ და უმცროსებს იმათ აბარებენ, უფროსი მოსწავლეებიც ასევე ექცევიან უმცროსებს. ისე რომ სკოლის საქმეებში პასუხის-მგებელი თვით ბავშვები არიან. ამისთანა ნდობა ბავშვებში თავის თავის რწმენას და თავის ღირსებების გრძნობას ჰგადავს. ამისთანა ერთმანეთის პატივისცემას და ნდობას კიდევ ის შედეგი აქვს, რომ ბავშვი თავს სრულებრივ თავისუფლად გრძნობს მასწავლებელთან, არ ეშინიან მისი, და ამისთვისაც მართლის თქმა აქ სუსკველას ჩვეულებად იქვთ; ტყუილის მთქმელს არც ერთ მოსწავლეთაგანი ხელს არ ჩამოართმევს.

ჩვენში უმთავრესი ქება არის მოსწავლესი; „მეტად დამჯერო და მორჩილიაო“; ახალ სკოლაში კი მორჩილობა არ ითვლება ისეთ საყურადღებო ღირსებად. თეოთ დემოლენს, რომლის ვაჟი სწავლობს ბედელისის სკოლაში, მოუფიდა შემდეგი წერილი პირველ წლის ბოლოში: „მგონი, რომ თქვენ შეილს დიდ ცვლილებას შეატყობით უფრო ჯანმრთელია ეხლა, უფრო დამოუკიდებელ ხასიათის და თავის თავის შეკავება უფრო შეუძლია, ვიდრე უწინ“. ამასთან დირექტორი ურჩევდა დემოლენს, რომ შვილი მარტო გამოიგზავნა პარიუიდან ბედელებში, რადგან ამისთანა მოგზაურობა აჩვევს ბავშვს თავის თავის მოვლას და გაფრთხილებას.

ეხლა მოვიყვანთ მთელ პროგრამას ახალი სკოლისას და ამითი უფრო მკაფიოდ დავინახაუთ განსხვავებას, რომელიც არსებობს ამ სკოლის და ჩვენ გიმნაზიებ შორის. ეს პროგრამა შედგენილია საფრანგეთის სკოლებისათვის ლერლენის მიერ, ინგლისის ახალი სკოლის მიბაძვით.

ერთია ქვირის განმეოდებაში გაკვეთილების გაწეს-
რიანება ახალი სკოლის ბროგრამმით



პირველი სამი წელიწადი—საზოგადო სექტი

სკოლური სექტიული სკოლი სამი წელიწადი¹⁾

გაკვეთილები		VI კლ.	V კლ.	IV კლ.	სიტყვის 1 კლ. 3, 2,	მეცნიერები 3, 2,	გერმანული ენა 3, 2,	უნიტერიული და ენგლისური ენა
0	ფრანგული ენა . . .	3 ს.	3 ს.	3 ს. ²⁾	5 ს.	2 ს.	2 ს.	2 ს.
0	ინგლისური და გერმან.	8 "	8 "	6 "	2 "	2 "	2 "	4 "
0	ლათინური და ბერძნ.	—	—	—	10 "	—	—	—
E/	გეოგრაფია . . .	2 "	2 "	2 "	2 "	1 "	3 "	1 "
E/	ისტორია . . .	2 "	2 "	2 "	2 "	1 "	1 "	1 "
c	ინგლიში და შიტემპთიკა . . .	2 "	2 "	3 "	2 "	7 "	2 "	3 "
c	გეოლოგია . . .	—	1 "	1 "	—	1 "	1 "	—
c	ბოტანიკა . . .	1 "	1 "	1 "	1 "	1 "	1 "	1 "
c	ზოოლოგია . . .	1 "	1 "	1 "	—	1 "	1 "	—
A/	ფიზიკა . . .	1 "	1 "	1 "	—	1 "	1 "	2 "
A/	ქიმია . . .	1 "	1 "	1 "	—	2 "	2 "	2 "
A/	ხატვა . . .	2 "	2 "	2 "	2 "	3 "	2 "	4 "
	სამეცნიერო და საბაზო შე-						7 "	2 "
	ნო შეცნიერება . . .	—	—	1 "	—	—	2	4 "
	სავაჭრო ინგლიში . . .	—	—	—	—	—	—	—

პრაქტიკული ვარჯი- შობა		VI კლ.	V კლ.	IV კლ.	სიტყვის 1 კლ. 3, 2,	მეცნიერები 3, 2,	გერმანული ენა 3, 2,	უნიტერიული და ენგლისური ენა
E/	1. ბაღოსნობა . . .	6 ს.	6 ს.	7 ს.	—	—	—	—
c	2. ხისა და რკინის შემუ- შევება . . .	5 "	5 "	6 "	—	—	—	—
A/	3. ფარისკების და ფერმე- ბის დათვალიერება, მინერალების, მცენა- რების და ცხოვე- ლების მოგროვება, მიწის ზომვა და სხვ.	4 "	4 "	4 "	—	—	—	—

ხელოვნური ვარჯი- შობა და გასართობი		7½—9 ს. უკელი კლასებისათვის, გარდა უ- ცროსის—შეცვესის
E	თარშაბათი . . .	კითხვა. შესანიშვნა კატეგორია ბიორგანიზმი და სხვ.
c	სამშებათი . . .	დეკლამაცია და სათვარრო წარმოდგენია.
0	თახშებათი . . .	ხეზე გამოსარატება და სხვ.
E/	ხუთშებათი . . .	ცემვა.
0	პარასკევი. . .	კონცერტები: სიმღერა და მუსიკა.
0	შაბათი . . .	კითხვები ბუნდოვან სურათები.
0	კვირა. . .	საღმრთო, ზორობრივი და საზოგადო ჩასიითის კითხვებზე ბაასი.

1) სკოლი იწყრს რამდენიმე ლიტერატურულ, სამეცნიერო, სამეცნიერო და სხვ. უწყნოსლს, რომლებიც ყმატვილებს ეძლევა სკოლის და თავისუფალ დროს.

2) მეოთხე კლასისიდან იწყებინ თარგმანებით ბერძნულ-ლათინურ ლიტერატურების შესწავლის.

ეხლა, შე მგონია, ჩვენ საკმაოდ გამოვარკვიეთ ახალი სტუდენტის აღზრდის და სწავლის მეთოდები და დავინახეთ ძველი სკოლის უვარგისობა, სადაც ლათინურ-ბერძნულ ენას 10—11 საათს ანდომებენ უკელა კლასებში, სადაც ბუნების მეცნიერებას და ფიზიკურ აღზრდას არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული, სადაც ისტორიასაც და გეოგრაფიასაც კი ისე ასწავლიან, რომ ყმაშვილს გარდა სახელებისა არავითარი ცოდნა არა რჩება თავში, ფაქტების მიზეზების, შედევების, ან და ერთი მეორესთან დამკაიდულების აზრიც არა აქვს შეგნებული. ყოველ დღე ჩვენზე და ჩვენ ნაცნობებზე ვხედავთ ამისთანა აღზრდის სამწუხარო შედევებს.

უფრო დაწვრილებით არ შევალო იმის გარჩევაში, თუ როგორი უპირატესობა აქვს ამ ახალი სკოლის პროგრამმის ძველთან, შედარებით, რაღაც დროც იმდენი არ გვაქვს, და მგონი ყველას საკმაოდ შეუძლია თითონვე მიხვდეს, რა სარგებლობა აქვს აღზრდის ამგვარად დაყენებას.

ეხლა ისიც გამოვარკვიოთ, თუ რამდენად შეგვიძლია ამავე აზრებით და მეთოდებით ჩვენც ვისარგებლოთ.

თუ ჩვენ იმას ვუცადეთ, როდის იქნება, ვიმნაზიებშიაც შემოიღონ ამისთანა მეთოდები და ამგვარად გადააკეთონ მოელი სისტემაო, ეს მეტის-მეტად გვიან იქნება, და იქნება თუ არა—ისიც ღმერთმა იცის.

საქმე ის არის, რომ ყოველი ინტელიგენტი, სწავლა-განათლება-მიღებული დედ-მამა უფრო ღრმად უნდა ჩაუკვირდეს თავის მოვალეობას ოჯახის მიმართ, უფრო კარგად უნდა შეიგნოს, რა ვალი აწევს კისერზე; საქმე ის არის, რომ ყოველმა დედმა ის იდეალი თვალ-წინ უნდა დაიყენოს, რომ თავისი შვილი მომავლისათვის გამოზარდოს, რომ თავისი შვილები ენერგიულ და შეგნებულ ადამიანებად გამოიყვანოს, საზოგადოებისა ჯანმრთელ, პატიოსან და მართალ მუშაქებად აღზარდოს; საქმე ის არის, რომ მამებმა, რომელთ გონება ვითომ და დედაკაცებზე უფრო აქვთ განვითარებული, როგორც თვითონვე ამბობენ და ხშირად მეცნიერების საბუთები-



თაც ამტკიცებენ, მამებმა მარტო ოჯახის ჩენი კი უნდა უნდა იქონიონ სახეში, არამედ ნამდვილი მამობა უნდა გაუწიონ შვილებს, გონება გაუხსნან, ისე იღზარდონ, როგორც ბე-დელსის მასშავლებლები ზრდიან სხეის შვილებს. პროფესორმა პეტრიაშვილმა შესანიშნივი წერილი დასწერა „ივერიაში“ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იყოს დაყენებული ჩენში სწავლა-აღზრდის საქმე, მაგრამ მე მგონი მან ეროვნულ მხარეს ნამე-ტანი ბევრი აღგილი დაუთმო და ნაციონალურს კი ნაკლები. ჩენი ქალები შეგნებული, გონება-განვითარებული და პატიო-სანი აზრების და გრძნობის მქონენი უნდა იყვნენ; ეროვნული გრძნობა, რასაკირველია, თან-შეზრდილი უნდა ჰქონდეთ ბავშვობიდანვე; ეგ პირველი მოვალეობაა ოჯახისა; სწავლა-განათლების საქმეში კი ეროვნული ნიადაგი მხოლოდ ნია-დაგად უნდა იყვეს, და იმაზე უნდა აღმოცენდეს ყოველი ჟურნალური გრძნობა და აზრი.

მართალია, ბ. პეტრიაშვილი იმაშიაც, რომ ქალების სწავლა-განათლებას უფრო მაღლა აყენებს, უფრო საჭიროდ რაცხს, ვიდრე კაცებისას. თუ მართალია ანდაზა — „როგორიც ბერიო, ისეთი ერიო“, აგრეთვე სრულ ქეშმარიტებად უნდა ჩაითვა-ლოს ის აზრიც, რომ როგორიც ქალია, ისეთი ოჯახია. რო-გორც უნდა და როგორც ესმის, ისეთ ელფერს დაადგეს ქალი თავისს ოჯახს: ამიტომაც ყველაზე უფრო ჩენ ქალების აღ-ზრდას უნდა მივაქციოთ ყურადღება და ამიტომაც ქალთა კო-მიტეტის კეთილ განზრახვებას დედათა სკოლის დაარსების შესა-ხებ, რაც შეიძლება, ხელი უნდა მოვუმართოთ.

მეტის-მეტად სასურველია, რომ ეს აზრი მაღე განხორ-ციელდეს და ამასთან ზემო-აღწერილი სკოლების მსგავსად. მრავალ რიცხოვეანი სკოლა, როგორც ვხედავთ, არც სასურ-ველია პედაგოგიურ შეხედულობით; ახალი ტიპის სკოლის გა-სწანა უფრო ადეილი მოსახერხებელია, რადგან სკოლას არც ყაზარმის გვარი შენობა დასჭირდება და ამას გარდა 50—100 ქალისათვის გახსნილი სკოლა ნიკლებ ხარჯს ითხოვს, ვიდრე 800—1000-სათვის.

მე მგონი ვაჟების სათავად-აზნაურო სკოლასაც სახეში უნდა ჰქონდეს ახალი სკოლის აზრები და მეთოდები. ისიც მგონია, რომ თავად-აზნაურობის ერთ-ერთ მამულში, თუ გინდ იმავე ოძისში, რომლის შეწირვა სწავლა-განათლების საქმისა-თვის თ. ზაქარია ერისთავს დიდი ხანია განუზრიახავს—შესაძლებელია ისეთივე სკოლის დაარსება, როგორიც ინგლისშია დაარსებული.

ჩეენ უნდა გვესმოდეს ჩეენი მდგომარეობა, უნდა გვესმოდეს, რომ სწავლა-განათლების საქმე და საკითხევი ჩეენთვის ჰამლეტის საკითხევად გარდიქცა: to bay, or not to bay, რადგან ჩეენი არსებობა მაზე დამოკიდებულია. მაში არ უნდა დავიშუროთ არც შრომა და არც შეძლება, რომ ამ საქმეს სწორი და მაგარი ნიადაგი მოვუმზადოთ. ოჯახში, სკოლაში, ლიტერატურაში და სუსყველგან ჩეენ უნდა გვახსოვდეს და სისრულეში მოგვყავდეს ახალ სკოლის იდეები და თავისუფალ, განათლებულის ერის მაგალითს ვბაძავდეთ, თუ გვინდა, რომ ზეობრივად და ეკონომიკურად ავმაღლდეთ და გავძლიერდეთ.

ნინო ზურაბიშვილი

უქოლების დაბინავება საქართველოში *

(ისტორიული წერილი)

II

ქართლ-კახეთმა დიდი უბედურება გამოიარა მეჩეთმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში, გარეშე მტერმა, დიდმა და პატარამ, მოსვენება აღარ მისცა ლონე-მიხდილს ქვეყანას. ოსმალ-ყიზილბაშებმა და მოუსვენარმა დაღესტნის მთიულებმა თითქმის ააოხრეს ჩვენი პატარა სამშობლო, ოსმალებმა ნიშანში ამოილეს იმიერ, საქართველო და ყიზილბაშებმა ამიერი. პოლიტიკურს შორს-გამჭვრეტელობას მოკლებულნი ოსმალნი და ყიზილბაშნი გაშმაგვით ებრძოდნენ ქართველობას და არ მოისვენეს, ვიდრე შეუძლებელი არ გახადეს პოლიტიკური თვითარსებობა საქართველოსი. ცოტად თუ ბევრად კიდევ კარგახანს გაუძლებდა საქართველო ოსმალეთსა და სპარსეთს, მაგრამ ვეღარ გაუძლო დალესტანსა. ეს მწირი და უოველ ნაყოფიერებას მოკლებული მთა-გორიანი ქვეყანა სცხოვრობდა მხოლოდ ძარცვა-გლეჯით და ნადავლით. დალესტანი დღესაც საზრდოს

*.) აქ მოუვანილი ცნობანი იმუქრეფილია შემდეგი წიგნებიდან: 1) Сводъ статистическихъ данныхъ о населеніи Закавказскаго края, извлеченныхъ изъ посемейныхъ списковъ 1886 г. г. Тифлисъ. 1893 г. 2) Сводъ статистическихъ данныхъ о землевладѣніи въ Тиф. и Кут. губерніяхъ, г. Тифлисъ. 3) Сводъ материаловъ по изученію экономического быта государственныхъ крестьянъ Заказскаго края, т. II. г. Тифлисъ, 1887 г. 4) Магда Нейманъ, Армани. Краткій очеркъ ихъ исторіи и современнаго положенія. С. П. Б. 1899 г. 5) Г. А. Эзовъ. Сношения Пенра Великаго съ Арманскимъ народомъ. С. П. Б. 1898 г. 6) Акты Кавказской Археографической Комисии, т. VII, г. Тифлисъ. ღ 7) Кавказскій Календарь за 1899 г.

სამშობლოს გარედა შოულობს. ნახევარზე ჩეტი მკვიდრა დაღესტნისა, შეწუხებული უმამულობით, შორს იხვეწება რვა-ცხრა თვეობით და ხელობითა შოულობს ლუკმა პურსა. ვინ იცის, სად არ შეხვდები დაღესტნელ ლეკსა! ორენბურგიდან მოყოლებული მდინარე არეზამდე, საცა კი მიუწვდება ხელი, დაწანწალებს ლეკი ზამთარ-ზაფხულ, რომ ეგები საზრდო ვი-შოვნოვო. ამიერ-კავკასიის ქალაქი, ჩრდილოეთ-კავკასიისა თრენბურგ-ურალამდე საესეა ლეკებით. ზოგი მკალავია, ზოგი ქამარ-ხანჯალს იკეთებს, ზოგი კიდევ უბრალო მუშაა რკინის გზაზე. ყარსის რკინის გზაზე ნახევარზე მეტი უბრალო მუშათა დაღესტნიდან იყო ჩამოსული. ყველგან იდვილად იცნობ ლეკსა. ბანჯლვლიანი ქუდი და ცხერის ტყავის ქურქი განუშორებელი სამოსელია დაღესტნელის მთიელისა.

უსალსრობაშ და სამშობლოს სიმკაცრემ იძულა ლეკი ძირს, ბარად, ჩამოსულიყო და აქ საღმე ბინა ეშოვნა. გარე-მოებაც ხელს უწყობდა. მისუსტებული საქართველო ძველე-ბურად პასუხს ველარ იძლევდა და ცეცხლითა და მახვილით შიგ დაღესტანში ველარ შედიოდა. ამის გამო დაღესტანმა მთელი კუთხე შოსტყვიტა საქართველოს. ეს კუთხე ზაქათლის ოლქი ანუ, ჩვენებურად რომ ვთქვა, საინგილო. აქ ლეკობაშ ადგილობრივი მკვიდრი ან ამოელიტა, ან, ვინც ცოცხალი გადარჩა, იმას თვისე დალი დაასევა; სწორედ ისე მოიქცა, რო-გორც ოსმალეთი აქარა-ლაზისტანში.

ისე დაწყნარდა ცხვარივით დღეს დაღესტანი და მშვიდო-ბიანს ცხოვრებას მიეცა, შაგრამ ასეთი არ იყო მეთერამეტე საუკუნის დასასრულს და ამ საუკუნის პირველ ნახევარს თვით იმამის შამილის ტყვეობამდე 1859 წელს. განსაკუთრებით ჰბობაქრობდა და ჰლელავდა დაღესტანი მეთვრამეტე საუკუნე-ში. წელიწადი ისე არ გაიცლიდა, რომ დაღესტნიდან არ წა-მოსულიყო რომელიმე თავზე ხელალებულ ბელადის წინამძღო-ლობით ბრბო საქართველოს ასაკლებად. ბრბო გამოივლიდა მტკვარს, ავიდოდა თრიალეთს და აქედან გადავიდოდა ჯავა-ხეთს და ახალ-ციხეს, სადაც იკეთებდნენ ბინას და აქედან



იწყებოდა თარეშობა. დიდი ბრძო გაიყოფებოდა რამდენსამე
ნაწილად, ხშირად სულ 25—100 კაცად და შეესეოდა ქართლს.
მოულოდნელად თავს დაესხმოდა დამშვიდებულს, სამუ-
შაოდ გასულს სოფელს და სულ ნაცარტუტის ადგნდა, ვის
არ ახსოვს გამოჩენილი პოეტის დავით გურამიშვილის დატყვევება
მკის ღრհოს? ბრძო ნაღაელით ან უკანვე ახალციხის გზით
ბრუნდებოდა, ან შესვენების შემდეგ საღმე საგურამოს ტყე-
ჭალებში პირდაპირ თიონეთის გზით დაღესტანს გადალიოდა.
რაღა თქმა უნდა, რომ ლეკობა კახეთს თავს ესხმოდა პირდაპირ
დაღესტნილან, ამისათვის საჭირო არ იყო შორიდან მოვლა.

ასეთმა შეუძლებელმა და იუტანელმა ისტორიულმა გა-
რემოვებამ საქართველო მეტის-მეტად დაძაბუნა და დაისუსტა. მ-
შვიდროდ დასახლებული ხეობანი, ხალხით საესე სოფლები
სრულიად აკლო და გავვერანა მტერმა. სოფელთა ნანგრევნი,
გაპარტახტებული ხეხილიანი ბაღები და ვენახები, რუთა და
არხთა ნაშთნი, მინგრეულ-მონგრეული კაკლესიანი უტყუარი
მოწამეთა ამ შევითა და ზნელით მოსილის წარსულისა.

რუსობის დამკვიდრების შემდეგ სურათი შეიცვალა. რუსეთმა სასტიკი ომი გამოუტხადა დაღესტანსა, სპარსეთსა და ოსმალეთსა. მთელი ოც და ათი წელიწადი მოუნდა რუსეთი ბრძოლას, ვიდრე მოაშლევინებდა შინაურ და გარეშე მტერსა ამიერ-კავკასიისაკენ ხელის პოტინებას. ტურქშენჩის ხელ შეკრულობის შემდეგ სპარსეთი ისე დასუსტდა, ისე დაეცა და მოუძლურდა პოლიტიკურად, რომ სათვალავში იღარც კი აგდებდა რუსეთი ამ სახელმწიფოს. საქართველოზე წამოსეყლას როგორდა იფიქრებდა ღონე-მიხდილი სპარსეთი და მისი ბატონი, ოდესმე თავზარდამცემი და ძლიერი შაჰინშაჰი ასეთივე ბედი ხედა წილად ოსმალეთსაც აღრიანობლის სამშენებლო ხელშეკრულობის შემდეგ. მართალია, რუსეთს ოსმალეთთან ომი ორჯელ კიდევა ჰქონდა, მაგრამ მიხეზი ამ ომებისა სულ სხვა იყო და არა სურეილი საქართველოს გაგლეჯისა.

როგორც უკვე ზემოდ მოვისენიეთ, რუსეთი დიდხანს ებრძოდა დალესტანს, ვიდრე ქედს მოახრევინებდა და გასტენ-

და თაეისუფლების მოყვარულ მთიელებს, მაგრამ ჩვენთვის ამ ქამად საყურადღებო ისაა, რომ რუსეთმა საქართველოში დამ-კვიდრების დღიდანვე მოაშლევინა ლექებს თარეშობა და მშვი-ლი სოფლელის ძარცვა-გლეჯა და დაწილება. მარტო თ. პ. ციციშვილმა ისე დააშინა დაღესტნის მთიელნი, რომ აგრე ად-გილად ვეღარ დაიძეროდნენ ხოლმე სათარეშოდ, როგორც წინააღა.

საქართველოს დამშვიდების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნა-
ხევარზე მეტი ველ-მინდორი ცარიელი იყო, მხვნელ-მოქადელი
ნაკლებადა სჩანდა და ამისათვის ახალი მთავრობა დიდი ხა-
ლისით აძლევდა ადგილებს დასასახლებლად ყველას, ვინც კი
სურვილს გამოაცხადებდა აქ დაბინავებისას. ამ სახით დაიწყო
ქართლ-კახეთის დასახლება უცხოეთიდან მოსულ სხეა-და-სხვა
ტომის და მილეთის ხალხით. პირველიდ შემოხიზვნა დაიწყო
სომხებმა და, როგორც ვხედავთ, დღესაც არ შეწყვეტილა ის
შემოხიზვნა. შემდეგ გვესტუმრნენ: გერმანელები, ბერძნები,
რუსის მწვალებელნი, მართლმადიდებელი რუსობა, ყავლ-გა-
სული ჯარის-კაცობა და ბოლოს მთიდან ჩამოსული ოსმაბა. სა-
ქართველოს წინადაც ეტანებოდნენ უცხო ტომის ხალხნი, გან-
საკუთრებით სომხები, მაგრამ მაშინ უფრო ქალაქ-ალაგას იკე-
თებდნენ ბინას და იგრე რიგად არ ეტანებოდნენ სოფლებსა. ამ საუკუნის სტუმარნი კი, რასაკვირველია, რუსის მოხელეობის
გარდა, დაბინავდა სოფლიდ. ამ სახით, რუსის მართვა-გამგეობის
დამკვიდრებამდე ჩეენში, უცხოელნი ბინავდებოდნენ ქალაქად
(ტფილისი, გორი, სიღნაღი, თელავი, დაბა სურამი, დაბა ცხინ
ვალი), შემდეგ კი სოფლად.

二

ვიდრე ვუამზობდეთ მკითხველს უცხოელების დასახლების ისტორიას, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ცნობანი, თუ რამდენია ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის ში ჩასახლებული სხვა-და-სხვა ტომის ხალხი. ცნობანი დიდად სიყვრადებო

და შეეხება 1886 წელსა. ამ წლის კომლეულ აღწერის მიხედვით დანა სჩანს, რომ ტფილისის გუბერნიაში ირიცხებოდა სულ 808143 სული. პროცენტობით რომ ვიანგარიშოთ, დავინახავთ, რომ რუსობა შეადგენდა 4,48; პოლონელები და ლიტველები 0,16; გერმანელები და შვედელები 0,68; ფრანგები 0,08; ბერძნები 2,74; ქურთები 0,26; ოსები 8,96; სომხები 23,96; ბოშები 0,01; ებრაელნი 0,94; აისორები 0,08; ქართველები 45,01 თუშები 0,70; ფშავები 1,18; ხევსურები 0,81; მთიულები 0,29; იმერლები 1,11; მეგრელები 0,04; ჩერქეზები 0,18; და ქისტები 0,80. ქართველთა ტომს ერთად რომ მოვუყაროთ თავი, მივიღებთ 49,09, ეს იგი ტფილისის გუბერნიაში ქართველობა არამეტ თუ განახევრებულა, არამედ ნახევარზე ცოტა ნაკლებიცა. ამ საურადლებო ციფირებიდანა სჩანს, რომ ყოველ ას კაცზე, ორმოც და ათზე მეტი ქართველი არ არის. თუმცა პროცენტობით ანგარიში უფრო თვალსაჩინოა და ბევრი განმარტება აღარ ეჭირვება, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია თვით რაოდენობა სხვა-და-სხვა ტომისა აქვე მოვიყვანოთ. რუსები და ქართველები არიან 495708 სული; მალაკნები 4822; დუხაბორები იყვნენ 7263; ბაპტისტები 96; მეშაფეათები 122; სომხებ-გრიგორიანი 179,773; სომხებ-ქათოლიკები 16173;*) კათოლიკე-რომაელნი 3725; ლოტრანგნი 4372; მამალიანნი: სუნის მოძღვრები-სანი 68125;**) შიისანი—19504; იეზიდები 28 და ებრაელნი 7632, სოფელი ჯერ კიდევ ასე თუ ისე ქართველებისათ უნდა ჩაითვალოს ტფილისის გუბერნიაში, თუმცა ყველგან კი არა, მაგრამ ქალაქებიდან დიდი ხანია ხელი დაგვაბავინეს.

აი საბუთები: ქ. ტფილისი, რუსები და ქართველები შეადგენენ 43,34 პროცენტს, სომხები 47,31; (დანარჩენი ტომების რაოდენობა აღარ მოგვყავს); ტფილისის მაზრა: რუსები და ქართველები 67,79; სომხები 18%; ქ. ახალქალაქი: რუსები და

*) ცნობილ უქაზის შემდეგ ქართველ კათოლიკეებს სომხებად სთვლიან და ამის გამო მათ ცალკე აღარ ანგარიშობენ.

**) აქ ქართველი მამალიანნიც არიან ჩათვლილნი.

ქართველები 3, 51; სომხები 94, 56; მაზრა: პირველი 6, 81; მე-
ორენი 58, 96; სომებ-კათოლიკენი 12, 15; მაჰმადიანი 11, 43. მა-
შასალამე, ძველი ჯავახეთი საქართველოს კუთხედ ველარ ჩაი-
თვლება, ძალიანაც რომ გვინდოდეს. აქ ჩვენ სტუმრად გახ-
ლავართ, სხვები კი მკვიდრ ბინაღრად უნდა ჩაითვალნენ. ქ. ახალ-
ციხე: რუს-ქართველობა 4, 82; სომხობა 60, 85; სომებ-კათოლი-
კენი 4, 58; რომაელ კათოლიკენი 14, 84; ებრაელი 15, 79. არა
გვგონია, ამ ციფირების მიხედვით გამბედოს ვინმემ და სოქვას
ახალციხე საქართველოს ქალაქია. დიალ, ჩვენი მარტო სახე-
ლია. აქ ებრაელი რომ არ იყვნენ დამკვიდრებულნი, რომელ-
თაც მშვენივრად და სრულის სიწმინდით შეინახეს ქართული
სიტყვა-პასუხი და წერა-კითხეა, ახალციხეს ქართველო ქალა-
ქის ნიშან-წყალიც აღარ შერჩებოდა.*.) ბორჩალოს მაზრა:
რუს-ქართველები 25, 50; სომხები 33, 89; სომებ-კათოლიკენი 3, 76;
მაჰმადიანობა 32, 59; ვვონებთ აღარც ეს ძველი საორბელიანო
და საბარათიანო უნდა ჩაითვალოს საჩვენოდ. ქ. გორი: რუს-
ქართველობა: 57, 58; სომხები 39, 71; მაზრა; პირველი 89, 18;
მეორენი 8, 85. ქ. დუშეთი: რუს-ქართველობა 42, 04; სომები 57, 12; მაზრა: პირველი 95, 21; მეორენი 4, 28. ქ. სიღნაღი: რუს-
ქართველობა 44, 80; სომები 55, 20; მაზრა: პირველი 89, 48;
მეორენი 5, 59; ქ. თელავი: რუს-ქართველობა 18, 00; სომხები 81, 88;
მაზრა: პირველი 90, 21; მეორენი 6, 86. თიანეთის მაზრა:
პირველი 94, 41 და მეორენი 0, 70.

ამ სახით, მთელი სამი მაზრა: ახალქალაქისა, ახალციხისა და ბორჩალოსი თითქმის საქართველოს აღარ ეკუთვნის; ტერ-
ოიტორია მათი სხვამ დაიჭირა. ქალაქებიც სხვას უჭირავს და
ესაა მიზეზი, რომ ჩვენ ეროვნული ბურჯუაზია არ გაგვაჩინა.

*) ამ რამდენისამე წლის წინად ჩვენ გავიცანით რვა-ცხრა წლის ბავშვი ებრაელი დავით სუსუნიკაშვილი, რომელიც ისე მყაფიოდ კითხულობდა და სწერდა ქართულად, რომ სახტად დავრჩით. დაბადების კითხვა მისგან ჯერ ებრაულად და შემდეგ თარგმნა ქართულად ხომ სამაგალითოა. ერთის სიტყვით, ჩვენს ებრაელებს დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართულის ენის დაცვა-შენაზვაში. ეს არასოდეს „რ უნდა დავიციშოთ.

და მაშასადამე შემაგროთებელი ხილიც მაღალსა და დაბალს წოდებას შორის არ გადებულა.

ქუთაისის გუბერნიის განხილვა სულ სხვა სურათს წარმოადგენს. აქ მკვიდრი ქართველობის რაოდენობა ისე დიდია, ქართველობა ისე სკარბობს უცხოელებს, რომ შიში არაფრისა არ უნდა გვქონდეს. ერთის სიტყვით, იმერეთში არაფერი დაკარგულა და ამ მხრივ შეკვეთლიან არხენიად ვიყოთ.

ზემოდ დასახელებულ კომლეულად აღწერილობის (1886 წ.) მიხედვით სჩანს, რომ ქუთაისის გუბერნიაში ირკეცხბოდა სულ 923,306 სული. პროცენტობით ისე დალაგდებიან სხვა-და-სხვა ტომნი და მოდგმანი: რუსები 0,59; ბოლგარელნი 0,01; პოლონელნი 0,07; გერმანელნი და ინგლისელნი 0,05; იტალიელნი, მოლდავანელნი და ფრანგნი 0,03; ბერძენნი 0,72; ყიზილბაშნი 0,14; ქურთები 0,09; ოსები 0,89; სომხები 1,77; ბოშები 0,08; ებრაელნი 0,76; ქართლელნი 1,48; იმერლები 44,83; გურულნი 8,24; აჭარელნი 6,48; მეგრელები 23,28; სვანები 1,52; ყაბარდოლენი და სხვა ჩერქეზთა მოდგმისანი 0,78; აფხაზები 6,54; ესტები 0,07 და ოსმალონი 3,07. მართლ-მადიდებელნი საერთოდ შეადგენს 86,61; სომებ-გრიგორიანნი 0,88; სომებ-კათოლიკენი 0,97. ამ ცხრილიდანა სჩანს, რომ წმინდა, ხალასი ქართველობა ქუთაისის გუბერნიაში შეადგენს 77,78. ამათ ხალა-სივე ქართველობა—აჭარლები—რომ მივუმატოთ, მივიღებთ 84,21. თუ სვანებსა და აფხაზებსაც ჩეენებში ჩავთვლით, მაშინ გამოვა 92,27.

სიხარულისა და სიამოვნების მეტს არას გამოიწვევს ეს ციფირები. ას კაცზე რომ უცხო ტომის კაცი მხოლოდ რვა იყოს, სწორედ საჭიროუაა. სულ შენიანების ცქერა მოგწყინდება, ხანდახან სხვის ნახევაც გიამება...

ქუთაისის გუბერნიის ქალაქებიც წმინდა ქართულ ქალაქებად უნდა ჩაითვალოს. აქავე შექვედება აღამიანი უმაგალითო ფაქტს. ზოგი ისეთი ქალაქია და დაბა, საცა სულ არ მოიპოვება უცხოელი, ან თუ არის, ისიც ჩეენი სარწმუნოებისაა. მაგალითებრ ქ. ოზურგეთში 97,85 მართლ-მადიდებელია, მხო-

ლოდ 2,65 პროცენტს შეადგენენ სომეხ-კათოლიკენი. ცხადია, რომ ესენიც ქართველი ფრანგები არიან და არა სომეხნი; ზუგდიდში ნაჩვენებია მართლ-მადიდებელი 99,72 პროცენტი, უცხოელი სულ არავინაა ნაჩვენები.

ამ დაწვრილებითი ცხრილიც: ქ. ქუთაისი: მართლ-მადიდებელი 74,71; მწვალებელი 0,06; სომეხ-გრიგორიანი 10,48; რომაელ-კათოლიკენი 1,29; ლოტრანგნი 0,32; მაჭმალიანნი 0,91; ებრაელნი 12,82. მაზრა: რუს-ქართველობა 99,88; სომეხ-გრიგორიანნი 0,01; რომაელ-კათოლიკენი 0,01; ებრაელნი 0,60. შორაპნის მაზრა: რუს-ქართველობა 99,18; სომეხ-გრიგორიანნი 0,87; ებრაელნი 0,45. რაჭის მაზრა: მართლ-მადიდებელი 98,85; სომეხ-გრიგორიანნი 0,18; ებრაელნი 0,97. (ამ მაზრაში მცხოვრები ოსები მართლ-მადიდებელი არიან, მათი რიცხვი ძრიგლ მცირეა.) ლეჩეუმის მაზრა: მართლ-მადიდებელი 98,64; სომეხ-გრიგორიანნი 0,30; ებრაელნი 1,06. სენაკის მაზრა: მართლ-მადიდებელი 99,55; მწვალებელი 0,01; ებრაელნი 0,44. დაბა ზუგდიდი: გათლ-მადიდებელი 99,72; რომაელ-კათოლიკენი 0,28. რედუტ-კალე, შტატ გარეშე დარჩენილი ქალაქი, მართლ-მადიდებელი 100,00. ანაკლია, დაბა, მართლ-მადიდებელი 100,00. ზუგდიდის მაზრა: მართლ-მადიდებელი 99,89; რომის აღსარების კათოლიკენი 0,01. ქ. ოზურგეთი: მართლ-მადიდებელი 97,85; სომეხ-კათოლიკენი 2,65. მაზრა: მართლ-მადიდებელი 99,76; მაჭმალიანნი სუნიტნი 0,24; სომეხ-კათოლიკენი 0,05. ოლქის ქალაქი ბათუმი: მართლ-მადიდებელი 45,22; სომეხ-კათოლიკენი 23,38; რომის აღსარების კათოლიკენ 2,15; ლოტრანგნი 0,75; მაჭმალიანნი 22,22; (მომეტებული ნაწილი ქართველი ჩამომავლობისაა.) ებრაელები 6,80. ეროვნობით ბათუმში: რუსები 11,21; ბოლგარელნი 1,69, გერმანელნი, ინგლისელნი 0,75; ფრანგები, იტალიელები და მოლდავანელნი 0,45; ბერძნები 20,14; ყიზილბაშნი 6,89; სომხები 23,86; ებრაელნი 6,80; იმერლები 3,01; გურულები 3,18; მეგრელები 10,82; აფხაზები 3,74; ომალონი 8,46. (ბათუმში 1886 წ. ითვლებოდა 14803 სული.) ბათუმის ოლქში: რუსები 0,22; სომხები 0,87;

აქარელები 89, 54; მეგრელები 3, 84; აფხაზნი 1, 96 და ოსმალონი 0, 56. დაბა ართვინი: სომხები 76, 40; გურულები 0, 19; ოსმალონი 23, 41. ართვინის ოლქი: სომხები 6, 20; აქარელება 38, 76; ოსმალნი 54, 10. სოხუმის ოლქის ქალაქი: რუსები 28, 88; პოლონელნი 4, 18; ბერძნები 22, 57; სომხები 12, 86, იმერლები 5, 84; გურულნი 2, 18; მეგრელები 20, 89; (ცოტ-ცოტა სხვებიც არიან, მაგრამ აღარ ვასახელებთ). დაბა ოჩემჩირე: ქართველები 100% (რუსულად ასეა: ერუსაეთის სახელმწიფო კულტურული მუზეუმის მიერ გამოყენებისას). სოხუმის ოლქი: აფხაზნი 86, 90; მეგრელები 5, 18; ბერძნები 3, 08; რუსები 1, 61; სომხები 1, 52. ფოთი, სანავთსადგურო ქალაქი: რუსები 4, 54; პოლონელნი 2, 84; ბერძნები 9, 96; ყიზილბაშნი 4, 69; სომხები 10, 66; ებრაელნი 1, 15; მეგრელები 62, 41; ოსმალონი 3, 42 (ფოთში 1886 წ. ითვლებოდა 4709 სული).

ამ სასტატისტიკო მასალის განხილვა ცხადად გვაჩვენებს, რომ ქუთაისის გუბერნია წმინდა ქართულ გუბერნიად უნდა ჩაითვალოს. ცხადია აგრეთვე რომ შემდეგ შიაც იმერეთში უცხოელების ჩასახლება იმაზე მეტი, ვისაც აქამდისინ უშორენია ბინა, შეუძლებელია, რადგან აღგილ-მამულის სიცოტავე ქუთაისის გუბერნიისა საზოგადოდ ცნობილია და მაშიასადამე უცხო ტომის მოდგმა ამ მიზეზის გამო ბინას ვერ იშოვნის იმერეთში.

სულ სხვა გარემოებაში ჩავარდა ქართლ-კახეთი, ეხლან-დელი ტფილისის გუბერნია. მტერმა ისე დააზიანა და დაანიავა ქართლ-კახეთი, რომ ნახევარზე მეტი მკვიდრთა ან ამოწყდა, ან ტყვეობაში დალია სული. დაცარიელებულ იდგილებს მუშაკი ეჭირვებოდა და აკი ამიტომაც კავკასიის მთაერობამ ქართლ-კახეთისაკენ გამოუშვირა ხელი ყველას, ვინც სურვილი გამოაცხადა, რუსეთის პატრონობა და მფარველობა გვინდაო.

ს. ე—ჟ

(დიხასრული შემდეგ ნომერში)

სალიცერაცურო შენიშვნები

(„კვალის“ პუბლიცისტები და ჩვენი საზოგადო საქმეები).

წარსულს წელს ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის წეს-
 დებაც იმ რიგად იქმნა შეცვლილი, რომ დამფუძნებელთა და
 მსესხებელთა მაგიერ, რომელთაც უფლება ჩამოერთვათ პირ-
 დაპირი მონაწილეობა მიიღონ იმ დაწესებულების საქმეების
 გაძლიერები, ეგ საქმეები მსესხებელთა და თავად-აზნაურობის
 წარმომადგენელთა უნდა განავონ. დიდი ხანია საზოგადოება
 ამის ლოდინში იყო და დასრულდა თუ არა წარმომადგენელთა
 არჩევანი, ქურნალ-გაზეთებმაც ხანგრძლივი დუმილის შემდეგ
 ერთბაშად ხმა ამოიღეს და ლაპარაკი ჩამოაგდეს ქუთაისის ბან-
 კის შესახებ. ბეჭრს ეგონა, რომ საზოგადოებაში ამ ბანკის საქ-
 მეთა შესახებ ორი სხვა-და-სხვა აზრი ტრიალებს: ერთი ისა,
 რომ ქუთაისის ბანკი ცუდს ყოფაშია ჩვარდნილი და ამიტომ
 აუცილებლად საჭიროა ეგ დაწესებულება ხელიდან გამოაცა-
 ლონ იმათ, ვისაც შემთხვევამ უცაბედად ხელში ჩაუგდო; მეო-
 რე აზრი კი ის იყო, რომ ბანკს არა უშავს-რა, საქმეც კარგად
 მიდის; ვინც ბანკის სათავეში სდგანან, არა შეუჭამიათ-რაო და
 სხვა და სხვა. ამ ორს სხვა-და-სხვა აზრს ისე ვიყავით შეჩვეულ-
 ნი, რომ თუ ეინმე სხვა რასმე კიდევ იტყოდა, ძნელად წარ-
 მოსადგენი ეგონათ. მართლაც და, მესამე აზრშაც თავი იჩინა
 და მწერლობაშაც გარკვევით და თამამად იქმნა წარმოთქმუ-
 ლი. ეგ მესამე აზრი წარმოითქვა გაზეთ „კვალში“: ამ გაზეთ-
 მა რა ამბავი ჩაიღინა ქუთაისის ბანკის შესახებ, „არს ესე სა-



ცოლნარია”, და ამიტომ ჩვენს თავს ნებას ვაძლევთ — გამოწვევთ — კვიოთ ამ გაზეთის ნათქვამი და ნამოძღვრები; ერთის სიტყვით, მეითხველს დაეანახოთ ამ გაზეთის წინამდღოლთ „რა მოუჩმახავთ, რა წიგნი მოუწერით.“

„კვალის“ სულის ჩამდგმელნი და მესვეურნი ბ.ბ. გ. წერეთელი და ნ. ქორდანია ბრძანდებიან. პირველი ოც და ათს წელიწადზე მეტია ქართულს მწერლობაში მოღვაწეობს; ხან რომანისტია, ხან ლექსთა-მთხველი, ხან ისტორიკოს-არქეოლოგისი, ხან პუბლიცისტი და ხან რა; მეორე კი ახალგაზდა მწერალია — სულ ხუთი-ექვსი წელიწადია, რაც სამწერლო სარბიელზე გამოსულა. თუმცა მათ შორის წლოვანებისა დიდი მანძილია და ერთსა და მეორეს შუა უძვეს დიდი ზვარი, მაგრამ დღეს-დღეობით ერთის აზრით, ერთის შიმართულებით არიან გაეფლენთილნი და ერთნაირის თეალთა ხედების ისარით აღჭურვილან. რამდენად ხანიერი გამოდგება ეკ ერთ-სულობა და ერთ-გულობა ამ ორის მწერლისა, ამას მერმისი დაგვანახვებს. ამ უამაღ კი მეითხველს უნდა დაეანახვოთ, თუ რა თვალით უცქერენ ბ.ბ. გ. წერეთელი და ნ. ქორდანია ჩვენს საზოგადო საქმეს, — ბანკი იქნება თუ სხვა რამე საგანი. დავიწყოთ ბანკიდან.

ხომ მოგახსენეთ, რომ გ. წერეთელი ძეველი მწერალია; იმოდენად ძეველია, რომ ჩვენის ბანკების დაარსებას მოსწრებია, იმ დროს სამწერლო და საზოგადო სარბიელზე უკვე გამობრძანებული იყო; შემდეგშიაც მონაწილეობა მიუღია ბანკის საქმეებში, ბევრიც უწერია და სხვ. რა თქმა უნდა, როცა ამისთან კაცი ლაპარაკის და წერის მორთავს რომლისამე საგნის შესახებ, საზოგადოებაც თვალ-უურს ადევნებს და პატივისცემით ეკიდება ხოლმე; აზრად, რასაკვირველია, ისა აქვს, რომ ეს კაცი ბევრის მომსწრეა, ბევრი უწერია, საგანიც აწონილი და სიგრძე-სიგანით გაზომილი აქვსო. ეს ასე უნდა იყოს, ხოლო ხანდისხან ისიც შესაძლოა, რომ ამისთანა საიმედო კაცი საზოგადოებას იმედს გაუცრუებს და პირში ჩალას გამოავლებს. სწორედ ასე მოუვიდა ბ-ნ გ. წერეთელს, როცა ქუთაისის



სალიტერატურო შენიშვნები

საადგილ-მამულო ბანკის საქმეს შეეხო. ამ ძეელმა „გამოცდლი-მა“, ბევრის ნანახმა და გამგონმა პუბლიცისტმა ამ ჩვენის გვე-მულისა და წამებულის ბანკის ისტორია თავდაყირაზე დაყე-ნა; ნახული და გაგონილი დაივიწყა და დღეს რაცა სთქვა, თავიდან ბოლომდე ამ მწერლის თავდაუჭერელის ფანტაზიის ნაყოფია. ეგვითი ამბავი გ. წერეთლის თავზე „არ ხალია, ძეე-ლია“ და მარტო პუბლიცისტიკაში კი არ ემართება, არამედ ისტორიასა და არქეოლოგიაშიც კი, მაგრამ ამაებს თავი და-ვანებოთ. თუმცა ამ მხრითაც შეგვეძლო ზოგი რამ საწყინი მოვალეობინა. სიტყვა რომ არ გავაგრძელოთ, მოკლედ მო-ვწრათ: სწორედ ბ-ნი გ. წერეთლისთან კაცებზეა ნათქვამი ფსიხოლოგიაში, რომ „Фикція воображення зам'яняють въ памяти подлинные факты и водворяются въ памяти“. სიტყვით, მოვლი წლევანდელი პუბლიცისტიკა ბ-ნი გ. წერეთლისა ტყუ-ილსა და სიცრუეზეა დამყარებული და აგებული და ჭორები-თა შეზავებული. ბოლიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ თავიდანვე ეგრე თამამად და კადნიერად ვიხსენიებ ამ პუბლი-ცისტის ნაწერს. მაგრამ რა გაეწყობა: როცა დარწმუნებული ხარ, რომ ესა-და-ეს კაცი მწერლიაბის საკურთხეველს ტყუ-ლებითა და ჭორებითა ჰმოსავს, ვითარცა ფარისეველი საქვეყ-ნოდ ცრემლს აფრქვევს და გულში ხელს იცემს, სწორედ ძნე-ლია თავის დაჭრა, და ამის გამო თავი თუ ვერ შეგვიკავე-ბია, დარწმუნებულნი ვართ მკითხველი შევვინდობს, ბ-ნ ვ. წე-რეთლის საწინააღმდეგო საბუთებს რომ მოვახსენებთ.

ბ-ნმა გ. წერეთლმა, როცა ქუთაისის ბანკის შესახებ დაიწყო წერა, დაივიწყა ყოველივე, რაიცა ამ დაწესებულების შესახებ წინედ დაწერილა; არ გაიხსნია, რომ სანამ წერას შეუდგებოდა, საჭირო იყო სხვა-და-სხვა სარწმუნო მასალის გადათვალიერება, შესწავლა და სხვ.

სამაგიეროდ საკუთარს უსაზომო ფანტაზიაზე დაემყარა და ტყუილების მორევში შესცურა და თან ბ-ნი ეორდანიაც შეიყოლია. „შენც წახდი, მეც წამახდინეო“, შეუძლია ბ-ნმა ეორდანიამ უსაყვედუროს ბ-ნ გ. წერეთელს, თუ რომ ოდესმე



თვალი გაახილა. იგივე „შენც წახდი, მეც წამახდინეო და მოსახულების ძლია ბ-ნმა გ. წერეთელმა უსაყვედუროს ბ-ნს ქორდანიას,— იმიტომ რომ ამ ახალგაზდა მწერალმა მხცოვან მწერალს გ. წერეთელს, მიაწოდა ისეთი საკვები, რომელიც კარგად თითონაც ვერ მოენელებინა; გ. წერეთელიც გვერდში ამოსჯდომია ბ-ნ ქორდანიას და ხელი გაუწვდია მისთვის ძნელად მოსანელებელის საკვებისათვის, სახელდობრ, ეკონომიურ მატერიალიზმის მოძღვრებისათვის. სწორედ ამაზეა ნათქვამი: არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.

მაშ, საქმესაც შევუდგეთ და ბ-ნ გ. წერეთლის ტყუილებიც დაეანახეოთ მყითხველს. ბ-ნი გ. წერეთელი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ქუთაისის ბანკი დაარსდა თუ არა, ფეოდალებს ჩაუვარდა ხელში, რომლებიც თავიანთ სასაჩვებლოდ აწარმოებდნენ ამ დაწესებულებას და თუ რამ უბედურება შეემთხეა იმ თავითვე ბანკს,—სულ ფეოდალების ბრალი და დანაშაულობაა. ივტორი მოგვითხრობს, რომ ბანკის გამგეობამ, რაკი დაინახა, რომ დამფასებლები, რომელთაც დიდი ფეოდალები ირჩევდნენ, ბოროტ-მოქმედებას ჩადიოდნენ, ურჩია საზოგადოებას წესდების იშ რიგად შეცვლა, „რომ დამფასებლები გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის წევრებისაგან ყოფილიყო ამორჩეული“. („კვალი“ № 12) პირეველი ტყუილი ეს გახლავთ. ბანკის დაარსებიდან დლევნდლმდე ქუთაისის ბანკში დამფასებლებს ირჩევს შეერთებული სხდომა ზედამხედველის კომიტეტისა და გამგეობისა. არასოდეს არა ყოფილა, რომ დამფასებლები საზოგადო კრებას აერჩიოს. ეგ ერთი ტყუილი. ბ-ნი წერეთელი ბრძანებს (№ 12, „კვალი“):

„უპირატესობა სესხის გადიდებისა და ნედოიმკების შეტანის შელავათისა მარტო დიდი ადგილ-მამულის და გაელენის მექონე თავად-აზნაურობას ეძლეოდა. მაგივრად ასეთმა ქცევამ ქუთაისის. სადგილ-მამულო ბანკის გამგეობისამ მალე მოიტანა თავისი ნაყოფი, ვინც კი იყო დიდი ადგილ-მამულის მეპატრონე თავადიშეილები, რომელთაც დიდი სესხები გამოიტანეს, შველამ ჩატოვა ბანკში თავისი მამულები, ამის გამო ქუთაისის

ბანკმა დიდი ზარალი ნახა, მისი ბალანსის ცუდი მხარეს გამოიყარა სამინისტროს, რომელმაც ფიცხელი ბრძანება გამოუ-
გზავნა მაშინდელ პანკის გამგეობას და დაუწუნა დაფასება...
ამ დროს ბანკს დარჩა დადიანების, გელოვანების, ერისთავების და მრავალი სხვა თავადიშვილების მამულები... 1882 წელს სამინისტრომ სხვა მკაცრ საყვედლურთან ერთად ქუთაისის ბან-
კის გამგეობას აუკრძალა სესხის გაცემა"... აი ის ცოდვა-და-
ნაშაული, რომელსაც გ. წერეთელი თავზედ ახვევს თავად-აზ-
ნაურობას. მართლაც, მკითხველმა როგორ არ უნდა დაუჯე-
როს ბ-ნს გ. წერეთელს, როგა თითონ მოკლებულია საბუთები
განიხილოს; ხოლო საბუთებს თუ მოითხოვს და შეისწავლის,
აღმოჩნდება, რომ რაც ზემოდ ამოვწერეთ, თავიდან ბოლომდე
მტკნარი ტყუილია. აი, ბატონებო, საბუთები რას მოგვითხო-
ბენ: პირველს საში წელიწადს ბანკის დაარსებიდან, ესე იგი
1878 მოკიდებული ვიდრე 1880-მდე სოფლის მამულებზე გა-
ცემული სესხი უდრიდა ქალაქის მამულებზე გაცემულებსა, ხო-
ლო 1880 წლიდან ერთბაშად იწყო ზრდა და მატება ქალაქის
მამულებზე გაცემულმა სესხმა.

1880-ს წელს ქალაქის მამულებზე გაცემული სესხი აეი-
და 850 ათას მანეთამდე, 1884 წელს ერთს მილიონს გადაა-
ჭარბა. 1883-ს დამლევს და 1894-ის დამდეგს ქალაქის მამუ-
ლი იყო დაგირავებული 2,702,000 მანეთისა; სოფლის მამუ-
ლებზე კი ამის მესამედი იყო გაღებული. აი, სწორედ ამ გა-
რემოებას მიაქცია ყურადღება სამინისტრომ, სახელდობრ იჩას,
ბ-ნო გ. წერეთელო, რომ ბანკის გამგეობა უხვად და უშიშრად აძ-
ლევდა სესხს ქალაქის მამულის პატრონებს. მართლაც, 1882 წლი-
დან 1886 წლამდე ბანკს დარჩა 39 ქალაქის მამული სულ 788
ათასი მანეთისა, ხოლო სოფლისა — 12 სულ 71 ათასი მანეთისა.
1883 წელს სამინისტრომ აღუკრძალა ბანკს ახალის სესხის
გაცემა და ოპერაცია შეუჩერა, დაფასებაც დაუწუნა და დაფა-
სების ინსტრუქცია შეაცვლევინა. ბ-ნ გ. წერეთელს რომ ზე-
მოდ ნათქვამი ჩვენი შეთხული არ ეჩენოს, საბუთსაც დავუ-



სახელმწიფო ეგ საბუთის ბ-ნ რევიზორის მოხსენება დაქვემცენა
ანგარიშები.*)

აი, ბ-ნ გ. წერეთელთ, ეხლა რასა პრძანებთ? ბანკი
ხომ თვად-აზნაურობის დაარსებული იყო, თვად-აზნაურობას

*) Выписка изъ отчета ревизора; стр. 4 и 5:

„Начавъ дѣятельность съ половины 1876 года, Кут. банкъ, на первыхъ порахъ дѣйствовалъ, повидимому, сдержанно.... Но съ 1880 года въ дѣятельности банка обнаружилась довольно рѣзкая перемѣна, выразившаяся главнымъ образомъ въ чрезвычайно широкой раздаче городскихъ ссудъ.... Такое значительное количество городскихъ ссудъ, розданныхъ въ короткій промежутокъ времени, особенно же въ небольшомъ губернскомъ городѣ, какъ Кутансъ, само по себѣ внушало нѣкоторое недоумѣніе. Но министерствомъ финансовъ замѣчены были сверхъ того неправильные приемы оцѣнокъ: такъ, при разсмотрѣніи въ концѣ 1881 года журналовъ по выдачѣ ссудъ подъ городскія недвижимости, оказалось, что въ значительной части домовъ чистый доходъ показанъ равнымъ суммѣ, потребной для уплаты срочныхъ взносовъ...“; стр. 46: „Движеніе ссудной операціи по даннымъ таблицы I представляется въ такомъ видѣ. Первые три года дѣятельности банка ссуды земельныя и городскія возрастили постепенно и равномѣрно; но съ 1880 года началось стремительное повышеніе количества городскихъ ссудъ. Въ 1880 году ихъ прибавилось на 850 тысячъ, въ 1881 году — свыше одного миллиона, къ началу 1884 года городскихъ ссудъ было до 2,702, почти втрое болѣе, чѣмъ земельныхъ.... Огромная раздача городскихъ ссудъ въ 1886—1882 годахъ обратила на себя вниманіе министерства финансовъ и послужила главнымъ поводомъ къ запрещенію Мих. банку съ 1883 года выдачи новыхъ ссудъ.... Изъ 51 имѣнія, оставшагося за банкомъ въ пятилѣтіе 1882—1886 гг., городскихъ имѣній было 39 съ суммой долга 788 тысячъ, а сельскихъ только 12 съ долгомъ 71 тысяча, т. е. въ десять разъ меньшимъ.... Наконецъ, Мих. банкъ и самъ созналъ опасность увлечения городскими ссудамъ“ и т. д.... Стр. 64: по настоянію министерства финансовъ, приемы опредѣленія стоимости имуществъ по доходности измѣнены въ томъ смыслѣ, что предѣльной величиной оцѣнки назначены: для каменныхъ домовъ 10-лѣтняя сложность чистаго дохода,—для деревянныхъ — 6-ти лѣтия и для зданій смѣшанной постройки—8-ми лѣтная. Стр. 72: Изъ 62 городскихъ имуществъ—31, на сумму долга 736,493 р., остались за банкомъ въ трехлѣтіе 1883—1885 годы. Это была расплата за широкую и неосмотрительную раздачу городскихъ ссудъ въ предыдущее трехлѣтіе 1880—1882 годы.. Сельскія имѣнія стали переходить въ банкъ въ большомъ количествѣ, начиная съ 1889 г. Стр. 73: по 12 крупнымъ имуществамъ понесено убытка—191,285 р.; изъ нихъ 11 городскихъ и 1 сельское, слѣдовательно, до настоящаго времени банкъ понесъ наибольшіе убытки по городскимъ имуществамъ.“

ხელში ეჭირა, ესე იგი, ფეოდალებისა იყო, ფეოდალები მართვიდნენ, ხოლო ეს ვაჟბატონები ხელს უფრო ქალაქის მამულის პატრონთა უწყობდნენ. იმ მოძღვრებით, რომელიც თქვენ შეგითვისებიათ, ეს რით უნდა აიხსნას? თქვენ გინდოდათ დაგემტკიცებინათ, რომ ფეოდალები, რომელთა ხელში ბანკი იყო ჩავარდნილი, ფეოდალებსვე მფარველობდნენ და ვაჭარმრეწველთ სჩაგრავდნენო, და საქმით კი სულ სხვა აღმოჩნდა. ეგ იმიტომ მოგივიდათ, ბ-ნო, რომ კლასთა ბრძოლა იქ დაინახეთ, უკედ ვთქვათ, იქ გინდოდათ დაგენახათ, საცა არაფერს შუაში ყოფილა და ადგილიც არა ჰქონია.

აბა, რა კუუისა უნდა ყოფილიყვნენ ჩვენებური ფეოდალები, ოუ რომ ბანკი იმისთვის დაარსეს — იქნება ცოტას რასმე გამოვრჩეთ, რომ ჩვენს საზოგადო საჭიროებას გაუძლვეთო და მსესხებლებს კი სულს აძრობდნენ და როცა შემთხვევა მოიტანდა, შეურაცხყოფასაც მიაყენებდნენ ხოლმე; ბანკის დარბაზის კიბიდანაც კი ჩამოუგდიათ უპატივცემულოდ და ასეთის შეტევით: არ იქნება, რომ ნედოიმქაში შელავათი მოგცეთო: ან სულ შემოიტანეთ, ან მამული გავეყიდებათო“. თურმე ნუ იტყვით, მსესხებლებს ვაჭარ-მრეწველთაგან არავითარს შელავათს არ აძლევდნენ, ხოლო ფეოდალების „მამულები შედარებით უფრო მეტად ფასობდა, ისინი მეტს სესხსაც იღებდნენ და შელავათიც ნედოიმკების გადახდაში იმათ მეტი ჰქონდათ“. ხშირად მომხდარაო, განაკრძობს ბ-ნი გ. წერეთელი, „რომ შესატანი სარგებლის ნახევარით და მესამედითაც კრაყოფილდებოდა ბანკის გამგეობა, ამ სახით დიდ მამულებზე და დიდი მამულის მეპატრონეებზე ნედოიმკები ძალიან მაღლე გადიდნენო“. რაც ზემოდ ვათქმევინეთ ბ-ნ გ. წერეთელს, ის თუ ტყუილია, ესეც ტყუილი უნდა იყოს. აღბად შელავათი იმათ მეტი ეძლეოდათ, ვისაც მეტი სესხი მიჰქონდათ ბანკიდან, ვისი მამული მეტად იყო დაფასებული, ესე იგი ქალაქის მამულების პატრონთა.

დიალ, ადვილი მისახვედრია, რომ ბ-ნი გ. წერეთელი მართლი არა ბრძანდება, როცა ამბობს — ხშირად მომხდარაო,



რომ შესატანი სარგებლის ნახევარით და მესამედითაც კვაშუკო—
ფილდებოდა ბანკის გამგეობათ და ამიტომ დიდ მამულებზე
„ნედოიმკები ძალიან მაღლ გადიდენენო“⁴⁾. ადვილი მისახვედ-
რიც რომ არ იყოს, რევიზორის მოხსენებიდანა და ბანკის ან-
გარიშებიდანაც აშკარად სჩანს, რომ ბ-ნი გ. წერეთელი თა-
ვისებურად ფანტის აჟყოლია. აი, ამ საბუთებიდანა რა სჩანს.*)
ბანკის დაარსებიდან 1886 წლის პირველს იანვრამდე რაოდე-
ნობა გირავნობის ფურცლებისა თან და თან და შესამჩნევად
მატულობდა, ასე რომ ამ დროისათვის ბაზარში ტრიალებდა
3,331,000 მანეთის ფურცელი (ამათვან სოფლის მამულებისა—
922,000 მან., ხოლო ქალაქისა—2,408,000 მან.). იმ დროი-
სათვისვე ვადას გადაცილებული გადასახადი მსესხებლებზე
ითვლებოდა 30 ათასი მანეთი. 1886 წლის შემდეგ გირავნო-
ბის ფურცლების რაოდენობა თან და თან ჰკლებულობს და
1891 წლის პირველ იანვრისათვის ვადას გადაცილებული გა-
დასახადი გაიზარდა 80 ათას მანეთამდე, 1892 წ. იგივე გადა-
სახადი 90 ათასამდე ავიდა, 1893-ს—98 ათასამდე; მოკლედ
რომ ვთქვათ, გირავნობის ფურცლების რაოდენობა თან და თან
კლებულობს, ხოლო ვადას გადაცილებული გადასახადი კი მა-
ტულობს. განა აშკარა არ არის, რომ 1890 წლამდე მსესხებ-
ლებზე ნაკლები ვადას გადაცილებული გადასახადი ითვლებოდა,
და რაც ითვლებოდა, ისიც ქალაქის მამულებისა იყო, და ამ
მამულებს ხომ, ბ-ნო გ. წერეთელო, ფეოდალთა წრიდან გამო-
სულნი დამფასებელნი ნამდვილს ფასოვნობაზე მეტად აფასებდ-
ნენ, რითაც ბანკი დიდს საშიშროებაში ჩაიყენეს.

განა, მკითხველო, ნამდვილი არ არის, რომ ბ-ნმა გ. წე-
რეთელმა ქუთაისის ბანკის ისტორია ყირაზე დააყენა? დიალ,
მის მსჯელობას რომ ის საბუთები გამოვაცალოთ, რომელნიც

*) Выписка изъ отчета ревизора, стр. 12.

ibid стр. 70: „въ пятилѣтие 1886—1890 годы просроченныхъ плате-
жей на балансъ стояло отъ 30 до 37 тысячъ; къ началу 1891 года про-
сроченность сразу возрасла до 80 тысячъ и затѣмъ все увеличиваясь, къ
концу 1894 года достигла 106 тысячъ.“

ბ-ნ გ. წერეთელს ხელზე დაუხვევია, არა დაურჩება-რა, მთე-
ლი მისი წრევანდელი პუბლიცისტიკა სილაზე აშენებული, ყი-
ნულზე დაწერილი გამოდგება. კარგი და პატიოსანი. ეხლა ისა
ვკითხოთ, თუ რასა გულისხმობს სხვა-და-სხვა პარტიის საზოგა-
დო პროგრამმად ბ-ნი გ. წერეთელი, როცა ბანკის შესახებ
ლაპარაკობს. ამ პუბლიცისტის აზრით, ფეოდალების პროგრამმა
მხოლოდ ის იყო, რომ თავიანთ მამულებში მეტი სესხი გაე-
ტანათ ბანკიდან, მეტის შეღავათით ესარგებლათ და ამ სახით პან-
კისათვის ზარალი მიეყენებინათ. ეგ პროგრამმა ვაჭარ-მრეწველ-
თაც, წვრილ-ფეხა აზნაურთაც და გლეხებმაც შეითვისესო და
ფეოდალებს ამ პროგრამმის სახელით შეეჭიდნენო. ჯერ ფეო-
დალები სარგებლობდნენ ბანკის ფულითა და შეღავათითა და
შემდეგ იგივე მოინდომა ახალმა კლასში ვაჭარ-მრეწველობისამ
და სხვათაო. ჩვენ კი ვაჩერენ ბ-ნ გიორგი წერეთელს, რომ
თავიდანვე თუ ვინმე სარგებლობდა ბანკითა და ამ დაწესებუ-
ლების მეთაურთა მფარველობის ქვეშ იყვნენ, ისევ და ისევ
ვაჭარ-მრეწველნი, ქალაქის მცხოვრებნი და არა ფეოდალები;
თუ ვინმემ ზარალი მიაყენა ბანკს, ისევ და ისევ ქალაქის მამუ-
ლების პატრონებმა... ეხლა ვკითხოთ,— ეგ რა საზოგადო პროგ-
რამმა—სესხიც ერთი-ორად მეტი მომეცით, შეღავათი მხოლოდ
მე აღმომიჩინეთ და სხვას ნურავისო? ეგ პროგრამმა საზოგა-
დოებისა კი არ არის, არამედ მტაცებლებისა. საზოგადო პრო-
გრამმა თავიდანვე ის იყო, რომ მემამულეთათვის, სოფლის
იქნებოდნენ თუ ქალაქისა, სულ ერთია, კრედიტი გაეჩინათ
და ბანკის წმინდა შემოსავლით თავად-აზნაურობა საზოგადო
საჭიროებას გასძლოლოდა და თუ რომელიმე პარტია ამ პროგ-
რამმას განზე გაუდგა, ის დაწესებულების მოღალატედ და მტრად
უნდა მივიწინოთ.

საზოგადო სარბიელზე ახლად გამოსულმა პარტიამ ვაჭარ-
მრეწველებისამ, თავის მედროშედ ბ-ნი კალისტრატე ჩიკვაიძე
აღიარაო. ბ-მა ჩიკვაიძემ „აიღო აღლო, სად იყო ძალა და
იქითკენ გადვიდა სულით, გულით და ჯიბითაც, ჩიეკედლა ახალ
აღორძინებულს კლასს, რომელსაც ოპოზიციის ინტელიგენციამ

ურიგოდ ხელი აჰერა და შეუჩატებულ ბ-ნი ნიკოლაძის სტატი-
ების „წყალობით“. ამასვე ბრძანებს ბ-ნი ნ. ქორდანია („კვა-
ლი № 13). ის თუ მართალია, რომ ბ-ნ ჩიკვაიძის გაბატონე-
ბაზდე ბანკის ფულითა, შეღავათითა თითქმის სულ ერთიანად
ქალაქის მემამულენი სარგებლობდნენ, მაშ სადღაა, ბ-ნი გ.
წერეთელო, თქვენი მოსაზრება, რომ დაჩაგრულთა ვაჭარ-მრეწ-
ველთა ხმა ამოიღეს მაშინ, როცა ბ-ნი ჩიკვაიძე გამოვიდა სა-
ზოგადო საჩიელზე. უსაბუთო მოსაზრებაც ამიტომ მოგსვ-
ლიათ, რომ კლასთა ბრძალა იქ დაინახეთ, საცა არაფერი მო-
სატანი იყო. საბრალო კალისტრატე ჩიკვაიძე თქვენს ხელში!
ძალად ექიმობა თუ გინდაო, სწორედ ეს არის. კაცს თავის
დღეში ფიქრადაც არ მოსვლია კაპიტალისტურ ევოლიუციი-
სათვის ეზრუნა, თავი გამოედვა, და „კვალი“-ს პუბლიცისტები
კი ამ რაღაც ევოლიუციას თავზე ახვევენ, როცა ბ-ნი ჩიკვა-
იძე გამოვიდა საჩიელზე.

ბ-ნ ჩიკვაიძეს კი არა, ამ დროს, ევ ევოლიუცია ბ-ნ გ. წე-
რეთელსაც არ ჩაწვეთებია ყურში და სიზმარშიაც არ მოსვ-
ლია. ბ-ნი კ. ჩიკვაიძე იმიტომ გამოვიდა საქვეყნოდ, რომ ბანკ-
ში დამკვიდრებულიყო და სხვა არაფერი.

საზოგადო საქმის სამსახურისათვის, ფეოდალობისა იქნე-
ბოდა, თუ ვაჭარ-მრეწველთა, არც ძალა და ლონე შესწევდა,
არც გული სტკიოდა: რაც ბანკში დამკვიდრდა, მას აქეთ „სხვა-
გან ჰქონის მისი გონება“ და ბანკისათვის თავი ერთხელაც არა
სტკიოდა. რომ ეს მართალია, ადვილად დავრწმუნდებით, თუ
ბანკის საქმეებს თვალს გადავავლებთ.

ბ-ნი ჩიკვაიძე ვაჭარ-მრეწველთა მწე და მფარველია, თუ
ფეოდალებისა, მაინც იმის ზრუნვაში უნდა ყოფილიყო, რომ
ბანკი წარმატებაში შეეყვანა. ხოლო ჩვენ ამას ვერა ვხედაეთ.
თუ როგორ ეკიდებოდა ბ-ნი ჩიკვაიძე ბანკის საქმეებს, ამას
შემდეგი დაგვანახვებს.

1893-ს წელს თავ. კირ. ლორთქიფანიძემ საზოგადო კრე-
ბაში აზრი შეიტანა მასზედ, რომ წარმომადგენლობა ცემნას
შემოლებული ეგ აზრი კრებამ შეიწყნარა და დაადგინა კიდეც,

რომ ამის შესახებ გამგეობამ შესაფერი შუამდგომლობა გამწვდიდობა
ოს მთაერობის წინაშე. ეგ დადგენილობა დადგენილობადვე
დარჩა და გამგეობას შუამდგომლობა არ გაუწევია. მხოლოდ
3-მს თებერველს 1895 წლისას ბ-ნ რევიზორს წარუდგინა წარ-
მომადგენლობის პროექტი. აი, ამის შესახებ რას ამბობს ბ-ნი
რევიზორი: *) თავ. კ. ლორთქიფანიძის აზრი შეწყნარებულ
იქნა კრებისაგანაო, ხოლო 1893 წლის განმავლობაში ზედა-
მხედველს კომიტეტს და გამგეობას ხელიც არ გაუნდრევია,
რომ ამ საქმისათვის მსვლელობა მიეცა. მთავრობის წინაშე
შუამდგომლობის გაწევა ოზურგეთის თავად-აზნაურობამ იკის-
რა; ამ შუამდგომლობას ხელი ჩასჭიდა გუბერნიის გარშალმა
და საქმესაც შენედ შეუდგაო; იმედი არა ჰქონდა, რომ ბანკის
მეთაურთ შეედგინათ ბანკის წესდების ცვლილებათა პროექ-
ტიო. აი, ბ-ნებო, სწორედ ასე სწარმოებდა ეგ საქმე, ხოლო
ბ-ნმა ჩიკვაიძემ, როცა განხეთში უსაყვედურეს — წარმომადგენ-
ლობა სრულიად დაივიწყა ბანკის გამგეობამათ და მხოლო მა-
შინ გაიხსენია, როცა თავ. მაჩაბლის საქმე დაატყდა თავზე,
ძალიან იწყინა და ბრძანა, — ყოველივე ესე კორესპონდენტის
შეთხხულით, გამგეობა ყოველთვის ხელს უმართავდათ წარ-
მომადგენლების შემოლებასათ და **) 1897-ს წელს სამინისტ-
როს წინაშე შუამდგომლობაც კი გავწიეთო!... ამას იმ საქმის
შესახებ ბრძანებდა, რომელიც 1893-ს წელს იქნა დაწყე-
ბული.

1891-ს წელს ტფილისის ბანკს უფლება მიეცა $36\frac{1}{3}$
წლიანი გირავნობის ფურცლების გაღებისა ქალაქის მამულებზე

*) Выписка изъ отчета ревизора, стр. 8, 9 и 33. Стр. 8: „Не надеясь,
чтобы проектъ измѣненія устава въ желательномъ смыслѣ былъ вырабо-
танъ въ самомъ банкѣ, кн. Церетели“ и т. д.

**) Нов. Обозр. № 4733, письмо г. К. Чиквандзе:

„Всѣмъ интересующимся этимъ вопросомъ (вопросомъ о представи-
тельствѣ) известно, что администрація банка всегда оказывала содѣйствіе
проведенію проекта о представительствѣ, принимала участіе въ ихъ ко-
миссіяхъ по сему предмету, особо представила (когда) свой проектъ въ
министерство (?) и, наконецъ, 12-го июня 1897 г., ходатайствовала предъ
г. министромъ о скорѣйшемъ введеніи представительства“.

და $61\frac{1}{2}$ % წლიანისა—სოფლისაზე. ეს დღე იყო და ქუთაისის გუბერნიის ქალაქების მემამულენი წარემართნენ ტფილისისაკენ და რაც რამ საუკეთესო ქალაქის მამულები იყო ქუთაისში ტფილისის ბანკში იქმნა გადატანილი იმიტომ, რომ სესხის ვადის გადიდებას სარგებლის შემცირება უნდა მოჰკოლოდა. ჩეენის ბანკის მეთაურთ კრინტიც არ დაუძრავთ არც 1891 წელს და არც წინედ და მხოლოდ მაშინ, როცა ტფილისის ბანკი ლაშის უნდა დაპატრონებოდა ქუთაისს, საზოგადო კრებაშ დაავალა გამგეობას იშუამდგომლოს, რომ $36\frac{1}{2}$ % წლიანი გირავნობის ფურცლების გამოცემის ნება-რთვა მიეცეს. საქმე საჩქარო იყო, ცდა და ლოდინი ყველას ყოვლად არ-შესაწყინარებელი ეგონა, ხოლო ასე არა ფიქრობდა სხვათა შორის ბ-ნ ჩიკვაიძეც. შუამდგომლობა ამ ფრიად საყურადღებო საქმის შესახებ წირდგენილ იქმნა 1893-ს თებერვალში. რამდენად საჭირო იყო $36\frac{1}{2}$ % წლიანი გირავნობის ფურცლები, იქიდანა სჩანს, რომ, პირველს წელიწადს, როცა შესაფერი ნება-რთვა ითლო ბანკმა, ეგ $36\frac{1}{2}$ % წლიანი ფურცლები 205 ათასისა გისცა, მეორე წელიწადს—534 ათასისა და მესამე წელიწადს კი—758 ათასისა, ესე იგი სამის წლის განმავალობაში ამ ფურცლების რაოდენობამ თითქმის ოთხჯერ იმატა. შუამდგომლიბა დროზე რომ წარედგინათ, რა თქმა უნდა, საკმაოდ მეტი ფურცელი იქნებოდა გასაღებული $36\frac{1}{2}$ % წლიანი, ამით მეტს ქალაქის მსესხებელს ნამდევილს შეღავათს აღმოუჩენდნენ და ტფილისის ბანკიც ისე მაგრად ვერ მოიკიდებდა ფეხს ქუთაისის გუბერნიაში. განა ეგეთი ამბავი მოუვიდოდა ფხიზელსა და მარჯვე კ. ჩიკვაიძეს, ვაჭარ-მრეწველთა ქალაქის მცხოვრებთა მწე და მფარველი რომ ყოფალიყო? ბ-ნ გ. წერეთელო. არც სოფლის მწე და მხსნელი ყოფილა, არც იმასთვის გაუწევია ცდა და შრომა, რომ $61\frac{1}{2}$ % წლიანი სოფლის გირავნობის ფურცლების გაცემის ნება-რთვა აეღო. აი, სწორედ ასე უნდა ხელის გაწყობა, „კვალის“ პუბლიცისტებო. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. უფრო საყურადღებო ამბავს მოგახსენებთ.



1891 წელს, მაისის 21-ს, საზოგადო კრებამ მოიცვინა რა აზრი თ. კ. ლორთქიფანიძისა მასზე, თუ რამდენად სასურველი და საჭიროა კონვერსია, დაადგინა იშუამდგომლოს სამინისტროს წინაშე, რომ 6% სესხები კონვერსიის საშუალებით 5% გარდაექმნათ. ამით დიდი შეღავათი მიეცემოდა როგორც ქალაქის მემამულებთა, ისე სოფლის მემამულეებსაც, თავად-აზნაური იქნებოდა, თუ გლეხი. მაგრამ ბანკის მეთაურთ ეს დანადგენი საზოგადო კრებისა არც 1892 წელს გაახსენდათ, არც 1893 წელს, არც შემდეგში, ასე რომ, ვეონებთ, ვერც დღეს მიმხვდარან, თუ რა დიდი დანაშაულობა ჩაუდენიათ საზოგადოების წინაშე, მით რომ ეგ დანადგენი კრებისა დაივიწყეს.

აბა, ბ.ბ. „კვალის“ პუბლიცისტებო, ვისი მწე და მფარველნი ყოფილან ბანკის მეთაურნი და მათ შორის ბ-ნი კ. ჩიკვაიძე? ფეოდალებისა თუ ვაჭარ-მრეწველებისა? აკი მოგახსენეთ, რომ ბ-ნი ჩიკვაიძე თქვენს ხელში ძალად ექიმია და ამ მოღვაწეს თავის დღეში აზრად არ მოსვლია ვისმე საზოგადოებური სამსახური გაუწიოს.*) ბ-ნი გ. წერეთელი საყველურს ეუბნება ბანკის ოპოზიციას: „იმის მაგივრად რომ მას ეზრუნა ქუთაისის ბანკის განკარგებაზე, შეედგინა პროექტი კონვერსიისა(?!), რომ სესხის პროცენტი შეემცირებინათ, ეშუამდგომლათ მთავრობის წინაშე, რომ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის მოქმედება გაევრულებინათ სხვა-და-სხვა ვრცელ რაიონებზე, ის მოჰყვა გაუთავებელ ლანძლვა-გინებას კ. ჩიკვაიძისა“ და სხვ. კონვერსიის შესახებ ოპოზიციას ის მცირე ღვაწლი მაინც მიუძღვის, რომ იმისმა წევრმა წარუდგინა კრებას აზრი თუ რამდენად საჭირო იყო კონვერსია, ხოლო ბანკის მეთაურთ არავითარი საშუალება არ იხმარეს, რომ ეგ აზრი საჭმედ გარდაექმნათ. აბა, რა შუამდგომლობა უნდა გაეწია ოპოზიციას, რომელიც ბანკიდან გაძევებულ იქმნა? განა არ

*) ცალკე წერილში გამორკვეული იქმნება დაწვრილებით, თუ რაოდენი ზარალი მიეცა ქუთაისის ბანკს მისის მეთაურთა უთაურობით.

რედ.

იცით, ბ.ბ. პუბლიცისტო, რომ ყოველი შუამდგომლობა ამის-თანა საქმეებში უნდა გასწიოს ბანკის გამგეობამა კრების დანა-დგენის თანახმად და არა კერძო კაცებმა, რომელთაც მთავრობა ყურსაც არ ათხოვებს. ესც თქვენი სამართალი და საქმის ცოდნა, ბ-ნო გ. წერეთელო, თავდაყირა პუბლიცისტო-ისტო-რიკოსო!

აქედან აშკარაა, რომ ბანკის მეთაურთ ამ რვაოდე წლის განმავლობაში ყოვლად არ-შესაწყნარისი დაუდევრობა, გულ-გრილობა გამოუჩენიათ საზოგადოების წინაშე; ისიც ადვილი მისახვედრია, თუ ვისი მოტრფიალენი, რისა მოსამსახურენი ყოფილან. ნუ თუ ბ-ნი გ. წერეთელი ეხლაც გაჯიუტდება და არ დაგვეთანხმება, რომ არც ფეიდალებს მფარველობდნენ და არც ვაჭარ-მრეწველთა, არამედ თავიანთს თავსა?

რა მოჰყვა იმას, რომ ბანკის მეთაურნი და მათ შორის განსაკუთრებით ბ-ნი კ. ჩიკვაიძე, ეგრე უგულოდ, უკაცრიავად, ეგრე მტრულად ეკიდებიან საზოგადო საქმეს, ბანკს? ი სწო-რედ ეს არის საგულისხმო და საცოდნარი.

ზემოდ უკვე მოვიხსენიეთ, რომ ქუთაისის ბანკს თავზე დიდძალი ზარალი დაატყდა 1883—1885 წლებში; ეგ ზარა-ლი იმიტომ მოუკიდა, რომ 1880—1882 წლებში ბანკის გამ-გეობამ დიდი სიუხვე გამოიჩინა ქალაქის მამულების პატრო-ნებზე, რის გამოც დიდძალი ქალაქის მამული შერჩა ხელში. როგორც იქმნა, ეგ მამულებიც მოიშორა ბანკმა თავიდან. სო-ფლის მამული კი 1889 წლამდე, ესე იგი 11—12 წლის გან-მავლობაში ბანკს დარჩი 14. 1889 წლიდან კი რაოდენობა ბანკზე დარჩენილ მამულებისა თან-და-თან და შესამჩნევად მა-ტულობს და ამის გამო ამ წლიდან მოკიდებული ბანკს დიდი ზარალი მოსდის. 1890 წელს ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ ბ-ნი კ. ჩიკვაიძე იქმნა ამორჩეული; ამას მოჰყვა ზედამხედვე-ლის კომიტეტის განახლება და ბანკის სათავეში ახალი კა-ცები ჩადგნენ. რასაკეირეველია, ბ-ნ ჩიკვაიძესაც და იმათაც, ვისაც მასთან ერთად წილად ხვდათ ბანკის მოვლა-გამგეობა, იმისათვის უნდა ეთხოვებინათ ყური, დაედვათ გული, თუ რა

საბუღალტერო შენიშვნები

არის ამის მიზეზი. განა საცოდინარი არ იყო, თუ რა მიზეზია, რომ ეგოდენი სოფლის მამული ჩეხება ბანკს, თუ რა ლონეა საჭირო, რომ სოფლის მემამულეთა საშუალება მიეცეს ბანკის ვალს უფრო ადვილად გაუძლვნენ? განა საზრუნველი არ იყო, თუ რა უნდა ეშველოს ბანკზე დარჩენილ მამულებს, რა ლონისძიებაა საჭირო, რომ ამ მამულებმა ბანკი ზარალში არ ჩასვას და თუ მაინცა და მაინც ზარალი აუცილებელი იქნებოდა, — საქმე ისე როგორ უნდა მოეწყოთ, რომ ეგ ზარალი ნაკლები ყოფილიყო. სწორედ ამაგბზე უნდა ეზრუნა ბ-ნ ჩიკვაიძეს, გამოვიდა თუ არა ბანკის სარბიელზე; საქმე, რომელიც ხელში ჩაბარდა, მთელი მისის სიღრმე-სიგანით უნდა აეწონა და გაეზომა, ხოლო, როგორც შემდეგში აღმოჩნდა, ამაგბზე თავი სრულიად არ შეუწუხებია. რომ ეფიქრნა და გული რომ სტკენოდა, უეჭველია, საზოგადო კრების დანადგენს კონვერსიის შესახებ არ დაივიწყებდა და კონვერსია რომ მოეხდინა ბანკს, რა შელავათი მიეცემოდათ სოფლისა თუ ქალაქის მემამულეთა, ძნელი საანგარიშო არ არის. ბანკის საქმისათვის გული რომ დაედევა, იმის ცდასაც დროზე შეუდგებოდა, რომ $36\frac{1}{2}$ წლიანი გირავნობის ფურცლები შემოედო და ამით შელავათი მიეცა ქალაქის მემამულეთათვის. ბანკის ერთგული მეთაური რომ ყოფილიყო, უეჭველია, იმის ზრუნვასაც შეუდგებოდა, რომ ბანკზე დარჩენილ მამულებსაც კარგად გასძლოლოდა, ბანკს დიდი ზარალი არ მოსელოდა. ხოლო არც ამ მხრით გაუკეთებია რამე; პირიქით, ბ-ნ ჩიკვაიძის პატრონობის დროს ამ მამულების საქმე სულ უკან-უკან წაეიდა; რომ ეს მართალია, ამის მოწმე ბ-ნი რევიზორი ბრძანდება.

აშკარა და შესაძლოა ვთქვათ, ამბობს ბ-ნი რევიზორი*) რომ ბანკზე დარჩენილ მამულების შესახები ანგარიში სრულიად

*) Вып. изъ отч. ревиз. гг. 75: „можно прямо сказать, что по имѣніямъ, поступающимъ въ банкъ, не существуетъ и не ведется никакой отчетности. Ни въ балансахъ, ни въ годовыхъ отчетахъ не сообщается никакихъ свѣдѣній, по которымъ можно было бы себѣ составить представлѣніе, какъ имѣнія управляются и продаются банкомъ“...

гг. 76: „Лица, завѣдывающія, по порученію Правленія, имѣніями, или вовсе не даютъ отчета, или же даютъ крайне не полно; отчеты эти

არ აჩეცბობსო. არც ბალანსში, არც წლიურს ანგარიშში არა-
ვითარი ცნობები არ მოიპოვება იმათ შესახებ, ასე რომ ყოვ-
ლად შეუძლებელია წარმოიდგინოთ, თუ როგორ ჰატრონო-
ბენ მამულებსა. ბანკის გამგეობისაგან ვისაც მამულების მოვლა
და ჰატრონობა აქვს მინდობილი, ისინი ან არავითარს ანგა-
რიშს არ იძლევიან, ან-და თუ იძლევთან, ისიც იმისთანა ანგა-
რიშს, რომელიც ვერაფერს გავაგებინებთ. გამგეობის ბანკისას
საერთო ანგარიში მამულების შემოსავალ-გასავლისა არა აქვს,
ასე რომ ყოვლად უღლონონი ვართ გამოვარკვით—ჰფარავს
თუ არა ამ მამულების შემოსავალი გასავალსა. ერთის სიტყვით,
შემოსავალი მეტი-მეტად მცირეა. უფროს ერთი მამული კი
არავითარს შემოსავალს არ იძლევა, თუმცა იმავე მამულის ჰა-
ტრონი ათი-თორმეტი წლის განმავლობაში ბანკის გადასახადს
იძღიდა და ცოლშეიღს ჰკვებავდა მამულის შემოსავლით. ბანკის
ხელში რომ გადავიდა ამისთანა მამული, მას შემდეგ არავითარი
შემოსავალი არ შემოაქვს.*)

ბანკზე დარჩენილი მამულები ისევ ძველის ჰატრონების ხელში რჩება; შესაძლოა, რომ ამ ძველმა ჰატრონმა დაიბრუნოს მამული, მაგრამ ამისთანა მაგალითი იშ-
ვიათია, პირიქით, წინანდელი ჰატრონი მამულით წინანდებუ-
რადვე სარგებლობს, არავითარ გადასახადს არ აძლევს ბანკს
და ამ სახით მამული იფრცევნება, იბნევა და იკარგება. ბანკი

никѣмъ не провѣряются. Правленіе не ведеть общаго хозяйственнаго отчета по имѣніямъ, такъ что вѣть возможности составить понятіе хватаетъ-ли вырученыхъ доходовъ на покрытие расходовъ банка по имѣніямъ; вообще доходы очень не велики...

*) Ibid. гл. 86—87: „Завѣдываніе имуществами, остающимися за банкомъ, крайне неудовлетворительно. Инструкція 1888 года о завѣдываніи сими имуществами вовсе не исполняется. Время укрѣпленія за банкомъ имуществъ зависить отъ произвола праѣженія. Надлежащаго надзора за имѣніями не установлено, отчего происходятъ захваты участковъ и расхищеніе имуществъ. Доходность имѣній совершенно ничтожна; большая часть имуществъ не приносить ровно ничего. Въ результатѣ банковаго хозяйствичанья получается ежегодный убытокъ около 18 тыс. руб.“



ამ დარჩენილს მამულებს არ იმტკიცებს თავის ღროწე, *) ამიტ გამო ამ მამულების მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია. მამულს წინანდელი პატრონი განავებს, რომელსაც იურიდიული უფლება დაკარგული აქვს, და ნამდვილი პატრონი, ბანკი, საშუალებას მოკლებულია ამ მამულებით ისარგებლოს. ყოველივე ზარალი ამის გამო თავზე ბანკს უნდა დატყდეს. ერთი სიტყვით, ბანკში ისეთი პოლიტიკა დამკვიდრებული, რომ მემმულებს თითქო უფლება ეძლევა თავთაენის ღროწე გადასახადი წარადგინონ ხოლმე.

ამისთანა უთაურობას, დაუდევრობას, უზრუნველობას და
გულგრილობას ის მოსდევს, რომ ის გადასახადი, რომელიც
ამ მამულებში უნდა იხადოს, ბანკი იძულებულია თითქმის სულ
ერთიანი დირის ფულიდან შეავსოს; ეგეთი ფული 18 ათას
მანეთს უდრის წლიურად.

ამ სახით ბანკის ძირის ფული მუდამ რყევაშია. ძირის ფული იმიტომ ეწოდება, რომ ბანკის საფუძველია, ბანკის ქვა-კუთხედი და ბანკს კი მისის მეთაურთა უთაურობისა და დაუ-დევრობისა გამო ეს ქვა-კუთხედი ფეხქვეშიდან ეცლება. აქვე უნდა გაეიხსნოთ, რომ 1883 წლიდან 1894-ის პირველს იანვრიმდე ბანკს 1.086,385 მანეთი შემოსვლია, ზარალი კი 271,785 მანათისა მოსვლია. ეგ ზარალი შეადგენს მთელის შემოსაელის მეოთხედს, ესე იგი 25%.*). ხოლო 1894 წლიდან

^{*)} Вып. изъ отч. ревиз. 33. 77: "Возможно, что въ рѣдкихъ случаяхъ владѣльцы послѣ торговъ дѣйствительно уплачиваютъ недоимки и имѣнія возвращаются имъ. Но въ большинствѣ случаевъ дѣло представляется въ иномъ совсѣмъ видѣ: бывшій владѣлецъ, никѣмъ не беззокосимый, остается у себя въ имѣніи; не дѣляя банку никакихъ платежей, онъ извлекаетъ доходы и окончательно расхищаетъ имущество... Неукрѣпленіе во время банкомъ за собой имуществъ создаетъ непереносимую неопределенность положенія: фактическимъ владѣльцемъ является бывшій владѣлецъ имѣнія, утерявшій юридическое право собственности, а юридический владѣлецъ—банкъ не можетъ воспользоваться своимъ правомъ. Всѣ невыгоды при этомъ ложатся на банкъ. Владѣльцамъ же дается какъ-бы поощреніе къ невзыносу платежей; они смѣло могутъ допускать свои имущества до публичной продажи..."

**) *ibid.* 83, 28 და ბანკის ანგარიშები 1884, 95, 96 და 97 წლებისა.

ზარალი თანდათან მატულობს. 1894-ს წლის პირველ იძნებიდან მოკადებული ვიდრე 1898 წლის პირველ იანვრამდე მთელი შემოსავალი ჰქონია 435.215 მან., ხოლო ზარალი მოსვლია—131,474 მანეთისა. ეგეთი ზარალი კი შეადგენს მეოთხედს კი არა მთელის შემოსავლისას, არამედ მესამედზე მეტსა, სახელდობრ 32%—33%.

კრება ბანკისა დროზე მიხვედრილა, რომ აუცილებელია ყურადღება ეთხოეოს ბანკზე დარჩენილ მამულებს, და 1888 წელს კიდევაც დაუმტკიცებია ინსტრუქცია *) ამ მამულების მართვა-გამგეობის და სწორედ ამ ინსტრუქციის შესახებ ბრძანებს ბ-ნი რევიზორი, რომ ამ ინსტრუქციას არავინ ასრულებსო. ზედამხედველი კომიტეტიცა, ის კი არა, რომელიც დღეს მეთვალყურეობს ბანკს, არამედ ის კომიტეტი, რომელიც ბ-ნმა ჩიკვაიძემ იძულებულ ჰყო ბანკს გასცლოდა, დიდის ყურადღებით და გულდასმით ეკიდებოდა ბანკზე დარჩენილ მამულებს. ეს კომიტეტი სამსახურიდან რომ გადადგა, საქმე კიდევ უფრო ცუდად დატრიალდა, 1891 წელს კრებამ დაადგინა, რომ ბანკმა საკუთრივ დარჩენილ მამულებს ერთი კაცი მიუყენოს, გამგე და შმართველი დაუნიშნოს. ეგ განაჩენი იმწამსვე იქმნა შესრულებული, ხოლო, როგორც ბრძანებს ბ-ნი რევიზორი, ვერც ამით ვერა ეშველა-რა ბანკსაო; ანგარიში ამ მამულების შემოსავალ-გასავლისა მაინც არ არსებობს და არა. **)

სიტყვით, ბანკს დროისა და გარემოებისდა გვარად იაფი კრედიტი უნდა მიეწოდებინა მსესხებელთათვის, ვინც უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო ბ-ნ ჩიკვაიძეს ამისათვის არავითარი ყუ-

*) Вып. изъ отч. ревизора გვ. 75, ibid. გვ. 75: „Общее собрание 1891 года, по предложению кн. Кир. Лортикианидзе, обратившаго внимание собрания, что имѣния, оставшація за банкомъ, или ровно не даютъ дохода, или же даютъ слишкомъ мало, такъ какъ за ними нѣтъ никакого присмотра, постановило: поручить Правленію и Комитету принять мѣры къ лучшему управлѣнію имѣніями и, если окажется нужнымъ, нанять особое лицо для управлѣнія ими“.

**) „...Съ назначениемъ управляющаго положеніе дѣла не измѣнилось, отчетности по имѣніямъ по прежнему не существуетъ“.

რადლება არ უთხოვებია; ამით სოფლის მემატულენი განსაკუთარებით უიდის გაჭირვებაში ჩააგდო, მამულები იმ ზომამდე დაუვალიანა, რომ დღეს სახსარი არა აქვთ ბანკის ვალს გაუძლვნენ და ამის გამო მათი მამულები ბანკსა რჩება. ბ-ნ ჩიკვაიძეს უნდა ეზრუნა ბანკზე დარჩენილი მამულების მართვა-გამგეობა წესსა და რიგში ჩაეყენებინა, მაგრამ ის არჩია, რომ ამისათვისაც თავი მიენებებინა და ბანკი ზარალსა და ვალში ჩაეგდო.

ჩვენის აზრით, ბ-ნი ჩიკვაიძის მოღვაწეობა სხვა სახურით არ აიწონება, სხვა საზომით არ გითხომება. აქ, ამ საქმეში კლასითა ბრძოლა რა მოსატანი იყო? განა აშკარა არ არის, რომ, რომელს კლასსაც უნდა წამოეყენებინოს ბ-ნი ჩიკვაიძე, მაინც მოღვალე იყო ბანკს რიგიანად, წესიერად გასძლოლოდა და მათ, ვინც კი საქმეს დაიჭირდა ბანკთან, ყველა-სათვის ერთნაირად ემსახურნა მართებულად და კანონიერად, ესე იგი თავის მოღვაწეობისათვის საზოგადოებური ხასიათი უნდა მიეცა. ოქვენ კი, „კვალის“ პუბლიცისტნო, საქვეყნოდ ღალადებთ, რომ ბ-ნმა ჩიკვაიძემ „ალლო აიღო, სად იყო ძალა და იქითკენ გადვიდა სულით, გულით“ და სხვა და სხვა. ვაჭარ-მჩერწველთა წარმომადგენელი შეიქმნაო; ინტელიგენტია კი უსაბუთოდ შეებრძოლა ბ-ნს ჩიკვაიძეს, მუდამ მის ლანძლეა და თრევაში იყოო, ისიც მოახერხა, რომ ბანკის წევრო უფლება ჩამოერთვათ პირდაპირი მონაწილეობა მიიღონ ბანკის საქმების მოვლა-მართვაშიო; გარდა იმისა, რომ ინტელიგენტიას არაეითარი საბუთი არა აქვსო და არცა ჰქონდაო ჩიკვაიძის წინააღმდეგ სიტყვა დაეძრა, იმას ყოველ ნაბიჯზე უდისცი-პლინობა, უგზო-უკვლებობა და უთავობა ეტყობაო და სხვა-დასხეა; სიტყვით, იმ აუარებელს ჭორს ვინ მოსთვლის, რომელსაც „კვალი“ ქუთაისის ინტელიგენტიის შესახებ აერცელებს. ყველა ეს ჭორი იმიტომაა საჭირო, რომ ინტელიგენტიას, რომელიც ფეოდალების მწედ და მფარველად დაუსახაეთ, სახელი გაუტეხონ, და ბ-ნ ჩიკვაიძეს კი, რომელიც კაპიტალისტურ ევოლუციას ვითომდა ხელს უწყობს, მფარველობა გაუწიონ. თუ, საბრალო კაპიტალიზმი, ბეჩავო ევოლუციავ, „კვალის“



პუბლიკუსტებს „სალალობოდ, სათრეველად“ რომ გაუსწიონ
ხართ..”

ჩვენ კი იქა ვართ, რომ რაც ზემოდა ვთქვით, თავი
რომ მოვუყაროთ და ზედ ის დაეურთოთ, რაიცა ბ-ნ ნ. უორ-
დანიას არ მოსწონს ბ-ნ ჩიკვაიძისა, მკითხველი აღვილად მი-
ხვდება—რა ევოლიუციონისტი ბრძანებულა ბ-ნი ჩიკვაიძე, რო-
მელსაც „კვალი“ მისდა დაუკითხავად ძალად ეჭიმობას თავზე
ახევს; იმასაც აღვილად გაარკვევს, ჰქონდა თუ არა ქუთაისის
ინტელიგენციას რაიმე საბუთი ეგრე ერთობითა და თავ-გამო-
დებით შემოდა ბ-ნ ჩიკვაიძეს და ცდილოყო ბანკიდან იმის
გადაყენებას, ესე იფი იმ წეს-რიგის აღმოფხვრას, რომელიც
ბანკში მას შემდეგ დამკვიდრდა, როცა ბ-ნი ჩიკვაიძე გამოვიდა
სარბიელზე. ისიც აშკარა უნდა იყოს, რომ ბანკის ოპოზიცია
ცდილობს ბანკში მეტი წესიერება, კანონიერება და მართებუ-
ლება დამკვიდროს—და სხვა ამისთანანი. დანარჩენი შემდეგი-
სათვის..”

ს. ნა — დღ



—→ —← —

რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო ამ №-ში
„უცხოეთის მიმოხილვა“ ვერ იძექდება.